

ლიტერატურული ოდისეა

იური ანდრუხოვიჩი

მოსკოვიადა

ლიტერატურული
ოდისეა

იური ანდრუხოვიჩი

მოსკოვიადა

უკრაინულიდან თარგმნა და
შენიშვნები დაურთო რაულ ჩილაჩავამ

გაკურსულაკაურის
გამომცემლობა

იური ანდრუხოვიჩი
მოსკოვიადა
რომანი

მთარგმნელი რაულ ჩილაჩავა
რედაქტორი რუსუდან კოტეტიშვილი
ყდის დიზაინერი ნათია კვარაცხელია
დიზაინერი ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი გიორგი კევლიშვილი

გარეკანზე გამოყენებულია ფრაგმენტი ჰიერონიმუს ბოსხის ტრიპტიქიდან „ტკბობის ბაღი“.

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელ: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-834-5

Юрій Андрухович
МОСКОВІАДА
Novel

© Yuri Andrukhovych 1997
All rights reserved by and controlled through Suhrkamp Verlag Berlin

Fragment from "The Garden of Earthly Delights" by Hieronymus Bosch is used as cover artwork.

Translated by Raul Chilachava
Georgian translation © Sulakauri Publishing, 2017
All rights reserved.

www.sulakauri.ge

მოსკოვში ორ წლამდე ვიცხოვრე, და ეს იყო ჩემთვის თითქმის უბედნიერესი დრო. იქნებ ამიტომაცაა ჩემს რომანში ამდენი გაავება და შავი უმადურობა. აქამდე არ ვიცი, რა უფრო მეტად მნიშვნელოვანია მასში: ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები თუ ნაპოვნი ქიმერები.

იური ანდრუხოვიჩი

დაე, ამჯერადაც ვერ ამოშანთონ ჩვენში მთავარი.
გრიგორი ჩუბაი

მეშვიდე სართულზე ცხოვრობ, კედლები კაზაკებისა და ზუენერის[1] მოღვაწეთა სურათებით მოგიფენია, ფანჯრიდან ხედავ მოსკოვურ სახურავებს, ალვის ხეების უღიმღამო ხეივნებს, ოსტანკინოს ტელეანძას კი ვერა – იგი დერეფნის სხვა მხარეს განლაგებული ოთახებიდან ჩანს, მაგრამ მისი სიახლოვე ნიადაგ იგრძნობა; იგი ძალუმად ასხივებს რაღაც ძილისმომგვრელს, მოთენთილობისა და აპათიის ვირუსებს, ამიტომ დილით ვერაფრით გაგიღვიძია, გადადიხარ ერთი სიზმრიდან მეორეში, როგორც ქვეყნიდან ქვეყანაში. გძინავს თავდავიწყებით, მეტწილად თერთმეტამდე, სანამ უზბეკი კედელს მიღმა მთელი ხმით ჩართავდეს ეშხიან აღმოსავლურ მუსიკას „ადინ პალკა დვა სტრუნა“.[2] უწყინრად წყევლი ჩვენს უიღბლო ისტორიას, ხალხთა მეგობრობას, 22 წლის საკავშირო ხელშეკრულებას და გესმის: მეტი ძილი აღარ შეიძლება. მით უფრო, რომ მეორე კედლის მიღმელი ებრაელი უკვე დაბრუნდა მაღაზიებიდან, სადაც მერამდენედ შეისყიდა, ვთქვათ, „კოლგოტკები“ თავისი ურიცხვი ძველი აღთქმისეული ოჯახისთვის ბირობიჯანში, მისი ყველა თაობისთვის. ახლა ალალად მოხდილი ვალის შეგრძნებით დაჯდება იგი შუა საუკუნეების იდიშზე ახალი ლექსების

[1] ზუენერი – დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც წარმოიქმნა ავსტრია-უნგრეთის სამეფოს დაშლის შედეგად 1918-1919 ნლებში. ფორმალურად იარსება 1923 წლამდე.

[2] „ადინ პალკა დვა სტრუნა“ – გრამატიკულად დამახინჯებული რუსული ფრაზა „ერთი ჯოხი (ალბათ, ხემი), ორი სიმი“.

დასაწერად – სადილამდე შვიდ ლექსს დაწერს, ნასადილევზე კიდევ სამს. და ყველა მათგანი დაიბეჭდება ჟურნალში „სოვეტიშ ჰეიმლანდ“[1], როგორც მცირე ერების კულტურაზე განუწყვეტელი ზრუნვის ცოცხალი გამოხატულება.

ებრაელი კედელს მიღმა– ესაა მკაფიო და მწარე შეხსენება შენთვის, შე ბოზიშვილო, რომ თვითონაც რამეს უნდა აკეთებდე – ყიდულობდე „კოლგოტკებს“, წერდე ლექსებს. შენ კი ლოგინში წევხარ და მერამდენედ სწავლობ დიქტატორ პეტრუშევიჩის პორტრეტს, კედელის იქით აღმოსავლური მუსიკა კი სულ უფრო ვნებიანი და ერთფეროვანი ხდება, იგი მოედინება, როგორც არხში წყალი, ბოლოს და ბოლოს ეს დიადი ლაშქრობაა აქლემებითა და სპილოებით, ბამბის პლანტაციაა, ბლუზია კანაფის მაფიისთვის.

და შენ, უკრაინელი პოეტი ოტო ფონ ფ., ფიზიკურად გრძნობ, თუ როგორ გქენჯნის სინდისი, როგორ აჩენს იგი შენში სულ უფრო მეტი დიამეტრის ხვრელებს, და როცა საერთო საცხოვრებლის დერეფანში გამოხვალ, ისეთი გამჭვირვალე და დასვრეტილი იქნები, არც ერთი ყალმუხი ხელს არ ჩამოგართმევს.

აქ ვერაფერს გახდები – შენი ლექსები, როგორც ჩანს, უკრაინის ატმოსფერულ ველებზე დარჩა, მოსკოვის ველები კი საკმაოდ დახშული აღმოჩნდა, რომ იადონისებრ ულერადობას მათში შეეღნია.

დერეფანში უკვე კარგა ხანია დაბორიალებენ აქაური პერსონაჟები. კაცმა რომ თქვას, ისინი მწერლები არიან, თანაც საბჭოთა კავშირის „ყველა კუთხიდან“, და მაინც უფრო მოგვაგონებენ არა ლიტერატურის შემქმნელებს, არამედ მის პერსონაჟებს; თანაც დიდი რეალისტური ტრადიციების რეცეპტებით გამომცხვარი გრაფომანული, მოსაწყენი ლიტერატურისა.

---

[1] „სოვეტიშ ჰეიმლანდ“ (იდიში) – საბჭოთა სამშობლო.

შენ ძალგიძს გაარჩიო მათთვის ნიშანდობლივი მწერლური ხმები, აკი თითოეულ მათგანს, უწინდელი საქმიანობის ადგილიდან გაცემული დახასიათებით, „მიმადლებული აქვს განუმეორებელი საკუთარი ხმა, რომელიც სხვაში არასოდეს აგერევა"; ჰოდა, დერეფნის ეს განსაკუთრებული ხმები ერთმანეთს რაღაცას ეუბნებიან, ჯვარედინდებიან, გადაიკვეთებიან, იტყობინებიან, რომ ჩაიდანი ადულდა, ღიღინებენ „ნე სიპ მნე სოლ ნა რანუ"[2], იმეორებენ ვისოცკის (ჟვანეცკის) ციტატებს, პატიჟებენ ვიღაცას საუზმეზე, გვამცნობებენ, რომ დაუსწრებლის პროფურამ (მესამე სართული, ოთახი 303) წუხელ ღამე 727-ში გაატარა და ა. შ.

ხმებთან განუყოფელ დიალექტიკურ ერთობაშია სურნელებანიც – საერთო საცხოვრებლის ნაგავსაყრელის, არყისა და სპერმის სუნის თაიგული. შიშინებენ ტაფები, ჩხარუნებენ სათლები, ჭრიალებენ კარები, ბოლოს და ბოლოს, დღეს შაბათია, ლექციები არა გვაქვს და ვერც ერთი არამზადა ვერ მაიძულებს, ვაკეთო რაიმე ისეთი, რაც არ მსურს. დაიკარგონ, ერთი მაგათიც! ასე თანდათანობით შედიხარ სინამდვილეში, და თანაც გახსოვს, რომ ცხელი წყალი შეიძლება არც იყოს, რომ პროფურამ გადაიღამა არა 727-ში, როგორც ეს შეცდომით გამოცხადდა დერეფანში, არამედ 729-ში, რომ რომელიღაც ჩეჩენმა (უფრო ალბათ ყველა ჩეჩენმა ერთად) წუხელ ლიფტში მიბეგვა სპორტორგი იაშა, რომ რუს პოეტ ეუევიკინს, რომელიც მოპირდაპირე ფრთაში ცხოვრობს, წუხელ ტელევიზიით მეხუთე გამოსვლა ჰქონდა, რომლის დროსაც ცხრაჯერ ახსენა სიტყვა „სულიერება" და შებრუნებული ხელისგულით რვაჯერ მოიწმინდა შუბლიდან ნაბახუსევი ოფლი, რომ ღირდა სახლში დარეკვა, რომ სამშაბათს დაიწყება უზენაესი რადას სესია, რომ

[2] „ნე სიპ მნე სოლ ნა რანუ", – 90-იან წლების პოპულარული რუსული შლიაგერი. ტექსტის ავტორი სიმონ ოსიაშვილი, კომპოზიტორი და შემსრულებელი ვიაჩესლავ დობრინინი.

უკრაინულად თარგმნილი „სონეტები ორფეოსს"[1] უზუსტესია შენთვის ცნობილ თარგმანთა შორის, რომ შენი მოსკოვური ბიოგრაფიის მეორე წელიწადი უკვე იწურება, შენ კი აქამდე არ ყოფილხარ ფონვიზინის ქუჩაზე მდებარე ლუდხანაში. თუმცა გახსოვს ეს და ბევრი სხვა, ერთმანეთთან არაფრით დაკავშირებული ურიცხვი რამე, მაინც დგები, ოთახში ბოლთას სცემ ტრუსების ამარა, გასცქერი ფანჯრიდან იმავე ფარჩაკ პეიზაჟს იმავე ალვის ხეებითა და მუქი-სანწვიმარი მძიმე ღრუბლებით, თავს ძალას ატან, რომ ვარჯიში დაიწყო – ერთი, ორი – სანამ კუნთები არ აგტკივდება, თითქოს ამაში მდგომარეობდეს შენი და მოსკოვის, უფრო მეტიც, თვით ამქვეყნად შენი არსებობის გამართლებაც. სხვათა შორის, იმდენად უბადრუკი არსებობისა, რომ ვიღაცას საერთოდ არაფრად უნდა ჩაეგდე, რამდენიმე ზოგადად უვარგის ლექსში თითო-ოროლა გვარიანი სტრიქონი რომ არა, რაც, ცხადია, სულაც არ კმარა დიდი ეროვნული საქმისთვის.

აჰა, რამდენიმე ხსენებული პერსონაჟიც, რომელთა ხმებმაც დილით ისე გაგაღიზიანეს, რომ ახლა შეგიძლია მათზე შური იძიო; ფონ ფ. წარმოადგინე ისინი, რაც შეიძლება ღვარძლიანად, ბებერო.

ინებეთ, გეთაყვა. ცხოვრობს ორი ქალი, ორი ყვავილი ველიკოროსიის ღრმა პროვინციიდან. ორი პოეტესა თუ პოეტკა, არა, უკაცრავად, ორი პოეტი, რადგან მათ წრეში პრესტიჟულია ცვეტაევა-ახმატოვას (გორენკოსი?) კვალდაკვალ გამეორება, რომ სიტყვა „პოეტს" არა აქვს მდედრობითი სქესი, რის გამოც მე, ბებერ თახსირს, მთელი ეს საქალეთი მოზრდილი პენისებითა და, რაც მთავარია, შესაბამის ადგილზე ტესტიკულებით დამშვენებული მგონია.

---

[1] „სონეტები ორფეოსს" – იგულისხმება რაინერ მარია რილკეს ციკლი, რომელიც ბრნყინვალედ თარგმნა მიკოლა ბაჟანმა.

თუმცა, საქმე ამაში როდია. არსებობს ორი ქალი, მოსკოვიდან თანაბრად დაშორებული ღრმა რუსული პროვინციებიდან. ორი ჩიტი-გვრიტი, რომელთაგან ერთ-ერთს ეს-ესაა ორმოცი შეუსრულდა, მეორე კი საცაა მიუკაკუნებს ორმოცს. მათგან ერთი გათხოვილია, მეორე არა, მაგრამ სახელდობრ რომელი, დამავიწყდა.

ეს ექსპოზიციაა. ახლა კი მოქმედების განვითარებაზე გადავალ. ორივემ ბევრი მსხვერპლი მიიტანა ამ გაუმაძღარ საკურთხეველთან. აქ მოხვედრაზე ორივე ნახევარი ცხოვრება ოცნებობდა. მოსკოვში მთელი ორი წლით მოხვედრაზე, სადაც მათ, უეჭველად შენიშნავდნენ და აღამაღლებდნენ! მოსკოვში, სადაც სამუდამოდ დარჩებოდნენ. სადაც დამარხავდნენ (კრემირებულებს!), მოსკოვში მოხვედრაზე, სადაც გენერლები, მდივნები, უცხოელები, პატრიოტები, ექსტრასენსები ჩეჩქივითაა და, რაც მთავარია, ულევადაა ბანანები!..

ასეთი ოცნება სექსუალურ მომწიფებასთან ერთად მოდის. და მთელ შენს ცხოვრებას განკარგავს.

ამისთვის ღირდა ჩაჯდმული პროვინციების ყველა ჯოჯოხეთურ წრეთა გამოვლა. ინტრიგების მოწყობა. დარეკვა. გამასპინძლება. იმპოტენტებთან წოლა.

მრავალწლიანი დამარცხებებისა და სასოწარკვეთის მერე ნატვრა ახდა! ასრულდა! ორივე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გადაკვეთს რუსული დაბლობის მოზრდილ ნაწილს და თითქმის ერთდროულად ჩამოდის. ეცნობიან ერთმანეთს ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე, რადგან მართლაც ძალიან სიამოვნებთ, რომ ბედნიერებამ დააამხანაგათ. იმთავითვე საცნაურდება გემოვნების თანხვედრა: ესენინი და არა პასტერნაკი, რუბცოვი და არა ბროდსკი, პოლიესტერის ახალგაზრდული კაბები წინ და უკან ფიგურული კოკეტებით, კოკეტების ნაკერებზე წინ ელვაშესაკრავიანი ჯიბეები, ზურგზე – შემხვედრი

ნაკეცი, დამატება – სარტყელი. იმავე დღეს უკეთესი მერმისის ტკბილი და მთრთოლვარე წინათგრძნობით შეპყრობილნი მიდიან პუშკინთან და ამკობენ მას ყვავილებით, ისე, უბრალოდ, საკუთარი სახელით. იმიტომ რომ ორივეს უყვარს პუშკინი და მიაჩნია იგი უდიდეს რუს პოეტად, თავის მასწავლებლად. ფიქრსმიცემული პუშკინი ფეხსაცმლის ჭვინტებს დასჩერებია. დაბლა, მის ქვემოთ რუხ უნიფორმებსა და შავ ბერეტებში გამოწყობილი ბიჭები ულაწუნებენ ვიღაც გაუკრეჭავ მასონებს, რომლებიც თავის თავს „დემოკრატიულ კავშირს“ უწოდებენ. პუშკინის გამო ნაწყენი პროვინციელები საერთო საცხოვრებელში ჩასასახლებლად მიდიან.

კომენდანტი ჩუჩმეკი აღმოჩნდა, მართალია, დაღესტნელი, მაგრამ საკმაოდ ახალგაზრდა: ფიზიკურად კარგად განვითარებული, მხარბეჭიანი, უსათუოდ ხშირბალნიანი მკერდით, ოცდათოთხმეტი წლისა, სხვების შეუმჩნევლად თითოეულს თვალს უკრავს, მწყობრი კბილები აქვს, თვალები თაფლისფერი, რამაზანოვი მურთაზა ან იქნებ სულაც პირიქით – მურთაზაევი რამაზანი.

რამაზანი სთავაზობს ოთახების არჩევას მეშვიდე სართულზე. ნებისმიერი შეიძლება მათი გახდეს. არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც სასმელების მაღაზიას გადაჰყურებს, არის ფანჯრებით ბოსტნეულის მაღაზიაზე გამავალი ხედითაც. არის ახალი სახეობის პარკეტიანიც, არის ფანჯრებჩალეწილიც. არის ტუალეტთან ახლოს მდებარეც. ყოველი ოთახი თავისებურად მიმზიდველია.

მაგრამ აღმოჩნდა ისეთი ვარიანტიც, რომელიც ორივემ დაუფიქრებლად აირჩია. ეს ეგრეთ წოდებული „ჩექმაა“, ორი მომიჯნავე ოთახი, რომელიც გარე სამყაროსგან გამოყოფილია საერთო წინკარით. საუცხოოა! ისინიც სახლდებიან და მაშინვე პატიჟებენ ერთმანეთს ჩაიზე. და გვიანობამდე საუბრობენ

პუშკინზე, ელცინზე, კითხულობენ ლექსებს ზეპირად, ეუბნებიან ერთმანეთს ქათინაურებს, მერე ცვლიან საოლქო გამომცემლობებში დაზოგილ ქაღალდზე დაბეჭდილ კრებულებს. და ლესბოსელობის არავითარი ნიშანწყალი, ასე მივაღწიეთ კულმინაციამდე.

კი, მაგრამ კვანძის გახსნა? რაც დრო გადის, მით უფრო აზრზე მოდიან, რომ წარმოუდგენელი სისულელე ჩაიდინეს. „ჩექმა" ხაფანგი გამოდგა. ხაფანგი ბრიყვი ძროხებისთვის, რომლებიც ღმერთმა უწყის, რისთვის მოეთრნენ ამ საგიჟეთში. მათი ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ვერ ამაღლდნენ ჯგუფური სიყვარულის შესაძლებლობამდე. ამიტომ არ გამოსდით არც გენერლის, არც თვით დაღესტნელის შეცდენა. ამგვარად ამუხრუჭებენ ერთმანეთს და ცხოვრება მონაზვნებივით გაჰყავთ, ჩუმ-ჩუმად მძვინვარებენ და კბილებს აღრჭიალებენ, ხოლო ოდინდელი ნაღდი თანალმობა თანდათან გადადის ცუდად შენიღბულ, დღითი დღე საცნაურ, უძირო და შავ სიძულვილში.

პარასკევ ღამეს მესიზმრა, რომ თითქოს უკრაინის ხელმწიფე ოლელკო მეორესთან (დოლგორუკ-რიურიკოვიჩთან) ვვახშმობდი. ვსხედვართ მე და ის ლაჟვარდისფერი ქვისგან ნაგები ბაროკოს სტილის ლოჯიაში ფაქიზად გაშლილ სუფრასთან, ჟამითი ჟამად გამოჩნდებიან ხოლმე დარბაისელი მსახურები, მეტწილად ინდუსები ან ჩინელები ფრაკების ყოშებზე მოოქრული სამთითებით[1], შეუმჩნევლად გვიცვლიან მათლაფებსა და თეფშებს, კერძებს, დანა-ჩანგალს, კიბოს ჯავშანთა გასატეხ მარწუხებს, მოლუსკების ამოსაღებ პინცეტებს, ბაყაყთა გასასერავ შაშრებს, და ასევე შეუმჩნევლად, ზედმეტი ხმაურის გარეშე გადიან. ლოჯიიდან ჩინებული ხედები იშლება: სადღაც ქვემოთ კამკამა ტბაში ეშვება მზე, დაისში უკანასკნელად ელა-

[1] მოოქრული სამთითები – იგულისხმებ უკრაინის სახელმწიფო გერბები.

ვენ ალპების, და თუ მთლად სიმართლე გნებავთ, პირენეების უმანკო მწვერვალები. მე და ხელმწიფე კი მივირთმევთ ნაირნაირ ღვინოებს, კონიაკებს, ნაყენებს და ვყვებით მთისას და ბარისას.

– თქვენო სამეფო მოწყალებავ, – მივმართავ მას მოწიწებით, – რუს-უკრაინის მფლობელო და გამგებელო, კიევისა და ჩერნიგოვის დიდო მთავარო, გალიციისა და ვლადიმირის ხელმწიფეო, ფსკოვის, პერემიშლისა და კოზიატინის მპყრობელო, დნეპროძერჟინსკის, პერვომაისკისა და ილიჩოვსკის ჰერცოგო, ყირიმისა და იზმაილის დიდო ხანო, ბერდიჩევის ბარონო, ორივე ბუკოვინისა და ბესარაბიის, ასევე ახალი ასკანიისა და კახოვკის უფროსო, ველური ტრამალისა და შავი ტყის მთავარსენიორო, დონის, ბერდიანსკისა და კრივოი როგის გეტმანო და მფარველო, გუცულებისა და ბოიკების ფხიზელო მწყემსო, თათრებისა და პაჭანიკების ჩათვლით მთელი უკრაინელი ერის ბატონო, ასევე შიდა და გარე ტმუტარაკანის პატრონო და მოძღვარო, ათასწლოვანი განთქმული გვარის შთამომავალო, ჩვენო ბრწყინვალე და ღირსეულო მონარქო, თქვენო მოწყალებავ, ხომ არ ინებებდით სამყაროსა და კაცობრიობის ხსოვნის ოქროს ფურცლებზე დარჩენას?

– აბა, რა! – მპასუხობს ოლელკო მეორე, – ოღონდ როგორ მივაღწიო ამას?

– როგორ და, – ვეუბნები, – როგორც ყველა ხელმწიფე აღწევდა მარადიულ სახელ-დიდებას უცილობლად.

– იქნებ ომის გზით? – მეკითხება ოლელკო, თან ათასწლოვან წარბებს მაღლა სწევს და ჯიშიან შუბლს იჭმუხნის.

– ომის გზით სულელიც შეძლებს, ჩემო ბატონო, პრეზიდენტიც შეძლებს.

– მაშინ კანონებითა და სჯულდებებით ბრძნულით, ძეგლისდებითა და ქარტიებით სამართლიანებით, – ვარაუდობს ოლელკო.

– ესეც ტუფტაა, თქვენო მოწყალებავ, საამისოდ სალონსები არსებობენ ან დეპუტატები პარლამენტში, – აინტრიგებ კვლავაც.

– მაშინ იქნებ ყმაწვილი ცოლებითა და ხასებით, დავიდარაბებით ურიცხვით, ღრეობებით თავგასულითა და შეხლა-შემოხლებით ხმაურიანებით, და სხვა უმსგავსობებით, ნაკლებ მოსაწონებით?

– ესეც არ ახალია, ჩემო დიდო მთავარო, ყველა კომუნიკას ვერ ჩამოახრჩობ, – ვაწამებ, რამდენადაც შემიძლია.

– ნუღარ გამტანჯე და მითხარი, მაინც როგორ მივაღწიო ამას? – ოდნავ თხოვნით და ოდნავ ბრძანებით მომმართავს ოლელკო მეორე.

მალაელ მსახურს სუფრიდან გააქვს უკანასკნელი თეფშები, ცოცხალი და ჯერ კიდევ მოჭყიპინე ხამანწკებიანი ლარნაკი, მალვაზიის, იმიგლიკოსისა და კელერ-გაისტერის ცარიელი ბოთლები. მათ ნაცვლად ეთიოპიელ მოსამსახურეს შემოაქვს სანთლებიანი ბრინჯაოს შანდლები და საუკეთესო ხარისხის სიგარებით გამოტენილი შავი ხურმის ხის კოლოფი. ბინდდება. ვგრძნობთ რომელიღაც ალპიური საძოვრიდან წამოსულ სურნელებას. ლოჯიის ქვემოთ ჩქეფს შადრევანი ან იქნებ სულაც ნაკადული. ორ საყვარელ შავკანიანს ხელით შემოჰყავს ბრმა ბებერი მებანდურე. მე და ხელმწიფე ვაბოლებთ, მოცეკვავე ფავნის ბარელიეფური გამოსახულების მახლობლად ქვის შვერილზე ჩამომჯდარი მებანდურე კი ძლივსგასაგონად აჟღერებს სიმებს. ზეცაში პირველი ვარსკვლავები ენთებიან.

– ჰოდა, გამაგებინე, რეგვენო, რა გინდოდა გერჩია ჩემთვის? – ბრაზობს ჩემი სიგარის მრავალაზროვანი ფუილით გაღიზიანებული ხელმწიფე.

– იყავით, თქვენო მოწყალებავ, მომთმენი და ლმობიერი,

– ვპასუხობ ამაზე,– ნუ დაჩაგრავთ თვით მძღნერის ბუზს, უსარგებლოს. კვირაობით დაესწარით საღვთო წირვას და ყოველდღიურ ლოცვებსაც ნუ დაივიწყებთ. აჩუქეთ უპოვართ საკუთარი მამულები, უწილადეთ ქვრივ-ობლებს ღიმილი, ნუ დახოცავთ ლეკვებს უსახლკაროებს. იფიქრეთ დიადსა და კარგზე, როგორიცაა, მაგალითად, ჩემი პოეზია. იკითხეთ ჩემი ლექსები, მიირთვით ჩემი სხეული, სვით ჩემი სისხლი. დამინიშნეთ სტიპენდია, ვთქვათ, გერმანულ მარკებში და გამიშვით მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ. ნახევარ წელიწადში თქვენი ბრწყინვალება ისეთ პანეგირიკსა და ქებათა ქებას მიიღებს, რომ ყველა მონარქზე ამაღლდება. კიდევ ნახევარ წელიწადში უკრაინელი ერი თქვენს დაბრუნებას მოითხოვს და წარმატებით ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ კიევში თეთრი კადილაკით შემოგრიალდებით. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით მე თქვენ: მომეცით სტიპენდია!

ბრმა მებანდურე რაღაცას უკრავს, აჩხაკუნებს, ბუბუნებს.[1] ქვემოთ, მურტის მარადმწვანე ბუჩქნარებში წყალი ხმიანებს და დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ მიხმობს. ცისკიდურზე ვარსკვლავები სულ უფრო მსხვილნი და ახლობელნი ხდებიან, შეგიძლია მათზე გაარჩიო უცნობი ქალაქები, მანცელინის ზღაპრული ტყეები, გასაოცარი სასახლეები, სვეტები, კოშკები, მათი ციაგი იმდენ რამეს მპირდება, რომ ერთი სული მაქვს, ლოჯიიდან გადავხტე და, პოეტის თქმისა არ იყოს, ცოტათი მოვკვდე.[2]

– აკი ამქვეყნად არაფერია ისე ზედმეტი, უაზრო და სასაცი-

---

[1] „ბრმა მებანდურე რაღაცას უკრავს, აჩხაკუნებს, ბუბუნებს", – ციტატა ივანე ტურგენევის მოთხრობიდან „რუდინი".

[2] ცოტათი მოვკვდე – არაზუსტი ციტატა თანამედროვე პოეტის, ივან მალკოვიჩის ლექსიდან.

ლო, როგორიც კარგი ლექსი, მაგრამ ამავდროულად ასევე არაფერია მასავით ეგზომ მნიშვნელოვანი და აუცილებელი, თქვენო უუკრაინელესობავ, გადახედეთ ყველა დიდი ერის ისტორიას და დარწმუნდებით, რომ ეს მათი პოეზიის ისტორიაა. გადახედეთ ასევე მცირე ერების ისტორიასაც. მათსას, რომლებიც ხვალ უკვე აღარ იარსებებენ. გადახედეთ და მითხარით: ვინ ვის უფრო სჭირდება – ხელმწიფეები პოეტებს თუ პოეტები ხელმწიფეებს? თუ ღირან რამედ ხელმწიფეები უპოეტებოდ? ხელმწიფეები, ღვთის ნებით, მხოლოდ იმისთვის ხომ არ არსებობენ, რომ ღვთის ნებით გაჩენილი პოეტები არჩინონ? შრიალებენ ჭადრები მიმწუხრში, ციმციმებენ სანთლები, რეკავენ მონასტრების ზარები, მღერიან მიმავალი გოგონები.[3] საღამოს უცნობი ფრინველები ან იქნებ ღამურები დაფრინავენ ლოჯიის გარშემო. შორეული მთებიდან ჩვენამდე აღწევს ტკბილი და ამაღელვებელი სურნელებანი.

ხელმწიფე სვამს ყინულივით შამპანურს უზარმაზარფეხებიანი მასონური თასიდან ნელ-ნელა, ბრძნულად, დამაჯერებლად:

– თუ იცი, ესპანურად როგორ იქნება ყ(..)?

– რაო, თქვენო მოწყალებავ? – ვეკითხები უკიდურესი ცნობისმოყვარეობით.

– პინგა! – ყვირის ხელმწიფე და ხელისგულებს ატყაპუნებს.

იმ წუთში ორი აყლაყუდა სენეგალელი მხრებში ხელს მკიდებს და ლოჯიიდან დაბლა მისვრის. მივფრინავ და მოულოდნელად მახსენდება, რომ მისი ნამდვილი გვარია „ანჟუელი“. მარადმწვანე ბუჩქები სიფათს მიკაწრავენ და მესმის, რა მწარედ ქვითინებს და ტირის ბრმა მებანდურე.

სახედამანჭული იფურთხები და სასტიკად გეზიზღება საკუთარი თავი, თან იმ სიზმარს იხსენებ, სანამ იატაკზე გაჭირვებით

---

[3] მღერიან მიმავალი გოგონები – სტრიქონი ტარას შევჩენკოს ქრესტომათიული ლექსიდან „ალუბლის ბაღი პყვავის ხატასთან“.

ასრულებ ვარჯიშს. ასე როგორ უნდა გავყიდულიყავი! უბოდიშოდ, თავხედურად, ცინიკურად. „დამინიშნეთ სტიპენდია, თქვენო სუვერენულობავ, დამინიშნეთ სტი...“. რა საძაგელი და უნამუსო ზნედაცემულობაა, რა შინაგანი სიმეძავე!

როგორც იქნა, კუნთებს მოვრჩი. ახლა საშხაპისთვის აუცილებელი რამეები უნდა მოვაგროვო და ძლევამოსილად დავეშვა საერთო საცხოვრებლის მინისქვეშეთში, სადაც ყლურწვით დალურჯებულ დამლაგებლებს (საშას, სერიოჟასა და არუთინას) აქვთ საკუთარი უღალატო „საკუჭნაო“ არა იმდენად სამუშაოსთვის, რამდენადაც დასასვენებლად. მაგრამ რა შუაში არიან აქ ისინი?

დერეფანში ოდნავ ხელს უქნევ ვიღაც უცნობს (უფრო სწორად, ნაცნობს, მაგრამ არაიდენტიფიცირებულს, რადგან იგი მოპირდაპირე ფრთაზეა, შენგან ორასიოდე მეტრის მოშორებით), უცნობი ასევე ხელის დაქნევით გესალმება, რომელმაც შესაძლოა გიცნო კიდეც და გუნება გეწმინდება. ლიფტის ლოდინი დიდხანს არ დაგჭირდება – სულ რაღაც ხუთიოდე წუთი. სანამ ქვევით დაეშვები, ათვალიერებ კედლებსა და იატაკზე ათასგვარ წარწერებს, განაკაწრებს, ძველებსა და ახლებს, სპორტორგ იაშას სისხლს, რომელიც წეღან ჩეჩნებმა მიბეგვეს „ჟოპა ბალშოი“ თუ რაღაც მსგავსი რამისთვის.

ლიფტები საერთო საცხოვრებლის მოსახლეობისთვის თავისებური საბაბია რაღაც განსაკუთრებული გზით თავის გამოსაჩენად. ის, რომ ჩეჩნებს უყვართ იქ საკუთარი მტრების მოსპობა, ყველასთვის ცნობილია, მენტების რაიგანყოფილების ჩათვლით. ის, რომ სამმა რეციდივისტმა, რომელთაგან ერთი პოეტური სემინარის სტუდენტია, მეორე კი სასულიერო სემინარიისა, იქ გაჟიმეს ნიჭიერი დამწყები დრამატურგი გოგონა ნოვოკუზნეცკიდან, ასევე ყველასთვის ცნობილია, მენტების რაიგანყოფილების გარდა. მაგრამ ის, რაც იაკუტმა მწერალმა

ვასია მოჩალკინმა ჩაიდინა, იცის მხოლოდ ვიწრო წრემ. ამრიგად, ვასია მოჩალკინი, იაკუტური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი, მეოთხე კურსის სტუდენტი და საპატიო მეირმე, როგორღაც ბოლომდე გამოიბრუჟა და პირველ სართულზე ლიფტში ჩაჯდა. დააჭირა თითი საჭირო სართულის ღილაკს (ვასია მოჩალკინს, კაცმა რომ თქვას, სულაც ფეხებზე ეკიდა, თუ რომელ სართულზე ჩამოვიდოდა, რადგან ყველგან ძმასავით უყვარდათ და ხელგაშლილად ხვდებოდნენ) და, ხატოვნად რომ ვთქვათ, მაღლა აიჭრა. მაგრამ ასეთ შემთხვევებში გარდუვალი კინეტიკური ცვლილებების ზემოქმედებით ან უფრო სწორად, პირიქით – ძირს დაენარცხა ან, როგორც პოეტი ეუევიკინი იტყოდა, დაენძრა. მოხდა ეს საღამოს ცხრა საათზე, ხოლო დილის ცხრაზე ვასია ისევ იმავე ლიფტში იმყოფებოდა, რადგან საღამოს ცხრაზე დანძრეულს ბედნიერად ჩაეძინა და მთელი ღამე აღმა-დაღმა დაქროდა. ღამის პირველის ნახევარზე, რაც მართალია მართალია, მასზე არცთუ უფრო ფხიზელი ბელორუსი ნოველისტი ერმოლაიჩიკი შეეცადა მეგობრის ლიფტიდან გამოთრევას და სადმე ქრისტიანულად დაწვენას, მაგრამ მისი მცდელობა დამთავრდა იმით, რომ ვასიამ საყელოზე მიარწყია და ნებისმიერ ზნეობრივ საწყისებზე ხელჩაქნეულმა ერმოლაიჩიკმა ღამის გასათევად მარჯვენა ძუძუმოჭრილ ალკას მიაშურა. და მხოლოდ დილით, სადღაც ათის ნახევარზე, როგორც იქნა, მოხერხდა ვასია მოჩალკინის მოსულიერება. ეს მოხდა პირველ სართულზე, სადაც წუხელ დაიწყო მისი ზღაპრული ვერტიკალური მარშრუტი. მძიმე მეირმული ძილის შემდეგ გონს მოსული ვასია ლიფტიდან ძლივს გამობობღდა და ახალი დღის შესახვედრად ფონვიზინზე მდებარე ლუდხანისკენ გაეგმართა.

და, აი, შენც, ოტო ფონ ფ., უკვე პირველ სართულზე ხარ. ახლა ლიფტის ხელმარცხნივ დაღმავალი კიბით მიაშურებ

ჩაშვავებულ-ჩაოხრებულ საშხაპეს, სადაც შესაძლოა ჯერ კიდევაა დარჩენილი შენი სამყოფი ცხელი წყალი.

გასახდელში, როგორც ყოველთვის, ბნელა, და სანამ ხელების ფათურით ეძებ აბლაბუდით შენილბულ ჩასართველს, ხედავ, უფრო კი ალბათ გრძნობ, როგორ ირხევა ძველი ძონძების გროვა „გარდერობის“ კუთხეში. გროვა სულ უფრო ნერვიულად და ენერგიულად განაგრძობს რხევას, თითქოს იქ თავშესაფარი პოვა მეტროპოლიტენის ათობით ვირთაგვამ, რომლებზეც ამ ბოლო დროს ამდენს წერენ პრესაში. მაგრამ წვერაბურძგნილი სიფათი, რომელიც ელექტრონის შუქის ანთებასთან ერთად გამოჩნდა ძონძების თავზე, ფანტავს შენს ყველა ბიოლოგიურ შეძრწუნებასა და ეჭვებს: ივან ნოვაკოვსკი, სხვა ვერსიით ვანია კაენი, მეტსახელად ნოვოკაინი, დევნილი და დამცირებული ლიტერატორი, გამომცემელი და კულტუროლოგი, მაწანწალა, ბოლო თხუთმეტი წელიწადია ცდილობს საერთო საცხოვრებელში არალეგალურად ძილს, რისთვისაც მარინა როშჩაში დაქორწინდა იქ ჩაწერილ ბნედიან ვასილისასთან (მეოთხე კურსი, გიუების სემინარი), მაგრამ ამ ქორწინებას აქვს ფიქტიურობის გამოკვეთილი ნიშნები, რადგან ნოვოკაინი მეტწილად საშხაპეში ან საშრობში იძინებს. ამბობენ, რომ ვასილისა მას მაგიდის ლამპას ურტყამდაო თავში. სხვები ამტკიცებენ, მაგიდის კი არა, სარჩილავ ლამპასო, თანაც თავში კი არ ურტყამდა, უკანალში სჩრიდაო. ყოველ შემთხვევაში მას მართლა აქვს ნახმარი კაცის პოსტაპოპლექსიური მიხრა-მოხრა. სამაგიეროდ, როგორც წესი, ლაქლაქაა, სტროფებად იმეორებს საკუთარ ციტატებს და სულ ახალ-ახალი პროექტების ხორცშესხმაზე ფიქრობს.

– გესმის, იყიდე კრებული, – იგი ძონძებიდან მიშვერს ონანისტურ ხელს, რომელშიც ერთი ცალი რუხი ქსეროასლი ჩაუბლუჯავს. – დიდებული ლექსებია, ნიკოლაი პალკინი, მანეთი ღირს, აქედან ოთხმოცდაათი კაპიკი ავტორისაა...

ვათვალიერებ გაქონილ რბილ ყდას: „სერია– რუსული იდეა“. დაარსებულია 19... ნიკოლაი პალკინი. ნაწნავი გაუშლია არყის ხეს. ახალი ლექსები. გამომცემლობა „მესამე რომი“. ყდაზე ახატია არყის ხე, გადახაზული დავითის ვარსკვლავი და ყინჩი ორთავიანი არწივი, რომელიც, გეგონება, ეს-ესაა აფრინდება და მისი იმიჯისთვის შეუფერებელი არაბუნებრივობით დააფრთხობს ზეციურ ფაუნას ანგელოსების ჩათვლითო. სანამ ვანია განუწყვეტლივ რაღაცას ყბედობს, ანუ მოჰყავს ციტატები და ხუმრობს, ვასწრებ პირველი სტროფის წაკითხვას:

Россия кровью изошла...
За что, скажите, Бога ради,
Терзают Русского Орла
Иуды, стервачи й б(...)?![1]

მზარდი კაიფის განცდით გადადიხარ მომდევნო სტროფზე:

За что, Прибалтика, скажи,
Святую Русь так ненавидишь?
Замри, Эстонь! Литва, дрожи!
Ты русский х(...) еще увидишь![2]

მაგრამ ასო „ხ“ რატომღაც ხელით გადაუხაზავთ და ზედ დაუწერიათ სიტყვა „ხმალი“, მერე ისიც წაუშლიათ და დაუწერიათ

---

[1] რუსეთი უკვე სისხლით იქცევა...
ღვთის გულისათვის, მითხარით დროზე,
რად აძლევთ რუსულ არწივს საჯიჯგნად
ოდებს, სვავებს და ქუჩის ბ(...)ებს?!

[2] მითხარ, ბალტიკავ, რატომ გძულს ასე,
ნმინდა რუსეთი, მართლაცდა გლახავ!
იფუჩე, ესტონ! შენც ძრნოდე, ლიტვავ!
ნაქებ რუსულ ყ(...)ს სულ მალე ნახავ!

„ტანკი". უსიტყვოდ უბრუნებ ლექსებს ნოვოკაინს. მიდიხარ დასაბანად, ფრთხილი და განიერი ნაბიჯებით გვერდს უვლი საშხაპის აცვენილ იატაკზე გაცივებულ წუმპეებს. ნოვაკოვსკი ისევ თავს ყოფს ძონძებში ძილის გასაგრძელებლად თუ საჩუ-კენოდ, მაგალითად.

რამხელა ჯილდოა ეს, რომ თუნდაც აქ, ფურთხით, ნარცხით, ძველი თმით გაჭუჭყიანებულ მიწისქვეშეთში არსებობს ცხე-ლი წყალი, რამხელა დრაივია ეს, ეგზომ მიუწვდომელი ბევრი გლეხურ-პროლეტარული მწერლისთვის – საპნით დაბანა, კბილების გახეხვა! როგორ გინდა, რომ აქ იყო სამუდამოდ! დაი-ვიწყო ყველაფერი, დახუჭო თვალები და საყვარელი ქალივით მიენდო წყალს. საკუთარი ლექსების უმრავლესობა ხომ სწორედ წყალში შექმენი. რადგან ცხელ წყალში შენ შეგიძლია იყო დიადი, კეთილი, გენიალური და თავისთავადი ერთდროულად. სხვებს კი ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ.

კედელს მიღმა – ქალთა საშხაპეში – გაბმული ხარხარი და სიცილ-კისკისია. გეგონება, ორმოცი ათასი მაინც იქნებიანო. რატომ ჭიხვინებენ ასე ბანაობისას ეს წყეული ლესბოსელები? ერთ სიტყვასაც ვერ გაარჩევ მათი ჟივილ-ხივილისგან, თითქოს ბანაობის დროს ისინი ახალ, მხოლოდ მათთვის გასაგებ ენას ეუფლებიან. უძველესი მატრიარქატის იდუმალ ენას. აღსავსეს მამაკაცთა მდაბალ მოდგმაზე და მათ ცხოველურ გემოვნე-ბა-მოთხოვნილებებზე უდიერი აღმატების გრძნობით. ამიტო-მაც ასე არ უყვართ, როცა ამ მონათმფლობელთა რომელიმე ნაშიერი საკრალური განბანვის ჟამს მათთან შეჭყიტინებას ან – კიდევ უარესი – შეჭრას ცდილობს. ასეთი რამეები ისევე მკაცრად ისჯება, როგორც ოკულტიზმში ისჯება უღირსად მოპარული იდუმალი ცოდნა. სუზდალელმა პოეტმა კოსტია სეროშტანოვმა, შენმა თანაკურსელმა, ლექსიც კი დაწერა,

გაავებულმა გოგონებმა როგორ დაუმდულრეს ბალნური ჭუჭუ იმის გამო, რომ უჭვრიტინებდა მათ ბანაობას სოფლის აბანოში. კარგი ლექსი გამოუვიდა, დაწერილთაგან საუკეთესო. ლექსი-მოგონება, დაკარგული დროის დაბრუნება. ძალიან სტკენია მაშინ კოსტია სეროშტანოვს.

მაგრამ, აჰა, ხმები კედელს მიღმა თანდათან ნელდება და მათთან ერთად წყლის ხმაურიც წყდება. რიტუალი ალბათ ამოიწურა, მაგიური სეანსი დასრულდა, და ენის შეცვლის დროც დადგა. თუმცა იქ ვიღაცა მაინც რჩება, რადგან ჯერ ისევ გესმის, როგორ მოედინება წყალი ერთი ონკანიდან მაინც.

მერე იწყება სიმღერა. ეული ქალის ხმა და მეტი არაფერი. რაღაც უცნაური სიმღერა, ისეთი კი არა, გოგონები რომ ღიღინებენ ახალგაზრდული გრძნობებისა და საგაზაფხულო ოცნებების მოძალებისას. არა, ეს რაღაც სხვა რამეა, ეს სიმღერაც არაა, ესაა ყველაზე მეტად სრულქმნილი მუსიკალური ინსტრუმენტის – ხმის (კარგადაა ნათქვამი, ფონ ფ., ოღონდ ლორკას მიერ) რაღაცნაირი გიჟური სილაღე. ყოველივე ამის – ცხელი წყლის, მუსიკისა და საკუთარი სიდიადის გამო – ზებუნებრივად შეშდები, კედლისმიღმა ხმა გტანჯავს ნათელი ტანჯვით, ფილიპინური მასაჟივით მოქმედებს უმცირეს უჯრედებზე, კაცმა რომ თქვას, კარგა ხნის გამოსული უნდა იყო, მაგრამ ვერა, ვერ გამოდიხარ! მაინც რა ისეთი სირენაა მანდ? ყურები საპნით ხომ არ ამოგეგლისა? რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრად გრძნობ, რომ ანკესზე წამოეგე. ხმა არ გეშვება, არ გასვენებს, გსერავს და გიზიდავს. ბოლოს კი გრძნობ: სხვა გამოსავალი აღარ დაგრჩენია.

ძონძების გორაკზე გავლით, რომლის ქვეშაც ცხოვრებისეული ამაოებით განაწამები ვანია კაენი გარინდულა, მიიძურწები გასახდელში, წყალი წურწურით დაგდის, გული კი ყველანაირად ცდილობს, საგულედან არ ამოხტეს. ტანზე იხვევ დიდ,

ბუსუსებიან, შინიდან მოტანილ ეკვატორულ პირსახოცს. ო, ლამბადა, მადონა, კეტცალკოატლო[1], პოპოკატეპეტლო[2]! სხვას რომ მოეყოლა, არ დავუჯერებდი...

მიწისქვეშა დერეფნის კარებს განსაკუთრებული სიფრთხილით აღებ (ის ხმა კი, ის ხმა აქეთაც აღწევს, ეს რა ანდამატია, რა ანდამატი!). ნახევრად წყვდიადი, ირგვლივ არავინაა. ამიტომ – მარჯვნივ! – გიბრძანებს თავის ქალიდან, უფრო სწორად კი ლაჯებიდან, შენი პირადი ფელდმარშალი. მარჯვნივ და – ასკინკილათი ტოვებ დერეფანს. ათიოდე ნახტომი და, უკან გრჩება შიშველ ფეხისგულთა სველი ნაკვალევი. დამლაგებელთა „საკუჭნაო" კატეგორიულად დაკეტილია. ცხადია, დღეს შაბათია და რომელი დოყლაპია დაჯდება აქ!

აი, შემდგომ კარებს მიღმა კი მღვიმეა, რომელშიც ურჩხულის მიერ დატყვევებული ის ხმა ცხოვრობს. შედიხარ სიკვდილმისჯილივით შეუპოვრად. იქით ბევრ ვერაფერს ხედავ, მხოლოდ გაოცებასღა ასწრებ, რომ ქალთა საშხაპე შიგნით ისევეა მოწყობილი, როგორც მამაკაცთა, თითქოს ქალები იმავე ბიოლოგიურ სახეობას განეკუთვნებოდნენ. სადღაც იქ, გასახდელში, ცდილობ, მოიშორო და ვერაფრით იშორებ საკუთარ პირსახოცს. იგი კონნიალობს შენს კაუჭზე, გეჩრება ფეხებს შორის, ამწუთას იდეალური საკიდარი ხარ მისთვის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იცილებ და აბიჯებ ბეტონის იატაკზე მის ზოლებიან სელვას.[3]

ქალი ზურგშექცევით დგას შენგან და საპნიანი წყალი სურნელოვან ნაკადებად დასდის, კანი ოქრო-შოკოლად-აბრეშუმს მიუგავს, ფეხები კი ნორჩ ტროპიკულ ხეებს. უახლოვდები, რამდენადაც ახერხებ, და ხელებს მხრებზე ადებ. სიმღერა წყდება.

---

[1] კეტცალკოატლი – აცტეკური პანთეონის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება.

[2] პოპოკატეპეტლი – მოქმედი ვულკანი მექსიკაში.

[3] სელვა – ნესტიანი ეკვატორული ტყეები სამხრეთ ამერიკაში.

სამაგიეროდ, გესმის მოგუდული ამოსუნთქვის მსგავსი რამ. ტყუილად შეწყვიტე გალობა, ჩიტუნავ! რომ არ შეგეწყვიტა, ჩვენ ჩამოვაგვირისტებდით სულ სხვა რაღაცას, რაღაც არაადამიანურს, ზეციურსა და უცნაურს. აფსუსია, რომ გაჩუმდი. ამის გამო შენი შეჭმა მომიწევს.

ასხურებ მას მრავალგვარი ფლაკონიდან შამპუნს, თხევად საპონს, ასხურებ და ისხურებ თვითონაც მძაფრსურნელოვან სამხრეთულ ფლაკონთა სითხეს და უსაპნავ ტანს მთლიანად, თუმცა მოჩქრიალე წყალი უმალ ჩამორეცხავს მთელ შენს მონდომებას, აქცევს სიყალბედ, თვალუხილავად და შენც სახეს მის ყორნისფერ თმაში მალავ. მაშინ იგი შენკენ მოუხედავად, ნელა, მაგრამ თვინიერად იკუზება. და ეს მიპატიჟებაა. ან გამოწვევა. შავი ორქიდეა გიშვებს შიგნით. თავის ქალა ჭექა-ქუხილისგან თითქოს გებზარება, რადგან უკვე საქმეს შესდგომიხარ. სულ ტყუილად შეწყვიტა მან გალობა.

და ამ ჯოჯოხეთურად ცხელი წყლის ჭავლში, ამ მარადიულ ჩანჩქერქვეშ რომელიღაც აფრიკულ რიტმში ქანაობთ. წინააღმდეგობას არ გრძნობ, მაგრამ არ გრძნობ წახალისებასაც – გნებდება, როგორც მონა ქალები ნებდებიან, თუმცა არ იცი, როგორ ნებდებიან მონა ქალები, გაძალიანებით თუ წახალისებით. მაგრამ ერთ წუთში უკვე გესმის, რომ ხმა უბრუნდება. არა ის, რომლითაც გალობდა, არამედ ცოცხალი, იდუმალი. იქნებ უფრო მხურვალეც. არის მასში რაღაც ვედრებისა და ლოცვის მაგვარი. და სწორედ ხმა, მისი გამოჩენა, მისი მომთხოვნი თრთოლვა, გაცლის თავშეკავებას და არაქათს, და უკვე არ ძალგიძს არც შეყოვნება, არც გაჩერება, არც რაიმეს თავიდან აცილება. ეს ორქიდეა მოგსპობს, გაგადნობს, დაგჭმუჭნის...

მაგრამ იგი რაღაც ისეთ უხილავს სჩადის, ისეთ შეუმჩნეველ შინაგან მოძრაობას აკეთებს, რაღაცას ცვლის იქ, საკუთარ

თავში, მან იცის უძველესი ათასგვარი რამერუმეები, კარგი გოგონა იყო, კარგადაც სწავლობდა, სიყვარულის დახვეწილი ქურუმები ამზადებდნენ მას შავკანიანი გრძელფეხება უფლისწულისთვის საგანგებოდ აკრძალულ კუნძულზე, სადაც ისინი პალმის ფოთლებზე მრუშობდნენ, და შენ ახერხებ, ფეხზე დარჩე და არ წაიქცე. ოღონდ ხმა, ხმა! იგი ბოლოს მოგიღებს, არ გაგარბენინებს ამ სავანას ბოლომდე ისე, როგორც საჭიროა. ის ორთქლივით შემოდის შენში,– შენს საშუალოევროპულ კანზე უფრო ღია ფერის კანში. და ახლა უკანასკნელ მხსნელად გეჩვენება თვალების დახუჭვა, რადგან თვალებისთვისაც ბევრი რამე არსებობს: ვარსკვლავები თავის ქალაში, ელვა და ეს შოკოლადი, და ეს ცხელი ნიაღვრები ციდან. მაგრამ დახუჭულ თვალებშიც ეს ყველაფერი ცოცხლდება, ფეთქავს. და შენ ვულკანისებურად კრთები და საკუთარი ხმის გაგონებაზე ხვდები: მორჩა. ტყუილად დაიწყე გალობა...

გასახდელში კვლავ იხვევ ტანზე პირსახოცს. ილოკავ შოკოლადის ნარჩენებს ბაგეებიდან. იხედები დერეფანში თითქმის თვითდაჯერებულად, თუმცა გონებაში გაოცებით შენიშნავ, რა მსუბუქად და ძლევამოსილად შემობრუნდა სინამდვილე. ეყრდნობი კედელს და ასე რამდენიმე ნახტომით ბრუნდები სამყაროს მამაკაცურ ზონაში. თუმც აქ ეს ხტუნვა სიფრთხილეზე უფრო გამოხატავს იმ მონადირის აღტაცებას, რომელმაც უძლეველი ისრით ოქროს შველი წააქცია.

მეორედ ესალმები ნოვოკაინს, რომელიც კვლავ თმებაბურდული მოძვრება თავისი ბუნაგიდან და „სტიხებს" გთავაზობს. პირსახოცს კაუჭზე კიდებ. ამ დროს საშხაპეში რამდენიმე მონღოლი შემოდის, რომლებიც ცხენებივით ფრუტუნებენ და მხრებიდან დიადი ტრამალის მტვერს იფერთხავენ. მთელი კვირა მოქროდნენ ჭენებ-ჭენებით და მოჰქონდათ ხანის სიგელი ამ ახალგაზრდა დიდკბილა მხედრებს, მრუდეფეხება მშვილ-

დოსნებს. ერთხელ კიდევ ისაპნები. და მაშინ გესმის, კედელს მიღმა როგორ იწყებს გოგონა სიმღერას ისევ...

გულგატეხილობას სამუდამოდ დაუვანებია ამ კედლებში, რომლებიც, სხვათა შორის, არასოდეს დაიფარება მემორიალური დაფებით. მაგრამ საქმე ეს როდია. საქმე სხვა რამეა – ესაა სახლი, სადაც შუბლებს იმტვრევენ. აქაური სიუჟეტები იმდენად ერთფეროვანი და განმეორებადია, რომ, ეტყობა, საუბარია მითზე. ან ორ-სამ ვარიანტიან სქემაზე. აი, ერთი მათგანი.

ჩვიდმეტი წლის ლირიკული ყმაწვილი, დავარქვათ მას სლავა, თხზავს რითმიან სტროფებს, იწერს მათ საერთო რვეულში და მალავს ტუალეტის ავზქვეშ. ლექსების სათაურები წარმოდგება, როგორც წესი, ქალების რომანტიკული სახელებიდან: „აელიტა“, „კონსუელა“, „ანგოთეა“, „აისედორა“, „ლოლიტა“. რა თქმა უნდა, ყველა მათგანში იგულისხმება ერთი და იგივე არსება, მეტწილად ლუსია ან ნიუსია, რომელსაც ვერც წარმოუდგენია ბუნებაში ისეთი რამის არსებობა, როგორიცაა სუბლიმაცია.

დგება დღე, როცა ყმაწვილი სლავა ქალისსახელებიან ლექსებს, ამ სულიერ პოლუციებს, ფარულად აგზავნის მოსკოვის ინსტიტუტში. გაზაფხულის შემოსვლისთანავე მას სახე მუწუკებითა და ჭორფლით ეფარება და სწორედ ამ დროს მოსკოვიდან პასუხიც მოდის. მოუთმენლობისგან გულმიწურული სლავა კონვერტს გაგლეჯს და გაიგებს, რომ კონკურსი წარმატებით გაუვლია. სასკოლო ქრესტომათიიდან ნაცნობი საკავშირო მასშტაბის გვარი, რომელიც ადასტურებს ხელმოწერას, ჩვენს ლირიკოსს ბედნიერებისგან პირდაპირ აშტერებს. ზაფხულში ის ტოვებს თავის ტილიან, ტუტუც, ჭუჭყიან პარტიზანსკს თუ მუხომორსკს, ქიმიკოსთა ქალაქს, და მოსკოვის დასაპყრობად მიემართება. ლუსია-ნიუსიასთან გადაღებულ ფოტოებს კი ყველაზე მოულოდნელ ადგილებში ინახავს.

ის, რა თქმა უნდა, ახერხებს ინსტიტუტში ჩარიცხვას.

მაგრამ მთელი პოეზია აქ მთავრდება. მერე პროზაც ალარაა. ლექსები სადღაც გაქრნენ, რადგან ასე მოისურვა მან, ვინც მათ კარნახობს. ლუსიასადმი ტრფობა ამოიწურა, როცა სლავა მიხვდა, რომ ისიც დადის ტუალეტში. ლექციებსა და სემინარებზე მოწყენისგან ბუზები იხოცებიან. ურიების თეატრებში სასიარულოდ ან განერწყვილი მერეჟკოვსკის საკითხავად იგი, უბრალოდ, არაა გაჩენილი. ვასილი ნეტარისა და მავზოლეუმის ცქერით მუდმივად ვერ დატკბები, თანაც რაა მანდ დასატკბობი? და იგი იმეცნებს სრულიად სხვა რამეს: საერთო საცხოვრებლის დედინაცვალივით მკაცრი სინამდვილის მეცნიერებას. კვირობით არ არღვევს საკუთარი სართულის საზღვრებს, და თუ არღვევს, მხოლოდ იმისთვის, რომ ვიეტნამელებისგან ან შორიახლოს მოხერხებულად განლაგებული ტაქსოპარკიდან მეგობრებს სასმელი მოურბენინოს. სძინავს ზოგჯერ ნაგავგამტარის უშუალო სიახლოვეს, ზოგჯერ თავი პირსაბანზე აქვს მიდებული, ფეხები კი ჩრდილოეთით გაშვერილი. მარჯვენა ძუძუმოკვეთილი ალა მას მამაკაცად აქცევს, რის გამოც იგი დიდი ხნით კარგავს ყველაფრის ხალისს. სამაგიეროდ, დაუგავპილსელი ვოლდემარი, ახალგაზრდული მოძრაობისა და აღმოსავლეთში მომლოცველობის ვეტერანი, აღვიძებს მასში ანაშისკენ უსაზღვრო ლტოლვას. მესამე კურსზე ლირიკული სლავა უკვე მოგაგონებთ ბედისგან გათელილ პედერასტს სნეული სხეულითა და გატიალებული სულით. ზოგჯერ იგი საერთო სამზარეულოში სხვისი გობიდან იპარავს ხორცის ნაჭერს. მას შარდისა და იაფი თამბაქოს მძაფრი სუნი ასდის. მეხუთე კურსამდე დილობს, რაღაცეები მიურითმოს ერთმანეთს, მაგრამ აქედან ყოველგვარი მძღნერი გამოსდის. ზოგადად, იგი ყოველთვის მძღნერი იყო, როგორც ჩუკჩაზე ცნობილ ანეკდოტშია. დგება დღე, როცა იგი მზადაა ვენების გადასაჭრელად. ჰო, არა უშავს, არა უშავს.

არსებობს კიდევ ერთი, „ეროვნული“ (ანუ არარუსი) პოეტების ნაირსახეობა: რაღაცნაირი სასწაულით ეს კავკასიელები უზარმაზარ გუნდებად ახერხებენ ჩარიცხვას და მერე მთელი ხუთი წლის განმავლობაში ასევე გუნდურად გადაადგილდებიან ხოლმე. თუ რას აკეთებენ ისინი სინამდვილეში, არავინ უწყის, მაგრამ ვინც ფიქრობს, რომ ისინი პოეზიაზე ფიქრში ათენ-აღამებენ, მწარედ ცდება. კავკასიელები ყიდულობენ მაგნიტოფონებს, ტყავის ქურთუკებს, გოგონებს, პისტოლეტებს, ხელყუმბარებს, აირწინაღებს, ლაბადებს, სახლებს, ჯინსებს, მიწებს, კონიაკებს; ჟამითი ჟამად გადაჰყავთ „მერსედესები“ უღელტეხილებზე, საქართველოს სამხედრო გზით. ლოთობენ, მაგრამ არასდროს კარგავენ გონებას, არც პატარ-პატარა სიხარულებზე ამბობენ უარს. ჰოდა, ყირაზე აყენებენ ზაიცევის მოდების თეატრის ორმეტრიან კახპებს. ყველაფერში ნაღდები არიან, შთამომავლობითი ჯიგიტები, ემორჩილებიან ღირსების კანონებს, აღსაკალებისა და შარიათის ასწლოვან ეთიკურ ნორმებს. თუ მაგალითად, ლიფტში რვანი ურტყამენ ერთ ქერათმიანს, ეს უმიზეზოდ კი არა, მხოლოდ ჰაზავათისა და უმაღლესი სამართლიანობის გამო ხდება. მაგრამ მათაც აღმოხდებათ ხოლმე იმედგაცრუების გმინვა, რადგან ყველა ქერათმიანს ცხვირ-პირს ვერ დაულეწავ, ვერც ყველა „მერსედესს“ შეისყიდი, ვერც ყველა მოდელს გაჟიმავ. ამიტომაც დაღლილ და ნაიარევ შუბლებზე მწვანე, მაჰმადიანური სევდა აწვებათ.

ასეთია ცხოვრება ამ დაწყევლილ ჯურღმულში, სისტემის მიერ თავის გასამართლებლად და დასამშვიდებლად გამოგონილ ამ ლიტერატურულ საერთო საცხოვრებელში, რომელიც ცოცხალ-მკვდარი იმპერიის საშინელი დედაქალაქის მლპობარე შუაგულიდან შვიდსართულიან ლაბირინთად წამომართულა. მართალია, რუსი პოეტი ეჟევიკინი კი ამბობს, მარტო სიტყვა

„იმპერიის“ ხსენებაზეც კი ვათავებო, მაგრამ ყოველივე კარგს ოდესმე ენძრევა და შენ, ოტო ფონ ფ., პირდაპირ ხერხემლით გრძნობ, როგორ ჭრიალებენ მისი მალები, როგორ გარბიან აქეთ-იქით ქვეყნები და ერები, რომელთაგან თითოეულს, თუ მთელი კოსმოსის არა, კონტინენტის მნიშვნელობა მაინც აქვს.

აგერ, სულ უფრო ჭირს არყის შოვნა, რაც – პირველად რუსეთის იმპერიის ისტორიაში – რატომღაც ყველას არ ჰყოფნის, ამიტომ იძულებული ხარ, მოიპოვო იგი რიგში მრავალსაათიანი დგომის, ჯაჯგურის, აუიოტაჟის, თავგანწირვისა და დანაკარგების ფასად. ამჟამად ალბათ მთელ იმპერიაში არსებულ არაყს სვამენ კრემლის რომელიღაც გოლიათები, ან სულაც იქაურ უზარმაზარ მარნებში ინახავენ შავი დღისთვის, მაშინ როცა პლებსი, ესე იგი ხალხი, თუმცა სინამდვილეში არც ხალხი და არც თვით პლებსი, რაღაც საცოდავ წვეთებს იღებს – კვების მრეწველობის რაღაც ნახველს. არყის რიგში მკვლელობები ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი გახდა, როგორც – ბერლინის აღების მონაწილენი ტყუილს არ მათქმევინებენ – მტრის ტყვიით სიკვდილი. არაყი იქცა აბსოლუტად, წმინდა მიზნად, ზეციურ ვალუტად, გრაალის თასად, ჰოლკონდის ალმასებად, მსოფლიოს ოქროდ.

წელიწად-ნახევრის წინ, გვიან შემოდგომაზე, ღამის სამ საათამდე საწოლში ტრიალებდი და ვერაფრით დაგეძინა, თუმცა ეს გამოწვეული იყო არა ისეთი პოეტური მიზეზებით, როგორიცაა სიყვარული, ნოსტალგია, მსოფლიო სევდა, ვარსკვლავებზე წუხილი, მთვარეულობა თუ სხვა რამ, არამედ სულ სხვა მიზეზებით, რომლებისთვის მიზეზის დარქმევა უხერხულიცაა. მაგრამ კარებზე ფრთხილი კაკუნის გაგონებაზე გადაწყვიტე, რომ უძილობას ამაოდ არ ჩაუვლია; როგორც თავის დროზე გაცნობეს, საერთო საცხოვრებელში, სადაც თვით კედლები და სკამებიც კი გაჟღენთილია იაფასიანი გარყვნილებით, მრავ-

ლად არიან მაწანწალა გოგონები, რომლებიც ღამღამობით, უბრალოდ, კარდაკარ დადიან კუროს საძებნად. ამ წაკლაშკებს განსაკუთრებით იზიდავს სართული მეშვიდე, სადაც მდიდარი ძიები ცხოვრობენ. ეგულისხმობ კამასუტრაში გაწვრთნილ მოძმე მწერალთა კავშირების წევრებს, სახელდობრ, შუაზიელებსა და კავკასიელებს. გარდა ამისა, ყველა მათგანი ცალკე ოთახის მფლობელია, ანუ მკაცრ მამაკაცურ სიმარტოვეში ცხოვრობს. ასე რომ, ღამით აუცილებელი არაა სხვა საწოლში გადაბობღება, რათა სიყვარული ყველას თანაბრად ერგოს, როგორც ეს ხდება სტუდენტებით დასახლებულ ოთახებში, ქვემო სართულებზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეშვიდე სართულის ბინადარნი, როგორც წესი, ხნიერები და კეთილები არიან, მათთან შეგიძლია ერთი კვირაც გაატარო, თუ უფულობამ შემოგიტია ან რაიონის მილიცია ყველა დუქანში დაგეძებს. ასე აღმოჩნდებიან ხოლმე მეშვიდე სართულზე ლუდხანაში ან გასტრონომში გამოჭერილი სხვა გარეუბნელი შემთხვევითი გოგონები, რომლებიც მდიდარ სამხრეთელ აკინთა მეგობრები და შთამაგონებლები ხდებიან, მაგრამ ერთ ნაღვლიან დღეს მათ მაინც ტოვებენ და თანაც სამახსოვროდ ხელს რაღაცას გააყოლებენ ხოლმე.

ჰოდა, შენც, ოტო ფონ ფ., უძილობისას გაიფიქრე, რომ შენი ჯერიც დადგა და ეს კაკუნი ღამის სამ საათზე ნიშნავს იმას, რომ სტუმარი ქალი გეყოლება, თანაც, შესაძლოა, ვენერიული. მაგრამ კარი რომ გააღე, დაინახე არა თმადაუბანელი და დროშასავით წითელტუჩებიანი ყმაწვილი მაწანწალა გოგო, არამედ საკმაოდ სასიამოვნო შესახედაობის და არანაკლებ მთვრალი ბიჭუნა.

– უფროსო, – თქვა ბიჭმა, – მაპატიე, რომ ასე გვიან გაწუხებ, მაგრამ ძალიან მინდა არაყი.

– მეტი არაფერი? – ჰკითხე იმედგაცრუებულმა.

– უფროსო, მათქმევინე, რა, ბოლომდე. მე, მაგალითად, რუსლანი მქვია. შენა?

– ივანი, – მიუგე შენ, ოტო ფონ ფ.

– ვანია, მათქმევინე, რა! მინდა ტაქსოპარკში წავიდე არყის საყიდლად. აჰა, ფული, – თქვა მან და ბღუჯა კუპიურები მაჩვენა, თითქოს ამას შეიძლებოდა რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა.

– მაგრამ გასასვლელი დაკეტილია. ყველა სართული შემოვირბინე და მარტო შენ შემომიშვი.

– ასე ხომ? – ჰკითხე უნდობლად.

– მათქმევინე, რა! მე შენი ოთახიდან გავალ ტაქსოპარკში.

– შენ ჩემი ოთახიდან გახვალ ყ..ზე, – იყო პასუხი.

– ვერა, გაგებაში არა ხარ და ცხარდები, უფროსო. შენს ფანჯარასთან სახანძრო კიბე გადის, მიხვდი? მე გადავძვრები, – მან ხელ-ფეხის მოძრაობით მაჩვენა, თუ როგორ იზამდა ამას, – დესანტად ვმსახურობდი, აზრზე ხარ? არაყთან ერთად შემიძლია წყალიც მოგიტანო.

ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობდი, მაგრამ რუსლანის სიმპათიურმა ღიმილმა და მტკიცე აღნაგობამ თავისი გაიტანა.

– გადაძვერი, – დართე ნება.

– ჯიგარი ხარ, უფროსო, მაშინვე მივხვდი, – სახე გაუბრწყინდა რუსლანს. იგი ფანჯარასთან მივიდა, გააღო და მთელი შემოდგომის წვიმების, მკვდარი ფოთლების, უპატრონო სასაფლაოების, პუშკინის ლექსების, ერთი სიტყვით, გვიანი მოსკოვური შემოდგომის სურნელებით გაჟღენთილი ნოემბრის სუსხიანმა ჰაერმა ოთახი დატბორა და სიცივისგან აგაძაგძაგა. – აბა, ჰე, მიდი, – გაამხნევე შენ. რუსლანი რაფაზე მთელი ტანით აღიმართა, ხელი დაგიქნია და ღამეში ფართოდ გადააბიჯა. მის კვალდაკვალ გადაიხედე. იგი უკვე ფანჯრის მარჯვნივ სახანძრო კიბეზე ეკიდა ცირკის მთვრალი აკრობატივით, რომელიც გულუბრყვილო მაყურებელს გამოცდას უწყობს. კიდევ წამიც და, კიბეზე ფეხებით შედგა.

– ჰეი, უკან დაბრუნებას როგორლა აპირებ? – შეახსენე თავი.

– შენ, რა, ვერ მოტვინე, უფროსო? ამავე ფანჯრით! მე დიდხანს არ დავრჩები, შურდულივით გავვარდები აქეთ-იქით...

მის ფეხებქვეშ ლითონის კიბე აჭრიალდა. მთვრალის კვალობაზე საკმაოდ მარჯვედ ეშვებოდა ქვევით, ეტყობოდა, მედესანტის პური მუქთად არ ეჭამა. შენ კი გულში ამქვეყნად ყველაფერს წყევლიდი: მოხეტიალე გოგონებს მათ უდროო სიყვარულთან ერთად, საკუთარ უძილობას და ყმაწვილ, ლოთობისკენ მიდრეკილ სამშობლოს დამცველს, რომლის გამოც ოცი წუთი მაინც უნდა გეყურყუტა ფანჯარასთან.

ღამე, როგორც უკვე ითქვა, ნესტიანი და ცივი იყო. სადღაც ეზოებში საკუთარ მოუწყობელ ყოფაზე ყეფდნენ პროიმპერიული ძაღლები. დრო ნელა იწელებოდა, უსაქმურობისგან ჩაიცვი და ერთი-ორი სიგარეტიც მოსწიე. რომელიღაც ქვედა სართულზე მოულოდნელად ქალის გამყივანმა ხმამ არემარე შეაზრიალა: „უკანასკნელო ძუკნავ, შენა!" მერე დამსხვრეული მინა აწკრიალდა, მოისმა ყრუ დარტყმის ხმები, თითქოს ვიღაცა სხვისი თავით კედელში ლურსმნებს არჭობსო, ბოლოს კი მამაკაცის დადაბლებულმა ხმამ გვამცნო: „სულელი ხარ, შენ, ზინკა, მე ხომ მიყვარხარ!" და აქ ყველაფერი მიწყნარდა.

როგორც იქნა, ისევ მოგესმა კიბის ჭრაჭუნი. რუსლანი ბრუნდებოდა.

იგი სართულს სართულზე ლაშქრავდა და სადღაც მეხუთესა და მეექვსეს შორის წამით შეისვენა. თავი მაღლა ასწია და ფანჯარაზე გადმოხრილი დაგინახა.

– უკვე აქა ვარ, უფროსო,– მოგახარა ხალისიანად, – მაპატიე, რომ ასე დამაგვიანდა. წარმოიდგინე, ტაქსოპარკშიც არ იყო. დღეს თურმე რეკეტმა ჩამოუქროლა. მაშინ ვალოდიას მივადექი, მაგრამ მანაც ხელცარიელი გამომიშვა. იძულებული გავხდი, ვიეტნამელისთვის ოცდახუთ მანეთად გამომერთმია.

წვრილთვალა ვირთხა! მოვკლავდი მაგ უბედურს. არა უშავს, ახლავე გადავუშვებთ ყანყრატოში, ვანია... – და კიბეს მაღლა ამოუყვა. მეშვიდე სართულთან შედგა, ოდნავ სული მოითქვა, ჯიბეში ბოთლი გაისწორა, რომ არ ამოვარდნოდა. და მაშინ ფეხი ფანჯრის რაფისკენ აიშვირა. ცოტა ხნის წინ გაცილებით ადვილად გადააბიჯა: ხელმოსაჭიდიც ჰქონდა და დასაყრდენიც. ახლა კი მის წინ იყო უბრალო კედელი, ხოლო ფეხებქვეშ ლიპი, თუნუქის უვარგისი კარნიზი. მოასწარი და ხელი გაუწოდე, მაგრამ თითებში ველარ ჩაეჭიდე. იგი მთელი სხეულით გადაქანდა და ასაფრენად გამზადებული ანგელოზივით წამით შეძლო უფსკრულის თავზე შეყოვნება. მერე იყო მისი გაბმული, შემზარავი ყვირილი. და მეშვიდე სართულის სიმაღლიდან დაცემა. და სიკვდილი. შენ კი დარბოდი, ვიღაცას აღვიძებდი, იძახებდი სასწრაფოსა და მენტებს – ყოველივე ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველაფერი თითქოს სიზმარში ხდებოდა. ან ბანალურ მელოდრამატულ ფილმში.

ო, მშვენიერო რუსლან, – მოთქვამდი, – როგორ გამოვიგლოვო შენი დაღუპვა, ძმაო ჩემო?! შენ უშიშარი იყავი, ყველაფერში პირველობას ჩვეული, უთვალავჯერ გადმომხტარხარ პარაშუტით! შენ უყვარდი ყველა ნაცნობ გოგონას, უმანკო გოგონები კი პირდაპირ ფერხთით გიწვებოდნენ! შიგნიდან ანათებდი, რუსლან, უმშვენიერესო, შენი კუნთები კი სასწაულმოქმედი იყო! და მე რომ ჰომიკი ვყოფილიყავი, ყველაფერს ვიღონებდი, რომ შენთვის მიმეცა, ძმაო ჩემო! ეს რა ქენი, რუსლან, მძლეთა-მძლეო, ვის უტოვებ ამ დებილ საწუთროს, სადაც ასე გვაკლია შენისთანა სრულქმნილი არსებანი?!

მერე იყო ათასნაირი გასაუბრება მეძებარ მენტებთან, საქმეების გარჩევა, გამოჩხრეკა, ქოთქოთი, თათების აწევა, საზოგადოებრივი გაკიცხვის მცდელობა. მთავარი ეს როდია.

რატომ კეტავთ ხოლმე გასასვლელს, მინდოდა მეკითხა

პასუხად. რატომაა ახალგაზრდა არტისტული არსება, გუშინ-დელი მედესანტე, იძულებული, ამ ბოზ ქვეყანაში სასწორ-ზე შეაგდოს სიცოცხლე ბოთლი არყის გულისთვის? რატომ აგივიდათ უუფლებობის მყრალი სუნი? რატომ ტოვებთ ისე მცირე თავისუფლებას, რომ იგი საკმარისია მხოლოდ მეშვიდე სართულიდან ჩამოსავარდნად? რად ჩამაფრინდით ახლა ასეთი შთაგონებით, როგორც მის სიკვდილში ერთადერთ დამნაშავეს, თითქოს გსურთ, რომ ბოლოს და ბოლოს დანაშაული იმავე სართულიდან გადმოხტომით გამოვისყიდო. მაგრამ ეს კითხვები ჰაერში დაეკიდა. რადგან თავად ისინიც, ის მეძებარი მენტებიც, რომელთათვის შეგეძლო ამ კითხვებით მიგემართა, დღეს უკვე მათზე პასუხს ველარ გაგცემდნენ. იმპერია იცვლიდა თავის გველის პერანგს და ტოტალიტარულ შეხედულებებს, აწყობ-და დისკუსიებს, კანონებისა და ცხოვრების წესთა ძირეულად გადასინჯვის იმიტაციას, იმპროვიზაციებს ფასეულობათა იერარქიის თემაზე. იმპერია ელაციცებოდა თავისუფლებას, რადგან ეგონა, რომ ამგვარად შეინარჩუნებდა განახლებულ საკუთარ თავს. მაგრამ კანის გამოცვლა არ ღირდა. იგი ერთად-ერთი გამოდგა. და ჩვეულებრივი კანიდან გამომძვრალი ბებერი მეძავი ტანჯვით სულს ღაფავდა.

ბოლოს და ბოლოს ყველა ჩამოგეხსნა. შენ დაამტკიცე, რომ გაქვს პრეზუმპციის უფლება. მეძებარი ძაღლები ღავღავებ-დნენ მიუწვდომელი სიშორიდან და უღონოდ აკაწკაწებდნენ ხელოვნურ ყბებს.

სამიოდე თვის შემდეგ, ზამთრის გვიან ღამით, საწერ მაგიდასთან ბეჭდავდი, როცა უეცრად მოგესმა, რომ ეზოდან ფანჯარას რაღაცა მოხვდა. ეს არ შეიძლება თოვლის გუნდა იყოსო, გაიფიქრე შენ, აღარც ქვა, რადგან არავის ძალუძს აის-როლოს მეშვიდე სართულის სიმაღლეზე თოვლის თუ მიწის გუნდა, ქვა, ქუდი, ბოთლი, წიგნი, ხელთათმანი თუ სხვა რომე-

ლიმე საგანი! მაგრამ როცა ფანჯრის ახლოს სახანძრო კიბის ნაცნობი ჭრიალი გაისმა, კინაღამ გულზე შემოგეყარა. ფანჯარასთან მიხვედი და ფარდა გასწიე. ფანჯრის მილმა რუსლანი იდგა.

– თქვენიანი ვარ, – თქვა მან, – შემომიშვებ?

თითქმის ისეთივე იყო, როგორც მაშინ, მხოლოდ მკრთალი სიყვითლე გადაკრავდა, თვალის უპეები შავად შეშუპებოდა, ნვრილი შავი ხაზები ბაგეთა კუთხეებიდან დაბლა ეშვებოდნენ და სადღაც ნიკაპქვეშ ქრებოდნენ. ფანჯარა გამოაღე.

– ყველა სართულზე ფანჯრები დახშულია, შენი სარკმლის გარდა, – მაცნობა რუსლანმა და რაფაზე ჩამოჯდა.

– არ გცივა? – ჰკითხე შენ, – აკი ზამთარია გარეთ.

– არ მცივა. ჩემთვის სულერთია,– იყო პასუხი.

– ისე, საერთოდ, რა ამბებია მანდეთ?

– ოდესმე გაიგებ. ყველაფერი სულ სხვაგვარადაა, ვიდრე თქვენ აქ წარმოგიდგენიათ.

– კარგად შენახულხარ.

– გმადლობ. ჩამოვარდნა დესანტში მასწავლეს.

– რისთვის მოხვედი?

– გულმა გამომიწია ნაცნობი ადგილებისკენ. ნაცნობი სურნელებისკენ. შენკენ. გამახსენდი.

– მადლობა. სხვათა შორის, ვანია არ მქვია.

– ვიცი, ვანია.

– სულელური სიკვდილი გამოვიდა, არა? – ჰკითხე შენ. რუსლანმა ხელი ჩაიქნია:

– მას არაფერი შეუცვლია ამქვეყნად. მამაჩემი ცნობილი კინორეჟისორია. პრემიაც კი მისცეს.

– ცოტა ხომ არ დაგველია?

– მადლობა, არ ვსვამ.

– დამავიწყდა...

– არა უშავს. დღეს სიმფეროპოლში მივფრინავ. იქ შეყვარებული მყავს. დილით გაიფიქრებს, რომ დავესიზმრე.

– გინდა, საზამთრო ქურთუკი მოგცე? ერთი კიდევ მაქვს.

– მორჩი, უფროსო! სულაც ვერ ვგრძნობ ზამთარს. ჩემთვის სულერთია. შენ ვერც კი წარმოგიდგენია, რომ შეიძლება ყველაფერი სულერთი იყოს.

მაგრამ ოთახში სიცივე მატულობდა და რუსლანი აჩქარდა.

– არ შეგიშლი ხელს. კარგად იყავი. იქნებ ოდესმე კიდევ შევხვდეთ.

– რა თქმა უნდა. თუმცა, მე მჯეროდა, რომ თქვენ არ არსებობთ...

– არ ვარსებობთ? – მან ეჭვით გააქნია თავი, – აბა, ვინ იცის. გესმის, შენ იყავი ბოლო, ვინც ვნახე, სანამ სული მედგა. და სამუდამოდ ჩამრჩი თვალებში. თუ ახლოდან დააკვირდები ჩემს თვალთა გუგებს, საკუთარ თავს დაინახავ. მე მეგონა, რომ შეძლებდი ჩემი ხელების დაჭერას...

– მაპატიე, ძველო!

– არაფერია. ასეც უნდა მომხდარიყო. დასანანია ოღონდ, რომ ყველაფერი ასეთი ცუდი სანახავი გამოვიდა – მიწაზე დაშხეფებული ტვინი, დამსხვრეული ნეკნები, კუჭ-ნაწლავიდან გარეთ გამოსული თეძოს ძვალი... მაგრამ არც მე ვარ პირველი, არც უკანასკნელი. და ესაა მთავარი. დახურე ფანჯარა, ვანია... – მან ნარნარა, მსუბუქი ნაბიჯით გვერდზე გაიწია და ფეხი კიბეს დაადგა.

– დახურე ფანჯარა! – გაიმეორა მან.

მისი ნათქვამი შეასრულე და ფარდებიც ჩამოაფარე.

ღამღამობით საერთო საცხოვრებლის გარშემო რაღაც ხდებოდა. ზოგჯერ ჩაგესმოდა ყვირილი, ფუსფუსი, ვიღაცის ცემა. ზოგჯერ სახანძრო კიბის ჭრიალიც აღწევდა შენამდე.

დაძაბულად აყურადებდი მოახლოებულ ბგერებს. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე სართული. თუ იქნება მეშვიდეც? მე არა ვარ, იმეორებდი. მე აქ არა ვარ. და თავზე საბანს იხურავდი. და შენ არ იყავი.

ესეც შენ, სულელო ფონ ფ., აი, რას ნიშნავს, როცა საშხაპეში წასვლის წინ ოთახის კარს ღიად ტოვებ! ახლა სამივე შენთან სხედან, აბოლებენ ბატონკაცურად, ლაყბობენ და ხარხარებენ. ცხვირები დასივებიათ, მაგრამ კარგ გუნებაზე კი არიან შენი უახლოესი მეგობრები. წუხელ ერთად ლოთობდით ღამის ორის ნახევრამდე. დალიეთ ბოსტნეულის მაღაზიაში ნაყიდი რვა ასორმოცდაათგრამიანი კონიაკი, ორი შუშხუნა „სალუტი", კიდევ ცედეელში[1] ვიღაც დოყლაპიასთვის ბილიარდით მოგებული ორი პოლონური „პოლონეზი". ფინალი უკვე საერთო საცხოვრებელში შედგა. სტრატეგიული მარაგიდან ამოღებულ სამედიცინო სპირტს ჯერ „პეპსი-კოლაში" აზავებდით და ეს არმანიაკს მოგაგონებდათ. „პეპსის" დამთავრების შემდეგ მიადექით ლიმონათ „საიანის", მაგრამ ამ ატრაქციონს თავი შეგნებულად აარიდე. და ალბათ კარგიც ქენი.

ცხადია, ახლა ყველა მათგანი ისჯება, იტანჯება, მაგრამ არ ნანობს[2], პირიქით – ლუდი და სანახაობა სწყურიათ. მერედა, სად შეიძლება მივაკვლიოთ ლუდსა და სანახაობას? სად და, ფონვიზინის, რუსი კლასიკოსი დრამატურგის ქუჩაზე მდებარე ლუდხანაში. შენ კი, სხვათა შორის, იქ დღემდე ერთხელაც არ ყოფილხარ. დღეს ასეთი შესაძლებლობა გაქვს, ხვალ უკვე გვიან იქნება.

აი, როგორები არიან ისინი, შენი სულიერი ანუ სპირტისმი-

---

[1] ცედეელი (რუს. აბრ.) – ლიტერატორთა ცენტრალური სახლი

[2] ალუზია ტარას შევჩენკოს სტრიქონისა: „ვისჯები, ეიტანჯები, მაგრამ არ ენანობ".

ერი ძმები. იურა გოლიცინი, ორმოცი წლის პოეტი, განათლება – უმაღლესი, მეორე განათლებით ციხის ზედამხედველი, საჭვრეტელში საკნიდან კი არა, არამედ დერეფნიდან იყურებოდა. ისე მთლად ზედამხედველი და ძაღლიც არ ყოფილა, არც ღვიძლი გაუხეთქავს ვინმესთვის, პირიქით – აღმზრდელად მუშაობდა – , თუმცა ბოლოს ამასაც ვერ გაუძლო: მოუშვა წვერი და დაწერა პატაკი გათავისუფლების შესახებ. ახლა თხზავს საკმაოდ სარკასტულ ლექსებს, როგორიცაა მაგალითად, „ფიქრები კოოპერატიულ ტუალეტში". გარეგნულად მოგაგონებთ ივანე სერგის ძე ტურგენევს, მაგრამ დამწყებსა და უფრო კეთილშობილს, ვიდრე ნამდვილი ტურგენევი იყო.

ნომერი ორი: არნოლდ გორობეცი, უკრაინის სამხრეთი, რუსულენოვანი მოსახლეობა, დრამატურგი-სამოციანელი, ქალებში პოპულარული, მაგრამ არა უმეტეს, ასევე წვეროსანი, მხოლოდ ჰემინგუეის ტიპისა, პროფესიული მსახიობი, ლოთბაზარა, მასხარა და ბანქოს მოთამაშე, ოხუნჯი, ერთხელ კიდევ ლოთბაზარა, გაიძვერა, ერთგული ამხანაგი, ცუღლუტი, მოცეკვავე და დამრტყმელი, კულინარი, ხორცისმოყვარე, სუსნია. გორობეცი თეატრში თამაშობდა იულიუს კეისარს, რომლის მონოლოგებს ახლაც წარმოთქვამს ქეიფის გარკვეულ სტადიაზე, თანაც აზავებს მათ ლათინიზმებით, დედის გინებითა და პარტიული დოკუმენტებიდან მოხმობილი ციტატებით. ხშირად იძინებს გაუხდელი და ღონემიხდილი, მაგრამ ყველაზე ადრე იღვიძებს.

მესამე, რა თქმა უნდა, როიტმანია, მაგრამ ის კი არა, რომელიც რუსულ (ხა-ხა) „თავისუფლებაში" მუშაობს. ის ებრაელია. ის იქნება უკანასკნელი ებრაელი, რომელიც ოდესმე დატოვებს ამ მიწას, დატოვებს უსათუოდ ოდესმე. ჩერვონეცი ისეთი აღარაა, როგორიც ოდესღაც იყო, ის კი არა, ოდესაც აღარაა უწინდელი ოდესა. მისი ჭაღარაშერეული, ფუმფულა თმიდან

გამოკრთის ადამისა და ქრისტესგან დაწყებული ყველა თაობის ანარეკლი. მისი პოეზია სოფლის ზაფხულივითაა – მასში მრავლადაა ბალახი, ბებერი ქვები და ტკბილი მტვერი. იგი სავსეა პატარა სადალაქოებითა და დავიწყების ხავსით დაფარული სასაფლაოებით. ესაა ვიოლინო- სოლო. გუშინ მას სპირტგარეული „საიანის“ დალევის შემდეგ გული აერია.

– ო, განიბანე უკვე, ძვირფასო? – გესალმება საკუთარ ოთახში ტურგენევ-გოლიცინი.

– თანაც ორჯერ, – პასუხობ შენ, მაგრამ ამის მიხვედრის თავი არა აქვს. შენი ლოგინი ჯერ კიდევ გაშლილია და თითქოს უნებურად ჩამოჯდები. და ამას იმიტომ აკეთებ, რომ გამოცვლილ თეთრეულს შორის აღმოჩნდა ზეწარი, რომელზეც ყველა ნიშნის მიხედვით ვიღაცამ ვიღაცას უმანკოება დააკარგვინა. ლაქის მოშორება კი ვერ მოხერხდა. ჰოდა, ამ თემაზე ზედმეტ ლაყბობას ლაქის დაფარვა გირჩევნია.

– ურიგო არ იქნებოდა, გვესაუზმა, – ამბობ სასხვათაშორისოდ.

– მეც ამას ვამბობ, – აგრძელებს იულიუს კეისარი, – გუშინ შეგვეძლო რაზეც გინდა, იმაზე შევთანხმებულიყავით. თუნდაც სახელმწიფო გადატრიალებაზე, – შენ ცდილობ, ამას როგორმე წინ აღუდგე, რადგან უამრავი საქმე გაქვს, თანაც ამ ლუდის ზღვაში შეცურვა კეთილად არ დამთავრდება და შენი სული კვლავ დამარცხდება მაცდუნებლებსა და გაიძვერებთან, ჰარპიებსა და ფურიებთან ბრძოლაში, თუმცა უხერხემლო ხარ და უკვე იცი, რომ შემოთავაზებას ვერსად გაექცევი.

– თავი სველი მაქვს.

– არახჩინს გათხოვებ, – გეუბნება როიტმანი და ყველა იცინის.

– მე კიდევ გათხოვებ ქუდს, ქოლგას, მილიციელის „ფურაჟკას“, ტანკისტის ჩაფხუტს, – მთავაზობს გოლიცინი.

– ყური მიგდე, ფონ ფ., საყვირებს ცეცხლი უკიდიათ, ადექი! – აწვება გორობეცი.

– საყვირები გვიხმობენ, – ამატებს როიტმანი.

– შეიტენეთ ისინი ტ...ში, – არცთუ ზრდილობიანად მიმართავ მათ.

– გაიგე, ჩვენთვის სულერთია, წამოხვალ თუ არა, – გონივრულად ირწმუნება როიტმანი, – არც ის, გინდა თუ არა ლუდი. მხოლოდ ის გვსურს, დაგიცვათ უვარგისი ამხანაგებისა და ბილწი გავლენებისგან.

– ჩვენ ალალად შეგვტკივა შენზე გული, – ამბობს როიტმანი.

– უმცროს ძმასავით გვიყვარხარ, – ოხრავს გოლიცინი. სხვათა შორის, როგორ პოულობ ამ ბაზარ-ვაგზალში უმანკო გოგონებს?

მაინც შენიშნა! აბა, რას გამოაპარებ ციხის ძველ აღმზრდელს. საინტერესოა, რა სიკეთე უნდა ესწავლებინა საბრალო ტუსაღებისთვის ამ კეთილშობილი შესახედაობის ურჩხულს?

პასუხად უსტვენ რომელიღაც ნაღვლიან ბარკაროლას.

– ოღონდ ნუ გვეტყვი ახლა, რომ ეს სისხლი ცხვირიდან წაგსკდა , – პონტზე შეაგდო გოლიცინმა.

– ჯანდაბა მაგის თავს. წავიდეთ, – ამბობ თემის შესაცვლელად.

– შენ ხომ თმა სველი გაქვს, – იკრიჭება როიტმანი.

– სულერთია, გარეთ წვიმს, – იმართლებ თავს.

გარეთ მართლა წვიმს. ქალაქის თავზე დაკიდული მძიმე ღრუბლები ბოლოს და ბოლოს გასკდა და წვიმამ ყველანი ალყაში მოგაქციათ ცივმა, თუმცა მაისის წვიმამ. მაისია, მაგრამ გრძნობთ, როგორ ცივა[1], პოეტისა არ იყოს.

---

[1] „მაისია, მაგრამ გრძნობთ, როგორ ცივა"... – პირველი სტრიქონი „ბუბაბისტი" პოეტის ალექსანდრე ირვანეცის ლექსისა „მაისის ბალადა".

ბოლო დროს ლუდზე საკუთარი ქილებით უნდა იარო. ეს ერთგვარად ჰგავს შუა საუკუნეების ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრის დამცველთა სარისკო გასვლას წყაროზე. რატომღაც მოხდა ისე, რომ იმპერიას უეცრად კათხები შემოაკლდა. იქნებ ყველა კათხა კრემლში შეიტანეს სამოქალაქო ომის შემთხვევისთვის? როცა ამბოხებული მასები კრემლის გალავნებს შეუტევენ, პოლიტბიუროს წევრები მათ დაუშენენ სიბინძურითა და მძღნერით სავსე კათხებს. ამ კათხებში, უფრო სწორად, მათ არარსებობაში გამოიხატება დედაიმპერიის სრული სიცოცხლისუუნარობა.

ასეა თუ ისე, ცარიელი ქილებით დახუნძლულები მიაბოტებთ მაისის ცივ წვიმაში, გუბურებს კი მიაპობენ ავტოები და ტროლეიბუსები, რომლებსაც ამ თავსხმისას ვინმეს წაყვანაზე უფრო კანტიკუნტად გამვლელებისთვის ჭუჭყის მიშხეფება შეუძლიათ. ეს მაისი კი არა, რაღაცნაირი მარადიული შემოდგომაა. დადგა ის მწარე დრო, როცა ირგვლივ ყველაფერი ინგრევა და არაფერი თავის თავს აღარა ჰგავს. მხოლოდ გაუგებარი მიზეზით საიმედოდ გამოკეტილ მეორმოცე გასტრონომთან რამდენიმე ქრონიკული ლოთის წელში მოხრილი ფიგურა განასახიერებს აღორძინებისა და უკეთესი მერმისის თეორიულ შესაძლებლობას.

შენ, ძველი გალიციური წარმოდგენების კუდში მოჩანჩალე ოტო ფონ ფ., გეგონა, რომ ლუდხანა აუცილებლად მყუდრო და მშრალი მღვიმეა ძველებურ მოკირწყლულ ქუჩაზე, სადაც აბრას ლოთობისგან ღიპგაბერილი სიმპათიური ეშმაკი ამშვენებს, სადაც მკრთალ შუქზე უკრავს წყნარი მუსიკა, ხოლო მიმტანი ხმარობს გაუგებარ სიტყვათშეთანხმებას: „გისმენთ, ბატონო“. შენ გეიმედებოდა, რომ მეგობრები შეგიყვანდნენ ქარვით მოოჭვილ პარადაიზში, სადაც ვერ აღწევს წვიმა, ქუხილი, ბუმი, ჭირი, შიში, პუტჩი, სიმყუდროვე? სამაგიეროდ, გაქვს ლუდხანა

ფონვიზინზე, რაღაც გაუგებარი კონსტრუქცია, ასაწყობ-დასაშლელი პირამიდა, რაღაცნაირი ანგარი აზიის უდაბნოში, რომელსაც მაისის ნორჩი ნაცარქათამა შემოზრდია. ანგარი ლოთებისთვის. აქედან ისინი საბრძოლო მორიგეობაზე მიფრინავენ. მათნაირები აქ ათასობით დაეტევა. ლოთების მთელი დივიზია თავისი გენერლებით, პოლკოვნიკებით, ლეიტენანტებითა და ჩემნაირი ახალწვეულებით.

ფონვიზინზე მდებარე ლუდხანა უზარმაზარი, ვაგზლისხელა, ოღონდ კიევის და არა სავიოლოვის ვაგზლისხელა, კოლოსალური სალექარია ჯოჯოხეთის თაღის წინ. მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი როდია. არსებობს მასზე არანაკლები მოცულობის ნაკვეთიც, შემოლობილი რკინის ბოძებით, რომლებზეც პლასტიკატის სახურავია დამაგრებული. კედლების ნაცვლად მხოლოდ მავთულხლართი აქვს, საერთო ელექტროქსელთან მიმაგრებული. და იქ მოსახვედრად მანეთის გადახდაა საჭირო. ეს არის ბელზებელის მინდი, რომლის ინტერესებსაც იცავს ოდესლაც თეთრ სამოსში გამოწყობილი კრიმინალური გარეგნობის ახალგაზრდა. თანაც ყოველი გადახდილი მანეთი სამუდამოდ დაკარგული რამე როდია. მას უკან გიბრუნებენ, მას მოგაგებენ თევზის სახით, უსიხარულო უმი მკვდარი თევზის სახით, რომელსაც არასოდეს შეჭამდი, უმისოდ შენი წილი ლუდის მიღება რომ შეგეძლოს. მაგრამ ამის უფლება არა გაქვს. თევზი საშვია ლუდით ზიარებაზე, საკრალური და მყრალი სიმბოლოა, რომელიც იქნებ ჯერ კიდევ ადრეული ქრისტიანობიდან შემოგვრჩა. შემოგვრჩა დასახიჩრებული სახით, რადგან აქ ტარდება ერთ-ერთი მკრეხელური მესა, ყანყრატოებისა და შარდის ბუშტების თავშესაქცევი თამაში.

დიახ, თევზი დაჭერილია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ რისიმე გარანტიას არ იძლევა. ლუდი! მისი გულისთვის უნდა გამოიარო უსაშველო, მაგრამ, საბედნიეროდ, მეტად დინამიკური, გინე-

ბით, მუშტი-კრივითა და ათასი სანახაობით სავსე რიგი. რიგი, რომელიც ვიწრო სარკმელთან მთავრდება. და იქ, იმ სარკმელს მიღმა ნამდვილი ლუდია? იქნებ მანდ ზის რომელიღაც ლუდის მთავარეპისკოპოსი და ყველა მწყურვალს ჩაის კოვზით აზიარებს? არა, ფონ ფ., ლუდი მანდ არაა. იგი ჩუხჩუხებს ტერარიუმის მოპირდაპირე კედლის გასწვრივ განლაგებულ ავტომატებში. იქ, სარკმელთან კი სხვა რამე ხდება: იქ „მანეთად“ წოდებულ ქაღალდის ნაგავს ახურდავებენ თავისუფლად კონვერტირებად ოცკაპიკიან მონეტებზე.

„ჰოპლა!“ – გინდა შესძახო უკრაინული საბჭოთა პროზის პერსონაჟთა მიბაძვით.

გოლიცინის სახე მკაცრია და გაბედული. და ძალიან დაძაბული. ასე გამოიყურებიან საკუთარი საქმის ოსტატები რთული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ქირურგები საოპერაციო მაგიდასთან. გამნაღმველები განაღმვისას. პარაშუტისტები იმწამს, როცა ჰაერში პარაშუტი იხსნება და სტროპები მტკივნეულად ურტყამენ ყვერებში. გოლიცინი სასიგნალო დროშის დაქნევასავით მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბრძანებებს იძლევა: აქეთ-იქით ნუ იყურებით, ადგილობრივებთან კამათს ნუ დაიწყებთ, მოამზადეთ სამმანეთიანები, თვალი მიადევნეთ მაგიდების გამოთავისუფლებას, მე კი, ბიჭუნებო, ავტომატებთან ვიომებ.

რადგან იქ მართლაც ძალის გამოყენებაა საჭირო. ავტომატის ჭრილში ჩაგდებული ყოველი მონეტა იწვევს ფურთხს, რომელშიც მეტი ქაფია, ვიდრე ყველა სხვა სასურველ შემადგენელში. თუნდაც ნახევარი ლიტრის შესაგროვებლად უნდა ჩააგდო ხუთი, სინამდვილეში კი, შვიდი-რვა ასეთი მონეტა. ჭარხლისფერი მუტანტები საათობით ტრიალებენ ავტომატებთან თავიანთი გაზინზლული ქილებით ხელში და იბრძვიან სამართლიანობისთვის ამ ყველაზე უსამართლო სამყაროში, მათ ეჩვენებათ, რომ ავტომატები ლუდს იპარავენ. რომ ლუდში

ბევრი წყალია გარეული. რომ ის საერთოდ არაა ლუდი. რომ ირგვლივ მყოფ ადამიანებს მეტისმეტად საძაგელი დრუნჩები აქვთ. რომ ურიგო არ იქნებოდა ზოგი მათგანისთვის...

ამასობაში თქვენ მიიწევთ სანუკვარი სარკმლისკენ. ჩამუჭული სამმანეთიანი ქაღალდები კვანძის გახსნის მოლოდინში გიოფლიანდება. სადა ხარ, შენ, განძეულის მღვიმევ, მონეტების გამოქვაბულო? რა შორია ჯერ კიდევ შენამდე! რამდენჯერ მომიწევს კიდევ მუქარით აღსავსე ღრენა მათთვის, ვინც ცინიკურად შეეცდება, გაძვრეს ჩემ წინ, მათ წინ, ყველას წინ?

აქ არ ხუმრობენ. აქ საკმაოდ დიდ რისკთანა გვაქვს საქმე.

ახლა დააკვირდი კარგად, თუ ვინაა აქ თქვენ ოთხის გარდა. აქ არის საზოგადოება. როგორ ექავებათ მათ მკერდი, ეწვით ყანყრატოები, ეცრემლებათ თვალები. პლასტმასის გუმბათს ასხლეტილი როგორი ხმები ავსებენ სივრცეს განუწყვეტელი და ერთფეროვანი გნიასით! თითქოს წაწყმედილ სულთათვის გრიგორიანული გუნდი მღერისო.

თავის დროზე გასწავლიდნენ, რომ რომის იმპერია დაღუპა მონებისა და კოლონების დარტყმებმა. ამ იმპერიას ლოთების დარტყმები დაღუპავს. ოდესმე ყველა მათგანი გამოვა წითელ მოედანზე და ლუდის მოთხოვნით კრემლს შეუტევს. იქიდან სროლას დაუწყებენ, მაგრამ მათი დასპირტული და გაუმტარი მკერდები ტყვიებს აისხლეტენ. ისინი ყველაფერს გადათელავენ. განსაკუთრებით ქალები. ისინი ნამდვილად ამშვენებენ ამ დალოცვილ მიწას. ატარებენ სამოცდათორმეტი (ან იქნებ უკვე მომავალი, ოთხმოცდათორმეტი) წლის თარგზე შეკერილ ელვაშესაკრავიან და კლოშიან შარვლებს, აქვთ ნახევრად გაცვენილი თმა. ეამაყებათ თავიანთი დალურჯებულ-დასივებული სხეული. ფეხსალაგის სუნი ასდით, ფეხები კი ალბათ ისეთივე ბალნიანი აქვთ, როგორიც საბას დედოფალს. ისინი თუნდაც ძაღლს დაუწვებიან, თუმცა აქ მყოფთა შორისაც ჰყავთ

საყვარლები. თუ ლუდს დროზე არ დაუსხამენ, ნაცარტუტად აქცევენ ამ ქალაქს თავის ლუბიანკიან-ჯურღმულებიანად (ანუ შიდა ქალაქს, ქალაქს ქალაქში).

ამიტომაც იმპერიას დროზე უნდა ეზრუნა თავის ლოთებზე. კი არ უნდა ეომა ლიბერალიზმისა და ნაციონალიზმის ქარის წისქვილებთან, კი არ უნდა ენადირა რელიგიურობის კუდიანზე და სამართალდამცველობის მოჩვენებასთან, არამედ გაეკეთებინა ერთადერთი რამ – ეზრუნა თავის ერთგულ ლოთებზე. რათა მათ ყოველთვის ჰქონოდათ ჩასახეთქი და ჰყვარებოდათ საკუთარი მახინჯი ქალები. რათა გაეჩინათ მათივე მსგავსი შვილები. მორჩა და გათავდა.

მაგრამ იმპერიამ უღალატა საკუთარ ლოთებს. და თავისი თავი დასარღვევად გაწირა.

ახლა უკვე ვა-ბანკზე ლოთობენ, ახლა ყოველი ბოთლი რისკის, სისხლისა და ოფლის ფასადაა მოსაპოვებელი. ახლა მისთვის, უბრალოდ, იღუპებიან, მაგალითად, ვარდებიან მეშვიდე სართულის სიმაღლიდან.

ასე განვვლეთ გზა ნათელ სარკმლამდე. იქ კი, ვერცხლის ოცკაპიკიანებით გამოტენილ ტომრებზე ზის თურმე საკმაოდ სექსუალური ფურია, რომელსაც ლუდისფერი თვალები და, როგორც ყველა იაფფასიან მოსკოველ ქალს, ქერად შეღებილი თმა აქვს. სადაფისფერთმიანი ქალბატონი. არნოლდი, როგორც ყოველთვის, შთაბეჭდილების მოხდენასა და სარკმელში წაარშიყებასაც ასწრებს, თუმცა უკვე საყელოში სცემს შაბათის გმირთა მძიმე და მოუთმენელი არყის სუნი.

– საკალელი გოგოა, – ხაზგასმით ამბობს არნოლდი და განზე დგება.

– მონეტები დაითვალე? – არ ენდობა როიტმანი.

– მგონი, ხალათქვეშ არაფერი ეცვა, – პასუხობს კეისარი და ბაგეებს ილოკავს.

– თქვენ მთელი სამოცი მონეტა გაქვთ. ამბობენ, რომ გაერთიანებულ გერმანიაში საბჭოთა ადამიანები მათ ათპფენინგიანების ნაცვლად აგდებენ სატელეფონო ავტომატებში. თუ ეს სიმართლეა, იმდენი ფულით, თქვენ რომ გაქვთ, მთელ სამყაროს დაუკავშირდებოდით მაკაოსა და ჰონოლულუს ჩათვლით. საამისოდ ჯერ საჭიროა გადასეროთ რამდენიმე საზღვარი და როგორმე ჩაბობღდეთ, ვთქვათ, მიუნხენში.

როიტმანს ხელში უჭირავს ნაწამებთევზიანი თეფში. გოლიცინი იბრძვის ავტომატთან ადგილისთვის. შენ და არნოლდი მიემართებით იქით ცარიელი ლიტრიანი და ერთი სამლიტრიანი ქილით.

პირველად სამლიტრიანი უნდა შეავსო. სხვები იქიდან შეივსებენ ცარიელ ლიტრიანებს და დალევენ. კაცმა რომ თქვას, შეიძლებოდა ისინი აქეთ არც წამოგველო, მაგრამ უყურადღებოდაც ვერ დავტოვებდით, რადგან ეს საბედისწერო, დილეტანტური შეცდომა იქნებოდა. მათ იმწამშივე გააქრობდნენ. და მაშინ (ისევ სამ მანეთად) კვლავ მოგვიწევდა ცარიელის ყიდვა ადგილობრივ ათაშანგიანთან.

ავტომატმა თქვენი ორმოცდაათი მონეტის აუჩქარებლად ჩაყლაპვის შემდეგ, როგორც იქნა, ჩამოაქაფა ნანატრი სამი ლიტრი. სხვა დროს მეტის დახურდავება დაგვჭირდება, რადგან რა ბედენაა სამი ლიტრი ლუდი, როცა გარეთ თავსხმაა, თქვენ კი ოთხნი ხართ? ამიტომაც მაშინვე იკავებთ ახალ რიგს დახურდავების სარკმელს მიღმა მჯდარ ლუდის სექსბომბასთან ფრთხილად, ისე რომ ვერც ერთმა ნაძირალამ იდაყვის გაკვრით ვერ დააღვრევინოს მსგავსი ძალისხმევით მოპოვებული ყვითელი სითხე, მიაქვს სამლიტრიანი ქილა იურა გოლიცინს. ივან სერგის ძე ტურგენევს მოაქვს ლუდით სავსე სამლიტრიანი ქილა. კეთილშობილებით, ღირსებითა და სიდარბაისლით აღსავსე ჭაღარაშეპარულ მწერალს.

მათ უყვართ სმა „სუფთა ჰაერზე“ ანუ პლასტმასის ჭერქვეშ, წვიმის ხმაურისა და მთვრალ ოფიცერთა სიმღერის თანხლებით. შენ ისლა დაგრჩენია, დაემორჩილო, რადგან აქ პირველად ხარ და საერთოდაც ყველა შენზე უფროსია, შენ მათ შორის ხარ ლაწირაკი, შვილიკო, მრუში, ბიჭუნა, და ისინი სათუთად გიცავენ ნებისმიერი საფრთხისგან, რომელიც აქ ყოველ ნაბიჯზე გითვალთვალებს.

აქ, მაგალითად, არ შეიძლება ვინმეს მიაშტერდე. არავის უნდა დააკვირდე განსაკუთრებული ყურადღებით და ამოჩემებით. ეს აფეთქებამდე, ლოკალურ კონფლიქტამდე მიგვიყვანს. უნდა გამოიმუშაო საკუთარ თავში ზედაპირულად მოხეტიალე მზერა, რომელიც არაფერზე ჩერდება. გულგრილი დაუფიქსირებელი მოძრავი მზერა.

ჰო, ოტო ფონ ფ., მანამ, სანამ პირველ ყლაპს იზამდე, სანამ ჩაყვინთავდე განუჭვრეტელი ფინალის უცნობ სამყაროში, სანამ წმინდანის ბილიკიდან, რომელიც სიზმარში ძლივს დალანდე, მოჩვენებით და მაცდურ ტყისპირზე გადახვიდოდე, გულისყურს უხმე და გაიხსენე, რის გაკეთებას გეგმავდი სადღეისოდ.

მე მგონი, კირილს უნდა შევხვედროდი. სადღაც მაქვს კიდეც მისი ტელეფონი. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქმე ეხება მოსკოვში პროგრესული უკრაინული გაზეთის გამოცემას. ძალიან კარგი. მეორე: უნდა მოვხვდე მაღაზიაში ფანტასტიკური სახელწოდებით „ბავშვთა სამყარო“. იქ ჩემი მეგობრების შვილებისთვის საჩუქრების შეძენას ვაპირებდი. ჩემი მეგობრების შვილები ჩემი შვილებიც არიან. შესანიშნავია. მესამე: შევეცდები, არ დავივიწყო ჩემი ერთ-ერთი საყვარელ ქალთაგანი. თუ იგი ნუხელ შუა აზიის რესპუბლიკებიდან დაბრუნდა, ახლა მასთან ინტიმური შეხვედრა უნდა მქონდეს. კარგია.

ჰოდა, კარგია, რომ ყველაფერი გახსოვს. სვი შენი ლუდი და უსმინე, როგორ ხმაურობს წვიმა, როგორ მღერიან მთვრალი

ოფიცრები, როგორ ჰყვება არნოლდი თეატრალურ ანეკდოტებს, როიტმანი – ებრაულ ანეკდოტებს, გოლიცინი კი – ციხის ანეკდოტებს, რომლებიც ძალიან ჰგვანან ნამდვილ ამბებს...

შენ, მეგობარო, გაითიშე სადღაც მესამე თუ მეოთხე ქილაზე, ან იქნებ საპირფარეშოში მეხუთე და მეექვსე ლაშქრობებს შორის, ან იქნებ სწორედ მაშინ, როცა იურა გოლიცინტურგენევმა მკვეთრად ჩამოდგა მაგიდაზე რაღაც წითელი და ხატოვნად გამოაცხადა: „ლუდი და ღვინო – გახურდი ლხინო!" ლუდხანის საზღვრებს მიღმა გადაუღებლად წვიმდა, თუმცა უკვე დღის ორი ხდებოდა და ენამახვილი სინოპტიკოსების ყველა წინასწარმეტყველებათა მიხედვით, კარგა ხნის წინ უნდა გამოეხედა კომუნისტურ მზეს.

ეს ხაფანგია, მიხვდი ბოლოს და ბოლოს. ყველა მათგანი იძულებულია, სვას ლუდი. მაგრამ აქედან გასვლას უკვე ვერავინ მოახერხებს. აქ თამაშდება მსოფლიო ისტორიის რომელიღაც ბოლო სპექტაკლი. მოსულთა რიცხვი სულ უფრო მატულობს. ზოგ ოფიცერს, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ თავი კარგად ეჭირა და სიმღერაც მშვენივრად გამოსდიოდა, ახლა უკვე ჩასძინებოდა. სამაგიეროდ, მოდიოდნენ ფარისეველნი და სადუკეველნი, აზარტული მოთამაშეები, მწიგნობრები, მკვლელები და სოდომისტები, კულტურისტები, მევახშეები, ჯუჯები, გახუნებულანაფორებიანი მართლმადიდებელი მღვდლები, ცირკის კომიკოსები, ავხორცები, ყაზახები, კრიშნაისტები, რომაელი ლეგიონერები. კირილს უნდა დავურეკო.

– აგერ ახლა აქ ჩვენ ოთხნი ვართ, – ამბობს რატომღაც არნოლდი, – და თითოეულს ოდესღაც ჰყოლია ნაშა...

– ჩვენ ოთხნი ვართ, – აწყვეტინებს მას გოლიცინი, – და წარმოვადგენთ სულ ცოტა ოთხ ერს. და რა, ამის გამო ცუდად ვსვამთ?

– რაის ოთხ ერს, რატომ ოთხს? – ნერვიულობს როიტმანი.

– ნუ, შენ, ბორია. ეს ერთი. მე – რუსაკი. ეგეც ორი. ის უკრაინიდანაა. სამი. გორობეციც მეოთხე.

– გორობეცი ვინაა? – არ ეშვება ბორია.

– რომელი ეროვნებისა ხარ, გორობეცო? – სიმართლეს ითხოვს გოლიცინი.

– ახლავე აგიხსნით ყველაფერს, – მრავალმნიშვნელოვნად სწევს მაღლა საჩვენებელ თითს კეისარი.

– მეგობრებო, დასარეკად წავალ, – ამბობ მტკიცედ.

– ოღონდ ვინმესთან ნუ იწერავებ, – გაფრთხილებს რომელიღაც მათგანი, – ახლა აქ ნაგავივით ყრია ათასნაირი ბოზანდარა. თანაც, სად იპოვი ტელეფონს, არ ვიცი.

მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ზურგს უკანაა ნათქვამი. სადღაც ხომ უნდა იყოს ტელეფონი! სხვაგვარად როგორ იძახებენ მილიციას? პაშა ბაისტრიუკი[1], სახალინელი მეიგავარაკე, სხვათა ლოსიონების სისტემატურად ხმარებისთვის პირველ კურსზე გარიცხული, სწორედ აქედან მოხვდა რაიონულ ვირის აბანოში, სადაც დღეღამე-ნახევარი აყურყუტეს და სადაც გისოსებს მილმა მღეროდა, და თან სახეში უყვიროდა ძაღლებს: „თქვენ, რა, ჩვენ მკვლელები ხომ არ გგონივართ?" თუმცა, როგორც გამოირკვა, ასეთი სარკაზმის საბაბი სრულიადაც არ არსებულა, რადგან ის სამი თავაზიანი ყმაწვილი, რომლებიც მასთან, პაშასთან ერთად ისხდნენ, მართლაც, მკვლელი ყოფილა: ამავე ლუდხანაში, იქიდან პაშას დეპორტაციიდან თხუთმეტ წუთში, მათ ვიღაც ბედდამწვარი დანით მოუკლავთ. პაშა ბაისტრიუკმა კი ეს არ იცოდა და მორიგე უფროს ლეიტენანტს აშინებდა მწერალთა კავშირის ნიგნაკით, რომლის ყდაზეც ლენინის ორდენი ეხატა, თანაც ყველა დამსწრისთვის ასრულებდა გაურკვეველი სახეობრივი ალუზიების მქონე სიმღერას:

---

[1] ბაისტრიუკი (უკრ.) – ნაბიჭვარი.

Отец мой был природний пахарь,
А я работал вместе с ним,
На нас напали злые люди,
И мы остались без конца...[2]

ჰოდა, იმას ვყვებოდი. პაშა კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ტელეფონიც ხომ უნდა ყოფილიყო სადმე, თუ როგორ? მილიციას სტვენით ხომ არ იძახებდნენ? დარბაზში ვიღაცას სწორედ სიფათში მუშტებს ულაწუნებენ, სხვები კი ინტერესით ელოდებიან კვანძის გახსნას. აბა, ჰე, მიდი, ხიე კიდევ! მაინც რამდენი შეყრილა ერთად! ველარ გაიკვლევ გზას მათ შორის. განათუ კედელ-კედელ გაბობღდები იმ სარკმლის მიღმა მჯდარი ბოზანდარისკენ. სხვათა შორის, მან სარკმელი დაკეტა, რადგან ახლა შესვენება აქვს. ფრთხილად აკაკუნებ ხის სარკმელზე.

– „ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო", – ამბობს ამაზე სამოსშელანძღული მოხეტიალე მოხუცი, რომელიც გვერდით ატუზულა. ვიღაც ლოთი-ღვთისმეტყველი. სარკმელს მიღმა ჩამიჩუმი არაა და შენ, დარბაზიდან ძალით თავდაღწეული, ტელეფონს გასასვლელთან ეძებ. მაგრამ ისიც დაკეტილია. ბელზებელის აგენტი კი, რომელიც მკვდარ თევზს განაგებს, სადღაც გამქრალა. ალბათ აქედან ყველა წავიდა და ბედის ანაბარა დატოვა რამდენიმე ათასი სტუმარი. თვითონ კი უკანასკნელი დღის საყვირთა მოლოდინში საკუთარი ცოდვების მოსანანიებლად გაეშურნენ. რადგან აქვე შორიახლოსაა ეკლე-

---

[2] მამა ბუნებით მეგუთნე იყო,
მეც მასთან ერთად ვავლებდი ხნულებს
ჩვენ თავს დაგვესხა ბოროტი ხალხი
და ასე დავრჩით თავ უბოლოოდ.

სია „მოულოდნელი სიხარული“. თითქოს სამეძავოს სახელწოდება�ა. ამასობაში მოპირდაპირე მხარეს, საბრალო ალვებქვეშ, რომლებიც ვერავის იცავენ მომაბეზრებელი წვიმისგან, ორი ადგილობრივი ავაზაკი დედაბერს ძარცვავს, აგლეჯს მას ხელიდან ბოღჩას. დედაბერი, როგორც ჩანს, არყით სასპეკულანტოდ მოვიდა და არ გაუმართლა. ცდილობ, იქითკენ არ გაიხედო. იქნებ გაიფიქრონ, მათი ამფსონიაო. დიდი თევზები ყლაპავენ ლიფსიტებს.

ბრუნდები დარბაზში. ჩხუბი უკვე დამთავრებულა, დამარცხებული ცემენტის იატაკზე გაშხლართულა, ხოლო ცალ მუხლზე ჩაჩოქილი ვიღაც უცხვირო დიაცი მას გასისხლიანებულ ლოყას გაზეთით უხოცავს. კიდევ რამდენიმე არამზადა დასდგომია თავზე და რჩევა-დარიგებებს აძლევს, თუ როგორ გააჩეროს ეს მუქწითელი ნათხევი. მათ შორისაა გამარჯვებულიც ალბათ ახლო ამხანაგი, ძმა, მეზობელი, ერთი სიტყვით, ნაცემის დიდი მეგობარი.

სარკმლისკენ ტრიალდები და კვლავ აკაკუნებ – ცოტა უფრო მტკიცედ და მონდომებით. მაგრამ იქ ძველებურად კაცის ჭაჭანება არაა, მხოლოდ უკვე ნაცნობი მოხუცი ეშმაკური ღიმილით გაწვდის ახალ ციტატას: „დააკაკუნეთ და გაგიღებენ. რადგან... ვინც აკაკუნებს, გაუღებენ ხოლმე...“

და მართლაც, სწორს ამბობს ბებერი გაიძვერა, გვერდით კიდევაა კარი, რომლისთვისაც ყურადღება არ მიგიქცევია. აწვები მას და ხვდები დამხმარე შენობაში, რომელიც სავსეა ცარიელი კოლოფებითა და კვერცხის შესაფუთი მუყაოთი. მიდიხარ ადამიანთა ხმების მიმართულებით და ბოლოს პოულობ ყველას – თევზის გამყიდველსაც, შიშველ სხეულზე ხალათმოსხმულ მზეთუნახავსაც და კიდევ ორ-სამ მოდღლეზილ ჯეელს ადგილობრივი პერსონალიდან, რომლებიც ადრე არ შეგხვედრია.

სხედან, ეწევიან, სვამენ ლუდს, სხვათა შორის, კათხებიდან, მრავალფეროვნებისთვის არყის გახსნილი ბოთლიცა აქვთ. ოჯახი ვახშმობს სახლის მახლობლად.[1]

– ჩვენ ბოდიში, – ამბობ, რაც შეიძლება თავაზიანად, – შეიძლება თქვენგან დავრეკო?

ისინი საკმაოდ უაზრო, მაგრამ მშვიდობიან მზერას გაპყრობენ, ზოგი თავსაც გიქნევს, და შენც მეზობელი მაგიდისკენ მიემართები, სადაც აპარატი დგას. ამ დროს ისინი ერთხმად ლაპარაკობენ რალაც ძალიან ინტიმურის შესახებ, რადგან ქერათმიანი რამდენჯერმე იმეორებს: „ჰო, მივეცი და მერე რა, სულ ქინძზე არ მკიდია?!" მისი პარტნიორები კი, თუმცა აღშფოთებას არ გამოთქვამენ, მაინცდამაინც არ იწონებენ მის საქციელს, განსაკუთრებით ბელზებელის თანაშემწე, რომელიც დამრიგებლური ტონით აცხადებს:

– შენ, ვირთხავ, სხვა დროს იფიქრე, ვის აძლევ, თორემ აგვიყვანენ ყველას...

– მე, რა, ქვეშაფსია ფისო-გოგო ხომ არ გგონივარ, – ნერვიულად ქაჩავს კვამლს ვირთხა.

სატელეფონო მავთულის ბოლოში ჯერ გრძელი ზუმერია, მერე კი გესმის კირილის ენერგიული „ალო!"

– კირილ, ეს მე ვარ, ოტო.

– ო, ძალიან კარგი! – დიასპორასთან ურთიერთობამ კირილს ნებისმიერი რამით აღტაცება ასწავლა, – როდის იქნები ჩემთან?

– მე მას, სხვათა შორის, ვუთხარი: „როგორც გინდა, მაგრამ პირში არ ავიღებ-მეთქი, გესმის?" – უყვება თავის მეგობრებს „ვირთხა" და შენ იძულებული ხარ, კირილს ისევ ჩაეკითხო.

– როდის ვიქნები შენთან? წვიმს, გაიგე? მე კი თავი სველი მაქვს, ახლახან დავიბანე. გარეთ ისეთი უსაშველო წვიმაა,

---

[1] „ოჯახი ვახშმობს სახლის მახლობლად" – სტრიქონი ტარას შევჩენკოს ლექსიდან. შევჩენკოსთან ოჯახი ვახშმობს, აქ – სადილობს.

უკვე გული გამიწვრილა. მით უფრო, რომ აქედან გამოსვლა შეუძლებელია.

– საიდან? – ვერ მიმხვდარა კირილი.

– მერე საშა მოვიყვანე და ვაჩვენე: „ნახე, ამ ცხოველმა რა მიქნა – ყველა ტრუსიკი შემომახია და ახლა რითი ვიარო?.."

– საიდან ვერ გამოსულხარ? – ცდილობს ნათქვამში გარკვევას კირილი.

– საერთო საცხოვრებლიდან, – პასუხობ მოკლედ. – ისეთი თქეშია, ცხვირს ვერ გამოყოფ გარეთ...

– გადაკრავ? – გეკითხება ვიღაც ოტროველა და თლაშოს სანახევროდ გივსებს არყით.

– მადლობა, შეფ!

– რაო? – ყვირის ყურმილში კირილი.

– კაროჩე, ნასტიონა, – ამუნათებს „ვირთხას" თევზის გამყიდველი, – თუ ეს ნაბიჭვარი ისევ გამოჩნდა, ვასილკოს ეტყვი, გასაგებია?

– არ უნდა ბაზარი, – კვამლის ბოლქვს უშვებს ნასტიონა, – მე მას თვითონ მოვაჭამ ყ..ს...

– კირილ, ნახევარ საათში გადმოგირეკავ, კარგი?

– ო კეი, კარგი! ოლონდ არა უგვიანეს. უამრავი საქმე მაქვს.

– შევთანხმდით.

კიდებ ყურმილს და სამაგიეროდ, იღებ შემოთავაზებულ თლაშოს.

– გმადლობთ, ბიჭებო! თქვენს ნათელ მომავალს გაუმარჯოს.

ისინი უხმოდ შემოგცქერიან. და როცა ეს სითხე უკვე ნანილობრივ შენს საყლაპავ მილში აღმოჩნდება, შენამდე დადის, რომ ეს ქარხნის კი არა, შხამიანი შინნახადი არაყია. მაგრამ უკვე გვიანაა. ასე თუ ისე, წავიდა. ცრემლების ფრქვევით.

– გესმის, ძმაკაც, საღამოსთვის ნაშა არ გჭირდება? – გეკითხება ერთ-ერთი მათგანი.

სახელოთი იწმენდ ულვაშებს და შესცქერი ნასტიონას ბასრ კბილებს.

– მადლობა, ძალიან დაკავებული ვარ, ბიჭებო...

– კვერცხებს იყიდი? – მეკითხება მეთეეზე, – ვაბარებ დიდ პარტიას. ბითუმად.

– გმადლობთ, გმადლობთ, – იმეორებ და მიდიხარ.

დამხმარე შენობათა ლაბირინთიდან გამოსვლისას კვლავ ირგვლივ მიმოყრილ იმ ცარიელ კოლოფებზე ფორთხიალობ. თვალები უფრო მხიარულად გიციმციმებს. როცა მთვრალი ვარ, ირგვლივ ყველა ჩემსავით მთვრალი მგონია. ვამჩნევ ბევრ დასანან უზუსტობას მოძრაობებში. განსაკუთრებით სიარულში. ბოლოს და ბოლოს ახლა არცთუ ისე შორსა ვარ ჭეშმარიტებისგან. აქ ყველა მთვრალია, განა მარტო მე. და ეს წვიმის გამო მოხდა. ჩვენ ყველანი ძალიან უბედურები ვართ. გზასაცდენილი საწყალი, მახინჯი უბედურები. მაგრამ ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. მე გამოვიხმე ეს წვიმა, საშხაპეში დილით შავკანიან ქურუმთან მაგიური ქმედებით. ახია ჩემზე. მე ვამაყობ ამით.

ბრუნდები მაგიდასთან, სადაც შენმა თანამოკალმეებმა უკვე მერამდენედ განაახლეს და გაავსეს სამლიტრიანი ქილა.

– ამიტომაც მე ნახევრად, – ამთავრებს იულიუს კეისარი გრძელ და ჩახლართულ მოთხრობას თავის ეროვნულ წარმომავლობაზე.

უკვე დროა დავახვიო აქედან. ძმაკაცებთან საუბარი გამოუვალ ჩიხში შევიდა. არავინ იცის ხეირიანად, რისი თქმა სურს, მაგრამ ყველა რაღაცას ამბობს. ეს უფრო ოთხი იმბეცილის საუბარია, რომლებსაც უბრალოდ მოსწონთ გარკვეული – მშვენიერი, ამაღლებული, ასევე ბილწი და ქვენა – სიტყვების წარმოთქმა. მათ სიამოვნებთ ჟღერადობა. სიტყვები ერთმანეთს აღარ ებმება, ყველა მათგანი ცხოვრობს საკუთარი მთვრალი ცხოვრებით. რადგან თითოეული მათგანი მხატვრუ-

ლი სიტყვის ოსტატია. ცალკე მხატვრული სიტყვისა. და წვიმა, წვიმა განუწყვეტელი, და სიფათები, სიფათები, მათი რიცხვი სულ უფრო მატულობს, ისინი გაყოფით მრავლდებიან და ჩვენ გარშემო დაცურავენ, როგორც უშავეს ოკეანეთა სიღრმისეული ბრტყელი თევზები. მაგრამ ყველა კარიბჭე უკვე ღიაა და თქვენ დგახართ ორპირ ქარში, სუსხიან აზიურ ქარბორბალაში, რომელიც ქაფს აცლის მაგიდებსა და ქილებს. ეს სახელმწიფო კიდევ აწარმოებს რაღაცას. მაგალითად, გულისამრევ, მძაღე სუნის მქონე მოფაშფაშე ქაფს.

ცუდადა ხარ, ფონ ფ., გცივა. და ოდნავ გული გერევა. დროა წახვიდე აქედან. „ბავშვთა სამყარო" გელოდება, კირილი გელოდება, უკრაინა გელოდება, რომელიც დაიღალა მოსკოვში საკუთარი გაზეთის გარეშე, შენ კი აქ ბრიყვულად ლაქლაქებ თითოეულის საკუთარი წმინდა გზით წასვლის აუცილებლობაზე. თქვი, აბა, კედლის გარდა კიდევ რა გაკავშირებს იმ კედელსმიღმელ უზბეკთან? უზბეკთან, რომელიც ნიადაგ ამზადებს ფლავს და მისი მსუყე სურნელებით არაერთ მშიერ სტუდენტ გოგონას იზიდავს. და მერე ტენის მას ფლავით, ავსებს ფლავით, როგორც საფრთხობელას ნახერხით, და ისიც შეშდება, იქცევა საფრთხობელად, ფლავი შიგნეულს უწვავს და სცვივა ცხვირ-პირიდან. და რა გაკავშირებს საჭურისივით პირქუშ და ტანსაქელ ხუდაიდურდიევთან, რომელსაც ამის გამო ზოგი „ხუდოი დურდიევს" ეძახის, თურქმენთან, რომელიც ყოველ საღამოს, ზუსტად ცხრაზე სპორტულ შარვალში გამოიჭიმება ხოლმე ტელევიზორის წინ, რადგან პროგრამა ,,ვრემიას" გარეშე სიცოცხლე არად უღირს? და რა გაკავშირებს ეფევიკინთან, რომელიც სხვათა ოთახებში დაუკაკუნებლად შედის, რადგან კარპატებიდან ვიდრე წყნარ ოკეანემდე თავი მასპინძელი ჰგონია? და რა გაკავშირებს ბლაგოლეპოვთან, რომლის სიმამრიც კაგებეს გენერალია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წერს სასულიერო ლექსებს სერგი

რადონეჟელზე, სუნთქავს იოგის სისტემით და საკუთარ თავს რერიხის მონაფედ მიიჩნევს, თუმცა ყველა დარწმუნებულია, რომ იგი ჩამშვებია. და რა გაკავშირებს შურა გოროხოვთან, რომელიც ეძებს ყოფის უნივერსალურ ნიშანს, და ამავე დროს ივიწყებს ნასესხები ფულის დაბრუნებას? და რა გაკავშირებს ოლეგ სექსოპათოლოგთან, რომელმაც ფრანგული ენა მხოლოდ იმისთვის ისწავლა, რომ „ომი და მშვიდობა" დედანში წაეკითხა? და რა გაკავშირებს პაშა ბაისტრიუკთან? რა გაკავშირებს ყოველ მათგანთან და ყველასთან ერთად?

– ყველა ჩვენგანი ერთნაირად სუნთქავს, სვამს, ჰყვარობს, ყარს, – წარმოთქვამს რაღაც იდუმალს იურა გოლიცინი.

– მაშასადამე, ერთად ყოფნისთვის ვართ შექმნილნი. მსოფლიო ერთიანდება ზოგადსაკაციობრიო ფასეულობებისთვის, – კვერს უკრავს როიტმანი, – ჩვენ კი?

– შენთვის ადვილია ამაზე ღადავი, რადგან გახსოვს, რომ ყოველი შემთხვევისთვის, სადღაც იქ, ახლო აღმოსავლეთში, გაქვს საკუთარი სახელმწიფო, შენი ცალკე სახელმწიფო...

– სახელმწიფო კი ურჩხულია, სტიქიური უბედურებაა, – აქნევს თავის ჰემინგუეისებურ წვერს კეისარი.

– რატომ ესწრაფვით ასე გაქცევას, თქვენ, ნაციონალისტები? – კითხულობს გოლიცინი. – რატომ მოგინდათ ასე მოულოდნელად ყველას ერთბაშად განქორწინება? ჩვენ ხომ იმდენი საერთო შვილი გვყავს! ეს ხომ ძმობის დიდი გამოცდილებაა, როცა ყველა ერთად იყოფს საერთო უბედურებას. რატომ, ნაციონალისტებო, მითხარით ერთი! –ყოველ წარმოთქმულ ფრაზას იგი გამოყოფს სლოკინით.

– ნაციონალისტი რომ ვიყო, გიპასუხებდი, – ამბობ ნელა და გამოკვეთილად, მეტისმეტად ნელა, მეტისმეტად გამოკვეთილად, – აბა, რომელი ნაციონალისტი მე ვარ, როცა შენთან ერთად აქ ლუდს შევექცევი? ეს ურყევი ლოგიკაა. გოლიცინი

დიდხანს ენერგიულად მართმევს ხელს. ის შესანიშნავი ბიჭია. მასში არაა სულელური იმპერიული შოვინიზმის ერთი წვეთიც კი, მაგრამ ძალიან უყვარს ძმობა. თავისუფლება. თანასწორობა.

– წუხელ საღამოს გავიფიქრე, რომ ღმერთი არ არსებობს, – ჭმუნვით გვამცნობს როიტმანი.

– წუხელ საღამოს? – გაოცებულია გორობეცი, – ვალდებული ხარ, ასე ფიქრობდე მუდამ. იმ ნაბოზარი პარტიის წესდების შესაბამისად, რომელსაც ეკუთვნი...

– რა შუაშია აქ პარტია? საქმე სხვა რამეა. მე გავიფიქრე, ღმერთი, ჭეშმარიტი და არა გამოგონილი, ფიქტიური ღმერთი, არასოდეს დაუშვებდა ერების არსებობას...

– ისევე, როგორც არ დაუშვებდა ჭირის, ათაშანგის, ატომური ბომბის არსებობას, – ამატებს ლურჯცხვირა ლოთი, რომელმაც თქვენს მაგიდასთან წუთით ამოყვინთა და მერე სადღაც წაბანცალდა.

– რადგან ესაა ის, რაც კაცობრიობას ხელს უშლის, იყოს კეთილი და პატიოსანი, – განაგრძობს როიტმანი. – ესაა ის, რაც ჩვენ გვზღუდავს და გვაქცევს შურიანებად, გვავსებს მძღნერით. რამხელა შავი ენერგია გროვდება ყველგან მხოლოდ იმიტომ, რომ ერები არსებობენ...

– ებრაელი ერიც? – თვალს უპაჭუნებს გორობეცი.[1]

– ნებისმიერი, და სიტყვებზე ნუ გამომეკიდები!

– მე არ ვცდილობ გამოჭერას, ისედაც დიდი ხანია, გამოჭერილი ხარ. რადგან დღემდე არ გამოსულხარ შენი ბოროტმოქმედი პარტიიდან. საუბრობ შავ ენერგიაზე და თან ისე იქცევი, თითქოს მის პირველწყაროს ვერ ხედავდე. რა ჩემი ფეხები გინდა იქ ამდენ ხანს, რატომ არ გამოხვალ? ხომ იცი, როგორ ვარ შენდამი განწყობილი. მაგრამ როგორ დარჩი იქ ტანკების

[1] გორობეცი (უკრ.) – ბელურა.

მუხლუხოებზე დახვეული ადამიანების ნანლავთა მერე? – კეისრის თვალები მთვრალია, მაგრამ ცნობისმოყვარე.

– და რა შუაშია აქ პარტია? ნაძირალები ყველგან არიან. სხვა პარტიებს საკუთარი ნაძირალები ჰყავთ...

– სხვა პარტიები ტანკებით არ დადიან, – მოასწრო წამოსროლა ორ დასლოკინებას შორის გოლიცინმა.

– მალე ივლიან, – წამოსწია თავი მეზობელ მაგიდასთან მძინარე ოფიცერმა, რომელსაც საყელოს დანაკერს პატარა ტანკები უმშვენებდა.

– მე ყველა პარტიას ავკრძალავდი.

– მეც.

– მეც ასევე.

– ხოლო მათ, ვინც იატაკქვეშეთში დაიწყებდა პარტიების შექმნას, ჩამოიშორებდით? – იქედნურად არკვევ შენ.

– მე მათ ტარაკნებივით მოვსპობდი, – თავს აქნევს ინვალიდი დაჩვრეტილი გარმონით ხელში. Уничтожал бы, как тараканов[2]! – ამატებს იგი.

– ამნაირი დემოკრატები არიან ისინი, – ამბობს თავისთვის ვარდისფერ ზეწარში გახვეული მელოტი კრიშნაისტი.

– ამნაირი დემოკრატები არიან ისინი! – იმეორებს მის კვალდაკვალ გორობეცი, ოლონდ არნოლდ გორობეცი კი არა, პატარა რუხი ჩიტუნა, რომელიც მაგიდებს შორის თავისთვის დახტის და ლუდის გუბეებში იკენკება.

– გუშინაც რაღაც ამის მსგავსზე ვისაუბრეთ. კონიაკის მერე, მგონი, – იფშვნეტ ცხელ შუბლს, თითქოს ნიადაგ თვლემა გერევა, – ჩვენ ყველაფერ ამაზე გუშინ ვისაუბრეთ, გუშინწინაც. ჩვენ ხომ ყოველდღე ვშარაფობთ, აგერ უკვე ორი წელიწადია, ეს კი სამოქალაქო აქტივობას გვიღვიძებს. თანაც ახლა სიტყვის

---

[2] – ტარაკნებივით გავსრესდი (რუს.).

თავისუფლებაა. აღმოჩნდა, რომ სიტყვის თავისუფლებისას – ერთი, ცალკე აღებული სიტყვის თავისუფლებისას – შეგვიძლია თურმე მხოლოდ ერთი და იგივე ვილაპარაკოთ. მაგრამ ყოველდღე. აგერ, უკვე ორი წელია, რაც შენ, კეისარო , ცდილობ გაარკვიო, რატომ არ გამოდის ბორია პარტიიდან. იურკა, შენ გვარწმუნებ, რომ არ უნდა დავიშალოთ, შენ, როიტმან, ყოველდღე გვამცნობ, რომ ღმერთი არ არსებობს. ახლა ერთხელ მეც მომისმინეთ, ამის დედაც... მე ყველაზე უმცროსი ვარ და ორი წელი ვდუმდი. მათქმევინეთ სიტყვა. ერთი სიტყვა.

– ათქმევინეთ ბიჭს! – მტკიცედ მოითხოვს გარმონიანი ინვალიდი, –ჰო, ათქმევინეთ სიტყვა! გესმით?!

– საინტერესოა, საინტერესოა! – წამოჰყო კიდევ ერთი თავი, და ისიც მთვრალი, სამთავიანმა ოფიცერმა.

– ჰეი, გაკმინდეთ ხმა, სირმანჯოებო! ყველამ ყური უგდეთ! – გადაფარა ბარიტონით წვიმის ხმაური და ლუდხანის გუგუნი ერთ-ერთმა დამსწრე მღვდელთაგანმა, რომელსაც წვერ-ულვაში მთლიანად ლუდის ქაფით დაფარვოდა.

– ილაპარაკე, – ჩურჩულებს რომელიღაც, იხტიოლოგის ლაბადიდან მალულად გამომზირალი უზარმაზარი ლოქო. და შენ გესმის, რა უეცრად ჩუმდება ყველაფერი. არა მარტო პლასტმასის ჭერქვეშ მავთულხლართით შემოკავებული ტერიტორია, არამედ ლუდხანის შორეული კუთხე-კუნჭულებიც. მხოლოდ წვიმა თქიშინებს ძველებურად. მაგრამ ჯანდაბა მის თავს. იწყებ საუბარს და პირთან ახლოს მიგაქვს ქილა, რომელიც ერთგვარად აძლიერებს შენს ხმას, ეს ისეთი მიკროფონია, ურომლისოდაც თავს ასე დაჯერებულად ვერ იგრძნობდი. შენ კი სათქმელიც გაქვს და ისიც იცი, როგორ უთხრა მათ. თვით იმ გასისხლიანებულმა საცოდავმაც კი მოხიკა ცემენტის იატაკზე თავისი ავლადიდება და უცხვირო თანამგზავრი ქალის ხელზე დაყრდნობით გამობღდა აქეთ, რათა უკეთ დაენახე და მოესმინა შენთვის.

– მე მზად ვარ, ყოველ თქვენგანს გადავეხვიო, – მღელვარეებისგან ხმა ოდნავ გითრთის, მაგრამ უკვე იკრებ ორატორულ ძალას, – მე მზადა ვარ, დედამიწის ზურგზე ხელი გავუწოდო ყველას, რადგან ადამიანი, მაგის დედაც კი ვატირე, ბედნიერებისთვისაა გაჩენილი, თუმცა ბედნიერება ყველას თავისებურად ესმის. და აქ არაფერია საშინელი ან გასაკიცხი. ბოლო ყვერს მოვაგლეჯ მას, ვინც ფიქრობს, რომ აქ რამე ცუდი იგულისხმება. ჩვენ ისე ცოტანი და ისე პატარები ვართ ცივ, კოსმოსურ უდაბნოსთან შედარებით, რომ ვერაფრით მივცემთ საკუთარ თავს ურთიერთსიძულვილისა თუ ტერიტორიული პრეტენზიების უფლებას. მით უფრო, პარტიული, ეროვნული თუ რასობრივი მიზეზებით. ვამბობ ასე, რადგან მაქვს ამის უფლება, უკეთუ არა უგვიანეს ამ დილისა საშხაპეში დავამყარე სქესობრივი კავშირი ფერადკანიან გოგონასთან. მე არ მაინტერესებდა მისი ეროვნება. მით უფრო, პარტიული კუთვნილება. არც ის მაღიზიანებდა, რომ მისი სადედოფლო კანის ფერი ჩემსას არ ჰგავდა. უფრო მეტიც – მსიამოვნებდა, რომ მას სხვა ფერის კანი ჰქონდა. რამდენიმე დაუვიწყარი წუთის განმავლობაში საკუთარი ასოთი მე შევაერთე შორეული კონტინენტები, კულტურები, ცივილიზაციები. მივიყვანე ისინი საერთო ნიშნულამდე, ანუ უკაცრავად ჰასუხია და, სათესლემდე. ამიტომაც მე არ შეიძლება მქონდეს რუსეთისა და რუსების მიმართ სიძულვილი...

მაგრამ ახლა, როცა ამ ბოძებითა და მავთულხლართით შემოკავებული უშენი ადგილის შუაგულში ვსვამ მჟავე ლუდს, როცა ქარი ყველა მხრიდან მიწეწავს სველ თმას, როცა ირგვლივ ერთი დიდი აზიური, მაპატიეთ, ევრაზიული დაბლობია, უკაცრავად, ქვეყანაა, თავისი საკუთარი კანონ-წესებით, და ამ ქვეყანას აქვს შესაძლებლობა, გაიზარდოს დასავლეთის მიმართულებით და თან გზა-გზა ჩაყლაპოს მცირე ერები, მათი ენები, წეს-ჩვეულებანი, ლუდი, ჩაყლაპოს ასევე დიდი ერებიც, დაანგრიოს მათი

სალოცავები, ყავახანები, და რაც მთავარია, ვიწრო მოკირწყლულ ქუჩებზე მდებარე მყუდრო, კოპწია სამეძავოები, მე არ შემიძლია ამას გულხელდაკრეფილმა ვუყურო და ენა მუცელში ჩავიგდო. არცთუ დიდი ხნის წინ ამხანაგმა მაჩვენა ძველი საფოსტო მარკები იმ ქალაქის პეიზაჟებით, სადაც ვცხოვრობ. ის მარკები დაახლოებით ორმოცდაათი წლისაა. მე წამოვიძახე: ვისურვებდი ამ ქალაქში ცხოვრებას! სადღაა იგი?! რა უქნეს მას?! სადაა ჩემი უფლება ჩემს ლუდზე? ეს იყო ნამდვილი შუხური!

ამიტომაც მე უკრაინის რუსეთისგან სრული გამოყოფის მომხრე ვარ! გაუმარჯოს უკრაინელი და რუსი ერების ურღვევ მეგობრობას! მენდეთ, ამ ორ ფრაზას შორის არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა. ვუსურვებ დიდ რუს ხალხს ბედნიერებასა და აყვავებას! ჩვენსა და თქვენს ლუდს გაუმარჯოს!

შენი გამოსვლიდან რამდენიმე წამში კვლავ სუფევდა დაძაბული სიჩუმე, რომელმაც უცებ იფეთქა შეშლილ, უძირო, უსაზღვრო ოვაციად და თვით ქარ-წვიმის ხმაურიც ჩაახშო. აქ შეკრებილთ რა ხანია სურდათ შენგან ამის მოსმენა. როგორც იქნა, მათ ყველაფერი განუმარტე. ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება. შენც ხელს სტაცებ საკუთარ ჩანთას და თავის მდაბლად დაკვრით გასასვლელისკენ მიემართები, მაგრამ გაჩერებენ ხელის ჩამოსართმევად, მადლობის სათქმელად, მოსალოცად, და შენ ამჩნევ ცრემლებს მათ თვალებში, ვიღაცა საკუთარი ლაბადიდან აძრობს და გჩუქნის მდუმარე გაზეთში გახვეულ, წინაისტორიულ ლოქოს. როდესაც გასასვლელთან ცდილობ, გვერდი აუარო ბელზებელის თანაშემწეს, იგი გულში გიკრავს და მოუქნელად, დარცხვენით გკოცნის მარცხენა ყურის ძირში, მერე კი მიმავალს დიდხანს გიკრავს ტაშს, ასევე ტაშით მიგაცილებენ საბრალო ალვებს შეხიზნული ორი ადგილობრივი მოძალადე და უძლური სპეკულანტი დედაბერი, რომელსაც ეს-ესაა ცხრაფა ტყავს აძრობდნენ...

მაისის ცივ წვიმაში შენს შუბლს ცეცხლი უკიდია.

ამ ქალაქში, ამბობენ, მილიონი უკრაინელი ცხოვრობსო. ესე იგი მოსკოვი – მსოფლიოში უდიდესი უკრაინული ქალაქია. ყოველი მეათეს გვარი აქ „ენკო“-ზე მთავრდება. მაგრამ როგორ გამოვიცნოთ ისინი? ჩვენ ხომ ბოლო სამასი წლის განმავლობაში საკმაოდ დავემსგავსეთ ამ მკაცრ ჩრდილოელებს. რატომღაც იბადებიან სხვანაირი უკრაინელები – ღორისთვალება, უსახური და მრგვალსიფათიანი, უღიმღამო თმით, რომელიც მხოლოდ იმიტომ ამოსდით, რომ გასცვივდეთ. როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრების სრულიად ბუნებრივმა სურვილმა, რაც შეიძლება მალე გარეოდნენ ველიკორუსებს, მოგვიყვანა გარკვეულ შემგუებლურ მუტაციებთან. ჩვენი სახელოვანი წინაპრები გულმოდგინედ იშორებდნენ და თავიანთ ნაგრამსაც არ აჯილდოებდნენ შავი წარბებით, თაფლისფერი თვალებით, თეთრი ფეხებით, დაშაქრული ტუჩებითა და სხვა მსგავსი ეროვნული თავისებურებებით. ბოლო სამოცდაათმა წელიწადმა ეს პროცესი შეუქცევადი გახადა. ამაში დასარწმუნებლად დიდი დრო არაა საჭირო: საკმარისია ღამით გაიაროთ კიევის ვაგზალზე და შეხედოთ ამ ცუდად ჩაცმულ ღიპიან ხალხს: ხერსონელებს, ჟიტომირელებს, ვინიცელებს, კიროვოგრადელებს, ზაჩეპილივკელებს, ზატელეპანელებს, ზამუდონსკელებს, ლენინობოზელებს, ძერჟინსკოყ(...)ბს, – და, რა დასამალია, – ლვოველებსაც...

ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია ესტონელი, რომელსაც თავისმომჭრელად სძინავს მოსკოვის ვაგზალზე. ამ როლში უფრო ადვილად წარმოვიდგენ, მაგალითად, თურქმენს. მაგრამ იმპერიის უბედურება სწორედ იმაშია, რომ მან გადაწყვიტა, შეეთავსებინა შეუთავსებელი – ესტონელი თურქმენთან. ჩვენ, უკრაინელები, სადა ვართ ამ რუკაზე? სადღაც შუაში? ეს მცირე ნუგეშია.

ახლა ნებისმიერ აქაურ სულმოკლე შოვინისტს შეუძლია

თქვას: „დიახ, ჩვენ ერთიანი ერი ვართ! ჩვენ თქვენგან გარეგნულადაც არაფრით განვსხვავდებით! და აქ საკმაოდ სუსტი გამოდგება ფილიპ ორლიკით, უკრაინული ბაროკოთი, ვედელითა თუ გველის სუროთი მოხატული ხმლებით შემტკიცებული ჩემი კონტრარგუმენტები.[1] რადგან იგი მხოლოდ თითს გაიშვერს ამ მსუქანი, უბედური და ღატაკი ხალხისკენ, რომელმაც არც კი იცის, რომ უბედური და ღატაკია. მხოლოდ თითს გაიშვერს.

ამიტომაც, თქვენო სამეფო მოწყალებავ, ეგზომ აუცილებლად და ხსნად მიმაჩნია თქვენი უკრაინაში დაბრუნება. თქვენს არისტოკრატულ ეუროპულ იმიჯს, თქვენს ეშხსა და ბრწყინვალებას, თქვენს ქარიზმატულობას (იხ. ლექსიკონი), თქვენს უფლის მირონცხებულებას ძალუძს შექმნას ახალი ეროვნული მითი, თვალისმომჭრელი იდეალი. თქვენ აციმციმდებით მოსკოვის, პეტერბურგის, აშხაბადის, სახალინის, ურენგოის, ლუჩეგონსკის, კნასნოჟოპსკის ვაგზლებში მძინარე ყველა ამ „ენკო"-ების გზის მანათობელ ვარსკვლავად! მოუთმენლად დაველოდები თქვენს დაბრუნებას და კიევის ტახტზე ძლევამოსილად ასვლას.

მარად თქვენი ოტო ფონ ფ., უკრაინელი პოეტი.

ეს წერილი ხელმწიფე ოლელკო მეორისადმი (დოლგორუკრიურიკოვიჩისადმი) შენ მე-18 ავტობუსში შეთხზე სადღაც გონჩაროვის მეორე ჩიხსა და იაბლოჩკოვის ქუჩებს შორის, ავტობუსში კი ინსტრუქციის თანახმად ჩაჯექი. უკეთუ ინსტრუქცია მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეა. გაჩერებაზე ჯიბიდან/ჩანთიდან უნდა ამოიღო ბილეთი, ასწიო მაღლა მარჯვენა

[1] ფილიპ ორლიკი – გეტმან მაზეპას თანამებრძოლი, უკრაინის პირველი კონსტიტუციის ავტორი; 2. არტემ ვედელი – ბაროკოს ეპოქის დიდი უკრაინელი კომპოზიტორი, რომელმაც თავი მოიკლა. 3. უკრაინელ გლეხებს საქორწილო მსვლელობების წინ მიჰქონდათ ხოლმე გველის სუროთი მოხატული ხმალი, რაც მათ რაინდულ წარსულზე მიუთითებდა.

ხელით და ასე მიაშურო სალონს. იქ იგი დაუყოვნებლივ უნდა გახვრიტო კომპოსტერით. თუ მრავალჯერადი მოხმარების სამგზავრო დოკუმენტი გაქვს, ეს მგზავრებს ხმამაღლა უნდა აცნობო. ერთხელ ავტობუსში ორი ნაზი ქალბატონი ჩაჯდა და გამოაცხადა: „ჩვენ თვიური გვაქვს". ინსტრუქციის შებამისად.

იაბლოჩკოვის ქუჩაზე, როგორც ყოველთვის, ავტობუსი საბჭოურ საბავშვო ტანსაცმელში გამოწყობილი ვიეტნამელებით გაიტენა. ისინი ერთმანეთს რაღაცას ეჭუკჭუკებოდნენ, და შენც იძულებული გახდი თათარიახნად დაგესრულებინა წერილი მისი სამეფო მონყალებისადმი, რადგან უცებ მიხვდი, რომ თითოეული ვიეტნამური სიტყვა გესმოდა.

– თუ გაიგონე, ძვირფასო მეგობარო, როგორ კიოდა გამთენიისას მაიმუნი მთისძირა ტყეში?

– მაიმუნი კიოდა, დოლი ბრაგუნებდა, მე კი დილამდე ვსვამდი ღვინოს ცივ ფანჩატურში, ყვავილგაცვენილი ქლიავის ახლოს, – მიუგო მეორემ.

– მეც დილამდე თვალი ვერ მივლულე, ისე შრიალებდა ბამბუკი ფანჯარასთან, ისე გალობდნენ ვარდისფერი ფლამინგოები ტბებში.

– საყვარელ მეგობართან, დიდ პოეტსა და კალიგრაფთან დამშვიდობებისას მოვუხმე მომღერალ გოგონებს და ლხინი გავუმართე. უკრავდნენ ჩვენთვის მოსიმღერე ქალები ციტრაზე, უკრავდნენ ჩვენთვის მოსიმღერე ქალები თავიანთი ნეფრიტის ჯოხებით, კარგად გალობდნენ მგალობლები და ელამუნებოდნენ ჩვენს ყურთასმენას.

ერთი მათგანი მელია იყო, მეორე კი გადაცმული პრინცესა. მხოლოდ განთიადისას დაუბრუნდა ჩემი ამხანაგი, პოეტი და კალიგრაფი, საკუთარ მთებს. მემშვიდობებოდა მანამ, სანამ მისი ცრემლები ღვინოში არ გაზავდა, ბოლოს კი მელია თან წაიყვანა, ხოლო გადაცმული პრინცესა მე დამიტოვა. როცა შინ

დავბრუნდი, მხოლოდ ვარდისფერი ლოტოსი ვიხილე სარეცელზე. გამქრალიყო საუკუნოდ პრინცესა. იქნებ იგი არც ყოფილა?

– ოქროს ურჩხულის მსგავსი პაგოდის ქვეშ წუხელ მოხეტიალე ფარანთა ზეიმი იყო. იქ ვნახე, როგორ დაკარგა მარაო იმპერატორის საუკეთესო ხარჭამ. იგი ჩემ გვერდით ჩაატარეს კაკლის ხის ბალდახინით და მაშინ ჩაუვარდა ბალახში მარაო. წუხელ არც მიძინია, სულ ვისუნთქავდი მზეთუნახავის დაკარგული მარაოს სურნელებას...

– ბამბუკი კი ფანჯარასთან დილამდე შრიალებდა და მესმოდა, როგორ იზრდებოდა იგი, ფრჩხილებიდან იზრდებოდა, კანიდან ამოდიოდა...

– სამოცდაათში ზუსტად ასე გავაფრთხობინე სული ამერიკელს – ოცი მეტრიდან დანა ბეჭებს შორის გავუყარე...

– გუშინდელ გვამს რა უყავით?

– ჯერ ჩემს ოთახში გდია. როცა დაღამდება, ჩავუშვებ კანალიზაციაში თავის კუჭმაჭიანად...

– მას მართლა უნდოდა ყუთი არყის წართმევა?

– მას ბოთლი ოცდაათ ლენინად უნდოდა, მე კი ოცდათხუთმეტად ვყიდდი. ბოლოს ოცდაცამეტად მოვრიგდით და მაშინ ერთი ყუთი ლუდის შეძენაც მოისურვა. მაგრამ შენიშნა, რომ ოთახში მარტო ვიყავი... მან რა იცოდა, რომ ამერიკელები გამიგორებია და თანაც მასზე დიდები. მთვრალი იყო, არყით ყარდა. ის დიდი თეთრი ტომარა, ისა.

– ადამიანი სხვა რაღაა, თუ არა ქვიშის ნამცეცი, სამყარო კი მხოლოდ ტანჯვაა, და უმთავრესი, რისი გაკეთებაც მას ჩვენთვის შეუძლია, სიცოცხლის წართმევაა...

– ასე გვასწავლის ბუდა, ასე გვასწავლიდა ამხანაგი ხო-შიმინი...

ამ ბრძნულ სიტყვებზე ყაჩაღების მთელი ეს უძილარი ბრბო ავტობუსიდან ჩაცვივდა. ვიღაც ჰყვებოდა, რომ ისინი ძალიან

აფასებენ დიდ თეთრ ძმებს. ისევე, როგორც პატარა შავ მწერებს.

გაჩერება „დიმიტროვის პირველი გასასვლელი". წინ წვიმით დატბორილი ბუტირკის უფართოესი პერსპექტივაა, უკან – დიმიტროვის გზატკეცილი, მაგრამ იქით წასვლა არ ღირს, თუმცა მანდ არის სასტუმრო „მალადიოჟნაია", სადაც ეჟევიკინს, მისივე მონაყოლით, ზოგჯერ კომკავშირის კონფერენციის ორი დელეგატი გოგონას შეკვეთაც მოუხერხებია.

სხვათა შორის, სიყვარულის შესახებ. მგონი, გალია უკვე დაბრუნდა ექსპედიციიდან. ხომ არ შემერბინა? რა ეშმაკი მაბოდიალებს ნასვამს ამ წყლით გაჟღენთილ მოსკოვში და თანაც სიცხიანს? მით უფრო, დილიდან არაფერი მიჭამია, გარდა მკვდარი თევზის ფარფლებისა ფონვიზინზე მდებარე ლუდხანაში. რა თქმა უნდა, დასარეკია გალიასთან. ერთ-ერთ სატრფოსთან. ვნებათა და ნაზი ფსიქოლოგიური ნიუანსების თამაში. სადომაზოხისტური ეტიუდები. სცენები გარყვნილთა ცხოვრებიდან. ეგოიზმების ორთაბრძოლა. ახალი სიყვარულის სკოლა. უჰ!..

გაჩერება „ტროლეიბუსის ქარხანა". ტროლეიბუსის ყურე. სულაც არაა სასაცილო. მაინც, სად მიდიხარ, ფონ ფ.? არ დაგავიწყდეს მეგობართა შვილები, კირილი, მისთვის მიცემული სიტყვა.

გესმის, ჩემო საყვარელო სინდისის ქენჯნავ, საქმე ამრიგადაა. არსებობს ათასი ხერხი „ბავშვთა სამყაროში" მისასვლელად. მაგალითად, შესაძლებელია ამ ავტობუსითვე პირდაპირ მიჯაყჯაყდე ჩემანალა ძერჟინსკის ძეგლამდე, და ცალი თვალით ლუბიანსკის კომპლექსს მზერამიჯაჭვული ჩახვიდე მიწისქვეშა გადასასვლელში, რათა იქიდან ზედ „ბავშვთა სამყაროსთან" ამოყო თავი. შეიძლება ამ გზის გამოყენება, მით უფრო, რომ უკვე გაჩერებაა – „ბუტირკა, 46".

მაგრამ არის ბევრი სხვა, არანაკლებ საინტერესო ხერხიც, ჩემო საყვარელო სინდისის ქენჯნავ, სინდისის აქიმო. მაგალითად, ჩამოხვიდე სავიოლოვსკიზე. დაურეკო კირილს და გააფრთხილო, რომ ცოტა დაგაგვიანდება, მაგრამ აუცილებლად მიხვალ. ჩაჯდე მეტროში. სერპუხოვის ხაზით გაქანდე თვით სადგურ „ბოროვიცკაიამდე", რომელიც ზუსტად კრემლსქვეშ-მოთაა. „ბოროვიცკაიასთან" გადახვიდე „არბატსკაიამდე", ოღონდ არა ფილიოვის, არამედ „არბატ-პოკროვსკის" ხაზით, რადგან არსებობს ორი სრულიად სხვადასხვა მეტროს სადგური „არბატსკაია", ისევე როგორც ორი სრულიად სხვადასხვა მეტროს სადგური „სმოლენსკაია", რის გამოც ზოგ ვინმეს რქებში ჩარტყმა არ აწყენდა. მაგრამ ოცდაათიან წლებში ასე სურდათ, საბოლოოდ დაებნიათ ინგლისის დაზვერვა.

ეჰე! „სავიოლოვსკის ვაგზალს" უკვე გასცდენიხარ, ჩემო კარგო. საინტერესოა, რანაირად აპირებ, მთვრალო საფრთხობელავ, არბატსკ-პოკროვსკის ხაზის სადგურ „არბატსკაიადან" მაღაზია „ბავშვთა სამყაროს" ხაზამდე მისვლას?

სულ უბრალოდ. ჩავალ „არბატსკაიადან" ახალ არბატზე, ანუ სირი კალინინის პროსპექტზე და გავყვები ვაგონს კინოსა-კონცერტო დარბაზ „ოქტიაბრსკაიამდე". იქვე, სხვათა შორის, ყურის ძირშია „მელოდია", საიდანაც ბოლოს და ბოლოს წამოვიღებ მაიკლ ოლდფილდის ჩანაწერიან ჩემს კასეტას. მერე კი მარჯვნივ გავუხვევ, სადაც შესანიშნავ ძველ ქუჩაზე, მლპობარე მოსკოვური მოდერნის ელექტრონულ ნაკრძალში, საქართველოსა და ლიტვის საელჩოების შორიახლო, არყის ხეებს შეყუჟული ერთი ფანტასტიკური სახლია, რომელშიც არავინ ცხოვრობს. გალიას გარდა.

მაგრამ „ბავშვთა სამყარო", ფონ ფ.! შენ ერთი ნაბიჯითაც ვერ მიუახლოვდი მას!

დამშვიდდით, მეგობრებო! გალიასთან სულ ერთი საათი

დავრჩები, დავნაყრდები, შესაძლოა, კირილსაც დავურეკო და ზუსტი დრო შევუთანხმო. მაშინ გადავკვეთ ვოროვსკის, გერცენისა და ა. შ. ქუჩებს, ჩავუვლი ეკლესიას, სადაც პუშკინმა წინდაუხედავად ჯვარი დაიწერა, და ბულვარნოე კალცოზე გავვარდები. იქ უკვე ელემენტარული ამბავია. იქ ვარიანტების მთელი კონაა, მთელი ტყეა, ვარიანტების ლაბირინთია. სხვათა შორის, რა გავიარეთ ახლა? „სუშოვსკი ვალი"? არა, სუშოვსკი უკვე იყო. აჰა, „ვადკოვსი პერეულოკი", რომელიც ადრე „ლობკოვსკი პერეულოკი" მეგონა...

მაშასადამე, „ბულვარნოე კალცოზე" ორ გაჩერებას გავივლი ნებისმიერი ტროლეიბუსით ან ფეხით და პუშკინის მოედანზე მეტრო „პუშკინსკაიასთან" გავჩნდები. იქიდან მხოლოდ ერთი მიწისქვეშა გაჩერებაღაა სადგურ „კუზნეცკი მოსტამდე". მორჩა. ჩამოვდივარ „ბავშვთა სამყაროს" გვერდით, ოლონდ ძერჟინსკის ძეგლის კი არა, ხუინსკის ძეგლის მხრიდან.

თუმცა ამჟამად მხოლოდ ბუტირსკის ციხეს ჩავუარე. მახსენდება ანდრუხოვიჩისეული: „მე აქ ყოველდღე ციხის გასწვრივ დავდივარ ხოლმე, მე მასწავლიან, ვით მიყვარდეს ქვეყანა ესე". კარგი სტრიქონებია, ჩემმა მზემ.

მაგრამ არსებობს უკეთესი ვარიანტიც. სულაც არაა აუცილებელი პუშკინის მოედანზე მეტროში ჩაძრომა. შეგიძლია დაელოდო ამავე მეცამეტე ავტობუსს, რომელშიც ახლა ზიხარ და მიჯაყჯაყდე უკვე ნახსენები უხსენებლის ძეგლამდე.

აბა, აბა, ფონ ფ., ღმერთმა არ გადაგაცდინოს ამ გზიდან. მთელი ეს მარშრუტი რატომღაც ძალიან საეჭვოდ გამოიყურება. შენ ახლა რემბოს ერთ ლექსს მაგონებ. „მთვრალ ხომალდს" არა. „ხომალდი" შენთვის საკმაოდ ლამაზი ეპითეტია. მთვრალი ბულდოზერი, აი, ვინა ხარ შენ.

და ნულარ უქშენ ასე ვნებიანად წინ მჯდომ გოგონას კეფაში. თუმცა, იგი რაღაცით კი ჰგავს მეძავს, მაგრამ ჯერ კიდევ

მოწაფეა, აგერ, თეთრი წინსაფარიც უკეთია. არც კი გაიფიქრო აეკიდო მას. შენ ხომ გალიასთან მისვლას აპირებ! ჰეი, ფონ ფ., შეჩერდი, რა გჭირს, საით მიემართები?

აფსუს, რა გოგონა დამეთესა! მომეჩვენა, რომ მას ტუჩებზე ალუბლის მურაბა ეცხო და მეც მხოლოდ იმ მურაბის ჩამოლოკვა მინდოდა, მეტი არაფერი. ცხოვრებაში ზოგჯერ რაიმე ტკბილის გასინჯვა გენატრება. რომელიმე კარამელისა, მაგალითად.

მაგრამ დროულად ჩავედი. მეტროს სადგური „მენდელეევსკაია". ბლოკის სიმამრის პატივისცემით ჰქვია ასე. ჩემი სიმამრის პატივისცემით თუ დაარქმევენ მეტროს რომელიმე სადგურს მის სახელს? მეტი არაა ჩემი მტერი. თანაც, ბოლოს და ბოლოს, სიმამრი უკვე არა მყავს. თუმცა, მგონი, ოდესღაც მასთან ჭადრაკიც მითამაშია.

პირველი ზარი ბოლომდე არ გასულიყო, რომ გალიამ ყურმილს ხელი სტაცა.

– შენა ხარ?..

– მე ვარ...

– როგორაა საქმეები?

– ისე, რა!

– გამოვივლი...

– ჩემთან? – მეკითხება ხაზგასმულად გულგრილი ხმით.

– შენი ნახვა მინდა! – ვეუბნები ხაზგასმული მოუთმენლობითა და ვნებით.

– გამოიარე...

– შენ, როგორც გატყობ, არ გინდა...

– გამოიარე-მეთქი...–ამბობს ოხვრით, გულგრილობამ გაცილებით იკლო.

– არა, თუ არ გსიამოვნებს, არ გამოვივლი...

– მოდი, გელოდები! – გულგრილი ხმა დამარცხებულია. საუბარიც დასრულებული. მოკლე ზუმერი. აქაურ ტელეფონებს

შეუძლიათ საკმაო იქედნურობით დაგცინონ. მეტი მონეტაც არა გაქვს. და ეს იმ დროს, როცა გული სისხლისგან გეწრიტება.

კირილს შენი ზარის გაგონებამდე ცოტა ხანი კიდევ მოუწევს მოცდა. დრო, კაცმა რომ თქვას, ჯერ ოხრადა გაქვს. მხოლოდ სამი საათია.

ახლა, თქვენო სამეფო მონყალებავ, ოლელკო მეორევ, ცოტა რამ ჩემი სატრფიალო ისტორიიდან. თქვენ ეს ოდნავაც არ გეხებათ, მაგრამ მსურს, რომ თქვენც, თქვენო უწრფელესობავ, იცოდეთ ვასალთა თქვენთა გულის ვარამი.

ჩემი უბედურება ის გახლავთ, რომ ცოლი დროზე არ შევირთე. ან ის, რომ უდროოდ განვქორწინდი. მაგრამ ეს მოხდა ჯერ კიდევ სხვა ცხოვრებაში, იმ კურთხეულ დროში, როცა, ერთი ჩემი ნაცნობი პოეტის თქმისა არ იყოს, ქრონიკული ლოთი ვიყავი. ეს ახლა მყავს თავი ხელში აყვანილი და თითქმის არ ვიტრიტები, თორემ სამიოდე წლის წინ უკრაინის ყველა გამოსაფხიზლებელში იცნობდნენ ჩემს პროფილსა და ანფასს. მერე ერთ-ერთმა იმ ქალთაგანმა, რომლებიც გამოსაფხიზლებლების ფანჯრებთან დაფაშფაშებენ და საკუთარი გემოვნებით ირჩევენ კარში გამოგდებულ საბრალოებს, ჭირვეული არჩევანი ჩემზე შეაჩერა. შინ წამიყვანა, დამბანა და ცხელი წვნიანით დამანაყრა. ღამით უკეთესად რომ დამათვალიერა, გაუხარდა: ო-ო, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ყოფილხარო! (მე მაშინ მართლაც ოცდაათისაც არ ვიყავი...)

ამრიგად, მან გადაწყვიტა საკუთარ საწოლზე ჩემი მიმაგრება. ოცნებად ჰქონდა, იქიდან საერთოდ არ ავმდგარიყავი. მიძენდა ტანსაცმელს, სასმელ-საჭმელს, თვით სიგარეტ „კენტსაც“, რადგან საბჭოურს ვწუნობდი. დილიდან საღამომდე მის ბინაში ბოლთას ვცემდი და მხოლოდ მასზე ვფიქრობდი. რაღაც უცნაური ხერხებით მან მართლაც მოინადირა ჩემი გული. სულ აღარ

მედარდებოდა, რომ ჩემზე ათი წლით უფროსი იყო. ღამით, როცა ღრმად შევიცნობდით ერთმანეთს და ხვევნა-ალერსში ვიყავით, არავითარი ასაკობრივი განსხვავება არ იგრძნობოდა. თანაც დაახლოებით იმავე დროს ჩემი მეგობარი მხატვრის სახელოსნოში დამყავდა ერთი მეათეკლასელი გოგონა ვიკა, რომელიც, თავის მხრივ, ათი წლით უმცროსი იყო ჩემზე, ანუ ბუნებას ყველაფერში დამყარებული ჰქონდა წონასწორობა და ბრძნული ბალანსი. დღემდე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემი სატრფოების ასაკობრივი დიაპაზონი მთელ თაობას უდრის.

იმ მეათეკლასელ გოგონას იმიტომ ვეტრფოდი, რომ მოსმენა შეეძლო. ჩემი ლექსები არც უყვარდა და არც ესმოდა, მაგრამ თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს გიჟდებოდა მათზე. სინამდვილეში კი ეგრევე ტახტზე გაშხლართვა და ხახუნი ენატრებოდა. მაშინ განგებ დავიწყე გრძელი და რთული ტექსტების შერჩევა, რათა მეტხანს ეგიჟა. რაკი მეტაფორების ფაბრიკა არა ვარ და საკუთარი შემომაკლდა, შეუმჩნევლად (ის მაინც ვერ ხვდებოდა) მეგობართა ლექსები შევაჩეჩე . იგი პირდაპირ თრთოდა, როცა უკლებლივ ყველა სასვენი ნიშნისა და ინტონაციის შენარჩუნებით ასე რვაასსტრიქონიანი პოემა-ვერლიბრის ვნებიანად კითხვას მოვყვებოდი.

ერთხელ მას ისტერიკა დაეწყო, „კარპატების საშემოდგომო ძაღლებზე“[1] მეორედ გაათავა, როცა ვუკითხავდი ლექსს „ფეხბურთი მონასტრის ეზოში“[2]. და ამით საშინლად კმაყოფილი ვიყავი. ერთხელ ბავშვურად გულუბრყვილო, მახინჯი სცენა მომიწყო და გამომიცხადა, შენ გამო პოეზია საუკუნოდ შემძულდაო. ოღონდ ტკბილი ორგასტიკული სიძულვილითო. თურმე იგი თავდავიწყებით ოცნებობდა, ათწლედის მერე ჩემი

---

[1] „კარპატების საშემოდგომო ძაღლები“ – ცნობილი თანამედროვე უკრაინელი პოეტის ვასილ გერასიმიუკის ლექსი.

[2] „ფეხბურთი მონასტრის ეზოში“ – იური ანდრუხოვიჩის ლექსი.

ცოლი გამხდარიყო. მე ამაზე „ვარი“ ვუთხარი, თუმცა ძალიან მიყვარდა და საბოლოოდ გადავერთე ქალზე, დავარქვათ მას ქალბატონი მ., რომელმაც გამოსაფხიზლებლის კედლებთან მიპოვა.

მაგრამ ბუნებას არ უყვარს დისბალანსი. ქალბატონი მ. სულ უფრო ხშირად და გულმხურვალედ იხსენებდა ყოფილ ქმრებსა და საყვარლებს. რატომღაც მოულოდნელად აღმოაჩნდა ასეთი თვისება. და ეს ხდებოდა ყველაზე ინტიმურ წუთებში. ის კი არა და, წინამორბედთა სახელებით მომართვა დამიწყო. მცირე ნუგეშად ისღა დამრჩენოდა, რომ, მისივე ახსნით, მას მოსწონდა მამაკაცების გარკვეული ტიპი და მე გარეგნულად ძალიან ვგავდი თითოეულ მის ყოფილ პარტნიორს. მე კი, გულწრფელად რომ გითხრათ, მართლაც მაქვს მრავალთა მსგავსი გარეგნობა. რატომღაც მმობლებს არ შევუქმნივარ ისეთ ურჩხულად, რომ კეფაზე კოპი და წარბებს შორის პირი მქონოდა. როგორღაც ასე მოხდა. და მაინც დარწმუნებული ვარ, რომ შინაგანად არავის ვგავარ. ამიტომაც მაღიზიანებდა მისი ყოველდღიური უნებლიე წამოცდენები, როცა იძულებული ვიყავი, მეპასუხა ვინმე ვალერიანის, ოსვალდისა თუ სულაც მიხეილის სახელის[3] დაძახებაზე.

ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ვერ გავუძელი და მივატოვე. მეათეკლასელთან მაშინ სწორედ დავამთავრეთ „მაჰაბჰარატა“, რომელსაც ის ბრიყვი წრფელად აღიქვამდა ჩემს ორიგინალურ პოემად. „ოდისეაზე“ გადასვლა ვერ მოვახერხე: აღმოჩნდა, რომ მასზე სკოლაში რაღაც გაეგონა. ამდენად მხილებული აღმოვჩნდი და ისღა დამრჩენოდა, ღირსეულად გამეწყვიტა მასთან კავშირი უკუნისამდე.

ჩემი მაშინდელი მწარე ყოფა რაიმე გამოსავალს მოითხოვდა. რამდენიმე ნაკლებსაინტერესო თანამესუფრის გარდა თითქმის

---

[3] იგულისხმებიან ე.წ. „დახვრეტილი აღორძინების“ წარმომადგენელი მწერლები ვალერიან პოლიშჩუკი, ოსვალდ ბურჰარდტი და მიხაილ სემენკო.

ყველასგან მიტოვებულმა და ნაღალატევმა საბოლოოდ მოსკოვში გაქცევა ავირჩიე. სხვათა შორის, თქვენო სამეფო მოწყალებავ, მე მოსკოვოფილობის არაფერი მცხია. იმხანად კიევში, რომში, ნიურნბერგში ან სან-ფრანცისკოში გაქცევის საშუალება რომ მქონოდა, ვერანაირი მოსკოვი ვერ მიხილავდა. მაგრამ გაქცევა მხოლოდ აქეთ შემეძლო, რათა ოსტანკინოს ტელეანძის მახლობლად მყრალი შენობის მეშვიდე სართულზე დავმალულიყავი.

მოსკოვმა კიდევ რამდენიმე ტრფობა შემომაჩეჩა. თავდაპირველად ერთი კრიტიკოსი გოგო, რომელიც წელიწადში ორჯერ გამოჩნდებოდა ხოლმე და რომელთან ერთადაც მთელი ფელინი ვნახე. ეს იყო საკმაოდ საინტერესო შემთხვევა – სიტყვიერი სექსი. ჩვენი სქესობრივი კავშირი საუბრებში გამოიხატებოდა: მისხალ-მისხალ განვიხილავდით რომელიმე კაზანოვას ან, ვთქვათ, მარკიზ დე სადს, ვაფრქვევდით როზანოვის, ფროიდისა და სოლოვიოვის ციტატებს. ბლანტი, ტკბილი ნერწყვით დასველებულმა ენებმა ჩვენ შეგვიცვალეს გრძნობისმიერი და ხორციელი სიამოვნებანი. ეს საუბრები სადღაც ღამის ორ საათამდე გრძელდებოდა, სანამ ბოლოს და ბოლოს, ქანცმიხდილები და ბედნიერები დასაძინებლად ცალ-ცალკე ოთახებში არ დავწვებოდით. და ერთხელაც არ დაგვიძინია ერთად. იმდენად გვფიტავდა ის საუბრები. იმდენად თვითკმარი იყო ისინი. მეც მქონდა რამდენიმე მიღწევა მასთან. მაგალითად, ვასწავლე ცნებების „ფალოსისა“ და „პენისის“ ერთმანეთისგან გარჩევა, რადგან ისინი ადრე სინონიმები ეგონა.

მისი ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს ალექსანდრასთან ვმეგობრობდი. ხანდახან ისინი ჩემს ოთახში ხვდებოდნენ ერთმანეთს. და მაშინ ორივე თავის ეშმაკურ თამაშს იწყებდა და ელოდა, ვინ უფრო ადრე დატოვებდა აქაურობას. მე კი ამასობაში ჩაის ვადუღებდი და ვეწეოდი. გონებაში მიკვირდა საკუთარი ბოზიშვილობა. არა მგონია, რომელიმე მათგანი გამარჯვებული

გამოსულიყო, რადგან მათ განსხვავებული სურვილები ჰქონდათ და თითოეული თავისას იღებდა.

ალექსანდრასთან დაახლოება კათოლიციზმის ნიადაგზე მოხდა. იგი ნეოფიტის მთელი შემართებით ჩაუღრმავდა რომაული წესის საეკლესიო ცხოვრებას და თითქმის ყოველდღე სტუმრობდა მოსკოვში დღესდღეობით, მგონი, ერთადერთ წმ. ლუდოვიკოს სახელობის კოსტიოლს[1]. იქ სანდომიანი ახალგაზრდა მღვდლები სულის მხსნელ საუბრებს უტარებდნენ, აზიარებდნენ ასკეტიზმის გემოს და აჩვევდნენ მისკენ ლტოლვას. ალექსანდრასაც, როგორც ჩანს, სიმპათიური მამაოებით ფარულმა აღტაცებამ საკუთარი თავის ასკეტური სრულყოფის იდეა გაუღვივა, რაც მის მიერ უკრაინის შეცნობას ხელს არ უწყობდა. იგი თანდათანობით სულ უფრო ემსგავსებოდა მხოლოდ დიად მისტერიებში ჩაღრმავებულ დამწყებ მონაზონს. ვცდილობდი, მომეგო მოძღვრებთან ბრძოლა ალექსანდრას ყოველგვარ ეროტიკულ და უხამს ტექსტებთან ზიარებით. მაგრამ ეს სულ სხვა შემთხვევა იყო. როგორც წესი, იგი არ მოდიოდა პაემანზე, იგონებდა საკმაოდ აშკარა ტყუილებს, რომლებიც, მისი აზრით, ცოდვად არ ითვლებოდა.

ერთ გვიან საღამოს, როცა ცხადი გახდა, რომ ჩვენს საუბარს ქარიზმისა და გამოცდილებით მოპოვებული სიწმინდის შესახებ გაგრძელება ვერ ექნებოდა, მან ჩემს ოთახში თვითონ გამორთო შუქი და ჩაუმწვარი სანთელი აანთო. „გესმის, სხეულზე სტიგმის არსებობა თავისთავად შეიძლება ნიშნავდეს მადლს, მაგრამ ამავე დროს მოასწავებდეს რაღაცნაირი განსაცდელის დასაწყისს", – სუნთქვაშეკრულად ვჩურჩულებდი და ძალით ვაძრობდი ბავშვურ აზღუდს თითქმის არარსებული ძუძუებიდან. „სულელო", – მპასუხობდა იგი, მაგრამ არ მქონდა

[1] კოსტიოლი – პოლონელთა კათოლიკური ეკლესიის შენობა

გარკვევის თავი, თუ რატომა ვარ სულელი: ასეთი სულელურია ჩემ მიერ გამოთქმული აზრი, თუ აზრი კია სწორი, მაგრამ გამოთქმულია უადგილოდ...

იგი სიყვარულში საკმაოდ მიხვედრილი და მიზანსწრაფული გამოდგა. ის იყო ჟანა დ 'არკი! ან წმინდა ტერეზა! მე მსგავსი რაიმე ვერ წარმომედგინა, ამიტომ გამთენიისას ეჭვიც კი შემეპარა, რომ შევძელი ბრძოლის მოგება ახალგაზრდა პოლონელ მღვდლებთან, მის მოძღვრებსა და დამრიგებლებთან.

როგორც შემდგომ გამოირკვა, ალექსანდრას ერთხელ მოესწრო კიდეც გათხოვება. როცა დავრწმუნდი საკუთარი ჩანაფიქრის მიამიტობაში, ნელ-ნელა გამერყვნა იგი, ჩემთვის მოულოდნელად მასზე გული ავიცრუე და სრულიად უცხო დამკვირვებლის დარად ვადევნებდი თვალს საკუთარ გრძნობათა დაწრეტას. სისხლი საფეთქლებზე მიკაკუნებდა, როცა საერთო საცხოვრებლის დერეფანში გადავაწყდებოდი, მაგრამ ავადმყოფობამ საკმაოდ უმტკივნეულოდ ჩაიარა.

სწორედ ამ დროს შევხვდი ასტრიდს, თუმცა მაშინ უკვე ვიცნობდი გალიას. ახალი წლის კვირაძალზე ჩვენ ერთი კუპეთი მოგვიწია მგზავრობა. მე შინ მივდიოდი არდადეგებზე, ის კი კარპატებში სათხილამუროდ მიემგზავრებოდა. ტიპური მოსკოველი გოგო იყო, უკრაინელების მიმართ ოდნავ ქედმაღალი, მთელი გზა ცდილობდა, ენის შესახებ ეხუმრა, მაგრამ მგონი, შევძელი მისი ხახოლური სტერეოტიპის გაფანტვა. უკვე ლვოვის მახლობლად მკითხა, სპორტს თუ მისდევო. ხომ არ ისურვებდი დაბრუნებულზე აუზზე სიარულსო! დამპირდა, შემიძლია საუწყებო აუზზე ასეთი სიამოვნება გაგინაღდოო. მაგრამ ყველაზე უფრო მისმა პროფესიამ მიმიზიდა, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ სილამაზის საკმაოდ გავრცელებულ ტიპს. პროფესიით კი იგი გველებზე მონადირე აღმოჩნდა. იქ, მატარებელში, მან ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა.

მაგრამ ამ ნომრით მაშინვე არ მისარგებლია, რადგან ჩემს გზაზე სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ასტრიდი. ნახევრად შვედი, მაგრამ ამერიკის მოქალაქე, რომელიღაც სააგენტოს მიერ მოსკოვში აკრედიტებული. უნდა გამოვტყდე, რომ „მემორიალის" გამოფენაზე, რომლის დათვალიერებაც ჩემდა საბედისწეროდ განვიზრახე, არც ერთ ექსპონატს ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორიც მას. გთხოვთ, სწორად გამიგოთ, თქვენო სამეფო გონიერებავ, იგი არ ყოფილა იმ გამოფენის ექსპონატი, უბრალო დამთვალიერებელი იყო, რომელიც ყურადღებას იპყრობდა მოუქნელი მოძრაობებითა და საშინლად დამტვრეული რუსულით. იმ დღიდან გამოვიარე სიგიჟისა და დასავლური სტილის სისაძაგლის ყველა სტადია.

ჩვენ ვხვდებოდით მეტროპოლიტენის სადგურებზე, თანაც ყოველთვის სხვადასხვა ადგილზე. იმ თვენახევარი-ორი თვის განმავლობაში თითქმის ზეპირად ვისწავლე ლენინის (კაგანოვიჩის) სახელობის ლენინის ორდენოსანი მოსკოვის მეტროპოლიტენის სქემა. მერე ვლოთობდით. აღმოჩნდა, რომ მოსკოვში თურმე ყველაფრის ყიდვა შეიძლება – ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის – „მარტელიდან" და „მალიბუდან" დაწყებული. თეორიულად ეს ყველამ იცოდა, პრაქტიკაში კი მხოლოდ მე გამიმართლა. მე და ასტრიდი ჩანთებს ვივსებდით საუკეთესო ფორმისა და შინაარსის ფერადი ბოთლებით და ამავე დროს ვხუმრობდით, რომ ახალი ღვინო ახალ ტიკებში უნდა ჩაისხას, ვხარჯავდით, ჩემი აზრით, ფანტასტიკურ თანხებს ტაქსიში, ვაწყობდით კოლოსალურ ავტოგადარბენებს მეგაპოლისის ერთი გარეუბნიდან მეორემდე, მერე გადმოვსხდებოდით ხოლმე მორიგ „ხავერაში", სადაც ვალაგებდით ჩანთებს, პარდონ, ტიკებს, პირდაპირ იატაკზე და ვიწყებდით სიგიჟეს, რაც მასშტაბებით ძველრომაულ ორგიას არ ჩამოუვარდებოდა და უსათუოდ სიმღერებითა და კედლებზე ბოთლების შემსხვრე-

ვით მთავრდებოდა. მომწონდა მასთან ყოფნა. ჯერ არასოდეს მეგრძნო თავი სამყაროს ასეთ მსუბუქ, თავისუფალ და უზრუნველ მოქალაქედ. მან აღმომაჩენინა ჩემთვის მანამდე უცნობი მოსკოვის მთელი მატერიკი – სავალუტო მოსკოვისა თავისი სასტუმროებითა და ბარებით, სადაც მიშვებდნენ სამოქალაქო სამოსში გადაცმული ოფიცრები, რომლებსაც ყრუ-მუნჯი ბელგიელები ვეგონეთ, ასტრიდი კი შეფარული კაპიტნების ცხვირწინ სხვადასხვა მოწმობებს აფრიალებდა და სეზამიც იღებოდა, ელვარებდნენ ჭაღები, მტკავლის სისქე ხალიჩები ნთქავდნენ ნაბიჯების ხმას, ოროთახიან ლუქსებს კი ციმბირის ტაიგისა თუ კოლუმბიური სელვის სუნი ასდიოდა: ეს დამოკიდებული იყო იმ ღილაკზე, რომელსაც თითი დააჭირეთ, და შვიდასწლიანი ბავარიული ლუდი შეგეძლოთ პირდაპირ ნომერში შეგეკვეთათ. იხდიდა, ცხადია, ასტრიდი. მასთან მე ვიმეცნებდი ძენის მთელ სიბრძნეს და ასევე ძველ კომუნისტურ სიბრძნესაც: „ორი სამყარო – ცხოვრების ორი წესი". რამდენადაც ჩვენ ვიყავით მისი ხელმწიფური მოწყალების – ალკოჰოლის – ქვეშევრდომები (ღმერთმა დაგვიფაროს, არავითარი ნართაულობა ან ალუზია!), სექსის ქვეშევრდომობა არცთუ ძალიან კარგად გამოგვდიოდა. ჩვეულებისამებრ გვეძინა ცარიელ ბოთლებს შორის, ნახევრად გადახვეულებს და ამ სფეროში მეტს ვერაფერს დავიტრაბახებდით. ზოგჯერ ერთმანეთს შევაცოცდებოდით და საკუთარი თმები ხალიჩის ხაოში გვებლანდებოდა, მაგიდის ფეხები კი ოფიციანტების ფეხებში გვეშლებოდა. ზოგჯერ ვარწყევდით კიდეც. როგორღაც ვცადეთ, აბაზანაში ერთად გვებანავა, მაგრამ დილით იქ მარტო მე აღმოვჩნდი, თანაც ჩაცმული, სამაგიეროდ, სრულიად შიშველი ასტრიდი შორიახლო იატაკზე იწვა და გვერდებზე რელიეფური კაფელი აღბეჭდვოდა. ეს ჩვენ ძალიან გვაცინებდა. ასტრიდი იმეორებდა, რომ ამგვარად, მისი მეოხებით, ეს აქოთებული,

დაწყევლილი, უსამართლო, ყიამყრალი დასავლეთი თავის ჩაჯმულ სიმდიდრეს უყოფს ნახევრად მშიერ და დასახიჩრებულ აღმოსავლეთს (ჩემი სახით). ამდენად, ჩვენ დიდ საქვეყნო საქმეს ვაკეთებდით.

ყოველივე ამას ბოლო მოუღო გალიამ, რომელთანაც მაშინ პარალელურად დავიწყე შეხვედრები. მას არ მოსწონდა ჩემი ტრადიციულად გასივებული სახე, ყოველდღიური მოთენთილობა, რომელსაც თან ახლდა შესამჩნევი გამოშტერებაც, ჩემი არცთუ დამაჯერებელი არაკი გალექსილ რომანზე, რომელსაც თითქოს მთელი დრო მიჰქონდა, და რაც მთავარია, ჩემი უარი ღამით მასთან დარჩენაზე. ბოლოს და ბოლოს მან ჩემში ქრონიკული ლოთი აღმოაჩინა და ნაცნობი ნარკოლოგით, საუწყებო დისპანსერითა და მკურნალობით დამემუქრა. ერთ დღეს გალიამ არ დაინანა საკუთარი ნერვები, სასტუმრო „როსიას" შესასვლელთან დაგვიდარაჯდა მე და ასტრიდს და საზიზღარი ცემა-ტყეპა გამიმართა. ასტრიდი დიდხანს ვერ მიმხვდარიყო, რა ხდება და ვინაა ეს გიჟი რუსის ქალი. მერე კი ისეთი ხარხარი აუტყდა, კინაღამ თან გადაჰყვა. ის კი არა და, შემომთავაზა, მომავალში სამივე ერთად შევხვდეთო. ტყუილუბრალოდ. იმ საღამოს მერე იგი არასოდეს მინახავს. ვეჭვობ, რომ გალიამ მას თავისი საცდელი კობრა მიუგზავნა. შხამმა ელვის სისწრაფით იმოქმედა. მომსახურე პერსონალიდან ვერავინ მიხვდა ასტრიდის სიკვდილის ჭეშმარიტ მიზეზს. იგი თვითმფრინავით ჯერ პარიზში, იქიდან კი ამერიკაში ჩაასვენეს. მე კვლავ მოვახერხე ფეხზე წამოდგომა, მაგრამ გალინას ეს ამბავი დიდხანს ვერ ვაპატიე. დარწმუნებული ვარ და მეტიც, რომ იგი ოდესმე მეც მომიგზავნის თავის გველს. აი, რანაირ ქალთან მივემართები ახლა, თქვენო სამეფო მოწყალებავ! ღმერთმა დაგიფაროთ დიაცებთან ისეთი აწეწილი ურთიერთობებისგან, მე რომ მაქვს. მომიტევეთ, გეთაყვა.

აჰა, ისიც, ეს სახლი-ნანგრევი, სახლი-ინვალიდი, რომელზეც ხეები იზრდება, სახლი – ძველი ციხესიმაგრე, სახლი, რომელშიც არავინ ცხოვრობს, ერთი ალქაჯის გარდა, რომელსაც უყვარს შხამიანი რეპტილიები და უყვარხარ შენ, ფონ ფ. იქნებ თვითონაც რეპტილია ხარ? იქნებ დიდი ხანია, რაც შენი ენა გაორდა, ალკოჰოლში დალბა და დასკდა ბილწსიტყვაობისგან.

სახლი კი მაინც კარგია. განსაკუთრებით ახლა, როცა ნახევრად დანგრეული სულს ღაფავს, ფანჯრები ჩამოშავებია და აივნები ჩამოშლია ამ კოკისპირულში, რომელიც გადაღებას არ ფიქრობს. საერთოდ, რას უპირებენ მას? აღებას? ცოდვაა: მოდერნის უნიკალური ნიმუში, საუკუნის დასაწყისი, რუსეთში კაპიტალიზმის გაფურჩქვნის ეპოქა, დეკადენტების, ნიცშეანელების, ტოლსტოელების, სოლოვიოველების, ევრაზიელების, მისტიკური ანარქისტების, ახალგაზრდა თვითმკვლელებისა და კიდევ ვინ იცის, ვისი ვერცხლის საუკუნე. სარესტავრაციოა? არავინაა, ხელი მოჰკიდოს. მშენებლები შემაგრებული წითელი ღვინის რიგში დგანან. ამ თავისებური სიტუაციის გამო ძველი მოსკოვის რესტავრაციას ფინელები ან თურქები აკეთებენ. განსაკუთრებით თურქები – ჩვენი კეთილი სამხრეთელი მეზობლები, გამრჯე ხალხი, რომელთა საკუთარი სახელი ჩვენთვის სიტყვა „სულელის“ სინონიმია. მაგრამ მხოლოდ მათ, თურქებს შეუძლიათ მოსკოვის გადარჩენა, როგორც ოდესღაც ბატებმა გადაარჩინეს რომი საბოლოო დაშლასა და გავერანებას.

მთავარი კი ისაა, რომ გალიასთვის ჯერ კიდევ არ გამოურთავთ შუქი, წყალი და გაზი. და სანამ ეს არ მომხდარა, იგი აქ დარჩება, რადგან წასასვლელი არსადა აქვს. მარტოკა ცხოვრობს დანგრევის პირამდე მისულ სახლში. მიჩვეულია კატების ღამეულ ჩხავილს. უშიშარი და შესანიშნავად ნავარჯიშებია... მას იცავენ მინის ყუთებში მოსისინე საყვარელი გველები...

გალია კარს გიღებს და სწრაფად – თან როგორღაც საკმაოდ

სწრაფად – ბრუნდება ოთახში. არავითარი ჩაკონება, კოცნა, ცრემლების ღვარღვალი. ა-ა, მოხვედი! ჯანდაბა შენს თავს, გაწუწულხარ ლეკვივით, წვერიც მოგიშვია. გაგახსენდა ჩემი არსებობა, ჩემთვის კი სულერთია, მოხვედი თუ არა, ნუ ეცდები ჩემს გაბედნიერებას...

მივარღვევ ზღურბლთან აქოჩრილი ფითრის ბუჩქებს და შევდივარ. მოწყობილია ფაქტობრივად მხოლოდ ერთი ოთახი. დერეფანი კი, თუ მინის ყუთებს არ მივაქცევთ ყურადღებას, ცარიელია. მაგრამ ბინდში გველები არ ჩანან. ისმის მხოლოდ ზომიერი შიშინი, თუმცა იქნებ ეს სულაც მარგარინი დნება სამზარეულოს ქურაზე.

– გალია, მგონი, ავადა ვარ, – ამბობ რალაცნაირი მთრთოლვარე ხმით, როგორც გაქუცული ტრაგიკოსი მსახიობი, – თუ ნებას დამრთავ, ვიბანავებ შენს ცხელ აბაზანაში. შეიძლება შენგან დავრეკო? ო, აქ მარტო სვამ?

ხანდახან იგი ასე იქცევა ხოლმე. ყიდულობს თავისთვის ერთ-ორ ბოთლ ღვინოს და წრუპავს. შენ კი თავიდან ვერც შენიშნე, რომ მასპინძელი გვარიანად შებრუჟულია. და არცთუ ისე კარგად გამოიყურება: თვალები ლურჯად შეშუპებია, ხალათი ღამის პერანგზე მოუცვამს, ლოგინი ჯერაც აულაგებელია, ოთახში არეულობაა.

– მოხდა რამე? – კითხულობ შენ და იატაკზე აგდებ, პოეტის თქმისა არ იყოს, დროშასავით დამძიმებულ ლაბადას.[1]

– ისე, დღეს არც შენ გქონია მარხვა, – ბოლოს და ბოლოს გესმის გალიას ხმა. სხვათა შორის იგი ისე, როგორც არავინ, ცნობს, ნასვამი ხარ თუ არა.

– რაც მართალია, მართალია, – პასუხობ უკვე აბაზანიდან და ცხელი წყლის ონკანს ატრიალებ.

---

[1] არაზუსტი ციტატა ვლადიმირ ნაზარენკოს ლექსიდან „შენ დროშასავით დამძიმებულხარ“.

– იცი, ვიგრძენი, რომ სიცხე მეწყებოდა და პროფილაქტიკისთვის ცოტა დავლიე...

ბრუნდები ოთახში და ათასგვარ ჭინჭებს შორის პოულობ მის ორკასეტიან მაგნიტოფონს და შენთვის ნაცნობი ტრუსით აცლი მტვერს.

– მაიკლ ოლდფილდის ბოლო კონცერტი მოვიტანე. ხომ არ მოგვესმინა?

იგი, რა თქმა უნდა, გაგებაში არაა, მოღუშულს უჭირავს არყიანი ჭიქა, მაგრამ იწყება მუსიკა – გიტარები, ფლეიტები, დოლები, კლავესინები, აბაზანაში მორაკრაკე წყალი... ანგელოზთა გუნდები ახალი ეგზოტიკური მიწების აღმოსაჩენად მოუხმობენ მეზღვაურებს, კარაველები მიადგებიან ნოტიო სამხრეთულ კუნძულებს, შენ კრეფ კირილის ნომერს.

– ოტო ხარ? დიდებულია! სად დაიკარგე, რატომ გვალოდინებ ამდენ ხანს? – გაყრის სხაპასხუპით მისალმების ნაცვლად კირილი.

– ოც წუთში შენთან ვიქნები, – ამშვიდებ მას.

– უკვე ყველანი აქა ვართ: ემელიან პორფიროვიჩი, ლუბა, ანდრეი... შენ კი გვაყოვნებ, ოტო! ასე ვერასდროს ვერაფერს ავაშენებთ! ახლა სადა ხარ?

– ერთ-ერთ გაჩერებაზე, ბებერო...

– მაინც რომელზე, სად?

– რა მნიშვნელობა აქვს, კირილ, მთავარია, მალე ვიქნები!

– ოკეი! კეთილი! გელოდებით კიდევ ოცი წუთი. მხოლოდ ოცი!

– ოციც აღარ დამჭირდება. უფრო მალე მოვალ.

– ოკეი. გელოდებით!

ყურმილში მოკლე ზარებია. ერთი საქმე უკვე გაკეთდა. ჯდები მაგიდასთან, გალია თავის დაქნევით გითითებს ჭიქაზე.

– დალიე, – გეუბნება იგი.

– „ვოდკა პიოშ – სვინია ლეტაეშ,“[1] – წარმოთქვამ ძველ უზბეკურ სიბრძნეს.

არაყი არცთუ ცუდად მიდის. ახლა აინე კლაინე ციგარეტე[2] – და, ჰაიდა, აბაზანაში! დანარჩენების დედაც კი ვატირე. აქ ვერავინ მოგაგნებს. შეგიძლია წლობით არ გამოჩნდე, სანამ სახლს თურქები არ გაარემონტებენ, სანამ ახალი ვერცხლის საუკუნე არ დადგება.

– რა არის ახალი, გალია?

– წუხელ დავბრუნდი შუა აზიიდან.

– ხელი რით დაიმშვენე?

– რამდენიმე ნორჩი ეფა[3] ჩამოვიყვანე. ახლახან, სადღაც ნახევარი თვის წინათ გამოჩეკილი.

– მაშინ რას იზამ, როცა იმპერია დაიშლება? სად წახვალ ეფებისთვის? ფსკოვის ოლქში?

– უკვე მეასედ მეკითხები ამას, – იჭმუხნება იგი.

– და მეასედ არ მესმის პასუხი. რატომ სვამ?

– ვერა ვარ გუნებაზე. არაფერი მინდა. დამისხი კიდევ. ეს ბოლო ბოთლია.

– ოლდფილდი როგორ მოგწონს?

– გადავწყვიტე, აქ მეტჯერ არ მოხვიდე. საერთოდაც გშლი ჩემი სიიდან. დაიბანე და მოხიე აქედან.

– აუცილებლად. სხვათა შორის, მაინც წასასვლელი ვარ. „ბავშვთა სამყაროში“ უნდა გავიარო და მეგობრების შვილებს საჩუქრები ვუყიდო. ჩემი მეგობრების შვილები კი ჩემი შვილებიც არიან.

---

[1] „ვოდკა პიოშ – სვინია ლეტაეშ“ – გრამატიკულად დამახინჯებული რუსული ფრაზა: „არაყს დალევ – ლორივით დაფრენ“.

[2] აინე კლაინე ციგარეტტე (გერმ.) – ერთი პატარა სიგარეტი.

[3] ეფა – ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი გველი. გავრცელებულია აზიაში, აფრიკასა და ინდოეთში.

– არაა სასაცილო.

– ვიცი, გალიუნია.

სიგარეტს უკიდებს, მაგიდიდან ბარბაცით დგება და ფეხარეულად მიდის ფანჯარასთან. აბოლებს და გარეთ იხედება. მაიკლ ოლდფილდის თანხლებით.

– უკვე გყავს ვიღაცა, გალია?

თიხის პატარა ლარნაკი, ფანჯრის რაფაზე მდგარი ნაცნობი ლარნაკი, წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოფრინავს შენი თავის მიმართულებით. გამოცდილი მოკრივესავით ახერხებ მის აცილებას. გალია ზოგჯერ ასეთია. კარგი ლარნაკი იყო.

– აქ ჩემ დასაცინად მოხვედი?

– რა სულელური კითხვაა? რა თქმა უნდა! მხოლოდ იმით ვსულდგმულობ, რომ შენს სისხლსა ვწოვ...

მწვანე ერთჯერადმა სანთებელამ ყურის ძირთან ჩაგიქროლა. მაიკლ ოლდფილდი ტამბურინებითა და კასტანიეტებით ერთობა. ამჯერად ალბათ უთო გამოფრინდება. სიტყვების შერჩევისას მეტი სიფრთხილეა საჭირო – არ მინდა უთო საფეთქელში მომხვდეს.

– ბოლოს აქ რომ იყავი, უკანასკნელი მეძავივით მომექეცი – შენსას მიაღწიე და წახვედი. დაიკარგე მთელი ორი კვირით...

– რომანსა ვწერდი ლექსად, გალია!

– წერდი! შეგეძლო, უბრალოდ, დაგერეკა. მე ხომ არ გებღაუჭები!

ეტყობა, მართლაც ბევრი დალია. და ეს უთოც ნამეტანი ახლოსაა მასთან. წყალი აბაზანაში კი, მგონი, შეწყდა...

ასეცაა! აბაზანა სავსეა შესანიშნავი ცხელი წყლით, რომელიც ასე გიყვარს. ოთახიდან მომესმის გალიას ხმა:

– იცხოვრე, როგორც გენებოს!.. მოჰყვები მერე შენს უკრაინაში, რომ აქ ერთი სულელი კაცაპკა გყავდა...

– და არა ერთი, გალია, არა ერთი, – ვპასუხობ უკვე ტანგახ-

დილი და აბაზანაში ვწვები. ოთახში კედელს რაღაცა ელეწება. მაგრამ ეს უთო არაა. ვცდილობ, გამოვიცნო, რა ისროლა გალიამ. ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი, ისე გუგუნებენ საფეთქლები. სიცხე ოცდათვრამეტამდე მაინც მექნება. მენძრევა, როგორც ნაცნობი რუსი მწერლები იტყვიან ხოლმე. სჯობს, თვალები დავხუჭო და რაიმე დიადზე ვიფიქრო. აფსუს, რომ თან ჭიქა არაყი არ წამოვიღე. ჩვენი წინაპრები, სახელოვანი კაზაკები ხომ არყით ნებისმიერ ავადმყოფობას შველოდნენ. არყითა და ცხელი აბაზანებით. მაგრამ ლაშქრობებში არ სვამდნენ. ამისთვის როზგები არ ასცდებოდათ. შენ დღეს სალაშქროდ ხარ და არამზადასავით კი გაიტრიტე. როზგები, როზგები ურტყით მაგ ძაღლისშვილს!

თვალებს ახელ და ხედავ: მილზე გველი მოცოცავს. ალბათ შენთან აბაზანაში ჩამოხტომას აპირებს. ოღონდ როგორ ჩამოხტება? ჩამოსახტომად ასე თუ ისე ფეხებია საჭირო. გველებს კი, სპილენძას გარდა, ფეხები არა აქვთ. არა, მას აბაზანაში ჩამოხტომა კი არა, ჩამოვარდნა უნდა. კიდევ ცოტას ჩამოცოცდება და – მოსჭამ ჭირს ამ ქვეყანას.

– გალია! – თითქოს უფსკრულეთს ჩასძახი.

– გალია, გაიყვანე აქედან გველი!

გალია, თუმცა მთვრალი კია, მაგრამ მაინც ფრთხება. შემოდის და ჯდება იატაკზე, თან წყალში ხელს აფათურებს.

– რისი გველი, რაებს ბოდავ? – გეკითხება დაღლილ-დაქანცული ხმით.

–აგერ, ხომ ხედავ, მილზე! ეფა! – შენ უკვე სიცილს ვერ იკავებ და პირდაპირ ხარხარზე გადადიხარ.

– ეფა, ნორჩი ეფა! აგერაა ის ძუკნა!.. – პირდაპირ მუცელი გტკივა ხარხარისგან.

– ეს იზოლაციაა, კრეტინო, – ამბობს გალია ოდნავ გასაგონად და გკოცნის. მისი გაშლილი თმა წყალზე ეფინება. გიკოცნის

თავს, მხოლოდ თავს და გაოცებისგან წყვეტ ხარხარს: განა შეიძლება ასე გიყვარდეს ვინმეს თავი? კუნთები, თეძოები, მკერდი, ლაჯები კიდევ მესმის, მაგრამ თავი? რაღაც ამის მსგავსი დღეს უკვე იყო – ცხელი წყალი, ზასაობა. მთავარია, გასუსული იწვე და არ გაინძრე, რადგან თუ შენს მხრებამდე და გულ-მკერდამდე მოაღწია, გაკაწვრა და კბენა არ აგცდება. აქვს ასეთი ჩვევა. ყოველი პაემნის შემდეგ ნახატებივით გეტყობოდა სხეულზე მისი ვნებების კვალი, როგორც საწამებელი საკნიდან გამოშვებულ საცოდავ ვინმეს. გალიას ამ ცხოვრებაში უნდა შეხვდეს კეთილი და სათნო მაზოხისტი, მავნე ჩვევების გარეშე, მატერიალურად უზრუნველყოფილი, ყურადღებიანი. მაშინ იგი ბედნიერი იქნება. აუცილებლად იქნება, შენ ეს გჯერა.

– რა ხდება გარეთ? – ეკითხები კოცნასა და კოცნას შუა.

– წვიმს, – გპასუხობს იგი და ბოლოს გადის. კიდევ ცოტას წავინებივრებ და ჰაიდა, წავალ. წყალი, სულერთია, ცივდება, კასეტაზე კონკისტადორებისა და ინდიელების გაერთიანებული გუნდი მუსიკას ამთავრებს, არყის სმას იგი მარტო გააგრძელებს, თუნდ ერთი ბოთლიც ჰქონდეს სადმე გადამალული. ჩემი ბიჭები არყის გულისთვის ილუპებიან, ეს კი აქ ბოთლებს კედლებს აფშვნის!

უშვებ წყალს მიწისქვეშა სამყაროში. ისიც ყრუ ბუყბუყით ჩაედინება. მშვიდობით, წყალო, სატრფოსავით მიყვარდი, მე შენთან მშვენივრად გავატარე ნახევარი საათი, მომავალ შეხვედრამდე! იატაკზე გდია გალიას ვეებერთელა, ფუმფულა პირსახოცი. წყლის დონე შეუბრალებლად კლებულობს, და ამას უკვე არაფერი ეშველება...

დგახარ აბაზანაში, გალია კი ისევ გვერდითაა, ხან შემოგახვევს პირსახოცს, ხანაც მოგაშორებს, ხანაც იხრება, გაწვება და კაფელთან მიგაყენებს ზურგით, თვითონაც ხელებით კაფელს მიებჯინება, შენ ოდნავ დაბლა იწევ და თითქმის მზადა ხარ,

ის ბაგეებით რაღაცას ეძებს და პოულობს კიდეც, და შენ თვალებს ხუჭავ. ამ ყველაფერში იმდენი ვნებაა, იმდენი სინაზეა და სიმტკიცე, თან იმდენი სევდაც, რომ თავს ნამუსახდილივით გრძნობ, მინდობილი ხარ მხოლოდ გრძნობებს, ოთახში გარინდულ მუსიკას, გწადია მარტოოდენ გიყვარდეს, გიყვარდეს, გიყვარდეს და ოსანას უგალობდე მის ბაგეებს, რადგან ისინი მთლიანად – ის ბაგეები, ის ენა, ფლეიტაზე დაკვრას გაგონებს, და შენგან ამოჩქეფს შადრევანი, რაც თითქმის მთელი მარადისობა გრძელდება, კარაველები ასწრებენ დაბრუნებას, შენგან გამოედინება ხმა, და არა მარტო ხმა, რადგან პირთამდე სავსე ხარ, – და შენ ფეთქდები, უკეთუ ნებისმიერ სხვა მარადისობასაც, როგორც ამას, აქვს საკუთარი დასასრული... გალია ისევ შემოგახვევს პირსახოცს და უსიტყვოდ გავა.

– დამთავრდა კასეტა? – უკვე ჩაცმული შედიხარ ოთახში.

– არსადაც არ წახვალ, – გპასუხობს გალია, – გირჩევ, არ წახვიდე. მართლაც მაღალი ტემპერატურა გაქვს. ახლავე მოგიმზადებ ტაფამწვარს, შენ კი დაწექი. მოვლა გჭირდება. ახლა ვერსად წახვალ – გარეთ წვიმს. მე ხელს არ შეგიშლი, უბრალოდ, დაიძინე. დაგისხამ კიდევ არაყს, ოღონდ აუცილებლად უნდა დაწვე, არაყი ისე არ იმოქმედებს. შეგიძლია აქ ხვალამდე გულმშვიდად დარჩე, გათბე და დაისვენო. ხვალ ისედაც კვირაა. მარტო იწვები. გასაშლელი საწოლი მაქვს, გვერდით ვიქნები, უბრალოდ, გვერდით და მოგაწვდი ყველაფერს, რასაც მეტყვი. შემიძლია აფთიაქიდან რაიმე წამალიც მოგიტანო. ნუ წახვალ, კარგი?..

– იცი, რა, გალია, არყის მერე ალბათ არ ღირს რაიმე წამლის დალევა, – იწყებ ფიქრიანად, მაგრამ იგი გაწყვეტინებს:

– კეთილი, არ გვინდა წამალი. არ წავალ არსადაც. შინვე მოგიძებნი თაფლს, რძეს...

– გარდა ამისა, – აგრძელებ, – ქვეყნის საქმე მაქვს. საღამოს საერთო საცხოვრებელში უნდა ვიყო...

– რაო, ისევ ორ ფრონტზე იბრძვი? საერთო საცხოვრებელშიო! უკვე მოლაპარაკებული ხარ დღეისთვის, არა?

– ეს რა შუაშია? ხომ იცი, რომ გალექსილ რომანს ვწერ...

– მე მოგცემ ქაღალდსა და საწერ კალამს. აქ წერე. თვითონ ხმას არ ამოვიღებ, ხელს არაფრით შეგიშლი. ჩაწექი თბილ ლოგინში და წერე თუნდაც დილამდე.

– ეს შეუძლებელია, გალია, ეს ძალიან ფაქიზი საქმეა, ფაქიზი მატერიაა. ეს ჩემი ცხოვრების საქმეა. ასე ადვილად ვერ აგიხსნი, მაგრამ უნდა წავიდე. ერთი სიტყვით, წავალ, კარგი?

– არა! – ყვირის გალია გიჟური ხმით და გეტაკება. ესაა ძლიერი, კარგად ნავარჯიშები, გვარიანად გამომთვრალი ქალის ნახტომი. შენ იატაკზე ეცემი, იმ სველ, ჯერაც გაუმშრალ ლაბადაზე, რომლითაც მოხვედი. იგი ძლიერად გცემს სახეში, გჩეჩქვავს იდაყვებით, გკაწრავს. მერე ნიკაპქვეშ ისეთ მუჯლუგუნს გითავაზებს, რომ სიმწრით ენას იკვნეტ და ეს მოულოდნელად ძალას გმატებს. დასხლტომას ახერხებ, და თუმცა იგი ფეხზე გებლაუჭება, მაინც ასწრებ ნეკნებში მისცხო, მერე კი წონასწორობას კარგავ და ისევ ეცემი. გალია სვიტერზე გექაჩება, სვიტერქვეშ პერანგს ტკაცატკუცი გაუდის, ამასობაში პოულობს შენს დაუცველ ლავიწს და კბილებით გაცხრება. მაშინ თითქმის ანგარიშმიუცემლად არტყამ მუხლს ძუძუებქვეშ და ლამის სუნთქვას აკარგვინებ. მერე ახერხებ წამოდგომას და კისერში გაშლილი ხელისგულის ჩარტყმას. ის კი წამოდგომისას ფეხებს შორის მკვეთრი თავურით გიმასპინძლდება. ტკივილისგან თითქმის გონებას კარგავ, მაგრამ ძალებს იკრებ, რადგან მოდუნება სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა.

გალიას ფეხებით იგერიებ, ძალიან ახლოს არ უშვებ , თუმცა ეს ნაკლებად გშველის, რადგან იგი იმარჯვებს, ხელთ იპყრობს გადაბრუნებულ სკამს და ფეხებში გიხათქუნებს.

სკამს ფეხი სტყდება და მის მოხელთებას ცდილობ, მაგრამ

გალია სკამის ნარჩენს გტყორცნის და თვითონ იმ მომტყდარი ფეხით უმალ ფარიკაობას იწყებს. ლოგინიდან ატაცებულ ბალიშს იფარებ და გადადიხარ ხელჩართულ ბრძოლაზე, სარგებლობ იმით, რომ გალიამ სახე მოიშიშვლა და იყენებ ჯერ კიდევ სკოლის წლებში დამუშავებულ ილეთს – მარჯვენა ჰუკს, რომელმაც თავის დროზე არაერთი გამარჯვება მოგიტანა საოლქო და საოლქთაშორისო შეჯიბრებებზე. იგი მოპირდაპირე კუთხეს ეხეთქება. მსაჯი ათამდე ითვლის. ნოკაუტია.

– ოტო, ეს დასასრულია? – საწყალი ხმით გეკითხება წუთის შემდეგ, – ეს დასასრულია? გეკითხები. გეკითხები: ეს დასასრულია? მეტჯერ აღარ მოხვალ? აღარ მოხვალ, მე შენ გეკითხები: ეს დასასრულია? მიპასუხე: ეს დასასრულია?

– ყოველთვის მეხსომები, – ამბობ პასუხად და თან აკანკალებული ხელებით დაჭმუჭნილ პერანგს ისწორებ.

– შენ ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი სიყვარული ხარ. მინდოდა, ჩემთან თავი კარგად გეგრძნო...

იგი ხმადაბლა ტირილს იწყებს, მაგრამ ჩაბნელებულ დერეფანში შენი კარის მიხურვა და მასზე რაღაც მძიმე საგნის ყრუდ მიხეთქება ერთია. ალბათ უთო ისროლა. მაგრამ უკვე მიუწვდომელი ხარ, რაინდო.

ზოგჯერ ძალიანაც საჭიროა საათზე დახედვა, რადგან კოკისპირული წვიმა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ დრო თითქოს გაჩერდა. დრო კი თურმე არ გაჩერებულა და უკვე თითქმის ხუთის ნახევარია. და თუკი დღეს ვინმე აპირებს „ბავშვთა სამყაროში“ მოხვედრას, უნდა იჩქაროს. ამასთანავე შევაჯამოთ ზოგიერთი რამ, ფონ ფ. შენ მართლა გამოხვედი, კი არ გამოხვედი, გამოიჭერი სამშვიდობოზე გალიას სახლიდან. მართლა დგახარ წვიმაში და გულაჩუყებული ფიქრობ უიღბლო სიყვარულზე, მარტოობაზე, სპეციფიკურ ქალურ სისასტიკეზე. გარდა ამისა, გეგმავ შენს შემდგომ, ჭარბად დანთქმული ნუნუას გამო, ოდნავ

არეულ ნაბიჯებს. აკი სისხლით მოპოვებული თავისუფლების გარდა გაქვს საგრძნობი მინუსებიც. ჯერ ერთი, დაკარგე ლაბადა, რომელიც მძევლად დარჩა იქ, გალიას ბინაში. მას შეუძლია იგი დანებით დაფლითოს ან ბენზინი გადაასხას და დაწვას. ეს იქნება შავი მაგია, სანუკვარი შურისძიება. ახლა იდექი წვიმაში მარტო სვიტერის ამარა და აკაწკაწე კბილები. მეორეც, დაკარგე კასეტა მაიკლ ოლდფილდის უახლესი ჩანაწერით. ეს დანაკარგი გაცილებით სერიოზულია, რადგან მუსიკის გარეშე, საყვარელი მუსიკის გარეშე, შენ, ფონ ფ., არავინ და არაფერი ხარ. უმუსიკოდ შენა ხარ იაფფასიანი ძაღლიშვილი, საზიზღარი ეგოისტი, შეზღუდული და საკუთარ თავზე შეყვარებული პირუტყვი. მუსიკის თანხლებით კი ხარ პოეტი, გენიოსი, კაცთმოყვარე და ბრძენი, მხოლოდ მუსიკა ანიჭებს აზრს დამთრგუნველ, მცდარ და საბოლოოდ, შემთხვევით არსებობას, სულელო ვირო. მუსიკა გაძლევს შანსს, გადაირჩინო თავიდან ბოლომდე ცოდვებით გაჟღენთილი საძაგელი სხეულის იოტისხელა ნაწილი მაინც. შენ კი მას უდიერად ექცევი, ტოვებ იქ, სადაც არ უნდა ტოვებდე.

დაბოლოს, ყველაზე მძიმე დანაკარგი – გალია. აკი უაზრობაა ახლა, მას შემდეგ, რაც ყბაში მუშტი ხიე, ფიქრი მასთან რაიმე ურთიერთობის აღდგენაზე, პატიებაზე, დაშოშმინებაზე, თვით უბრალო ადამიანურ მეგობრობაზე. ერთხელ და სამუდამოდ ჩარაზულია მისი კარი შენთვის. კვლავ არ აღმოჩნდი იმ ქალის ღირსი, რომელიც შენი გულისთვის მზად იყო, ყველაფერი გაეკეთებინა, თვით ფაქიზი გველის შხამით მოეწამლე.

შენ, ჰეი, პოეტო, ველარასდროს იპოვი ასეთ ქალს, რომელიც ნამდვილად ზეგარდმო გებოძა. შენ კი მუშტის ერთადერთი, მაგრამ მძლავრი და ზუსტი დარტყმით აგდებულად და მდაბიოდ უარყავი ეს საჩუქარი. ამისთვის დაკოდვას იმსახურებ, მეგობარო ფონ ფ., ან ორ ნორჩ ხეს შორის გაგლეჯას.

ლაბადა. კასეტა. გალია. საკმაოდ ბევრია ერთი დღისთვის.

რომელიც, სხვათა შორის, ჯერ არ დაღამებულა. წვიმაში სვიტერის ამარა მიაბოტებ ახალ დანაკარგებთან შესახვედრად, შენკენ კი მოაბოტებს მოსკოვი – კოჭლი, სველი, მრწყეველი, თავისი ვეტერანებით, ფერადკანიანებით, სომხებით, ჩინელებით,კომუნიაკებით, „სპარტაკის“ შავ-თეთრ პანამიანი ფანებით, სერჟანტებით, რეციდივისტებითა და ლენინის ხადოკებით. მიდიხარ საყიდლებზე დიდი ჩანთით, თუმცა მშვენივრად იცი, რომ დღევანდელ მოსკოვში შეუძლებელია ვინმეს რამე საჩუქარი უყიდო. ამ ქალაქს უკვე არ ძალუძს რამის ჩუქება. ეს დანაკარგების ქალაქია.

ეს არის ათას ერთი ჯურღმულის ქალაქი. დასავლეთის დაპყრობის წინ აღმართული აღმოსავლეთის ფორპოსტი. აზიის უკანასკნელი ქალაქი, რომლის მთვრალი კოშმარებიდან გარბოდნენ სისხლდაწრეტილი და გერმანიზებული მონარქები. ათაშანგისა და ხულიგნების ქალაქი, შეიარაღებული არამზადების უსაყვარლესი ზღაპარი. ქალაქი სახალხო კომისარიატთა ბოლშევიკური ამპირის მაღლივი საშინელებებით, საიდუმლო სადარბაზოებით, აკრძალული ხეივნებით, საკონცენტრაციო ბანაკების ქალაქი, ცადაქნილი გაქვავებული გიგანტებით. აქაური ციხეების ტუსაღთა რიცხვი ერთი რომელიმე ევროპული ერის რაოდენობას გაუტოლდებოდა. გრანიტის ვენზელების, მარმარილოს თავთავებისა და მზისხელა ხუთქიმიანი ვარსკვლავების ქალაქი. მას მხოლოდ შთანთქმა შეუძლია, ესაა მორწყული ეზოებისა და ალვის ხეების ღინღლით დაფარული ქალაქი, რომლის დაბრეცილი ფიცრის ღობეებიან შესახვევებს დესპოტური სახელები ჰქვია: სადოვო-ჩერლობიტიევსკი, დუბინოვო-ზაშიბეევსკი, მალო-ოკტიაბრსკო-კლადბიშენსკი... ესაა დანაკარგების ქალაქი. უმჯობესი იქნებოდა მისი მიწასთან გასწორება. ირგვლივ ისევ უღრანი ფინური ტყეების დარგვა, რომლებიც აქ ადრე შრიალებდნენ, დათვების, ცხენირმებისა

და შვლების მოშენება – დაე, იბალახონ ხავსმოდებული კრემლის ნანგრევების გარშემო, დაე, კვლავ ამოხეთქილ მოსკოვურ წყლებში იცურაონ ქორჭილებმა, გარეულმა ფუტკრებმა კი გულმოდგინედ აგროვონ თაფლი უზარმაზარ სურნელოვან ფულუროებში. უნდა დავასვენოთ ეს მიწა მისი დანაშაულებრივი დედაქალაქისგან. იქნებ მერე მაინც შეძლოს რამე კარგის გაკეთება. მუდამ ხომ არ უნდა წამლოს სამყარო ბოროტების, ჩაგვრისა და აგრესიული, უტვინო ნგრევის ბაცილებით!

და ამაშია, ჩემო ქალბატონებო და ბატონებო, მიზანთა მიზანი, კაცობრიობის გადარჩენის უცილო წინაპირობა, და, დაე, ამას მიაპყრონ მთელი თავიანთი პათოსი თანამედროვეობის დიდი ერების ცივილიზაციებმა – წვეთი სისხლის დაუღვრელად, ყოველგვარი ძალმომრეობის გარეშე, ჰუმანური საპარლამენტო ბერკეტების გამოყენებით, გაასწორონ მიწასთან მოსკოვი, შესაძლოა რამდენიმე ეკლესია-მონასტრის გარდა, ხოლო მის ადგილზე შექმნან მწვანე ნაკრძალი ჟანგბადის, სინათლისა და რეკრეაციისთვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ამ პლანეტაზე ყველა ჩვენგანის მომავალზე, მაინე დამენ უნდ ჰერრენ![1] გმადლობთ ყურადღებისათვის. (საერთო ტაში, ყველანი დგებიან და მღერიან ბეთჰოვენის „ოდა სიხარულს", სიტყვები შილერისა).

მაგრამ ეს მხოლოდ შენი პირადი მთვრალი აზრია, ფონ ფ. და იგი, შესაძლოა, სრულებით არ ემთხვეოდეს ანუ ფატალურად არ ემთხვეოდეს არაფერს. ადამიანთა დანაკარგებს ბოლო არ ექნება ამ მიწაზე. დანაკარგები დანაკარგებად, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ცოტა წახემსება აუცილებელია. მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კუჭის წინაშე მოვალეობის გამო, რომელსაც დილიდან მოყოლებული, მერამდენედ უცრუვდება იმედი. მას

[1] მაინე დამენ უნდ ჰერრენ! (გერმ.) – ჩემო ქალბატონებო და ბატონებო!

მუდმივად ვერ გააცუცურაკებ. ამიტომ რითიმე უნდა ამოყორო.

აგერ აქ, ახალ არბატსა და, უბრალოდ, არბატს შორის, განთქმული რესტორნის „პრაღას“ გვერდით, რომელშიც საკავშირო წინასწარმეტყველმა ჯუნამ, კოსმიური განგების მიერ სოვდეპიურ იმპერიაში მოსროლილი მესოპოტამიური იმპერიების ამ ნამსხვრევმა, ბულვარული პრესის შეტყობინებით, ამას წინათ მაღალ წრეთა იდიოტიზმების ნებისმიერ რეალურ გამოვლინებას დახარბებული საესტრადო ვარსკვლავების, პარტიული ლიდერების, ილუზიონისტების, დეპუტატების, სატირიკოსი მწერლების, სექსკულტურისტკებისა და სხვა ვიგინდარების წრეში საკუთარი დაბადების დღე აღნიშნა, ჰოდა ამ, ეგრეთ წოდებული რესტორნის გვერდით არსებობს გვარიანი „სასაუზმე“. და შენ, ფონ ფ., შეგიძლია ნახევარი საათით დაივიწყო შენი კეთილშობილური წარმოშობა, ჩაიბრუნო ზიზღიანი ნერწყვი და ჭამო თუნდაც აქ.

ესაა ამჟამად მოდური არბატელი მათხოვრების თავშესაფარი: აქ შემოდიან წვიმით გაწუწული მხატვრები, ხმაჩახლეჩილი ინვექტივისტი პოეტები, გახუნებული ბარდები, გაქუცული ჯაზმენები, ჟონგლიორები, დეკლამატორები; მატადორები, ჯამბაზები, პედერასტები და ზოგადად მათხოვრები, ნახევრად გიჟი მოსკოველი მათხოვრები, რომლებიც ჩვეულებისამებრ თავს დნესტრისპირელებად ან სამი წლის წინ მიწისძვრით დაზარალებულ სომხებად ასაღებენ.

დღეს კი მთელი ეს შანტრაბა, ყოველივე ამის გარდა, აქ თავსაც აფარებს. გადაულებელი წვიმისგან ან აბეზარი ომონის პატრულისგან, რომელიც ხანდახან ამოყვინთავს ხოლმე არბატზე და ელეგანტური შავი ხელჯოხებით ერეკება იქიდან ყველაზე უსუსურებს. ასე რომ, „სასაუზმე“ ამჟამად გადატენილია წვიმით დასველებული ხალხით, რომელიც ირევა საზიზღარ ამპირულ სვეტებს შორის, სისინებს კუთხეებსა და მაგიდებთან,

ყარს ძაღლის სუნით და გახარებულია მიწიერი არსებობით. დგები რიგის ბოლოში, კიდევ ერთი მშიერი, გამობრუჟული ვინმე, კიდევ ერთი პოეტი, მართალია, გამოჩენილი უკრაინელი პოეტი, რომელსაც სვიტერის შიგნით პერანგზე ორი ღილი აქვს აწყვეტილი. შენ უკან მაშინვე ჩნდება ვიღაც ცანცარა და მეტად თმახუჭუჭა ტიპი გვიანი სამოციანი წლების მოკლე ლაბადით და ყელზე შემოხვეული რამდენიმე საკმაოდ ჭუჭყიანი ჭრელი ცხვირსახოცით. თან მოათრევს ურიცხვ ჩანთას, პარკს, ბადეს – და ეს ყველაფერი სავსეა რაღაც უცნობი ნივთებით, ვთქვათ, გადამწვარი ელექტრონათურებით ან ინდოეთის ოკეანის ფსკერზე მოპოვებული მარგალიტებით.

– დღეს აუცილებლად აიღეთ ბულიონი, – გეუბნება ცანცარა, – თქვენ რატომღაც არასოდეს იღებთ ბულიონს. ეს ცუდია. კვერცხიან ბულიონს!

იგი წუთით გტოვებს, რიგის ავლით გარბის სალაროსთან და მთელი „სასაუზმის“ გასაგონად კითხულობს, კვერცხიანი ბულიონი თუ გაქვთო.

– მადლობა ღმერთს, ჰქონიათ, – გამცნობს იგი და სახელოზე გექაჩება, – ჩვენ ბედი გვწყალობს. თუ ერთ თეფშ ბულიონს ავიღებთ, მეტი არც არაფერი გვინდა, ექვსი-რვა საათი გვეყოფა. მაგრამ თქვენ რატომღაც არასოდეს იღებთ ბულიონს. ცუდია ეს.

– ეს იქნებ ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საბედისწერო შეცდომაა,– პასუხობ თავიდან მოსაცილებლად ამ ვირთხას. მაგრამ მას არ ესმის შენი პასუხი, რადგან კვლავ სალაროსკენ გარბის. ამჯერად იმის გასაგებად, თუ რისგანაა მოხარშული დღეს ის ნაბიჭვარი ბულიონი.

– დღეს ბულიონი საქონლის ხორცისაა, – ამცნობს, კვლავ რიგში ჩამდგარი, შენ ნაცვლად უკვე ვიღაც მარცხენა თვალჩალურჯებულ და ჩაფსმულ წინდებიან ცხენქალას.

– ჩვენ დღეს არნახულად გაგვიმართლა, – ექაქანება თავის

ახალ ნაცნობს თმახუჭუჭა, – საქონლის ხორცის ბულიონი კვერცხით, წარმოგიდგენიათ, ამხანაგო?

– ჩემთვის ერთი ყ..ა, – აგდებულად პასუხობს ცხენქალა.

– არა, ნუ იტყვით, ნუ იტყვით, – თავს აქნევს ცანცარა, – საქონლის ხორცის კვერცხიან ბულიონს ძალიან უხდება პურის ნაჭერი, ოღონდ არ უნდა იჩქარო და გულმოდგინედ დაღეჭო. მაშინ ექვსი-რვა საათით გამოძღები. ძალიან მიყვარს აქ შემოვლა, შესანიშნავი ადგილია, რადგან მუდამ აქვთ თბილი კვერცხიანი ბულიონი, თითქმის ოჯახური, ნამდვილი საქონლის ძვლებით. ვიღებ ერთ ულუფა ასეთ ბულიონს პურის ნაჭერთან ერთად და მაგრად ვნაყრდები. ჩემთვის ეგაა პირველი და მეორე კერძიც, თვით ჩაიცა და კომპოტიც!

იმწუთას ვიღაცა თავის მაგიდასთან ფეხზე დგომას ვერ ახერხებს და მოცელილივით ეცემა იატაკზე. გაზინთული პიჯაკიდან უვარდება უკვე ცარიელი ბოთლი. აცეტონისა.

– „შტო, ნე ვიდიტე, ჩელოვეკუ პლოხო"![1] – ყვირის მთელი დარბაზის გასაგონად მოლარე, – დგანან ყ...ბივით! – აღშფოთებულია იგი.

და გაურკვეველი საზოგადოებრივი ფენის რამდენიმე ტიპს სათუთად გადაჰყავს ის საცოდავი ფანჯრის რაფისკენ, სადაც წელში მოხრილს აწვენენ.

– ვო, ბლიად, ნაჟრალსია![2] – ერთგვარი შურით ამბობს მობანცალე ჩაფსმულწინდებიანი ცხენქალა.

– მე კიდევ ძალიან მიყვარს სტაფილოს სალათა, – კვლავ შენ მოგმართავს ცანცარა, – მასში იმდენი ვიტამინია! არ არსებობს უფრო ჯანსაღი საჭმელი, ვიდრე ერთი თეფში სტაფილოს სალათაა. აუცილებლად აიღეთ. იგი კარგად მოქმედებს მხედველობაზე...

---

[1] შტო, ნე ვიდიტე, ჩელოვეკუ პლოხო! – რა, ვერ ხედავთ, კაცი ცუდადაა! (რუს.)

[2] „ვო, ბლიად, ნაჟრალსია!" – აუ, ამის დედაც, გალეშილია! (რუს.)

პასუხად თავს უქნევ. ავიღებ, გენაცვა, ავიღებ ყველაფერს, რასაც მიბრძანებ, ოლონდ მორჩი ყურისძირში ზუზუნს. რიგი ზოზინით მიიწევს წინ, გულწრფელად რომ ვთქვა, არსადაც არ მიიწევს, ადგილზე იტკეპნება. ჯერ ერთი, არ ჰყოფნით ჭურჭელი, ამიტომ აქ ნახმარ თეფშებს საერთოდ არ რეცხავენ. მეორეც, სამზარეულოში მუშაობს მხოლოდ ერთი ქვაბი. მესამეც, ულუფის გამცემი ცუდ გუნებაზეა, შესაძლოა, თვიური აქვს. მეოთხეც, კუბოში ნახა მან ყველანი თვით ამ ბოზი მზარეულების ჩათვლით. მეხუთეც, ქვეყანაში სურსათის დიდი დეფიციტია, რის გამოც დემოკრატია საფრთხეშია და მთელ იმედებს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებზე ვამყარებთ. წუთი წუთზე ელოდებიან ამ დახმარების ჩამოსვლას, მანამდე კი უკანასკნელი ძვლებისგან ხარშავენ უკანასკნელ ბულიონს, რათა როგორმე შეუნარჩუნონ ამ გაწუწულ ხალხს ღვთიური ნაპერწკალი – სიცოცხლის წმიდათაწმიდა ნობათი. და ამიტომაც ლტოლვილად შენიღბული რამდენიმე მათხოვარი ჩნდება იმ მაგიდასთან, რომლის ქვეშაც ეს წუთია გაიშხლართა ღონმიხდილი მომხმარებელი. ვიღაცა ასწრებს, პირველი დააცხრეს სალათისა და ფაფის ნარჩენებს. სხვები გულდაწყვეტილები შორდებიან იქაურობას და სხვა მაგიდებზე დარჩენილ ნასუფრალს უდარაჯებენ.

– ჭამე, გეთაყვა, ჭამე, – ალერსიანად ჩიფჩიფებს ბებერი დამლაგებელი და ყველაზე მარდი მათხოვრის ცხვირწინ მაგიდას ჩვრით წმენდს.

– პოშლა ნა ხ(...), ვედმა,[1] – უნდობლად პასუხობს იგი და ფაფაშერჩენილ თეფშს ხელისგულებს აფარებს.

– ზოგადად, აქ საკმაოდ გემრიელ კერძებს აკეთებენ, – აგრძელებს შენ ზურგს უკან ხალისიან მონოლოგს გურმანი, –

[1] პოშლა ნა ხ(...), ვედმა! – ნადი, შენი დედაც, კუდიანო! (რუს.)

მახსოვს, აქ სოსისიც ჰქონდათ. თუ ერთ თეფშ ცხელ ბულიონში ორ სოსისს ჩააგდებ, ძალიან ძღები...

რიგი ნელა მიიწევს წინ. ულუფის გამცემი მზარეულებს ეჩხუბება. იმსხვრევა თეფშები, რომლებიც ქვეყანაში ისედაც არ ჰყოფნით. მოლარე საქმის გასარკვევად გამორბის. საქმე კი ისაა, რომ იმპერია სულს ღაფავს. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების დახმარება კი დიდი ხანია დაიტაცეს, ჯერ კიდევ საბაჟოზე. ასე რომ, ხორცისა და პურის ქარავანი დღეს არ იქნება, და ამას უნდა შევურიგდეთ.

და სანამ ისინი სამზარეულოში ერთმანეთს ჩამჩებს უხათქუნებენ, ხოლო მოლარე მათ გარშემო ალესილი ვეებერთელა დანით ხელში დარბის, აკვირდები ამ რიგს, ამ სულელურ ცისფერ სვეტებს, ამ კუთხეებში მიყუჟულ დამბლიანებს, ფანჯრის რაფაზე მძინარე დიდმოწამეს, სადღესასწაულო ფორმაში გამოწყობილ მონღოლოიდ ჯარისკაცებს, რომლებსაც გამხმარი ფუნთუშები ყელზე ადგებათ, მათ გარშემო მოტრიალე თეთრშარვლიან ჰომიკს, ნარკომანი ანარქისტების კომუნას მაგიდის ქვეშ ორი წლის ბალღითურთ, ბოშათა პატარა ბანაკს, კულულებიან მწერალსა და კულტუროლოგს ვანია კაენს, რომელიც ცდილობს, გაყიდოს ლექსთა კრებული „გაშალა ნაწნავი არყის ხემ", ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ვლადიმირ ჟირინოვსკის, რომელიც ჩირის კომპოტს შეექცევა, რამდენიმე აზერბაიჯანელს, ორ-სამ ბელორუსს, შეჯგუფებულ სომხებს, მუჭა ქართველებს, მწიკვ ყაზახებს, ორიოდე ყირგიზს, ცოტა მოლდოველს, ურიცხვ რუსს, ტაჯიკების აკიდოს, თურქმენების პლეადას, თითო-ოროლა უზბეკს, და, ცხადია, აინ ბისხენ (ცოტაოდენ) უკრაინელს. რადგან ჩვენ, ანბანის მიხედვით, კავშირში ბოლონი ვართ. ხოლო ჩვენი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობით – რუსეთის მერე მეორენი. სხვათა შორის, ჩვენს საიადონო ენას თავისი ტკბილხმოვანებით მსოფლიოში მეორე

ადგილი უჭირავს. ეს აღიარეს საგანგებო ექსპერტებმა ენათა ტკბილხმოვანების კონკურსზე ჟენევაში. რუსული აღმოჩნდა საპატიო ოცდამეთოთხმეტე ადგილზე, რომელიც მონღოლურ და სუაჰილურ ენებთან ახლოს გაიყო.

რიგი ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევს, რადგან სამზარეულოში კონფლიქტი დროებით ჩახშობილია. ცხელი წერტილი ჯერჯერობით ლიკვიდირებულია. სამშვიდობო მოლაპარაკებები ხვალამდე გაგრძელდება. დგება კერძების არჩევის ჟამი. ანემიური კიტრის სალათა, ცივი ქათმის ხორცის სრიალა ნაჭერი, პური.

– არავითარ შემთხვევაში არ აიღოთ კაკაო, – სახელოზე გექაჩება თმახუჭუჭა, – უმჯობესია, მერე ავტომატის გაზიანი წყალი დალიოთ ათ კაპიკად. და ბულიონი, ბულიონი არ დაგავიწყდეთ...

– და ბულიონი, – მორჩილად ეუბნები ულუფის გამცემს.

იგი ღრჭიალით უსვამს ციცხვს უზარმაზარი ვარცლის ფსკერზე და თეფშს ნახევრად გივსებს.

– კვერცხით, – კარნახობს ცანცარა.

– ბულიონი გათავდა, მეტი არა გვაქვს, – ნიშნის მოგებით აცხადებს ულუფის გამცემი.

– როგორ თუ გათავდა? – სახე ეღრიცება ხუჭუჭას.

– პი(...)დეც ემუ პრისნილსია,[1] – განმარტავს ენამახვილი ჩაფსმულწინდებიანი ცხენქალა.

და სანამ სალაროსთან ანგარიშს ასწორებ და ყველა შესაძლო ჯიბიდან ხურდებს იფხიკავ, ბულიონების ცანცარა მოყვარული ტირილს იწყებს.

– თქვენ ხომ თქვით, კვერცხიანი ბულიონი გვაქვსო, – მიმართავს იგი სლუკუნით მოლარეს.

– მაშინ გვქონდა, – შეუვალი ხდება მოლარე, – ურიგოდ რას

[1] პი(...)დეც ემუ პრისნილსია"(რუს.)-ამას დაერხა!

მეკითხებოდი? შენც სხვებივით რიგში მდგომს უნდა გეკითხა... სირო!

ო, ეს უცნობთადმი შენობით მიმართვის საყვარელი მოსკოვური ჩვევა! ეს რუსული ეროვნული სულის ზოგადსაკაცობრიო, ზოგადსაძმო არსის გამოვლინება!

მაგრამ ხუჭუჭა სულ უფრო ხმამაღლა სლუკუნებს, შენ ვეღარ უძლებ და უწვდი საკუთარ ნახევარ თეფშს.

– აჰა, შენი ბულიონი! ოღონდ დაწყნარდი და ნუ ღრიალებ... და მალე მოსწყდი აქაურობას მაგ პლასტმასის თეფშით.

ცანცარას კი აზრად არ მოსდის არც მადლობის, არც უარის თქმა. გტაცებს ხელიდან თეფშს და მაშინვე წყვეტს ყმუილს. პოულობ თავისუფალ ადგილს რომელიღაც მანიაკალური დეპრესიულის გვერდით, რომელიც მელანქოლიურად წრუპავს ჭიქიდან კაკაოს და მის გვერდით ჯდები.

– გაამოთ, ეუბნები. მაგრამ იგი ხმას არ გცემს, მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ, თითქოს შენ კი არა, სხვა ვინმეს ელაპარაკებაო, განზე ამბობს:

– აი, თქვენ, გაამოთო, მითხარით. მაგრამ ეს იყო გულსგარეთ ნათქვამი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სულ არ გენაღვლებით, მეორეც, მშვენივრად იცით, რამდენად უადგილოა ასეთი სურვილი მსგავს ადგილას და მსგავსი საჭმლის მიმართ. სულ უფრო ცოტანი არიან ჩვენ გარშემო ზრდილობიანი ადამიანები. ტრადიციული რუსული მიმართვები საკუთარ აზრს კარგავენ. ხედავთ, რასაც მე ვსვამ, „კაკაო“ ჰქვია, მაგრამ ესაა ვისკოზა, მინა, ტყვია, ქვიშა, ყველაფერი, კაკაოს გარდა!..

შენ უხმოდ იწყებ ორთაბრძოლას ქათმის გალიპულ ხორცთან. მთავარია, გიჟებმა დისკუსიაში არ ჩაგითრიონ.

– ერთადერთი ზრდილობიანი ქალი აქ ეს დამლაგებელი დედაბერია, – გამცნობს ამასობაში დეპრესიული, – იგი ასორმოცდაათი წლისაა. ეს გახლავთ გრაფინია ლიდოვსკიხ.

მას ვალსი უცეკვია განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან. რა მძლავრი და მაღალი კულტურაა!

– ორ მომდევნო იმპერატორთანაც? – მაინც ეკითხები და თანაც ლანჩასავით ხორცს ღეჭავ.

– რას გულისხმობთ?

– თუ უცეკვია ორ მომდევნო იმპერატორთან – ალექსანდრე მესამესთან და ნიკოლოზ მეორესთან? თუ ჰქონია ინტიმური ურთიერთობები გრიშკა რასპუტინთან? თუ წასულა მოწყალეების დად პირველ მსოფლიო ომში? თუ გაქცეულა სამოქალაქო ომის დროს ყირიმში ვრანგელის მფარველობით? თუ განუცდია დევნა ჩეკას, ოგეპეუს, ენკავედეს, ემგებეს, კაგებეს მხრიდან? თუ უთხრია სანგრები მოსკოვის მისადგომებთან ორმოცდაერთი წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა მას ზუსტად ასი წელი შეუსრულდა? თუ მიუღია მონაწილეობა სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენაში, ყამირის ათვისებაში, დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებაში, სკპპ XXII ყრილობის მუშაობაში? თუ განუცდია ზნეობრივი დანაკარგები უძრაობის წლებში? როგორ შეხვედრია განახლების სიოს და აზრთა პლურალიზმს?

დეპრესანტი გახუნებული პორტფელიდან აძრობს „KBH"-ს, ყურძნის მაგარ სასმელს.

– ვხედავ, თქვენ რაღაცებში ერკვევით, – შეთქმულივით გიკრავს იგი თვალს, – მიირთვით,– სხვებისთვის შეუმჩნევლად იყუდებ „KBH"-ის ბოთლს. ყლაპავ ერთ, ორ, სამ, ოთხ ყლუპს. ენით უთქმელი საზიზღრობაა! სულს ძლივს ითქვამ.

– მოხარული ვარ, რომ თანამედროვე ახალგაზრდობამაც იცის ცოტა რამე ჩვენი ისტორიიდან, – გუნება ეხსნება დეპრესიულს. – ჩვენი გმირული ისტორიიდან, – და ახლა თვითონ იყუდებს ბოთლს.

– არადა, ისტორია შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, –

ამბობს მას შემდეგ, რაც „KBH"-ს ვისკოზის, მინის, ტყვიისა და ქვიშის – და არა კაკაოს – რამდენიმე ყლუპი დააყოლა.

– შეიძლებოდა, – ენერგიულად ეთანხმები შენ, – მაგრამ ასეთსაც არა უშავს! – გიახლოვდება სამათხოვროდ ხელგამოწვდილი რამდენიმე ბოშა ბავშვი და მათ საკუთარ პურის ნატეხს აძლევ. ისინი ბრაზიანად გშორდებიან.

– ისტორიას არ ირჩევენ, – რატომღაც აცხდებს დეპრესიული.

– ამიტომაც არ შეიძლებოდა იგი სხვანაირი ყოფილიყო, – ეთანხმები შენ.

– გნებავთ კიდევ? – ნაცნობმა ბოთლმა ისევ ამოყო თავი პორტფელიდან.

– ვერ ვხედავ საბაბს უარის სათქმელად, – მოგყავს ერთი ნაცნობი ოხუნჯის ციტატა.

და ისევ ისხამ მუცელში საზიზღარ „ყურძნის სასმელს".

– დღემდე მიკვირს, რატომ მოხდა ჩვენს ისტორიაში ყველაფერი ასე და არა სხვაგვარად, – მოზრდილი ყლუპის მერე გაკეთებულ პაუზას აყოლებს დეპრესანტი.

– მართლაც, – უქნევ თავს, – აქ როგორ არ უნდა გაოცდე! ისტორია სულ სხვაგვარად შეიძლებოდა წარმართულიყო...

– შეიძლებოდა, – კვერს გიკრავს დეპრესიული. – მაგრამ უკეთესი ვერ იქნებოდა.

– ისტორიამ არ იცის თურმეობითი დრო, – უხსნი მას, – ფერშტეენ?[1]

– იავოლ, მაინ ფიურერ![2] – გპასუხობს ამაზე დეპრესიული, და ორივე გიჟურ ხარხარს იწყებთ.

ამ დროს „სასაუზმეში" შემოდის ომონის ორკაციანი პატრული. ისინი დინჯად დააბიჯებენ დარბაზში, რაღაცას ეუბ-

---

[1] ფერშტეენ? (გერმ.) – გაიგე? გესმის?

[2] იავოლ, მაინ ფიურერ! (გერმ.) – დიახ, ჩემო ბელადო!

ნებიან შორეულ კუთხეში მიმსხდარ ბოშათა ბანაკს, ყოველი შემთხვევისთვის ჩხრეკენ ერთ-ორ ანარქისტ ნარკომანს, და მაშინ ამჩნევენ ფანჯრის რაფაზე მძინარე მამაკაცს, ხალისიანად მიდიან მასთან და მონამლულ დუნე სხეულზე ხელჯოხებს ულაწუნებენ. ლამის შავი ბერეტები აცეკვდნენ მათი არასწორი ფორმის თავებზე.

– გესტაპო! – გინდა იყვირო მთელი დარბაზის გასაგონად, მაგრამ დეპრესიული „კავეენის“ ბოთლს გჩრის პირში.

– სისულელეს ნუ იზამთ, – სისინებს იგი თითქმის ჩურჩულით, – ჩვენ აქ საამისოდ არა ვართ... ერთი გაუფრთხილებელი შეძახილით შეგიძლიათ მთელი საქმე გააფუჭოთ...

– ნეტავ, რა საქმე? – ინტერესდები შენ, სვამ „კავეენის“ ბოლო წვეთებს და ულვაშებს სახელოთი ინმენდ.

– რუსეთის ხსნის საქმე, – ასევე თითქმის ჩურჩულით გპასუხობს დეპრესიული.

– ვისგან?

– ეს საიდუმლოა, – ბაგეებთან თითი მიაქვს დეპრესიულს. – ფერშტეენ?

– მადლობა, შვილო, – გეუბნება ბებერი გრაფინია ლიდოვსკიხი და მიაქვს შენ მიერ მაგიდაზე წინდაუხედავად დატოვებული ბოთლი. ძალიან გინდა მდაბლად დაიხარო და ხელზე აკოცო გრაფინიას, აკოცო დედაბრულ, დანაოჭებულ ხელზე, რომელშიც მაგიდების საწმენდი მყრალი ჩვარი უჭირავს. თავს ძლივს იკავებ კოცნისგან.

ომონელები უწინდებურად ურტყამენ რაფაზე მძინარეს, რომელსაც თითქოს რაღაც სასიამოვნო ამბავი ესიზმრება.

– ეჰეი, ის უკვე მკვდარია! – ხვდები უცებ და ხედავ, რომ ირგვლივ თანდათან ყველა რწმუნდება ამაში, თვით ომონელებიც. ისინი თავს ანებებენ ლაწუნს და ახლა პირიქით მაჯას უსინჯავენ, გულისცემას აყურადებენ, უხსნიან გაზინთულ

პიჯაკქვეშ არანაკლებ გაზინთულ პერანგს. მიცვალებულის გარშემო მჭიდროდ იკვრება ცნობისმოყვარეთა წრე.

– კიდევ ერთი ჩვენგანი წავიდა, – ამბობს საზეიმოდ დეპრესიული.

– კიდევ ერთი რუსი ადამიანი ემსხვერპლა ბოლშევიზმს. ძალიან ბევრი ხომ არაა, ბატონო კომუნისტებო? – აღრჭიალებს კბილებს, როგორც ჯოჯოხეთში.

– მაგრამ არაფერია, არაფერია. გაზღვევინებთ ამ სისხლს. უბინო სისხლს...

–ამ დროს უცებ ამჩნევ, როგორ ამოაქვს მას ძველთაძველი გახუნებული პორთფელიდან Ф-1 ტიპის ხელყუმბარა და საქმიანად დაჰფუსფუსებს რგოლს, თანაც მონოტონურად იმეორებს: „ამ სისხლს. უბინო სისხლს“. შენ ასწრებ ფანჯრის რაფაზე საკუთარ ჩანთას ხელი სტაცო და გასასვლელისკენ გაიქცე. ასევე ასწრებ ოციოდე მეტრის გარბენას მიწისქვეშა გადასასვლელამდე. უკვე მიწისქვეშ გესმის უჩვეულო სიძლიერის აფეთქება, თითქოს ოცი ამპირული „სასაუზმე“ აფრინდა ჰაერში და საუკუნოდ აახალა მოსკოვის ზეცას ბებერი მანიაკი ტერორისტიც, ის ორი ომონელიც, რომლებმაც ვერაფრის გაგება ვერ მოასწრეს, ის გაზინთულპიჯაკიანი სხეულიც, ბოშათა ბანაკიც თავისი საზიდრებითა და კარვებით, ის უკბილო გრაფინიაც, და ყველა სხვა დანარჩენიც, თავისი აზერბაიჯანელებით, ბელორუსებით, სომხებით, ქართველებით, ყაზახებით, ყირგიზებით, მოლდოველებით, რუსებით, ტაჯიკებით, თურქმენებით, უზბეკებითა და უკრაინელებით...

ისტორიას არ ირჩევენ. მაგრამ ის შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო.

ქალებთან ჩემი ურთიერთობების პანორამა, თქვენო სამეფო მონყალებავ, წელან გადაგიშალეთ. ახლა კი კაგებესთან

ურთიერთობებზე მოგიყვებით. ვიმედოვნებ, თქვენო ულაჟვარდესობავ, რომ ცოტა რამე მაინც იცით ამ ინსტიტუციის შესახებ. თუ არადა, ჩემი შემდგომი მონაყოლიდან შეიქმნით გარკვეულ წარმოდგენას.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს ბიოგრაფიაში ჩადებულია შენელებული მოქმედების ბომბი. მე შეიძლება მოვკვდე კიდეც (რაც თითქმის არ მჯერა), მაგრამ იგი ოდესმე მაინც აფეთქდება. ლიტერატურის პირველივე შემხვედრი ისტორიკოსისთვის სასიხარულო და საზეიმო ამბავი იქნება ერთ მშვენიერ დღეს ეს-ეს განსაიდუმლოებული არქივებიდან ჩემზე რაღაც-რაღაცების გაგება. ასევე ჩემზეც. რადგან მე იქ არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი.

ისეთი ფირმის არსებობას, როგორიც კაგებეა, ჩვენი მხიარული იმპერიის ყოველი მოქალაქე საკმაოდ ადრეულ ასაკში იგებს. მახსენდება, როგორ გავიგე ექვსი თუ შვიდი წლისამ ეს სახელწოდება. რატომღაც მეხსიერებაში სამუდამოდ შემომრჩა იმ სიტყვით გამოწვეული ბავშვური განცდა: რაღაც გარყვნილი, საეჭვო, მოძალადური, რაღაც „პირში მოტ...ლოს" მსგავსი (ერთ-ერთი გამოთქმათაგანი, რომლებითაც იმ ასაკში ჩემს ლექსიკურ აპარატს ამდიდრებდა მშობლიური ეზო).

მაგრამ ეს ყველაფერი ლირიკაა, თქვენო სამეფო მონყალებავ. არასავალდებულო პაუზა უმთავრესის წარმოთქმის წინ.

წელთა განმავლობაში ადამიანები სულ უფრო მეტს ვიგებთ სამყაროზე და ჩვენს ადგილზე მასში. აი, მაგალითად, მე ჩვიდმეტიდან ოცდაორ წლამდე, ანუ სტუდენტობის პერიოდში პოეტი-ნონკონფორმისტი, წმინდა ხელოვნების მომხრე, ძველი ფერწერისა და უახლესი როკ-მუსიკის დამფასებელი, რამაჩარაკის მიერ გადმოცემული ინდუიზმით ნაწილობრივ გატაცებული, მერე პირველი მიახლოება ქრისტიანობასთან, ერთი სიტყვით, სამოცდაათიანი წლების მიწურულსა და ოთხმოციანი წლების

დამდეგს იმპერიის დაისში ბოჰემური ახალგაზრდობის ძიებათა და მერყეობათა საკმაოდ ტრადიციული ვარიანტი. ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში ხაზს ვუსვამდი, რომ არ მჯეროდა ზემოდან თავსმოხვეული საზოგადოებრივი წყობისა და რომელიღაც კომუნისტური იდეალებისა (ახლა შეგიძლიათ იცინოთ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ მაშინ ეს მართლა იყო საშიში დისკუსიების საგანი!). ამასთანავე, ნიადაგ ვცდილობდი სინამდვილესთან თანხმობის გარკვეულ წერტილთა მოძებნას. ვეძებდი რომელიღაც საკუთარ თავშესაფარს, ანუ გარემომცველი მძღნერის ოკეანეში უმწიკვლოდ დარჩენის საშუალებას. ჩემი იმდროინდელი ავტორიტეტებისა და სიმბოლოების ჩამონათვალიც საკმაოდ ტრადიციული და მრავლისმთქმელია: რილკე, ჰესე, მარკესი, ბორხესი, მერე უცებ ვლადიმირ სოლოვიოვი...

აი, ჩემი მაშინდელი სამყარო, ჩემ მიერ შემოხაზული წრე, იმდენად სუფთა და უმანკო, რომ გული მერევა, ხოლო სადღაც იქ, გარეთ დაძრწის კაგებე, ვიღაცას ჩხრეკს, სუნავს, აპატიმრებს, გადასახლებასა და დეპორტაციაში აგზავნის, მაგრამ მე ასეთ გასართობს არ ვეტანები, საკმაოდ ვიწროა იგი ჩემთვის, ვედებსა და ბაროკოს კონცერტებზე, ტარკოვსკის ფილმებსა და აპოლინერის პოეზიაზე აღზრდილ-აღერებულისთვის. მერე რა, რომ ჩემი შორეული ბაბუა ოდესღაც უკრაინული სამაზრო პოლიციის კომენდანტი, მერე კი დივიზიონელი იყო და დაიღუპა ბრძოლის ველზე ჯერ კიდევ ორმოცდაერთში? ბაბუაჩემი, – „უგა“-ს[1] პიდხორუნჟი[2] – უკვე 1918 წლიდან, როცა მას ჯერ კიდევ თვრამეტი არ შესრულებოდა?

მე ვარსებობდი საკუთარ წრეში, კაგებე კი სადღაც მის გარეთ დადიოდა. იშვიათად მომეწეოდა რომელიღაც ტალღა,

---

[1] „უგა“ – უკრაინის გალიციური არმია, იგივე ზუენერის არმია

[2] პიდხორუნჟი – სამხედრო წოდება ზუენერის არმიაში. „ხორუნჟი“ ისტორიულად მედროშეს ნიშნავდა. წარმოდგება პოლონურიდან.

რომელიც ჰგავდა გაფრთხილებას, მიშვებული აღვირის მსუბუქად მოქაჩვას, არამზადობის თეატრში სამარცხვინო დადგმის წინ პირველი ზარის ხმას. აგერ, ინსტიტუტიდან ნაცნობი მხატვარი გარიცხეს, რომელმაც გამოცდაზე განაცხადა, ახალი კონსტიტუცია არც წამიკითხავს და არც ვაპირებ წაკითხვასო. აგერ, სხვა ნაცნობი მხატვარი ამქვეყნად ყველაფერს ტოვებს და რატომღაც ტალინში აღმოჩნდება – თითქოს იქ უკვე საზღვარგარეთი იყოს. ეს კიდევ ინსტიტუტის მეოთხე სართულზე ყრუდ დახშული ოფიციალური კარი უღიმღამო წარწერით: „პირველი განყოფილება". ამბობენ, რომ ამ კარებს მიღმა ყოველი ჩვენგანი წევს თავის პერსონალურ საქაღალდეში – სავსებით გამჭვირვალე, იმპერიისთვის ეგზომ აუცილებელი ყველა მონაცემითურთ. იქ ჩვენზე ისიც კი იციან, რაც ჩვენ არ ვიცით.

და ჰა, გადის კიდევ რამდენიმე წელიწადი. იქ ჩემზე ვილაცა, რა თქმა უნდა, გარკვეულ ცნობებს აგზავნიდა. ინსტიტუტის მერე სამსახური, ჯარი. ჯარიდან დაბრუნებულს რამდენიმე კარგი პუბლიკაცია მაქვს. მე უკვე მიცნობენ, როგორც პოეტს. მალე ჩემი წიგნი დღის სინათლეს იხილავს!

და, აი, აქ ვგრძნობ მათ მოახლოებულ და დაჟინებულ სუნთქვას. სიგნალები უკვე უბრალო სიგნალები როდია, ზარიც უკვე უბრალო ზარი კი არა, ორი ზარია. გამომცემლობაში, სადაც ჩემი პირველი წიგნი მზადდება, რედაქტორი ჩუმი ხმით მანიშნებს, რომ ჩემით დაინტერესებულნი არიან. რომ ჩემზე მასალებს აგროვებდნენ. მირჩევს, ეს გავითვალისწინო. რადგან ყველაფერი ხდება. რაღაც ორ თვეში – პირველი პაემანი. არა გოგონასთან, რა თქმა უნდა. ორ სამოქალაქოსთან. ბანალური გამოძახება სამხედრო კომისარიატში (ეს სიტყვა უნდა იცოდეთ, ჩემო უმამაცესო), და ერთსაათიანი საუბარი სამოქალაქო თავდაცვის შიგნიდან დაკეტილ კლასში. საუბრის არსი სამყაროსავით ძველია: გადაბირება. ხომ არ ისურვებდით თქვენ,

ოტო ვილჰელმოვიჩ, ჩვენს მძიმე სამუშაოში მხარის შეშველებას? არ ვისურვებდი. გმადლობთ ნდობისთვის. რატომ? ნება გვიბოძეთ, დავინტერესდეთ. იმიტომ, რომ სხვა ბუნების კაცი ვარ, ამავე დროს ჩვენი ზოგიერთი შეხედულებაც განსხვავდება ერთმანეთისგან. რომელ შეხედულებას გულისხმობთ? რელიგიურს, მაგალითად. მაგრამ თქვენ ხომ პატრიოტი ხართ? ჰმ, პატრიოტი ვარ, რა თქმა უნდა. თუ თქვენ ნამდვილი პატრიოტი ხართ, გევალებათ ჩვენი დახმარება. არა, უკაცრავად. სჯობს, ჩემი საქმე ვაკეთო. როგორც პატრიოტმა. თქვენ კი თქვენი საქმე აკეთეთ. წარმატებებს გისურვებთ. არ გვეგონა, თუ ასეთი გულგრილი იყავით საკუთარი სამშობლოს მიმართ, ოტო ვილჰელმოვიჩ. რა გაეწყობა, ჩვენ გავაკეთებთ თქვენ მიმართ უტყუარ დასკვნებს. გააკეთეთ. ეს თქვენი უფლებაა. მაგაში გიხდიან ფულს.

იმჯერად ჩემი წიგნი არ შეუჩერებიათ. მე კი ყველაზე მეტად ამისი მეშინოდა. ამიტომაც ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა იგი გამოვიდა. მაგრამ თურმე სადა ხარ, თამაში მხოლოდ იწყებოდა, მე კი, სულელს, იგი დამთავრებული, უფრო მეტიც, მოგებული მეგონა. ის კი არადა, გადავწყვიტე, კეთილშობილება გამომეჩინა და ჯენტლმენური წესები დამეცვა. ამიტომაც ამქვეყნად არავისთვის გამიმხელია ჩვენი პირველი პაემნის შესახებ. ვფიქრობდი, იგი უკანასკნელი იყო.

ისინი კი ამასობაში მუშაობდნენ თურმე. თხრიდნენ ღრმად, ამუშავებდნენ ვერსიებს, არჩევდნენ ვარიანტებს. აგზავნიდნენ შეკითხვებს კიევში, მოსკოვში, პრაღაში, კრაკოვში, ვენაში, აწუხებდნენ რეზიდენტებს ამერიკაში. წაიკითხეს ჩემი წიგნი. გააანალიზეს. ასე გავიდა წელიწადი. ოთხმოცდაექვსი წელია, მოსკოვის ზედა ფენები რაღაცების დემოკრატიზებას და შერბილებას გეგმავენ, მაგრამ სახელმწიფო უშიშროება ამას სერიოზულად არ აღიქვამს, პირიქით, ზემოდან ახალი აქტივიზა-

ციის მინიშნებად მიიჩნევს. აქაოდა, დროა მთელ იდეოლოგიურ ფრონტზე (ჰა-ჰა!) ახალი შეტევა დავიწყოთო. ამჯერად ჩემი მოკრძალებული და მართლაც აპოლიტიკური პიროვნების მიმართ გამოიგონეს მთელი გეგმა – მოქნილი და მრავალსაფეხურიანი. ასე ვთქვათ, ბელურისთვის ქვემეხებიდან სროლის გეგმა. სამხედრო კომისარიატის იმავე კლასში დამხვდა კიდევ ერთი, უკვე სხვა სამოქალაქო პირი. დაიწყო ჩემი წიგნის ქება-დიდებით. მეუღლეს (ჰა-ჰა!) ძალიან მოსწონსო, მე ლექსებში არც თუ ისე ვერკვევი, მაგრამ მეუღლის ლიტერატურულ გემოვნებას ვენდობიო. მაშინვე შემომთავაზა წამეკითხა რამდენიმე სხვა, ნაკლებად ცნობილი პოეტის ხელნაწერი და დამეწერა მისთვის რეცენზიის მსგავსი რამ: არის თუ არა ეს ხალხი ნიჭიერი, შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ეს ხელნაწერები პოეზიად, თუა მათში რაიმე დადებითი და ჯანსაღი აზრი. და თავისი საქაღალდიდან საერთო რვეულები დააძრო. არა-მეთქი, ვეუბნები, შეინახეთ თქვენთვის, ასეთი რამე ჩემი საქმე არაა. მე პოეტი ვარ და არა რეცენზენტი, ლიტერატურის თეორია ძალიან ცუდად ვიცი, ოქსიტონურ რითმას პაროქსიტონურისგან ვერ ვარჩევ-მეთქი.

– თქვენი თეორიის მიხედვით, არა, ოტო ვილჰელმოვიჩ, უბრალოდ, როგორც იგრძნობთ, როგორც გული გიკარნახებთო. – არა, არ გამოვა-მეთქი, ვეუბნები. ტყუილად ამბობთ უარს, ოტო ვილჰელმოვიჩ, ტყუილად. მაგრამ არა უშავს. დიდი საქმეები ჰაიჰარად არ კეთდება. მოდით, ერთი კვირის მერე ისევ შევხვდეთ. ყველაფერს მშვიდად აწონ-დაწონით. თეორიულ ცოდნას გაიღრმავებთ. მხოლოდ ეს აირწინაღიანი პირქუში შენობა დავივიწყოთ. უმჯობესია, შევხვდეთ, ნუ-უ, მაგალითად, ფირმა „ავეჯთან", კარგი? და კიდევ: ძალიან მეგობრულად გთხოვთ და გეხვეწებით, არავის არაფერი უთხრათ. სპეციფიკაა ასეთი, გესმით?

რატომო, მკითხავთ, ჩემო სამართლიანო ხელმწიფეო, რა-

ტომ ძუკნის კუდოო, რატომ წახვედი მასთან ერთი კვირის მერეო? განა არ შეგეძლო მიგეფურთხებინა, შტერო, ყველა მათი ინტრიგისთვის, ფეხზე დაგეკიდებინა ეს ჭუჭყიანი ფუთფუთი და არ მისულიყავიო? მე არ ვამბობ, რომ მათთვის ბომბი უნდა გესროლა ან მათი გენერალი მოგეკლა, ან საიდუმლო ორგანიზაცია შეგექმნა. არა, ამას არც ვამბობ და არც მოვითხოვ. მაგრამ იმ ბილწ შეხვედრაზე რომ არ მისულიყავი, შე უქნარავ, ხომ შეგეძლოო?

შემეძლო, თქვენო მოწყალებავ, არც მივსულიყავი. მაგრამ მეგონა, რომ ასე საკუთარ სიმხდალეს, სისუსტეს გამოვაჩენდი. ორთაბრძოლისთვის თავის არიდებას მასში ჩაბმა ვარჩიე. მაგრამ მათ წინაშე შიში მაინც მქონდა. იმპერიის უმრისხანესი ძალის წინაშე მისტიკური შიში. საიდუმლო და ულმობელი, პროფესიული და შეიარაღებული ძალის წინაშე.

ჰოდა, ერთ კვირაში ვსხდებით დახურულ კარს მიღმა რომელიღაც ფირმა „ავეჯის“ აპარტამენტებში (რატომ მაინცდამაინც იქ? ვინ მისცა მათ გასაღები? ვინ და რით გადაიბირეს იქ?). ვეწევით, ვსაუბრობთ. ხუთი საათი გრძელდება ეს პაემანი. მე ლომივით ვიბრძვი. თვითონაც მიკვირს და მომწონს, რა ღირსეულად, ბრძნულად და პატიოსნად მიჭირავს თავი. მას კი უკვე ახალი ბანქოს ქაღალდები მოუმარჯვებია ჩემ საწინააღმდეგოდ. დღის სინათლეზე გამოაქვს ანონიმური ეპისტოლე, მანქანაზე გადაბეჭდილი, უსტარი, როგორც იტყვიან, ურიცხვი გრამატიკული და სტილისტური შეცდომით, თვით საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის სახელზე. და ამ წერილში „შეჭირვებული მოქალაქეები“ აღშფოთებას გამოთქვამენ, რომ ფაშისტთა დამქაში უკრაინელი პოლიცაების „შვილები და შვილიშვილები“ ისე მშვენივრად ცხოვრობენ ჩვენს მეტისმეტად ჰუმანურ საბჭოთა სახელმწიფოში, რომ მათ ყ--საც ვერ მოსჭამ, ხოლო ერთ-ერთი მათგანი – ცნობილი დამნაშავის,

პოლიციელი კომენდანტის შვილიშვილი ფონ ფ., „მწერალიც კი გახდა“ და მას კიევში რაღაც მტრული წიგნიც გამოუცეს. სადაა სამართალი ამ ქვეყანაზე, კითხულობდნენ წერილის ბოლოში „შეჭირვებული მოქალაქეები“, იატაკქვეშელი კომუნისტების შვილები და შვილიშვილები.

წარმოგიდგენიათ, ოტო ვილჰელმოვიჩ, მეუბნება ჩემი ახალი მოკეთე, რა იქნებოდა, ჩემს ხალხს ეს სისაძაგლე დროულად ხელში რომ არ ჩაეგდო? და რომ იგი მოხვედრილიყო ჩვენს დებილ პირველ მდივანთან? მას იგი დაბლა, რომელიმე ჩაჯმულ ინსპექტორს გადასცემდა, რომელიც უსაქმურობისგან დღიდან დღემდე ერთ ადგილას მახათს ირჭობს და სულ იმის ცდაშია, როგორმე გასრისოს, მოსპოს, გათელოს ყოველივე ნიჭიერი და ნაღდი, თქვენისთანა ვინმე, მაგალითად. ვერ წარმოგიდგენიათ? აი, რა მოხდებოდა, ოტო ვილჰელმოვიჩ. პირველად საოლქო გაზეთში გამოგაჭენებდნენ! მოგცხებდნენ სკანდალური სტატიით! დაწერდნენ, უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების სისხლში გასვრილი სამხედრო დამნაშავის შვილიშვილიაო. სამსახურიდან დაგითხოვდნენ. მომავალ წიგნებზე ფიქრსაც ვეღარ შეძლებდით. საყოველთაო ზიზღითა და სიძულვილით გარემოსილი ჩავარდებოდით სიღარიბეში და იქნებ ლოთობაც დაგეწყოთ. და, აი, აქ, ოტო ვილჰელმოვიჩ, თქვენს გზაზე სხვა მოღვაწეები გამოჩნდებოდნენ. უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ დიდი ხნის წინ ნაყიდი კეთილისმყოფელები. და გადაგიბირებდნენ, საბჭოთა ხელისუფლებაზე განაწყენებულს, მიუხედავად იმისა, რომ პატრიოტი ხართ. ფიქრიც კი მიმძიმს ამაზე, ოტო ვილჰელმოვიჩ, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩემმა ერთგულმა ბიჭებმა ხელთ იგდეს ეს პასკვილი, და ახლა მე გპირდებით: ჩვენ ვიპოვით და დავსჯით ამის დამწერ ნაძირალას! ჩემს ოფიცრულ სინდისს გეფიცებით! ოღონდ საამისოდ ერთად უნდა ვიყოთ, ოტო ვილჰელმოვიჩ, ერთმანეთს უნდა შევეშველოთ. მე მათ

ვუჩვენებ, როგორ უნდა გადაელობონ ნიჭიერ პოეტებს, მთელ ჩვენს მრავალტანჯულ კულტურას! დავკრათ ხელი, ოტო ვილ-ჰელმოვიჩ, ძვირფასო!

ვეუბნები: მადლობა, ჩემო უხილავსამხრეებიანო მეგობა-რო, რომ ხელთ იგდეთ ეს სისაძაგლე, თუმცა ასეთ რამესაც არ გამოვრიცხავ, რომ იგი თავად თქვენ მიერ იყოს შეთითხნილი. მაგრამ რამდენადაც ძალიან მაღალი აზრისა ვარ ჩვენს სახელო-ვან ორგანოებზე და ვერ ვიფიქრებ, რომ მათ შეუძლიათ წავიდ-ნენ ასეთ პრიმიტიულ და ჭუჭყიან შანტაჟზე, გთხოვთ, გულს ნუ გამიტეხთ, მიიღეთ ჩემი წრფელი მადლობა და გამიშვით ჩემს გზაზე-მეთქი.

ჩემი დაბნეული მფარველი ღრმა ამოოხვრით მეუბნება: დაიცადეთ კიდევ თუნდაც თხუთმეტი წუთი, ოტო ვილჰელ-მოვიჩ, რაკი აქამდე ამდენი ვიქაქანეთ, მე მხოლოდ გენერალს დაეურეკავ და ჩვენი საუბრის შედეგებზე მოვახსენებო. რატომ არ გავიტანე ჩემი და არ წავედი იმწუთას! მეთქვა, არ მაქვს მეტი დრო, ისედაც იმდენი ვილაპარაკეთ, მოვწიეთ, რომ მორჩა, ნახვამდის! მაგრამ არა, წყეულმა აღზრდამ და ზედმეტმა თავაზიანობამ შემიშალა ხელი. გულახდილად რომ ვთქვა, იგი ცოტა შემეცოდა კიდეც – საწყალმა იმდენი იჯაფა და არაფერი გამოუვიდა. მათი შეცოდება კი არ შეიძლება თურმე, თქვე-ნო მოწყალებავ. თხუთმეტ წუთში ქარიშხალივით შემოიჭრა მეორე – მასზე ორჯერ ზორბა და აგრესიული. ეს, როგორც მერე შევაფასე, იყო თვალსაჩინოდ გამოყენებული ბანალური საპოლიციო ხერხი – ერთი კეთილი, მეორე ავი. კონტრასტებზე თამაში. ჰოდა, ეს მეორე ეგრევე ჯიქურ შეტევაზე გადმოდის. სამხედრო დამნაშავე პაპის სისხლი ბორგავს და დულს თქვენს ძარღვებში, ახალგაზრდავ! ვხედავ, რომ მტერი ხართ ჩვენი ხელისუფლების, აქამდე შეფარული მტერი. მტერს კი არ ებო-დიშებიან. მოემზადე დიდი და მწარე უსიამოვნებებისთვის. მე

პირადად მოვამზადებინებ სტატიას პაპათქვენის სისხლიან ბოროტმოქმედებებზე, რომელსაც მთელ რესპუბლიკაში გადაბეჭდავენ. მას მოჰყვება კიდევ ერთი სტატია თქვენი წიგნის ანტისაბჭოთა არსზე. სხვათა შორის, ყური მოვკარი, რომ ახლა გამომცემლობაში თქვენი რომელილაც ხელნაწერი დევს. შეგიძლიათ წახვიდეთ კიევში მის წამოსაღებად. არ გამოვა თქვენი ხელნაწერი! უკანასკნელად გეკითხებით: გაგვიწევთ თუ არა დახმარებას? დონერვეტერ![1]

– რაც შეეხება პაპაჩემს, გეტყვით, რომ მასზე ყველაფერი დაწვრილებით არ ვიცი, მაგრამ ოჯახის სხვა წევრებისგან მსმენია: მას თავის პოლიციურ თანამდებობაზე მეტი სიკეთე გაუკეთებია, ვიდრე თქვენს ენკავედისტ წინამორბედებსა და დამრიგებლებს თავიანთ პოსტებზე. რომ მას ბევრი გადაურჩენია გერმანიაში წაყვანისა და თვით დახვრეტისაგან, რის გამოც მუდმივი შეტაკება და კონფლიქტი ჰქონია გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებასთან. რადგან იგი იყო მეომარი, ჯარისკაცი და არა ჟანდარმი, როგორც აქ ზოგიერთი ვინმე. რაც შეეხება ჩემი წიგნის ანტისაბჭოთა შინაარსს, მხოლოდ პატივს მივაგებ იმ ლიტერატურათმცოდნეს, რომელიც ამას დაამტკიცებს. თვითონაც მაინტერესებს. კიევში კი ხელნაწერის წამოსაღებად წასვლას არ ვაპირებ, რადგან მას, სულერთია, თქვენი ბრძანებით ისედაც დამიბრუნებენ. მოკლედ, ქენით რაცა გსურთ, თუნდაც თავი მომკვეთეთ, მაგრამ თქვენი ჩამშვები არ გავხდები.

ჩამშვებები ჩვენი საქმე არაა, ამბობს პირველი, ლმობიერი. მათთან „ძაღლები" მუშაობენ. გულშიც როგორ გაივლეთ ჩვენზე ასეთი რამე, ოტო ვილჰელმოვიჩ! ჩვენთან ჩამშვებები კი არა ადამიანები არიან, რომლებიც ნებაყოფლობით გვეხმარებიან.

---

[1] დონერვეტერ! (გერმ.) – სიტყვა-სიტყვით: „ქუხილი და ელვა". გადმოიცემა როგორც „ეშმაკსაც ნაუღია".

ინჟინრები, ექიმები, უმაღლესების დოცენტები, მხატვრები, არქიტექტორები, ისტორიკოსები. გვხვდებიან მათ შორის მწერლებიც. ყველა მათგანი პატრიოტია. მაგრამ მოვრჩეთ მათზე. მაქვს ასეთი წინადადება. მოდი, ერთ კვირაში ისევ შევხვდეთ. რას გვარგებს სიცხარე ან გაბრაზება. ყველაფერი მშვიდად განსაჯეთ. შეაფასეთ პერსპექტივა, აწონ-დაწონეთ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ მინდა, ცხოვრება გაგიფუჭოთ, ოტო ვილჰელმოვიჩ.

თქვენ მეც მომწონხართ, ამბობს მეორე, რომელიც ასევე მოლბა. ომის შემთხვევაში, სულ ერთია, შეტევაზე მაინც ერთად ვივლით, ასე არაა, ოტო ვილჰელმოვიჩ? ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს და გასაყოფიც არაფერია. მე გუნებაში გადავიხარხარე, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მიმეჯახუნებინა კარი და დამეტოვებინა აქაურობა. რა თქმა უნდა, ზრდილობა და თავაზიანობა უპირველესია. კეთილი, რაკი ერთ კვირაშიო, ამბობთ, იყოს ერთ კვირაში, მაგრამ მტკიცედ ვიცი, რომ გადაწყვეტილებას არ შევცვლი. სხვა საქმეა, პოეზიაზე თუ ვილაპარაკებთ. სილაბურ-ტონურ ლექსებსა და ვერლიბრზე, ასევე დაქტილურ რითმებზე.

ვთქვი ეს და წავედი. ის ორი კი იქ დარჩა.

თურმე სულ ტყუილად მიჩუქნია მათთვის ის ერთი კვირა, თქვენო ბრწყინვალებავ. თუკი თვითონ იმ კვირის განმავლობაში მაგარ ალკოჰოლურ სასმელებს მივეძალე და იმასღა ვცდილობდი, ყველაფერი დამევიწყებინა და არაფერზე მეფიქრა, ისინი გულხელდაკრეფილი როდი მსხდარან. აანალიზებდნენ, ეძებდნენ, სწავლობდნენ თურმე. გარკვეულ ფაქტებს აზოგადებდნენ. თან ახალი, გაუჭრელი ბანქოს დასტაც მოუმზადებიათ.

მაგრამ ყველაფერი უწინდებურად დაიწყო. იგივე „ავეჯი", იგივე პირველი. ვეწევით, ვლაყბობთ. მან რაღაცნაირი ფანტასტიკური პერსპექტივების ხატვა დაიწყო. როგორ ვივლიდი

საზღვარგარეთ პოეტურ ფესტივალებზე. როგორ მიშოვიდნენ ცალკე ბინას. როგორ გამოსცემდნენ კანადასა და შტატებში ჩემს წიგნებს, რადგან მათ იქ შენიღბული უკრაინული გამომცემლობები აქვთ. ერთი სიტყვით, დოლჩე ვიტა![1] მე ვპასუხობდი, რომ ასეთ სიტუაციებს ცხოვრებისეული პრაქტიკიდან ვიცნობდი. როცა ბიჭს გოგოს ხელში ჩაგდება უნდა, რას არ დაჰპირდება, მაგრამ როცა შუაღამისას ბუჩქებში თავისას მიაღწევს, კარგად მეყოლე, შავთვალწარბავ!

მაშინ კვლავ შემოიჭრა ნაპერწკლების ყრით მეორე. ვინ ჩემი ფეხებია ეს წვინტლიანი, ამდენ დროს რომ ვახარჯავთო! ერთი ესეც პოეტური სუპერვარსკვლავი არ მყავდესო! შენ ის მითხარი, დედაშენის ქალიშვილობის გვარი როგორაა? ესა და ეს-მეთქი, ვეუბნები. ჰოდა, შენი მეორე პაპა, დედაშენის მამა, ასევე სამხედრო დამნაშავეა, დამსჯელ ოპერაციებში მონაწილეობდა და დღესაც საღ-სალამათია, აქამდე ცოცხალია, და შენ მას თვეში ორჯერ სტუმრობ, მოსისხლის ნაშიეროო!

და მაგიდაზე ცხვირწინ მიდებს ფოტოს, რომელზეც ჩემი მეორე პაპაა აღბეჭდილი, ახალგაზრდა, ოცდაათი წლისა, რომელიღაც უნიფორმა აცვია, ალბათ სადივიზიო.

რაო, კვიცი გვარზე ხტის, ჩამოგივარდა ყბა? მაშ, ასე, ჩვენო ძვირფასო სუპერვარსკვლავო, ხვალ შენს საყვარელ პაპას მოვაყუჩებთ. საქმე არსებობს, მოწმეები არიან, სასამართლო იქნება! რამდენი წლისაა, ამბობ? სამოცდათოთხმეტის? შეეძლო კიდევ მოეჭამა სოფელი, რა თქმა უნდა, მაგრამ ჯიუტი შვილიშვილის გამო „ვიშკა"[2] არ ასცდება. სე ლა ვი![3]

და ამ დროს მე პირველად ვერ მოვიფიქრე, თქვენო მოწყალებავ, რა მეთქვა. მხოლოდ წარმოვიდგინე სასამართლო დარბაზი,

---

[1] დოლჩე ვიტა! (იტალ.) – ტკბილი ცხოვრება

[2] „ვიშკა" – რუსული სლენგი: სასჯელის უმაღლესი ზომა ანუ დახვრეტა.

[3] სე ლა ვი (ფრ.) – ასეთია ცხოვრება.

შავად მოსილი დედაჩემი და გავიგონე ვილაცის მექანიკური ხმა: „განაჩენი აღსრულებულია“. და საკუთარი დიდი, დიდი ხნის სიცოცხლე მკერდში მარადიული დანაშაულის განცდით.

მომეცით ქალალდი-მეთქი, ვეუბნები. ისინი კინალამ აცეკვდნენ, თუმცა გარეგნულად თავშეკავებულები ჩანდნენ. მე კი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სამარცხვინო კარნახი დავწერე. იმის თაობაზე, რომ „ნებაყოფლობით ვკისრულობ დახმარებას“. რომ კონსპირაციის მიზნით ვუპასუხებ მეტსახელზე...

იქნებ „რემბოზე“, ამბობს პირველი, რადგან მე, სულელი, მანამდე ჩემი საყვარელი პოეტების შესახებ ვესაუბრე. არა-მეთქი, ვპასუხობ, ვერ შევბღალავ დიად სახელს, არ მინდა-მეთქი. მაშინ იქნებ „არტური“ შეგვერჩიაო, ერთვება საუბარში მეორე (გაუგია სადღაც ვირისთავს, რომ რემბოს არტური ერქვა!). იყოს არტური-მეთქი. ასეც ჩავაგვირისტე.

ესეც ასე, შვებით ამოისუნთქა მეორემ. გილოცავთ, ოტო ვილჰელმოვიჩ, ბოლოს და ბოლოს თქვენ ღირსეულად მოიქეცით, გადადგით გონიერი, სწორი და ჰუმანური ნაბიჯი. კარგად იყოს თქვენი ძვირფასი ბაბუა, ჩვენ იგი აწი ასი წელი არ დაგვჭირდება. მომავალში მასთან იმუშავებთ, მანიშნებს პირველზე, მე კი არ მიცნობთ. მთავარია, მიეჩვიოთ და დაწყნარდეთ. ამიერიდან თქვენი ცხოვრება იქნება მდიდარი და საინტერესო. დაიმახსოვრეთ, თქვენ არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი. ასეთია ჩვენი სამუშაო!

ამ სიტყვებით დავშორდით ერთმანეთს, თუმცა მანამდე პირველისგან რამდენიმე ტექნიკური დარიგება მივიღე. თუ მაგალითად, ჩემი საფოსტო ყუთის ზედა მარცხენა კუთხეში შევნიშნავ პატარა ცარცის წრეს, როგორც ზოგჯერ ბავშვები ხატავენ ხოლმე, ჩვენ უნდა შევხვდეთ. მაშინ მე მას ვურეკავ საკუთარი თუ ნებისმიერი სხვა გვარის დაუსახელებლად, გარკვეულ ადგილზე შეხვედრის დასანიშნად.

ოღონდ, ოტო ვილჰელმოვიჩ, ნუ დაღონებულხართ ასე მწარედ, ჩვენ იშვიათად შევხვდებით – დიდი-დიდი სამ თვეში ერთხელ, სხვა ყველაფერში იყავით თავისუფალი, წერეთ ლექსები, უსმინეთ მუსიკას, სხვათა შორის, შეგვიძლია კარგი დასავლური ჩანაწერები გიშოვოთ, გაემგზავრეთ დასასვენებლად, ერთი სიტყვით, იცოცხლეთ და ისიამტკბილეთ! და გახსოვდეთ, რომ ამიერიდან ჩვენი მუდმივი დაცვის ქვეშა ხართ. და საიდუმლო მკაცრად უნდა დაიცვათ, სხვანაირად... ხანდაზმულობის ვადა ჩვენთან არ მოსულა. მაგრამ ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

რა თქმა უნდა, მოწყალეო ხელმწიფეო, მე ერთი დღე-ღამეც ვერ გავუძელი ამ მცხუნვარე ჯოჯოხეთს. მეჩვენებოდა, რომ ყოველი მხრიდან მითვალთვალებდნენ, მისმენდნენ ტელეფონებიდან და სავენტილაციო ლუკებიდან, აყენებდნენ ჩემს ფანჯარასთან საგანგებო დანადგარებიან საეჭვო მანქანებს. და სწორედ მაშინ დაიწყო!

ჯერ კიდევ ნახევარი სიტყვითაც არ მეღალატა ვინმესთვის, არ ჩამედინა რაიმე ცუდი, მე კი თავს უკვე ვგრძნობდი იუდად, ვხედავდი კიდეც იმ ხის გამხმარ ტოტს, რომელზეც თავს უსათუოდ ჩამოვიხრჩობდი. ჯოჯოხეთის სულივით კბილებს ვაღრჭიალებდი, იდაყვებს ვიკბენდი. და ვერანაირ გზას ვერ ვხედავდი სამერმისოდ.

და უკვე მეორე დღეს დავარღვიე მათი პირობები. წავედი უახლოეს მეგობართან, გავიყვანე მინდორში და გავანდე ყველაფერი, რაც უკანასკნელი კვირების მანძილზე გადამხდა. საეჭვო ღიღილოები მიკროფონებივით მოჩანდნენ მიწაზე. დაღრეცილი ალუბლის ვარჯში თითქოს რადარი ჩაემალათ.

პეტრო, ჩემი ამხანაგი, მოიღუშა, როცა ყველაფერი ბოლომდე ვუამბე, მერე ცოტა იფიქრა და მითხრა:

– რატომ მაშინ არ მოხვედი, როცა ისინი ჯერ კიდევ გაბოლებდნენ? მე ყველაფერს აგიხსნიდი, დაგარიგებდი, რა გექნა,

ვინძლო, რამე გველონა. არსებობს ერთი ოქროს წესი ყველა ჩვენგანისთვის: არ უნდა მოვუწეროთ მათ ხელი არც ერთ ქაღალდზე. არც ერთ ქაღალდზე, რაც უნდა მოხდეს! პაპას ამბავი იქნებ სულაც ბლეფი იყო! ვა-ბანკზე უნდა წასულიყავი. ახლა უკვე გვიანაა – ხელი გაქვს მოწერილი. თუმცა, არ არსებობს უკარო ქალაქი. გაწელე დრო, მოატყუე ისინი, მოიქეცი ისე, რომ მათთვის საინტერესო არ ჩანდე. მიხედე საკუთარ თავს, მოერიდე ახალ ურთიერთობებს და წერე ისეთი ლექსები, რომლებიც ყველაფერს გაამართლებენ. ილოთე, ოღონდ თავს ნუ დაკარგავ, მათ არ უნდათ ლოთებთან საქმის დაჭერა – ეს მათთვის სარისკოა. გავა დრო და მოგეშვებიან, როცა ნახავენ, რომ ამ ძროხას ვერ მონველიან.

პეტრო მოციქულივით გაბადრული იყო, ველად მწუხრი ეშვებოდა, მზე დასაძინებლად წვებოდა, და მაშინ შევიგნე, თქვენო მოწყალებავ, რომ ისინი ყოველთვის სარგებლობენ ჩვენი გათიშულობით, მაგრამ მე ვძლიე ეს გათიშულობა, გავენდე მეგობარს და ახლა უკვე სულ სხვა ვინმე ვარ.

მას შემდეგ რამდენჯერმე გამოჩნდა ცარცის პატარა წრე ჩემს საფოსტო ყუთზე. ვინ ხატავდა მას, მინდა ვიცოდე. მეეზოვე? ფოსტალიონი? რომელიმე მეზობელი? თუ თვით უხილავ სამხრეებზე მაიორის ვარსკვლავებიანი მფარველი ანგელოსი? როდის აკეთებდა ამას? შუაღამისას, როცა აჩრდილები გამოდიან სანადიროდ? თუ მამლების მესამედ დაყივლების ჟამს, როცა ეშმაკების მთელი გვარდია მიწისქვეშეთში ჩადის?

ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით კონსპირაციულ ბინაზე. ვეწეოდით, მე ვლაპარაკობდი არაფერზე. ოიტისოდენად, ფრჩხილისოდენად, თვით უნებლიეთაც არ მიღალატია ვინმესთვის, არ გამიყიდია არავინ – ღმერთი ყველაფერს ხედავს. ღმერთი – ჩემი უკანასკნელი იმედი. და, დაე, მან განმსაჯოს. მეტად არც ერთი ქაღალდი მათთვის არ დამიწერია, თუმცა ჩემი მეურვე ძალიან

მაწვებოდა. მაშინ მართლაც უზომოდ ვლოთობდი, მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმეა. გამოსაფხიზლებლები იყო ჩემი პოლიტიკური თავშესაფარი.

ამასობაში იმპერიის რღვევა დაიწყო. მგონი, მესამე ასეთ შეხვედრაზე მტკიცედ მოვითხოვე ურთიერთობების სრული გაწყვეტა. ვუთხარი, შემახვედრე შენს გენერალთან, რათა ყველაფერი მოვუყვე იმ საზიზღარი შანტაჟის შესახებ-მეთქი. დავპირდი, რომ მივმართავდი პრესას (დიახ, ახლა უკვე მე ვემუქრებოდი პრესით!), კიევს, მოსკოვს, რადგან ყველაფერსა აქვს საზღვარი და მე ახლაც ჩემსაზე ვდგავარ. მან მხოლოდ ხელები გაშალა და მითხრა, გენერალთან შეგახვედრებო, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა და დიდი ხნით სადღაც გაქრა. ახლა უკვე მე ვეძებდი, ვურეკავდი, რათა საწადელისთვის მიმეღწია, მაგრამ იგი რომელიღაც ხანგრძლივ მივლინებებს იმიზეზებდა. მემალებოდა. ქუჩაში ლაბადის მაღლა აწეული საყელოთი და თვალებზე ჩამოფხატული ქუდით დადიოდა.

და მხოლოდ ერთი წლის მერე – ოთხმოცდარვა წლის ზაფხულში – ცარცის წრის გარეშე, უბრალოდ, ადამიანურად თვითონ დამირეკა შეხვედრის შესათანხმებლად. შევაჯამოთ შედეგებიო, – თქვა მან.

მეორე დღეს ერთ განაპირა ქუჩაზე, სადმე შეუსვლელად მაცნობა, რომ ჩვენი მომავალი ურთიერთობები წყდება და შემიძლია თავი თავისუფლად ჩავთვალო ყველა ნაკისრი ვალდებულებისგან, გარდა ერთისა – არ უნდა გავამხილო ჩვენი წარუმატებელი, როგორც თვითონ შენიშნა, თანამშრომლობის მცდელობა. ამ უკანასკნელ ნაკისრ ვალდებულებას, თქვენო მონყალებავ, საზეიმოდ ვარღვევ ამჟამად, ამ წერილის წერისას და ვასაჯაროებ საიდუმლოს. ამინ.

არა ვარ დამნაშავე ვინმეს წინაშე. ბაბუაჩემთან, რომელიც

ამას წინათ გარდაიცვალა, კრინტიც არ დამიძრავს, თუმცა ის საცოდავი გრძნობდა მათგან რაღაცნაირ საფრთხეს და ძალიან ნატრობდა სიკვდილის წინ ჩემს ნახვას, მაგრამ მე მხოლოდ გასვენებას ჩავუსწარი.

დამნაშავე ვარ საკუთარი თავის წინაშე. რომ მივდიოდი მათ გამოძახებაზე. რომ უსაზღვრო ზრდილობის გამო ხელს ვართმევდი მათ, რომლებსაც დასახიჩრებულ, მაგრამ მაინც ადამიანებად ვთვლიდი. რომ დავწერე ის ქაღალდი, რომელიც დღემდე იქ, მათ არქივებში ყვითლდება, მკრთალდება, ლპება, მაგრამ არსებობს, როგორც ჩემი სისუსტის მტკიცებულება, ჩემი სულიერი ფორიაქისა და დაბნეულობის მოწმე, ხელმოწერილი ბრიყვულ-პრეტენზიული და მას მერე ჩემთვის საძულველი სახელით.

აი, ასეთია ჩემი, მრავალგზის ცოდვილის, აღსარება, ჩემო ხელმწიფევ, და მხოლოდ თქვენ მინდა გთხოვოთ პატიება.

უდავოა, რომ საგანგებო სამთავრობო კომისია შეეცდება გამოიძიოს „სასაუზმეში" ბნელით მოცული აფეთქების მიზეზები. უდავოა, რომ ამის შესახებ შეტყობინებას დღეს წაიკითხავს პროგრამა „ვრემიას" მკაცრი დიქტორი. მაგრამ შენ რა გესაქმება ყოველივე ამასთან, ფონ ფ.,? შენი სვიტერი გაწუწულია ბოლო ძაფამდე, ისევე როგორც პერანგი მის ქვეშ, შენ კი დგახარ და, პოეტის თქმისა არ იყოს, აგრამატიკული კითხვის ნიშანივით ირწევი[1] „ბავშვთა სამყაროს" ცენტრალურ შესასვლელთან, იმპერიის ოქროს ხანაში ნაშობი სულელური გოლიათის ბჭესთან, და თავადაც ვერ გაგირკვევია, რისთვის დგახარ, რატომ თქიშინებს ეს წვიმა და რა უნდა შენგან ამ „ბავშვთა სამყაროს",

[1] აგრამატიკული კითხვის ნიშანივით ირწევი – არაზუსტი ციტირება თანამედროვე უკრაინელი პოეტის სტეპან პროციუკის სტრიქონისა: „დგახარ, ირწევი აგრამატიკულ კითხვასავით".

რატომ ტანჯავს იგი ასე შენს გადატვირთულ ცნობიერებას თვით საკუთარი არსებობის ფაქტით, მოსკოვის ცენტრში, დონ კიხოტის მსგავსი ძერჟინსკის მუქი ძეგლის შორიახლოს წამომართული?

საცაა ექვსი შესრულდება, შენ კი, ფონ ფ., ჯერაც არ იცი, აქ რისთვის მოსულხარ, და თუ ამ პრობლემის გადასაჭრელად კიდევ ერთ საათს იბრძოლებ, უკვე სადმე წასვლა არ დაგჭირდება, რადგან ამასობაში ამქვეყნად ყველაფერს დაკეტავენ, და ასე გადაიჭრება შენი ყველა მწვავე საკითხი, ყოველ შემთხვევაში ერთი მათგანი მაინც. დგახარ საკუთარი თავის ძეგლივით, მთვრალი მოაზროვნის ძეგლივით, ჩანთით ხელში, ირგვლივ კი ზღვა ხალხია, რომელიც წვიმაშიც განაგრძობს ვაჭრობას – ვინ საღეჭ რეზინებს ყიდის, ვინ – ნელსაცხებლებს, ლაბადებს, ფეხსაცმელებს, პორნოგრაფიას, პისტოლეტებს, ნარკოტიკებს – აგერ, აქვე, გამოშტერებული ძერჟინსკის ცხვირწინ, რომელიც ძალიან ჰგავს დონ კიხოტს, ისინი გარს გივლიან და სახელოზე გექაჩებიან, ეს უეშმაკო, იდუმალი და გასხივოსნებული რუსული სულის ალალი ადამიანები.

ამასობაში საკუთარი თავის სიგრძივ განკვეთას ახდენ. ასე, როგორც ჩანს, ადვილია აზრთა მოკრება და არსში ჩაწვდომა. მაშ, ასე, მუცელში გისხია ლუდი, ასე სამი-ოთხი ლიტრი, საგანგებოდ პროლეტარიატისთვის გამოხდილი მღვრიე ყვითელი სითხე. მის ზემოთაა ღვინის თბილი წითელი ფენა. იქ იბადება გეოლოგიური პროცესები, ეს ვულკანისეული სიღრმეებია. მერე მოდის შედარებით ვიწრო, საყლაპავი მილის სადღაც შუაში გაჩერებული არყის ფენა. ეს ბიოლოგიური თვალსაზრისით ძალიან აქტიური შუალედია. გარკვეულ მომენტში იგი დიდი განმაახლებელი ტენდენციების კატალიზატორი შეიძლება გახდეს. ეს, კაცმა რომ თქვას, ასაფეთქებელი ნივთიერებაა. არაყს ზემოთ, ყელთან ახლოს, ჩაწოლილა КВН –„კრეპკი ვინოგრადნი

ნაპიტოკ". რნყევისას პირველად სწორედ მას ამოაფრქვევ. იგი მყრალი და ნავთობივით მურა ფერისაა.

ასეთია, ძალიან ზოგადად, შენი შინაგანი სიცარიელის სქემა. სისხლსა და სხვა რამეებზე ჯერჯერობით არას ვამბობთ.

ახლა რიგშია ერთი სასიამოვნო აღმოჩენა. „სასაუზმეში" თურმე ხურდასთან ერთად შენს მფლობელობაში გადმოსულა ორკაპიკიანი მონეტა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოესი ავტომატიდან უნდა დაურეკო კირილის და გააფრთხილო სავარაუდო დაგვიანების შესახებ.

ამჯერად, მგონი, არავინ გპასუხობს. როგორც იქნა, ყურმილში ნაცნობი ხმა გესმის.

– ე-ე, კირილ, მე ვარ, სალამი!

– ოკეი!

– რისი ოკეი, ეშმაკსაც წაულიხარ! ეს მე გირეკავ, გესმის?

– მესმის, მეგობარო.

– მე უკვე აქა ვარ, ადგილზე.

– რას გულისხმობ?

– გეუბნები, მოვედი-მეთქი! მოვედი, გასაგებია? მოვედი და ვდგავარ! ჩვენ ხომ შევთანხმდით „ბავშვთა სამყაროსთან", ასე არ იყო?

– „ბავშვთა სამყაროსთან"? – თითქოს აქედან ხედავ, გაოცებისგან როგორ აეზიდა უცებ მაღლა კირილს ჰაიდამაკური წარბები, – რას ამბობ, კაცო, ასე როდისღა შევთანხმდით? რა ხდება შენს თავს?

– არც არაფერი, კირილ. თუმცა ცოტა ხნის წინ სიკვდილს გადავურჩი. საქმე ისაა, რომ არბატის კუთხეში აფეთქდა „სასაუზმე", – სწორედ ის, სადაც შენ ოდესღაც „რუხ"-ის[1] გაზეთს მიჩვენებდი.

---

[1] „რუხ" (უკრ.) – მოძრაობა. უკრაინის ყველაზე მძლავრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „პერესტროიკის" პერიოდში. მოგვიანებით პარტია გახდა.

– რასაა რომ ბოდავ? ცუდად ხომ არა ხარ?

– ცუდადა ვარ, ძალიან ცუდად, კირილ. მე შევდგები ოთხი შინაგანი დონისგან.

– შეგიძლია როგორმე აქეთ მოხვიდე? – მის ხმაში ლამის დაბნეულობამდე მისული აშკარა შეშფოთება იგრძნობა, – ჩვენ უკვე ვამთავრებთ პირველი ნომერს. მხოლოდ შენ გვაყოვნებ. აქ საკმაოდ კარგად ვიმუშავეთ; ემელიან პორფიროვიჩმა, ანდრეიმ, ლუბამ...

– კირილ, – აწყვეტინებ მას, – შეგიძლია ლუბას დაუძახო?

– ახლავე, – გპასუხობს ცოტაოდენი ყოყმანის მერე, – რაში გჭირდება?

– ძალიან მნიშვნელოვანი რამე უნდა ვუთხრა.

– ალო, – გესმის სულ მალე ლუბას ხმა.

– ლუბა, – ცდილობ ამ სიტყვაში ჩააქსოვო რაც შეიძლება მეტი სინაზე, მთელი შენი სინაზე, მთელი სამყაროს სინაზე.

– გისმენთ, დიახ, – ლუბას პიკანტური რუსული გამოთქმა აქვს, თუნდაც იგი უკრაინულად ლაპარაკობდეს.

– ლუბა, დიდი ხანია, მინდოდა მეთქვა თქვენთვის...

– რისი, რისი თქმა გინდოდათ ჩემთვის, ბატონო ოტა?..

– რომ თქვენ გიჟურად მომწონხართ. მთელ დედამიწაზე თქვენი საუკეთესო ფეხების გამო ჭკუაზე აღარა ვარ... მიმიშვით მათთან, ლუბა...

– ღმერთო, ამას რას ამბობთ, – იგი იცინის, – ჩემთვის მეტად სასიამოვნოა ამის მოსმენა, ოტა, მაგრამ...

– არაა საჭირო არავითარი „მაგრამ". მე გთხოვთ. ლუბა, – აყოლებ მის სახელს KBH-ის სუნით გაჟღენთილ თბილ ამოსუნთქვას.

– რა გჭირთ, ძვირფასო? მე ვერასოდეს ვიფიქრებდი...

– იფიქრეთ, ლუბა, ლიუბო... ლი-უ-ბოვ...

იგი კვლავ ოდნავ ნერვიულად იცინის, გრძნობ კიდეც ოდნავ

ღელვანარევ სიმშრალეს მის ხმაში, მაგრამ ამ დროს ხაზი ითიშება. კავშირისთვის განკუთვნილი სამი წუთი გასულია.

მაშ, ასე. ერთი რამ შენ ზუსტად გაარკვიე. კირილს მის სახლში უნდა შეხვედროდი. „ბავშვთა სამყაროსთან“ რომელიღაც სხვა მიზეზის გამო ხარ აყუდებული. გაცოდინა ნეტავ, რომლის გამო? ძერჟინსკისთვის ხომ არ გეკითხა? რკინის ძერჟინსკისთვის. არა, რკინის ზიგფრიდისთვის. კონრად კლაუს ერიჰ ძერჟინსკისთვის. ან რაინერ ანზელმ ვილიბალდ კიროვისთვის. ან ვოლფგანგ თეოდორ ამადეი ლენინისთვის. იგი აქვეა, მინის ხუფქვეშ, ყველა ცოცხალზე უფრო ცოცხალი!

მაგრამ, აი, რა! უნდა მოახერხო შიგ შესვლა, ამ საშინელების ხახაში გაძრომა და მუცელში ჩაღწევა. მანდ იქნებ ყველაფერი გაგახსენდეს. საკმარისი იქნება უმცირესი ნიუანსი, ოდნავი მინიშნება, შორეული ასოციაცია და ყველაფერს გაიხსენებ: რისთვის მოეთრიე აქ, რა საჭიროა ეს ყველაფერი და საერთოდ რა ჩემი ფეხებისთვის არსებობ ამქვეყნად, მოშაირის პაწაწინა ნიჭის მქონე მთვრალო მახინჯო. ასე რო, ავანტი[1] შესასვლელისკენ, გაარღვიე იდაყვებით ეს პრიმიტიული პოლიეთნიკური ბრბო და შეჯაჯგურდი ამ სამყაროში, ამ სასტიკ, ვიწრო, არანორმალურ, ნერვიულ, ცინიკურ „ბავშვთა სამყაროში“. შესაძლოა, სწორედ აქ, ამ დარბაზებში, ამ სართულებზე, ამ არაფრის გამო მდგარ რიგებში ჩვენი ბავშვები კარგავენ ბავშვობას. გამოდიან იქიდან ჩამოყალიბებულ დებილებად, რომლებიც მხოლოდ კომუნიზმის, რეალური სოციალიზმის ან მათი მსგავსი აბსურდული საქმეებისთვის თუ გამოდგებიან.

პირველ სართულზე სათამაშოებია. უფრო სწორად – სათამაშოები არ არის. მთელი შესაძლო ასორტიმენტიდან, ფანტაზიების მთელი წარმტაცი სამყაროდან, მთელი პარალელური

[1] ავანტი (იტალ.) – ნინ!

და ზღაპრული ცისქვეშეთიდან არსებობს მხოლოდ ქაღალდის დასაკეცი მტრედი, რომლითაც გამოტენილია ყველა განყოფილება. ათასი, ასი ათასი, მილიონი ქაღალდის დასაკეცი მტრედი! ლურჯ ყუთებში შეფუთული ქაღალდის მტრედების მთელი მატერიკი. სხვა დანარჩენი ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყიდეს. და მხოლოდ ქაღალდის მტრედები არსებობენ იმისთვის, რომ უცხოეთის დაზვერვებს შეექმნათ შთაბეჭდილება საქონლის მრავალფეროვნებასა და სათამაშოების სიუხვეზე. მტრედებს რომელიღაც სატანკო ქარხანა უშვებს. ეს თანმხლები საქონელია. ზოგიერთ გულგატეხილ მოქალაქეს ისღა დარჩენია, ყველაფერზე ხელი ჩაიქნიოს და იყიდოს იგი. ბედნიერ საბჭოთა ბავშვებს, რომლებსაც ლოყებზე უკმაყოფილების ცრემლები დასდით, მიაქვთ იღლიაში გაჩრილი მფრინავი ქაღალდის მტრედები. გულგატეხილობა და იმედგაცრუება, და კბილთა ღრჭენა. მაგრამ ამის გამო მტრედები თაროებზე არ მცირდება.

სხვათა შორის, სადა აქვთ ამათ ტუალეტი, ჰა? საშინლად მინდა წყლის მისხმა. პერიოდულად მხვდება აბსურდული მაჩვენებელი – „პირველი საარტილერიო გასასვლელი“, მაგრამ შენ ქვემეხები როდი გჭირდება, შენ გინდა სხვა რაღაციდან გაისროლო თბილი ჭავლი, რათა გულზე მოგეშვას და კვლავ აღორძინდე ამ გაუვალ დარბაზში, გაღიზიანებულ და მორჩილ ბრბოში. გვერდს უვლი ცარიელ განყოფილებებს, მერე კბილის ჯაგრისებისა და გრამფირფიტების სექციას, გადაჭედილს ქაღალდის მტრედებითა და ფირმა „მელოდიას“ მიერ გამოშვებული ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მყრალი ჰიმნებით, და, აჰა, როგორც იქნა!

არაორაზროვანი კარები ასოთი M. იძიებ ჯიბეში ოცდახუთ კაპიკს. თუმცა ასი მანეთიც რომ მოგთხოვონ, წამითაც არ შეევაჭრებოდი. კარებთან მჯდარი ბებო თანაგრძნობით გართმევს მონეტას. მოსკოველი ბებოები საერთოდ თანაგრძნო-

ბით ეკიდებიან ლოთებს. ისინი არასოდეს დავობენ, არც ჭკუას არიგებენ ვინმეს, ლოთებს ისინი აღიქვამენ, როგორც მოცემულობას. იყო მოსკოვში მთვრალი, ეს იგივეა, რაც გქონდეს საკმაოდ გავრცელებული ფერის თმა. განა შეიძლება ადამიანს თმის ფერი უსაყვედურო? ალბათ არა.

მიდიხარ ძველებური, შესაძლოა, სულაც ანტიკური კაფელით მოპირკეთებულ პისუართან და უნებურად აქცევ ყურადღებას პეწიანად ჩაცმულ, ოდნავ ჭაღარაშეპარულ მამაკაცს, რომელიც თავისთვის დამდგარა და ეწევა. გამხდარი სამხრეთელი ტიპია – კოსტიუმი უზადოდ აქვს მორგებული, ჰალსტუხზე ელვარე ბროში დაუბნევია, ოქროსკბილიანია, სახეგარუჯული – ვინმე აზერია ან „არა“,[1] ან იქნებ სულაც ბოშა. გაყოლებს საკმაოდ დაინტერესებულ მზერას. ამ ბოლო დროს რატომღაც ჰომიკები მომრავლდნენ – გრძნობენ ალბათ მომავალ საკანონმდებლო ცვლილებებს და სულ უფრო გულახდილად ავლენენ თავიანთ ორიგინალურ მიდრეკილებებს. ჩანთას მხარზე იგდებ და წვიმაში საკმაოდ გათოშილი ხელებით იწყებ ბრძოლას ელვაშესაკრავთან. ასეთ წამს მთავარია, მშვიდად იყო და სასურველი სინამდვილედ არ აღიქვა. გულდასაწყვეტი იქნებოდა დამარცხება აქ, პირდაპირ მიზნის წინ. ამიტომაც შენი ყოველი მოძრაობა ხაზგასმულად მოზომილი, აწონილ-დაწონილი და გააზრებულია...

ასე გაგრძელდა საკმაოდ დიდხანს, მაგრამ ზღვა სიამოვნებაც გერგო. იხსნი შესაკრავს და თავდაჭერილად უვლი გვერდს არატრადიციული ჩვევების ძიას, რომელიც საკმაოდ უხამსად გიმზერს და თან ბაგეთა კუთხეებით ილიმება. გეშლება, პატივცემულო! ამაოდ ცდილობ ოქროს კბილით ჩემს შეცდენას. ჩაო, ბებერო!

---

[1] „არა“ – სომხების რუსული მეტსახელი.

თურმე ტუალეტიდან უნდა დაგეწყო, რადგან მას მერე გონება საოცრად გაგინათდა და უცებ გაგახსენდა მეგობრები, მათი შვილები და ის, რისთვისაც აქ მოხვედი. შედიხარ დარბაზში და სიტუაციას თითქოს ხელისგულზე ხედავ. ჰოდა, სანამ გვიან არაა, უნდა იყიდო რამდენიმე ქაღალდის მტრედი. ესაა ერთადერთი რამ, რაც შეგიძლია მეგობრებისა და მათი პატარა გვრიტებისთვის გააკეთო. ბოლოს და ბოლოს არცთუ უხეირო საჩუქარია მშვიდობისა და სულიწმინდის სიმბოლო. რაც უნდა იყოს, ეს არც ტანკია, არც ავტომატი ან სხვა მილიტარული სისულელე.

ხელს ყოფ ჩანთაში საფულის ამოსაღებად. აქვს შენს ჩანთას ასეთი გვერდითი ჯიბე. მაგრამ საფულე მანდ არაა. მშვიდად, ფონ ფ. თავისთავად გასაგებია, რომ საფულე გვერდით ჯიბეში კი არა, შიგნითაა. შენ იქ იგი, ცხადია, „სასაუზმეში" ფულის გადახდის მერე ჩადე. იჩოქებ ცალ მუხლზე და ხსნი ჩანთას. დიდხანს და ჯიუტად ეძებ საფულეს, მაგრამ პოულობ გაზეთ „ლიტერატურნაია როსიაში" გახვეულ რაღაც დიდსა და ბრტყელს. ეს ულვაშებიანი თევზია. ლოქო! საიდან გაჩნდა იგი აქ, ვინ მეტყვის?

არა, თევზი თავისთავად კარგია, მაგრამ სადღაა საფულე? სად ჯანდაბაში დაიკარგა? მასში არცთუ ბევრი ფულია, მაგრამ რაც გქონდა, სულ იქაა. მთელი შენი მაყუთი. ამასთანავე, შინ წასასვლელი ავიაბილეთიც, შენ ხომ ნახევარ თვეში სამუდამოდ ბრუნდები უკან და იმ ბილეთის შესაძენად ოთხნახევარი საათი იდექი რიგში.

ერთხელ კიდევ გადააქოთე ის საბრალო ჩანთა. იქექები მის სიცარიელეში, ლოქოს ხახაში, ხელს ყოფ ყველა განყოფილებაში, ქვეგანყოფილებაში, სექციაში, ჯიბეში. ამ დროს კი ტუალეტიდან გადის ჭაღარაშეპარული, ბროშიანი მამაკაცი. წამით თქვენი თვალები ერთმანეთს ხვდებიან. შენი დანახვისთანავე

იგი მარჯვნივ უხვევს და გვერდითი გასასვლელიდან იძურწება.

აი, რას ნიშნავს გაფუჭებული პოსტმოდერნისტული შეგნება, ფონ ფ., ჰომიკად ჩათვალე ჯიბგირი, ძველი დახვეწილი არისტოკრატი, თავისი საქმის ვირტუოზი! უდავოა, რომ მან ამოგაცალა საფულე ჩანთიდან, სანამ შენ შარდის გამოყოფის პროცესით ტკბებოდი. ახლა კი, ჩერჩეტო, წამები დაგრჩენია ფიქრისთვის. სასწრაფოდ უნდა გამოიჭირო ერთ-ერთი აქაური მენტი, გაგზავნო საძებნელად, გამოაცხადო რადიოთი საკავშირო დევნა, ჩართო სირენა, შეკრიბო საუკეთესო კრიმინალისტები და ისარგებლო ფოტორობოტის მომსახურებით. მაგრამ დაიცა, მეგობარო, ნუ აჩქარდები. შენისთანა არასერიოზულ მდგომარეობაში მყოფისთვის საკმაოდ სარისკოა მილიციაში მომხრეების ძებნა. ეს ცდა შეიძლება თირკმლებსა და ღვიძლში წიხლებითა და ცივი შხაპით დასრულდეს. შენ კი მხოლოდ ცხელი შხაპები გიყვარს, თანაც დღეს მოსკოვურ თქეშში ისედაც ბოლომდე გაილუმპე.

მიექანები იმავე გასასვლელისკენ, სადაც ეს-ესაა გაუჩინარდა ბოშათა ბარონი. ესაა კიბის უჯრედი, და იქ არის აღმავალი კიბეები, მაგრამ არის დაღმავალიც, რომლებსაც „ბავშვთა სამყაროს“ სარდაფებში ჩავყავართ. არა მგონია, იგი ქვევით წასულიყო, რადგან რა უნდა აკეთოს იქ, იმ ულიმღამო სარდაფებში, ვის სჭირდება იგი იქ? ცხადია, ის მხოლოდ ზევით შეიძლებოდა გაქცეულიყო, – გათქვეფილიყო ზედა სართულებზე, გარეულიყო მანეკენებში, სასკოლო უნიპალტოებში, ფორმებში, შარვლებსა და ფეხსაცმელებში, რომლებიც, მართალია, აქ დიდი ხანია, არა აქვთ. ეტყობა, ყველა ზედა სართულიც ასევე გატენილია ქაღალდის მტრედებით. ბოროტმოქმედს შეეძლო მტრედების ერთ-ერთ გუნდში ჩამალულიყო. ერთი სიტყვით, იგი უსათუოდ ზევით გაიქცეოდა.

ამიტომაც ინტუიციურად ქვევით ჩარბიხარ. მარშით მოილიე

რამდენიმე კიბე, აშკარად დაკეტილი კარი, გრძელი, ვიწრო დერეფანი, რომელსაც შესასვლელთან ერთადერთი ნათურა ანათებს. არსად კაცის ჭაჭანება, უნდა გავირინდო და დაველოდო. ეს ერთადერთი შანსია. დაველოდო, სანამ ამქვეყნად ყველაფერს არ დაკეტავენ. თუ იგი აქაა სადმე, აუცილებლად მოუნდება გამოსვლა.

ჯდები ლითონის დიდ ურიკაზე, რომელსაც შავი ოკრობოკრო ასოებით აწერია „ფეხსაცმლის განყოფილება". აყურადებ, მაგრამ ზემოდან მხოლოდ განწირული სამაღაზიო ცხოვრების ექო ჩამოგესმის. შეგეძლო ფული კირილისგან გესესხა, მაგრამ იგი ახლა შენზე ნაწყენია, თანაც ტელეფონით იმდენი იგლახავე მისი მეუღლის, სიმართლე რომ ვთქვათ, საშუალო ღირსების ფეხებზე. და რაც მთავარია, როგორ უნდა იშოვო შინ წასასვლელი ბილეთი, რადგან იგი დიდი ხანია დაიკარგა – ამაში დარწმუნებული ხარ.

ისღა დაგრჩენია, დახუჭო თვალები და წყნარად აღესრულო აქ, ამ ურიკის ქვეშ. შენ, ვინც ოცნებობდი გაგეღვიძა ვენეციაში და დაგეძინა იერუსალიმში, შენ, ვისაც გეწადა გულში ჩაგეკრა სამყაროს ყველა ადამიანი და გყვარებოდა სამყაროს ყველა ქალი, შენ, მასხარავ, ვინც ცხოვრებას ერთი ბოთლი მაგარი ძვირფასი სასმელივით ექცეოდი, მოკვდი აქ უსახელოდ, სველსვიტერიან უცნობ სხეულად. წყნარი კურცხალი ჩამოგიგორდა ლოყაზე. ნუღარ დამელოდებით, ო, თქვენ, ვინც მელოდებით, მე უკვე ველარ მოვალ თქვენთან.

მალე ამ შენობას დაკეტავენ. დაისადგურებს უსაზღვრო ღამე ამ საშინელ მიწისქვეშეთში. მერე იქნება კიდევ მთელი კვირადღე, მას მერე – ისევ ღამე. ორშაბათს კი აქ, ამ ურიკასთან ფეხებგაფშეკილს გიპოვიან. თუმცა, ლოქო რომ გონივრულად გამოვიყენო, შეიძლება ერთი კვირაც გავძლო. წყლის შოვნაც შეიძლება, იმავე ტუალეტებში, მაგალითად. საქმე

არცთუ მთლად უიმედოდ გამოიყურება. შენ მაინც მიაგნებ მას, იმ არამზადა ქურდბაცაცას, წაართმევ საკუთარ საფულეს და დაბრუნდები საერთო საცხოვრებელში, რათა საშხაპეში დაიბანო, გაიპარსო და რამე წაიხემსო. საღამოს შეგიძლია კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოცარტის „რეკვიემს" მოუსმინო. მისი არაადამიანური მუსიკის გავლენით ბოლოს და ბოლოს დაიწყო რომანი ლექსად. სამაგიეროდ კი მიიღო მისი სამეფო მოწყალების მუდმივი სტიპენდია და მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ გასწია...

შენი ფიქრების მდინარებას არღვევს დერეფნიდან მოახლოებული ფეხის ხმა. იყო იქ ვიღაცა ნამდვილად! იძაბები, როგორც ჩუბინი გასროლამდე ერთი წამით ადრე. ურიკიდან შლეგურად წამომხტარი, ლამის წონასწორობას კარგავ. არ უნდა დალიო ამდენი. დერეფნის გასასვლელში, სწორედ ნათურის ქვეშ, ხედავ ნაცნობი ბროშის ათინათს. ისაა!

გზაზე ეღობები.

– მოიტა, – ეუბნები შეუვალი ხმით.

– რა იყო, ბიჭუნა? – მხრებს იჩეჩს ქურდების ბარონი, – მნოგო ვიპილ, და?[1]

საჭიროა ორი-სამი ნაბიჯით მივუახლოვდე. მაშინ ფეხით მივწვდები. ჩავცხებ ყვერებში და მხოლოდ ყვერებში – ეს სასტიკი საქციელია, მაგრამ სამართლიანი. ჩანთა ცოტა ხელს შემიშლის, თუმცა მისი გამოყენება შეიძლება – საკმაოდ მტკიცეა, ტყავის მაგარი შემცვლელისგან დამზადებული.

– მოიტა, – ხმაში ფოლადი გაურიე და რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგი. იგი ჯიბეში იყოფს ხელს. ეს უკვე ცუდია, რაც ვერ გაითვალისწინე. მაგრამ ასწრებ დაარტყა ხელზე და გაზის ბალონი შორს გააგდებინო. იგი უკან, ბნელ დერეფანში გარბის.

---

[1] მნოგო ვიპილ, და? – ბევრი დალიე, ხომ?

ახლა მხოლოდ ფეხები თუ გიშველის, ფონ ფ., მთვრალი, მაგრამ საკმაოდ გრძელი ფეხები, დაღლილი ფეხები ახალგაზრდა პოეტისა. და ამგვარად იწყება ეს დევნა...

ერთ-ერთი კარი, მგონი, სულაც ბოლო, ღია აღმოჩნდა. მერე იყო ისევ კიბეები, ძირს დაქანებული, თითქმის გაუნათებელი, თუ არ ჩავთვლით სიგნალიზაციის თუ რაღაც უბედურების მოწითალო ციმციმს. იგი გარბოდა ხუთიოდე მეტრით წინ, აშკარად აქოშინებული. მაგრამ შენ ვერაფრით ამოკლებდი მანძილს. გეტყობოდა, რომ მასზე გაცილებით უარესად ხედავდი სიბნელეში, რაც გამუდმებით გაყოვნებდა და მკვეთრ მოსახვევებში კედელთა ხოშოშებიანი შვერილების ხელით მოსინჯვას გაიძულებდა. თან შენი უზარმაზარი კუთხოვანი ჩანთაც ყოველთვის როდი მინარნარებდა კიბის უჯრედში.

შენ უნებურად გაგახსენდა, რომ ჭეშმარიტი ჯიბგირები – უნატიფესი ხელობის ხელმწიფენი – ჩვეულებისამებრ გარკვეულ დაჯგუფებებად მოქმედებენ. და ის, ვისაც ახლა მისდევ, სავსებით შესაძლებელია რომელიღაც საშინელ ხაფანგში, ყაჩაღურ ბუნაგში გიტყუებდეს, სადაც მარტოდმარტოს გუნდურად დაგესევიან. ამ ფიქრმა ღვიძლი მწარედ აგატკივა და ფილტვებში ჰაერის უკმარისობა გაგრძნობინა. მოგინდა გაჩერება, ყველაფრისთვის მიფურთხება და სადმე წამოწოლა.

საბედნიეროდ, კიბეები დასრულდა. ქვევით კვლავ იყო რომელიღაც დერეფანი, ამჯერად გაცილებით ფართო, მაგრამ სრულიად ჩაწყვდიადებული. იძულებული გახდი, კვლავ შეგენელებინა რბენა, რადგან ასეთ უკუნში სულ ადვილი იყო, წამოსდებოდი სარმას, მოგხვედროდა ჯოხი, კასტეტი, მუშტი. მით უფრო, რომ გაქცეულის ფეხის ხმა უკვე აღარ ისმოდა. სადღაც წინ იგი მძიმედ ითქვამდა სულს.

– ჰეი, ბებერო! – შესძახე და სულის მოსათქმელად შეჩერდი. – მოდი, მოვილაპარაკოთ.

– ჩმორო! – გიპასუხა მან ფილტვების ხრიალით, – ჩმორო და ფრაერო!

– ნამეტანი შევტოპეთ, პაპაჩემო, – დაიწყე რაც შეიძლება მტკიცე ხმით, – მიხრწნილ ასაკში არ ვარგა ასე ჯირითი...

– რას გადამეკიდე, შე ჩემის გადანგრეულო, რა შემი(...)ანი ხელში, ჩმორო და სირმანჯოვ! – გპასუხობს ამაზე ბარონი.

– მოკეტე მაგრად და მისმინე! აი ჰევ ე პროპოზიშნ![1] ფული დაიტოვე.

– რა ფული, რის ფული, რაზე მებაზრები, შვილო? – ალულ-ლუღდა იგი.

– გქონდეს ყველაფერი, რაც ჩემი საფულიდან მოიპარე, – გააგრძელე შენ.

– რისი საფულე, რას მიქარავ! – თავი მაგრად ეჭირა ბარონს.

– შენ გქონდეს ტუალეტში ჩემი საფულიდან მოპარული მთელი ფული. მისი საფასური უკვე პატიოსნად გაირბინე. ოღონდ დამიბრუნე ბილეთი, ჩემი ავიაბილეთი, დამიბრუნე ბილეთი, რომელშიც ჩემი გვარი წერია. იქ ჩემი გვარი წერია, აზრზე ხარ? რა სარგებელი უნდა ნახო მისგან, პაპაჩემო? იქ ჩემი გვარი ნერია, გასაგებია შენთვის, ბნელო ყ..ვ!

– არა-ა!

– რატომ, ამიხსენი შე ბოშას ცხენო!

– რატომ და ჩავაბარებ ნებისმიერ სალაროში და ფულს ავიღებ, – ცინიკურად ამიხსნა ბარონმა.

– ის ფული გეცოტავა, რაც საფულეშია, ნაძირალავ? – გაოცდი შენ.

– რას ამბობ, ბიჭო, რისი ფული, რას ამბობ, რა მოსწიე ისეთი? – კვლავ გააგრძელა თავისი პრიმიტიული თამაში.

მის ხმაზე რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგი და მაშინვე გაიგონე, რომ ისიც დაიძრა.

---

[1] აი ჰევ ე პროპოზიშნ! (ინგლ.) – მე მაქვს წინადადება.

– სდექ, პაპაჩემო! – სცადე ურთიერთგაგების ახალი ვარიანტი. – ჩვენ, მგონი, ერთი კუთხიდან ვართ, ჩვენებურები. სადაური ხარ, ჰა?

– ბელაია ცერკვადან, ბიჭუნა. ანუ კრივოი როგიდან. ანუ პირიქით – შეპეტოვკიდან, ქაშმირის შტატი, პენჯაბის პროვინცია... არანაირი შენებური მე არა ვარ, ბანდერელო მღილო!..

ერთბაშად მოსწყდი ადგილიდან, რასაც იგი ნამდვილად არ მოელოდა. მაგრამ მაინც იმარჯვა და თითქმის ხელიდან დაგისხლტა. თქვენ ისევ გავარდით წინ – ფეხებქვეშ გიჟურად ახრაშუნდა დამტვრეული აგური, აჟღრიალდა მავთულისა და რკინის ნატეხები, ამ საეჭვო ადგილის „იატაკზე" უხვად რომ ეყარა. შურდულივით იქნევდი ჩანთას და ცდილობდი, მისთვის ნიკაპში ან კისერში მოგერტყა.

როგორც იქნა, ერთ-ერთ მოსახვევში რის ვაი-ვაგლახით ეს მაინც მოახერხე. ჩანთა ქამანდად იხმარე და ბოშა შენკენ მოქაჩე. იგი ხროტინით გიძალიანდებოდა, ტლინკებს ყრიდა, თანაც ცდილობდა, როგორმე მოეშორებინა ყელიდან შენი საკმაოდ უხეში ჩანთა. რაღაც მომენტში მოგიხელთა და მტკივნეულად ჩაგარტყა მუხლში. სანამ დაეცემოდი, სცადე მისი შეკავება, მაგრამ უმალ ჩანთის სახელურებიდან გამოძვრა და კვლავ გათავისუფლდა.

ერთხანს ყოყმანობდა, მოეშთე აქვე, აგურის ნამსხვრევებზე მკვნესარე თუ ბარონის საკადრისად მაღლა აწეული თავით გაგცლოდა. ბოლოს მაინც გაცლა აირჩია.

– ჩმორო და ფრაერო! – თქვა დამშვიდობებისას, რაც მართალია, მართალია უკვე საკმაოდ უსაფრთხო მანძილიდან.

მერე არნახული სითავხედით დააძრო ჯიბიდან შენი საფულე და ფოსფორისფრად მოელვარე ბროშის შუქზე გადათვალა მთელი ფული.

– ცოტაა, – ჩაილაპარაკა თითქოს თავისთვის, – ქესატად

ცხოვრობ, შვილო, ჰა? აი, ბილეთიც! – და როცა ფასს დახედა, მგონი, კმაყოფილი დარჩა.

– ნახვამდის! – დაგიქნია ხელი და ჰალსტუხზე მოციმციმე ბროშით მტკიცედ გასწია იქით, საიდანაც ეს წუთია გამოირბინეთ, ანუ გასასვლელისკენ. ალბათ იმედოვნებდა, დროზე გაეღწია ამ „ბავშვთა სამყაროდან“ თუ რა ჯანდაბაა, სადაც ორივე აღმოჩნდით.

შენ კბილებს აღრჭიალებდი, რადგან ერთბაშად იგრძენი: რომ საშინელი სისწრაფით გისივდება ფეხი, რომ კვლავ აგიწია სიცხემ და შეგაცივა, რომ სიმთვრალემ თითქმის გაგიარა და მალე უკვე ისიც ვეღარ გიშველის.

– მე სნეული და დაჭრილი ვარ, – აღმოგხდა დერეფნის სიბნელეში.

გაიგონე, როგორი ხარხარით გიპასუხა სიბნელიდან მეტოქემ, რომელიც უკვე საკმაოდ შორს წასულიყო. მისი სიცილი სულ უფრო მოუთოკავი და სულელური ხდებოდა. ამ სიცილის გიჟური ტალღები გამაღიზიანებლად გცემდნენ მწოლარეს. მის კვალდაკვალ გაბობღდი. მუცლით გრძნობდი აგურის ნამსხვრევებსა და მავთულის ნატეხებს. სიცილი ძლიერდებოდა, ავსებდა მთელ დერეფანს, იღვრებოდა სადღაც გასასვლელებში, გრგვინავდა უფრო და უფრო დამცინავად და ძლევამოსილად. სიცილი ისეთი იყო, რომ მარტო მისთვის ღირდა ამ ბებერი მასხარის გასაღება. სიცილი ისე ჭექდა, გეგონა, მას ვერავინ ვერასდროს შეაჩერებდა. ეს უბრალო სიცილი კი არა, სტიქია იყო... რომელიც მოულოდნელად არაადამიანურმა ყვირილმა გაწყვიტა. სულშემხუთავი, უგონო ხარხარიდან უცებ შლეგი ყვირილი ამოიზარდა. შესაძლოა, ასე ყვირიან ცხოველები, როცა მათ დანას ჩასცემენ. შესაძლოა, ასე ყვირის ღორის მოჭრილი თავი.

როგორც იქნა, წამოდექი, მაგრამ ყვირილი არ წყდებოდა და შენც კოჭლობითა და ფურთხებით წააბოტე იქითკენ. ყვი-

რილი რაღაცნაირ ახლებურ თვისებას იძენდა – სულ უფრო მეტი საშინელება და სასოწარკვეთა იკვეთებოდა მასში. იგი არაფერს ითხოვდა, რადგან უკვე არაფრისა სწამდა მას – ამ ყვირილს. მდგომარეობა მართლაც უიმედოდ გამოიყურებოდა. ამას მაშინ მიხვდი, როცა ოცდაათიოდე მეტრში იატაკზე პირდაფჩენილ ლუკს წაადგა, რომლის სიღრმიდანაც იხვეწებოდა შველას შენი უბედური ბარონი. უდავოა, უზომო ხარხარს გადაყოლილმა ფეხქვეშ არ დაიხედა და იქ ჩავარდა, რაც საბედისწერო შეცდომა იყო. ახლა იგი ლუკის ზედაპირიდან ასე ორი მეტრის სიღრმეში უკანასკნელ ძალთა მოკრებით არმატურის ჟანგიან ნატეხებს ჩაჰბღაუჭებოდა, ქვემოთ მყრალზე მყრალი კანალიზაციის ნაკადები ბობოქრობდნენ, ხოლო ბოშას დაფჩენილ და მოღრიალე ხახაში ჩაუქრობლად ენთო და ელავდა ოქროს კბილი. იგი მაღლა ამობობღებას ცდილობდა, მაგრამ არ უშვებდა წყლის მძიმე ყლარტი, რომელშიც უკვე სანახევროდ ჩაფლულიყო.

ქვემოდან მან თვალი ჰკიდა საკუთარ ორმოზე ჩემს შავად დახრილ სილუეტს და ჭყვირილი შეწყვიტა.

– შვილო, ამომიყვანე აქედან, – მთხოვა ხრინწიანი ხმით.

– არა მგონია, ამ თხოვნიდან რამე გამოვიდეს, ბებერო, – დაარწმუნე შენ. ეტყობოდა, რომ პასუხმა გააწბილა.

– შვილო, აქ ხომ არ უნდა დავიხრჩო, ჰა? ამ მძღნერში, შვილო? – ვედრებაზე გადავიდა იგი.

– ყველას საკუთარი ბედი აქვს,[1] – ამოიოხრე შენ.

– და თავისი გზა-სავალი ფართო, – დაამატა მან. – „პამაგი, სლიშ, ზემლიაჩოკ, ვიტაშჩი მენია“,[2] – მას სახმო სიმების გვა-

---

[1] „ყველასა აქვს საკუთარი ბედი, და თავისი გზა-სავალი ფართო“, – სტრიქონები ტარას შევჩენკოს პოემიდან „სიზმარი“.

[2] „პამაგი, სლიშ, ზემლიაჩოკ, ვიტაშჩი მენია“, – მომეხმარე, გესმის, ჩვენებურო, ამომათრიე აქედან.

რიანად დაძაბვა უწევდა, რათა ქვემოთ მობობოქრე საშინელი წყლების ხმაური გადაეფარა.

– და შენი აზრით, ეს როგორ უნდა გავაკეთო? – დაინტერესდი სიკვდილის წინ მის ოდნავ გასამხნევებლად.

– ნუ დამზარდები, ჩამოდი ქვევით აგერ, ამ მილით და მაშინ შეძლებ ხელი ჩამჭიდო, გაიგე? – მას სულ უფრო უმძიმდა საუბარი, წამდაუწუმ აფურთხებდა რაღაც საკანალიზაციო სიბინძურეს, თუმცა ოქროს კბილი ჯერ კიდევ უელავდა.

– ალბათ ასეც ვიზამდი, ბებერო, მაგრამ რატომღაც ძალიან ამტკივდა მუხლი, – ისევ გაუცრუე იმედი.

– კარგი, რა, მაპატიე, კარგი, გეყოფა ხუმრობა, ჩვენებურო, მომეცი ხელი, გესმის?

– არა, – მკიცედ დაჰპირდი შენ, – როცა ჯოჯოხეთში იქნები, მომიკითხე მანდაურები. მე კი წავალ აქედან. ნამეტანი ყარს აქაურობა, – და თუმცა ის ვერ ხედავს, დემონსტრაციულად იფარებ ცხვირზე ხელს.

ის კი უწინდებურად აგრძელებს ყვირილს, რადგან მეტი არაფერი დარჩენია, და სულ უფრო ღრმად და სასიკვდილოდ იძირება მღვრიე, უფერულ, საშინელ, თბილ მოსკოვურ სიბინძურეში.

ლუკს შორდები და დერეფნის ნესტიან კედელს ეყრდნობი, რადგან ფეხზე ძლივს დგახარ, თან არც ამ ყვირილის მოსმენა შეგიძლია, სიმყრალემ კი სული შეგიხუთა, და ლამისაა ატირდე, ისე გეცოდება ეს ბებერი ბოზიშვილი. და მის უკანასკნელ ღრიალთან, ხროტინსა და მუდარასთან ერთად გიქრება თუნდაც ავიაბილეთის დაბრუნების იმედი...

ის კიდევ სამიოდე წუთი ფართხალებდა. თუმცა, საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, ბოლოს მაინც უშვა ხელი, გაშალა კრუნჩხვით ქანცგაცლილი თითები და ძირს დაქანდა, დანთქა წყალმა მისი სული, მიწყნარდა ყველაფერი მოსკოვის ბნელ სარდაფში, და მხო-

ლოდ შენ, ფონ ფ., დარჩი იქ მოფიქრალი, გაქვს თუ არა თუნდაც იოტისხელა ბრალი მის უდროო სიკვდილში, იყავი თუ არა მოვალე, თუნდაც რისკის ფასად გეხსნა მისი არისტოკრატიულ-ქურდული სხეული. მოფიქრალი, რომ ოდესმე მოსკოვის მძღნერით გაჭედილ საკანალიზაციო სადენის გაწმენდისას ჟანგბადის წინაღიანი მელიმიტეთა ბრიგადა შლამში აღმოაჩენს რომელიღაც ბროშს თუ ოქროს კბილს ან საფულეს – ნახევრად დამპალს, გაბერილს, ყოველგვარი წვრილმანი საზიზღრობით სავსეს.

მაგრამ ამჯერად ამ მივარდნილ ადგილას სრულიად მარტო აღმოჩნდი. შენ, ფონ ფ., თვითონაც არ გესმის ბოლომდე, რა გამოუვალ მახეში გაები, მეგობარო! გეგონა, სწორი გზით მივ-კოჭლაობო, ამხანაგო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცდებოდი. ეს არ იყო ის დერეფანი, არც ის კარი. ყველა კარი დაგმანულია, ყველა კედელი ამოგლესილი. და საკმაოდ დაშორიშორებული ნათურებიც არცთუ დიდად გშველიან. ისინი მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ შენ, ბოთევ, დარწმუნდე: გამოსავალი არ არსებობს.

მით უფრო, რომ კარგა ხანია, შვიდს გადასცდა და, მაშასადამე, ეს შენს თავზე გადმომხობილი უშველებელი შენობა ორშაბათამდე დაკეტილი იქნება, და დააბიჯებს მასში ორი-სამი პირქუში, მოჩვენებასავით უხმაურო მილიტონი, რომლებიც ქაღალდის მტრედებიან სივრცეს იცავენ. რომც მოახერხო აქედან მაღლა აღწევა და გასასვლელის მოძებნა, სულერთია, დაგაკავებენ და დაგკითხავენ, მეტიც, არაა გამორიცხული, რომ ნეკნებიც ჩაგიმტვრიონ და ღვიძლშიც მოგცხონ.

ამიტომაც შენთვის, საყვარელო ფონ ფ., არსებობს სულ ორი ვარიანტი. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ რაიმე სასწაულით გაუძლო ამ წყვდიადს ორშაბათამდე, ოღონდ მანამ ყოველი შემთხვევისთვის მიაგნო იმ წყეულ გასასვლელს და იქ მოყუჩდე. ორშაბათ დილას კი სრულიად მშვიდად ამოყვინთო

და სტვენა-სტვენით გაემართო (საერთო საცხოვრებელში, კირილთან, გალიასთან, კონსერვატორიის მცირე დარბაზში, ფონვიზინზე მდებარე ლუდხანაში – მერე იწყება უთვალავი ქვევარიანტი). მეორე ემყარება ბრძოლის, როგორც ცხოვრების არსის აღიარებას. მეორე ვარიანტი – ესაა ბეჯითი და დაუღალავი ძიება მესამე ვარიანტისა, ანუ აქედან გაღწევის, არა, გავარდნის, შენთვის უცნობი შესაძლებლობისა.

შენ, მთვრალო საფრთხობელავ, უყოყმანოდ ირჩევ მეორე ვარიანტს. მეტი მაინც რა დაგრჩენია, თუ არა სასწაულებრივი გადარჩენის უსაფუძვლო იმედები? ამიტომაც ცდილობ, იყო გულცივი, შეუვალი და რაციონალური, თუმცა, როდესაც შენი ტანჯული სხეულის ტემპერატურა ოცდაცხრამეტს აღწევს, ეს თითქმის შეუძლებელია. მაგრამ სცადე, საყვარელო, სცადე.

მაშასადამე, არსებობს სარდაფი, რომელშიც ვიმყოფები. შესაძლებელია, ეს იყოს მალაზია „ბავშვთა სამყაროს" ანდა, ვთქვათ, სახელმწიფო უშიშროების სარეზერვო შენობა. ბოლოს და ბოლოს, იმ საბრალო ბოშას დევნაში, ჯოჯოხეთში ჩავარდეს მისი სული, იმდენი დრო და სივრცე დაილია, რომ აქ იქნებ სულაც XVI საუკუნეა, ივანე მრისხანეს ეპოქა. ეს გვირაბი შეიძლება გადიოდეს ყველგან – კრემლის კედლებქვეშ, მიძინების ტაძრის, დიდი თეატრის, ცენტრალური ტელეგრაფის, მთავარი ფოსტამტის, სასტუმრო „მეტროპოლის", ცუმის, გუმის თუ ნებისმიერი სხვა რომელიმე მძღნერის ქვეშ.

სხვათა შორის, თვალსაზრისი კანალიზაციის შესახებ. იგი ბობოქრობს არცთუ დიდ სიღრმეზე. თანაც ეს ერთ-ერთი მაგისტრალური კალაპოტია, რომელშიც თავს იყრიან მცირე საკანალიზაციო ნაკადები. რა შეიძლება ამას დავამატოთ? არც არაფერი. მე ოდესღაც ბრძენი ადამიანები მირჩევდნენ, შემესწავლა მოსკოვის კლოაკის სქემა – ცხოვრებაში, ისევე როგორც ლიტერატურაში, ყველაფერი შეიძლება გამოგადგეს,

მით უფრო, რომ გალექსილ რომანში მის აღწერას ვაპირებდი. მაგრამ სიზარმაცემ და მანდილოსნებით მუდმივმა გატაცებამ არ მომცა ამის საშუალება. ყველაფრისგან, რაც კანალიზაციას შეეხება, მახსენდება მხოლოდ სიტყვა „კოლექტორი", თუმცა კოლექტორები საბიბლიოთეკო საქმეშიც არსებობენ. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი ბიბლიოთეკა ადამიანის სულის დიდი (დიდი თუ მცირე) კანალიზაციაა. განსაზღვრება, რომლის დამახსოვრებაც ღირს საკუთარი სანობელო ლექციისთვის.

ჰეი, ფონ ფ., კრეტინო, რომელ სანობელო ლექციაზე ლაყბობ შენ ახლა, რომელ სანობელო ლექციაზე, გეთაყვა? ზიხარ მიწის ქვეშ, მთვრალი, ავადმყოფი, გაშვლეპილი, მუხლგატეხილი, უფუ-ლო, უბილეთო, არ იცი, აქედან როგორ გააღწიო და საერთოდაც, შესაძლებელია თუ არა აქედან გაღწევა, დგახარ ყოფნა-არყოფ-ნის მიჯნაზე, ფონ ფ... და ეს ხუმრობა როდია, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ თანდათანობით ყველაზე უარესისთვის განეწყო და შვების მომგვრელი სიკვდილისთვის განემზადო, უეცრად ყველაზე საუკეთესოს ეტმასნები და თვალი ნობელის პრემიაზე გიჭირავს. მწარე დაცინვის ღირსი ხარ, შე მასხარავ, შენა!

შესდექით, მეგობრებო, ნუ გასკდით სიცილით. ერთმა აქ უკვე იჯერა ხარხარით გული. გახსოვთ, რითაც დასრულდა იგი? ამიტომაც არ გირჩევთ. ხოლო რაც შეეხება, თქვენი თქმით, ნობელის პრემიაზე უსაფუძვლო ოცნებას, ეს ისე, უბრალოდ, თავის გასამხნევებლად მინდოდა. მას ხომ მხოლოდ ცოცხლებს ანიჭებენ. ამიტომაც, გადარჩენა თუ მსურს, უნდა ვიფიქრო მასზე. რადგან მკვდრები რომელიღაც სხვა პრემიას ღებულობ-ენ – ღმერთის პრემიას. მკვდრებს სირცხვილის გრძნობა არა აქვთ. მკვდრებისთვის ყველაფერი სულერთია. მკვდრები არ ავადმყოფობენ და არ ოფლიანდებიან, მკვდარი ფუტკრები არ ბზუიან. მე კი ჯერ კიდევ მსურს ბზუილი, ჩემო საყვარელო, ჩემო ოქრო ხალხო!

ეგრე იყოს, ძვირფასო ფონ ფ., მთვრალის კვალობაზე საკმაოდ დამაჯერებლად გადმოეცი საკუთარი ბუნდოვანი მისნრაფებები. საინტერესო იქნება შენთვის სამერმისოდ თვალის მიდევნება. ბითთე, ზეტცენ ზი ფორტ, მაინ შატც![1]

ვეცდები, ჩემო პატივცემულო შინაგანო ხმებო. ვიმსჯელოთ ახლა მეტროპოლიტენის თვალსაზრისით. მე მუდამ მიზიდავდა მისი ველური აპოკალიფსურობა. ასეთი ვაგონებით ცოდვილებს ჯოჯოხეთში გადავიყვანდი ხოლმე. მიზიდავდა ყველაფერი – დაწყებული გამშვები ტურნიკეტებიდან, რომლებიც თავზარს გვცემენ ლითონის ავტომატიზმით, უსასრულო ესქატოლოგიური ესკალატორებითა და მათზე დაფიქსირებული კატატონიკების ფიგურებით ან მარად სადღაც მოჩქარე პარანოიკების სილუეტებით, თვით მიწისქვეშა მატარებლებამდე, რომლებიც წყვდიადის უბიდან გამოშლიგინდებიან და შიშნეულად ამუხრუჭებენ ყაჩაღთა სახელებშერქმეულ სადგურებზე, რათა ნახევარ წუთში კვლავ შეერწყან ღამეს და თან კარებში მოიყოლონ ვიღაცის უიღბლო ხელები, უკანალები, თავები.

ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ მეტროპოლიტენიც აქ სადღაც ახლოს უნდა იყოს. ჩემი ყველა ვარაუდით, ვიმყოფები „ძერჟინსკაიასა“ და „მარქსის პროსპექტის“ სადგურებს შორის (რა კარგი კომპანიაა, არა? თუმცა რას ვიზამთ, ეს ტოტალიტარული წარსულის ხაფანგია და ასეა თითქმის ყოველ ნაბიჯზე). და ნებისმიერი მომდევნო კარი, რომელიც წინ შემხვდება, შესაძლოა, უბრალოდ, გადიოდეს მეტროს სადგურზე. ან პირდაპირ ლიანდაგებზე. საინტერესოა, რა თანაფარდობაშია განლაგების დონის მიხედვით მოსკოვის მეტრო და კანალიზაცია? იმპერიის არქიტექტორებს ხომ ათასგვარი ეშმაკობები უყვარდათ. ამბობენ, რომ აქ არის მეტროს მთელი განშტოება, რომელიც

[1] ბითთე, ზეტცენ ზი ფორტ, მაინ შატც! (გერმ.) – გეთაყვა, გააგრძელეთ, ჩემო ძვირფასო!

მხოლოდ სტალინისთვის იყო განკუთვნილი. მგზავრობდა იგი პულმანის რბილი ვაგონით, ლიანდაგის ორივე მხარეს კი მინის კედლებიანი ჯურღმულები იყო. საკუთარი კუპეს სარკმლიდან დიდი მეოცნებე ტკბებოდა იმის ცქერით, თუ როგორ უჭეჭყავდნენ ყველებს ლენინიზმის სიყვარულში მის მოქიშპეებს. მეტროს ეს განშტოება აღნიშნული არაა მოკვდავთათვის ხელმისაწვდომ არც ერთ სქემაზე.

აღიარე გულწრფელად, ფონ ფ., რომ ეს ყველაფერი ამწუთას შეთხზე! მეტროს ლიანდაგი, რომლითაც სტალინს დაატარებდნენ. გამჭვირვალე კედლებიანი ჯურღმულები! კი, მაგრამ ჩეკას უფროსებისთვის ბანანების პლანტაცია არ ჰქონიათ? ან თორმეტი წლის ხასებით სავსე ჰარემები კრემლის ფუყე ელიტისთვის? აუზები, გარაჟები, რესტორნები, აეროდრომები? ფინური თხილამურებით სასეირნო ფიჭვის ტევრები? დელფინებიანი და ნიანგებიანი აკვარიუმები ბებერ მხედარმთავართა სულიერი სიამისთვის? არ ჰქონიათ?

ყველაფერი ჰქონდათ, მეგობრებო. იმპერიას ყველაფერი შეეძლო. აქ რაღაც საიდუმლოსა და აკრძალულის აურა სუფევს. აქ მილიონი ბოროტმოქმედება მარხია. ამ ყველა ჩაოხრებულ დერეფანს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. აქ იჭედებოდა უდიდესი გამარჯვებები. ესაა კატაკომბები, საიდანაც იმპერია გამოვიდა და სადაც იგი შებინდებისას დაბრუნდება. ამიტომაც აქ უნდა იყოს მთელი ქალაქები და არა მარტო ჰარემები თუ ჯურღმულები. აქ უნდა იყოს აღუწყავი პარტიული საწევროების სამალავები. ეგერ, იმ მავთულის ნაგლეჯი რომ მოქაჩო, იქნებ გაიხსნას პროლეტარიატის დიქტატურისთვის განკუთვნილი ბრილიანტებით სავსე მღვიმე. ან სულაც ჰაერში აფრინდეს, როგორც რომელიმე ქალაქი მაასტრიხტი. რადგან იმპერიას შეეძლო ყველაფერი. და ახლაც შეუძლია.

აგერ, მე თქვენ მაშაყირებთ, მამასხრებთ, თვითონ კი ეს

წუთია გადავაწყდი კარს, რომელმაც თავისით გაიწია. მაშინ ჩავედი ოცი საფეხურით დაბლა და კიდევ ერთი კარი ვიპოვე, მასზე ორჯერ მასიური, თანაც რაღაცნაირი ბიბლიური წარწერით: „სანამ ამ კარს გააღებდე, დარწმუნდი, რომ დაკეტილია წინა კარი!!!" ჰოდა, მუხლის ტკივილის მიუხედავად, იძულებული გავხდი, კოჭლობით ამევლო ისევ ოცი საფეხური, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ კარი დაკეტილია. კარი ღია იყო. მე შვებით ამოვისუნთქე, კვლავ ძირს ჩავჩაჩანაკდი და მივაწექი იმ მონუმენტურს, ქვეითას, წარწერიანს.

ჩემ წინ გვირაბი გაწოლილიყო. მეტროს ნამდვილი გვირაბი, ლიანდაგებითა და მეჩხერი ნათურებით. და მე სიხარულით ვისკუპე მასში, ნუგეშცემულმა, რომ ბოლოს და ბოლოს ვიპოვე გასასვლელი ამ შეჩვენებული ხაფანგიდან. მაგრამ საბრალო მუხლმა უმალ შემახსენა თავი ათასი ნემსის ჩხვლეტით, თანაც უკვე ლიანდაგზე გონს მოსული მივხვდი, რომ გაუგონარი სისულელე ჩავიდინე.

მართლაც, სიბრიყვე გჭირს, ფონ ფ., თუმცა ფრიად ნიჭიერი პოეტი კი ხარ. აი, წარმოიდგინე, რომ ახლა უახლოეს სადგურში შემოდის მეტროპოლიტენის სწრაფი მატარებელი. ვაგონები მტაცებლებივით აფჩენენ კარებს. მაგნიტოფონის ჩანაწერი პედარასტული ხმით აცხადებს: „სადგური ზაებინსკაია". ფრთხილად, კარები იკეტება. შემდეგი სადგური – „ბიდლოვის მოედანი"! და კარები მართლა იკეტება, მატარებელი მიდის, ავითარებს პირველ მინისქვეშა სიჩქარეს, ორი უმძლავრესი პროჟექტორით მიაპობს წყვდიადს და მემანქანე უცებ ამჩნევს კოჭლობით მიმავალ აბსურდულ ფიგურას დიდი ჩანთით ხელში. სანამ მემანქანე წამოიძახებდეს, „ვინაა ეს დედამო...ლი!" – შენი შიგნეული რელსებს მიენთხევა... მემანქანე იფიქრებს, „პახმელიაზე" მომეჩვენაო და „ნესიპმნესოლნარანუ"-ს ღიღინით გარეკავს საკუთარ რკინის მერანს ბიდლოვის მოედანზე. მოგწონს ასეთი სცენა, ფონ ფ.?

და თუ არ მოგწონს, რა ჩემს ფეხებად ისკუპე აქეთ? აკი მოსკოვის მეტროს გვირაბიდან გამოღწევა თითქმის შეუძლებელია. გრჩება ერთადერთი მოფამფალე შანსი: ირწმუნო მატარებელთა მოძრაობის დროებითი შეყოვნება ხუთწუთიანი გამაფრთხილებელი გაფიცვის გამო, ჯანდაბაში მოისროლო მუხლის ტკივილი და თავქუდმოგლეჯით გაქუსლო მომდევნო სადგურისკენ, ვისი სახელიც უნდა ერქვას მას. და ვიდრე პროგრესის ულმობელი ეტლი (ჰე-ჰე, მაგრადაა ნათქვამი?!) შენს ნეკნებს გადაუვლიდეს, მიაღწიო განათებულ და ხალხმრავალ ბაქანს. თუკი გაგიმართლა, რისაც ჩვენ არ გვჯერა, შესაძლოა, იქ, სადგურზე, გულკეთილმა ხალხმა ზევით ამოგათრიოს და მარმარილოს სვეტთან გრილ ცემენტზე ნიშადურის სპირტით მოგასულიეროს. გამოუძახებენ პოსტის „მუსორს", გოლოსრაჩენკოს, რომელიც წაგიყვანს, მაგალითად, გამოსაფხიზლებელში, სადაც იქნება ცივი წყალი, ბევრი ყოვლად უდანაშაულო მამაკაცი, და სადაც კითხვაზე „სამუშაო ადგილი", შეძლებ ესღა უპასუხო: „უფალი ღმერთის კანცელარია"...

და შენც მოკურცხლავ. ფონ ფ., თუმცა ყოველწამს გეჩვენება, რომ ზურგს უკან საბედისწერო დაგადუგი მოისმის, წინიდან კი მომაკვდინებელი შემხვედრი პროჟექტორები გაბრმავებენ, ამიტომ ფეხები გეკვეთება. „ლაიფ ინ ზე ფესტ ლაინ", როგორც ჩვენი მოძმე ამერიკელები იტყვიან ხოლმე. სირბილი სიცოცხლის გულისთვის. თუკი ამ უმწეო ძუნძულს სირბილი ჰქვია. თუკი ამ გულისამრევ საზიზღარ არსებობას სიცოცხლე შეიძლება ეწოდოს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: უმწეო ქლოშინით ძუნძული გულისამრევი, საზიზღარი სიცოცხლისთვის.

ჰოდა, როცა უცებ მოგწვდება გასროლასავით მშრალი: „Стой! Руки вверх!",[1] შენ გაჩერდები, ასწევ ჩანთიან ხელებს

[1] Стой! Руки вверх! – სდექ! ხელები ზევით!

და ერთგვარ სიმსუბუქესაც კი იგრძნობ... აგერ ისინი დგანან შენ წინ ლიანდაგებზე და ხელებს გიფათურებენ, გსერავენ ფარნებით, ისინი ცოტანი არიან, შესაძლოა, ხუთნი იყვნენ. მაგრამ ულმობელ შუქზე რის გარჩევასაც ახერხებ, ესაა მათი უჩვეულო, ჯანსაღ აზრს მოკლებული შეიარაღება. ყოველ მათგანს ცეცხლსატყორცნი და ხელის ტყვიამფრქვევი თუ არა, რომლებსაც ათი წლის წინ ლეგენდარულ „პეხოტაში" მარშებზე თვითონ დაათრევდი, გადაადგილებული სიმძიმის ცენტრიანი საშინელი ტყვიებით გადატენილი წყვილი უღალატო „აკაემი" მაინც ასხია. მათი კომბინეზონების ყველა შესაძლო ჯიბიდან გამოჩხერილი უთვალავი დანის გახსენებაც აღარ გინდა. არადა, ამ ჯიბეებში მათ უწყვიათ ასევე ხელყუმბარები, დინამიტები და სხვა მეტად საინტერესო ასაფეთქებელი ნივთიერებანი, რომელთა სახელწოდებები, საბედნიეროდ, უკვე დაგავიწყდა.

– ვინ ხარ? – გეკითხება ერთ-ერთი მათგანი, იმ დროს, როდესაც სხვა, წვერებიანი, გჩხრეკს და ჩანთაში ნაპოვნ მძინარე ლოქოს გულდასმით ყნოსავს.

– გვარი ჩემი გახლავთ კრაპივა, მაგრამ მამაჩემი იწერებოდა პიდოპრიგორად, – პასუხობ თავაზიანად, გამოსაფხიზლებლებიდან გამოყოლილი ძველი ჩვევისამებრ.

მებრძოლები საკმაოდ დამამცირებელი სიცილით იჭაჭებიან, გარდა შემკითხველისა, რომელიც, როგორც ჩანს, უფროსია, რადგან ხან მათ შეავლებს ბრაზიან მზერას, ხანაც შენ შემოგხედავს წყრომით.

– ჰოი, ბლიად, ნაჟრალსია, – გესმის ფრთიანი ფრაზა, რომელიც დღეს სადღაც უკვე გაიგონე.

– როგორ მოხვდით სამთავრობო მეტროს ზონაში? – ხმას იმკაცრებს უფროსი.

– აქ როგორ მოვხვდი? – ფიქრიანად იმეორებ შენ და გონებას იკრებ, – თვით ამ ქვეყანაზე როგორ მოვხვდი? როგორ მოხვდა

აქ ყოველი ჩვენგანი? აკი ჩვენ კოსმოსური არყოფნის უსასრულობაში შემთხვევითობის ზეიმის გასაოცარი მაგალითი ვართ. კაცობრიობა შემთხვევითობაა. ცივილიზაცია შემთხვევითობაა. თუმცა, მეორე მხრივ, ყველაფერი უფლის ნებაა, მეგობრებო. და სწორედ მან ინება, რომ მე ამჟამად ოთხი ძირითადი დონისგან შევდგებოდე. გამორთეთ, გთხოვთ, თუნდაც ერთი ნათურა, რადგან თავი გესტაპოში მგონია. თვალები მტკივა. გმადლობთ! ჩემი ახლანდელი სულიერების უპირველესი დონე ფონვიზინზე დალეული ლუდია. იქვე დალეული წითელი ღვინო წარმოადგენს მეორე, ბევრი რამის განმსაზღვრელ დონეს...

პირდაპირ თავზე გადაგიშხუილა რაღაცამ, ალბათ ტყვიამ.

– Я спрашиваю, как ты попал в охраняемую зону?[1] – მოთმინებას კარგავს უფროსი.

– ეს იმათ ჰკითხეთ, ვინც მას იცავს, – იჩეჩ მხრებს, თითქოს ვინმე ომელკო იყო, განმანათლებლობის პერიოდის ვოდევილთა გმირი, – მე უფრო მნიშვნელოვან და საინტერესო მომენტებზე მოგიყვებით. სხვათა შორის, გამახსენდა! ახლა ოთხი კი არა, მთელი ხუთი დონისგან შევდგები. რადგან წითელ ღვინოს ზედ იმავე ფონვიზინზე დალეული „სამაგონკა" ადგას!..

– რომელიღაც მკვდარი თევზია, „ტარიშ კაპიტან!" – პატაკობს ჩხრეკის შედეგებს წვეროსანი.

– მაშ, ასე, – ოდნავ მშვიდდება „ტარიშ კაპიტანი". – მე თქვენ გაკავებთ. ვითარების გასარკვევად. შეგიძლიათ ხელები ჩამოუშვათ.

– ჯანი მოგცეთ უფალმა, – ემადლიერები,– თქვენ საერთოდ ვინ ბრძანდებით?

– კაპიტანი შელუდკოვი, ფარაბუნდო მარტის სახელობის ვირთაგვების გამანადგურებელი რაზმის მეთაური, – ხელის-

[1] Я спрашиваю, как ти попал в охраняемую зону? – მე გეკითხები, როგორ მოხვდი დაცულ ზონაში-მეთქი

გული ბერეტთან მიაქვს. მხედრულ სალამს გაძლევს თუ რა?

– ო, ეს თქვენა ხართ? – გახარებული ხარ ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრით, მაგრამ ვერ ასწრებ ბოლომდე დატკბობას, რადგან იგივე წვეროსანი შუქგაუმტარი ქსოვილით თვალებს გიხვევს და ზურგში ძალიან მაგარი და არასასიამოვნო რაღაცით გიბიძგებს.

– ვპერიოდ! – გეუბნება.

და შენ ისლა დაგრჩენია, დაემორჩილო. გრძნობ, როგორ მოგიქციეს ალყაში, თუმცა რომელ გაქცევაზე შეიძლება იფიქროს ადამიანმა შენს მდგომარეობაში, როცა ამდენი ვირთაგვის მჟლეტელი ინტერნაციონალისტითა ხარ გარშემორტყმული. ჯერ გვირაბს მიუყვებით, იმ მკვდარ იდუმალ განშტოებას, რომელზეც ამჟამად არ დაქრიან მეტროს მატარებლები, მერე სადღაც უხვევთ, ეტყობა, თაღქვეშ, მერე კიბეებით მიდიხართ ქვევით – ისევ ქვევით! – იქ ერთი მათგანი ბლოკირების დაფაზე კრებს რაღაც ციფრებს და იხსნება კედელი, ამოყვანილი ჯერ კიდევ ივანე III-ის ტყვეთა მიერ. შენ შეგიძლია მხოლოდ წარმოიდგინო ეს კედლები, ეს ძველსლავური ხელრთვით დაწერილი: „ПОСТОРОННИМ ВХОД ВОСПРЕЩЕН“.[2] შორიდან ალბათ საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურება: ლაქებიან კომბინეზონებზე მძიმე, თითქმის ჰოკეისტის აბჯარასხმულ და კბილებამდე შეიარაღებულ ბანდას ყურადღებით და თვალმოუცილებლად მიჰყავს ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი ლოთი, ცარიელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლოქოს, ჩანთით ხელში. მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იაპონური წელთაღრიცხვით შენ, ფონ ფ., დიახაც ვირთაგვა ხარ, მაშინვე იკვეთება ყოველივე მომხდარის არსი. ვირთაგვების მჟლეტელებმა შეიპყრეს ვირთაგვა. სირცხვილი ვირთაგვას!

---

[2] „ПОСТОРОННИМ ВХОД ВОСПРЕЩЕН“ – უცხო პირთათვის შესვლა აკრძალულია

– საქმე ისაა, რომ აგერ უკვე მთელი წელია მოსკოვში ვრცელდება ყვითელი და არა მარტო წითელი პრესის მიერ მხარდაჭერილი ხმები, რომ თითქოს მეტროპოლიტენის წიაღში კაი ნაგაზისხელა ვირთაგვები გაჩნდნენ. ულმობელნი და შმაგები ნებისმიერ სულიერს წამში ნაფლეთებად აქცევენ, რადგან მათი საჭრელი კბილების სისქე თითქმის სანტიმეტრს აღწევს. დაუნდობელნი და თავხედები არიან ჭამასა და კოპულაციაში, აქვთ სატანური სიეშმაკე და მეტროს ლაბირინთებში ორიენტაციის ნიჭი. ეს ეკოლოგიური კატაკლიზმების ნაყოფები, ეს ანტიქრისტეს მუტანტები, ეს აპოკალიფსური საშინელებანი ან, რაც კიდევ უარესია, – ოკეანისგაღმა ლაბორატორიებში ხელოვნურად გამოყვანილი და ჩვენს მიწისქვეშეთში მოსროლილი გაიძვერები პრაქტიკულად მოსკოვის წიაღთა ბატონ-პატრონები ხდებიან. უწინ ისინი მხოლოდ ღამღამობით გამოდიოდნენ ხოლმე. ახლა კი დღისითაც გამოდიან, თანაც საკმაოდ ხალხმრავალ სადგურებზე, მაგალითად, „ბარიკადნაიაზე", და ადამიანებში პანიკასა და სასიკვდილო შიშს თესავენ. სადგურ „ბეგოვაიაზე" მათ რამდენიმე ხნით ხელთ იგდეს და საკუთარ კონტროლქვეშ აიყვანეს ესკალატორი. ვირთაგვებს გვირაბის სიღრმეში დაახევინეს მძლავრი სალაზერო მოწყობილობებით, რომლებითაც საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე ხუნვეიბინების საყოველთაო შემოტევა შეაჩერეს.

მეტროს მატარებლები ახლა იძულებულები არიან ხშირად და გაუთვალისწინებლად გაჩერდნენ გადასარბენის შუაგულში, რისი ახსნაც ასეთია: ვირთაგვების რიცხვი იზრდება და ლიანდაგებზე უკვე იმდენი იყრის თავს, რომ ბორბლები უბრალოდ იფლობა მათ გაჭყლეტილ სხეულებში. მაგრამ ეს მსხვერპლი ვირთხების მხრიდან არცთუ აუნაზღაურებელი ჩანს: საზიზღარი არსებები სულ უფრო მეტად ეგუებიან სიტუაციას. მათ უკვე შეჭამეს რამდენიმე მემანქანე, კიდევ რამდენიმე მიიყვანეს

სიგიჟემდე და ახლა ისინი საზოგადოებისგან იზოლირებული არიან აკადემიკოს სნეჟნევსკის სახელობის ფსიქიატრიული ინსტიტუტის სარდაფებსა და გალიებში. მართალია, ეს ფაქტები უმკაცრესად გასაიდუმლოებულია და მათი გამხელისთვის შესაბამისი ფუნქციონერი უეჭველი სიკვდილით – მოსკოვის მიწისქვეშეთში სამუდამო გადასახლებით ისჯება. დაღუპულთა და გაგიჟებულთა ნათესავებს ეცნობათ, რომ ის საცოდავები ასცდნენ ლიანდაგებს და ყველასთვის უცნობ ჩიხებში შეეხეტნენ.

გარკვეული დროიდან ყველაფერი, რაც კი მეტროპოლიტენის ვირთხებთანაა დაკავშირებული, გარემოცულია საგანგებო სასამსახურო საიდუმლოებით, მოსკოვის კაგებეში შექმნილია სპეციალური ქვეგანყოფილება რამდენიმე ლაბორატორიითურთ. მიმდინარეობს რაღაც გამოკვლევები საუკეთესო მეცნიერების, ექსტრასენსებისა და ტიბეტელი ბერების მონაწილეობით. ყოფილი ავღანელებისგან ჩამოყალიბებულია ნებაყოფლობითი საბრძოლო რაზმები, რომლებიც ღამღამობით ჩხრეკენ მიწისქვეშა მოსკოვს და სასკდმი ტყვიებით გლეჯენ ყველას, რაც კი გზად შეხვდებათ და ოდნავ მაინც მოაგონებთ ვირთაგვას. ესენი არიან მტკიცე და თავდადებული ბიჭები. და ახლა ისინი შენ სადღაც მიგერეკებიან, ფონ ფ., და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ეგრეევ არ მოგაჭედეს რამდენიმე ჯერი, რათა მერე სინანულით თავდახრილებს ცოტა ეგლოვათ.

მათ ყველა მხრიდან ალყა შემოურტყამთ შენთვის და მოდიან უხმოდ, შენ კი ცდილობ, მუსაიფი გაუბა.

– ეჰეი, ბიჭებო, – ამბობ შენ, – მე ყოველთვის მაოცებდა თქვენი გამბედაობა და თავგანწირვა. თქვენა ხართ ერთადერთი, ვისითაც ამ ბოლომდე გახრწნილ საზოგადოებაში შეგვიძლია ვიამაყოთ. პოლიტბიუროს წევრების გარდა, ცხადია. თუმცა, მეორე მხრივ, თუ შენ ცხვირიდან ბუშტების, ხოლო ავტომა-

ტიდან ჯერის გამოშვების მეტი არაფერი შეგიძლია, თუ შენი კუნთები ჯერ კიდევ ნორჩია, ხოლო ტვინს ხვეულები აკლია, თუ ომონში ამ ჰუმანური ქვედანაყოფის პრესტიჟულობის გამო ვაკანსიები არაა, მაშინ ალბათ მართლა უნდა ჩაძვრე მიწაში და ვირთაგვებს სდიო. მაგრამ მე მაინც მინდოდა მეკითხა, რას გეუბნებიან თქვენი სატრფოები, დაქალები, თქვენი მეუღლეები და დები, როცა მძიმე ღამის ცვლაში სროლას მორჩენილნი აბაზანაში შავ შემხმარ სისხლსა და მიწებებული ბალნის ბუწუწებს ირეცხავთ? ან როცა თქვენს ჯიბეებში შემთხვევით პოულობენ ბანარივით დახვეულ, ნახევარმეტრიან, მოჭრილ შიშველ კუდებს? თუ უყვარხართ მათ ძველებურად? თუ გითმობენ ისინი სიყვარულში საკუთარი სხეულის გაზაფხულს ოდინდელი სიხარულით?..

მათი შტერული სიჩუმით გამხნევებული აგრძელებ: რადგან აქ საქმე უკვე არა იმდენად ვირთაგვებშია, რამდენადაც ვინმეს განადგურების მოთხოვნილებაში. დღე და მოსწრება ვუმტკიცებდი საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომლებიც, მართალია, ვერ მიგებდნენ, რომ ეს ცხოვრება საკმაოდ სასტიკია იმისთვის, მისი შეცვლა სიტყვებს ხელეწიფებოდეთ, მაგრამ ასევე საკმაოდ სათუთი, რომ მასში რაიმეს შეცვლა ტყვიით იყოს შესაძლებელი. ანუ პირიქით. ნუ, თქვენ გესმით. მეტროპოლიტენის წიაღში მეცნიერებისთვის – მე ვგულისხმობ შედარებით ბიოლოგიას – აქამდე უცნობ ვირთაგვათა სახესხვაობის გამოჩენას ყოფითი გამდიდრების თვალსაზრისით მხოლოდ უნდა მივესალმოთ. თუმცა, თავისთავად ყოველი ცალკე აღებული ვირთაგვა, მათ შორის მეც, საკუთარ თავში უდავოდ განვასახიერებთ ბოროტების ნაწილს და გამოვდივართ მის აქტიურ, ე-ე-ე... დამცველად. და მაინც მე წარმოუდგენლად მეცოდება ეს გაბედული, ქედუხრელი, განუმეორებელი არსებანი. მხედველობაში მყავს ვირთაგვები, როგორც ევოლუციის უმაღლესი სტადია. თუმცა

თქვენც მეცოდებით. რადგან თქვენც, ისევე როგორც ვირთა-გვები, რომლებსაც ანადგურებთ, ალბათ იმპერიის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაყოფი, მისი გედის სიმღერა ხართ. ამიტომაც თქვენს ომში იქნებიან არა გამარჯვებულები ან დამარცხებულები, არამედ მხოლოდ მსხვერპლნი...

შეგეძლო კიდევ ნახევარი საათი გაგენელა მასხარის ეს მონოლოგი, ფონ ფ., უეცრად და გაუფრთხილებლად სადღაც რომ არ შეეგდეთ და არ დაცემულიყავი მაგარ და ცივ ზედაპირზე, მგონი, შიშველ ცემენტზე.

– მიდი, აბა, აქაც კიდევ გაატრაკე, დამპალო ჟან-პოლ სარტრო! – უბოროტოდ ჩაიბურტყუნა ჭაბუკმა კაპიტანმა შელდუკოვმა და თვალთაგან ბისტი მოგაშორა.

ეს იყო გალია. საბედნიეროდ, შეხუთული და ნესტიანი შენობისთვის საკმაოდ ვრცელი გალია, რომლის მეტისმეტად მქრქალი განათება ღამის ყაზარმაში „მორიგე შუქს“ მოგაგონებდათ. სამი მხრიდან გალია შუქისგან (ჰა-ჰა!) უხეში გისოსებით იყო გამოყოფილი, მეოთხე მხარეს, შენ ზურგს უკან კი კარდაკეტილი კედელი აღმართულიყო, რომლის მიღმაც მძვინვარედ იფხოჭნებოდა და წკმუტუნებდა რაღაცა, ოღონდ ვერაფრით გაგერკვია, სახელდობრ რა.

– საერთოდ, კაპიტანო, რის საფუძველზე მექცევით ასე, თითქოს თქვენი რომელიმე ვირთაგვა ვიყო? – გაიხსენე ბოლოს და ბოლოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები.

– თქვენ დაგაკავეს სამთავრობო კომუნიკაციებისა და კავშირგაბმულობის ზონაში. ეს საკმარისია, – მკაფიოდ აგიხსნა მან.

– რისთვისაა საკმარისი? – დაინტერესდი.

– ყველაფრისთვის, – დაგპირდა კაპიტანი. და თავის ერთ–ერთ არწივს გალიის გარედან დაკეტვა უბრძანა. იქ კიდევ ერთი

კარი იყო, ცხაურიანი. თვითონ კი სადღაც წავიდა, როგორც ჩანს, ვიღაცისთვის საპატაკოდ. ვითარების გასარკვევად.

– იმპერია იმითაა საინტერესო, რომ იქ ზოგ ვითარებას რამდენიმე ასეული წელი არკვევენ. მერე ყველას ამართლებენ – მსხვერპლსაც, ჯალათებსაც. – მაგრამ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, – ამბობ მთქნარებით და თვლემამორეული ზურგით ეყრდნობი ლითონის ცივ კარებს, რომელსაც რაღაცა ეხეთქება და ფხოჭნის.

შესაძლოა, ასე სამასი წლის შემდეგ არქეოლოგებმა შენი ჩონჩხი იპოვონ...

მაგრამ შენს განზრახვას სამასი წელი არხეინი ძილი გამოგეცხო, ასრულება არ ეწერა. რაღაც ხუთ წუთში მხრებზე სათუთი და მძიმე ხელი იგრძენი.

– შენ კიდევ ვილა ოხერი ხარ? – ხრინწიანად იკითხე და ძლივს ასწიე ტყვიასავით დამძიმებული ქუთუთოები. შენ თავთით დახრილიყო უსახური მამაკაცი, კოსტიუმ-ჰალსტუხიანი, რაც არცთუ ესადაგებოდა გარშემო არსებულ სიტუაციას.

– ოტო ვილჰელმოვიჩი? – გკითხა მან.

შენთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა. უკვე აღარ იყო საჭირო ცხვირწინ წითელი მოწმობის აფრიალება, თუმცა მან დისციპლინებულად იგი მაინც აგიფრიალა.

– მეტად მოხარული ვარ ჩვენი შეხვედრის, – თქვა და გაიღიმა.

– ეს ადამიანური ურთიერთობის სიხარულია, – პირქუშად ამოიოხრე შენ.

– ტყუილად ხუმრობთ ასე, – კიდევ უფრო გულწრფელად გაიღიმა მან. – დამიძახეთ შემდგომში, ე-ე, საშკო.

– არ დაგიძახებთ, – მოუჭერი შენ, – სულერთია, არანაირი საშკო თქვენ არა ხართ.

– ეს ყველაფერი ფარდობითია, ბატონო ფონ ფ., გარწმუნებთ, – გაუშვა ლაყაფი მან, – რა მნიშვნელობა აქვს, რა ჰქვია

ამ მოკვდავ სხეულს? – მთავარია უკვდავი სული. მას კი არა აქვს მინიერი სახელი, მას ეცოტავება ნებისმიერი ადამიანური სახელი. გარკვეულწილად არც თქვენა ხართ არტური... არა, იჯექით, იჯექით... – მას გაცილებით მეტი საფუძველი ჰქონდა ეთქვა, ინექით, ინექითო, მაგრამ ძველი სამსახურებრივი ჩვევის გამო უზუსტობა დაუშვა. ჩამოჯდა გალიის შუაში სკამზე, რომელიც, ეტყობა, თავისთვის მოეტანა.

– აქ, თქვენთან ცოტას მოვწევ, კარგი? – მკითხა თავაზიანად.

– მოიქეცით ისე, თითქოს შინ იყოთ, – ვურჩიე მე. გულიანად გადაიხარხარა.

– ყოველთვის ვაფასებდი თქვენს ნატიფ, რამდენადმე ბოროტ, შავ იუმორს. ეს მინიშნებები, ეს განზოგადებები, ეს მოულოდნელი პარალელები და მეტაფორები! აი, ახლაც უბრალოდ როდი იხმარეთ ტრადიციული „შინ“ გალიის მისამართით, რაც სასაცილოა. მე მეჩვენება, რომ ამგვარად დასცინეთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს. ასე არაა, ვილჰელმოვიჩ? – მან ფანატიკურად ჩაისუნთქა კვამლი.

– რა თქმა უნდა, – კერი დაუკარი, – ოღონდ ეს ჩვენს შორის უნდა დარჩეს, – დაამატე ჩურჩულით, – სხვას არავის უთხრათ ამის შესახებ.

– არა, რას ამბობთ! – „საშკო“ ისევ გამხიარულდა, – ეს სავსებით ნორმალური აზრია. მე პატივსა ვცემ კარგ სატირას! ხომ იცით, ჩვენში ახლა ნებადართულია სატირული აზრის თავისუფლად გამოხატვა. როგორც იტყვიან, დემოკრატია შესანიშნავი რამაა, მაგრამ მასზე უარესის გამოგონება კაცობრიობას არ შეეძლო. ასე რომ, თქვენს სიტყვებში კრიმინალის ნატამალიც არაა. სხვა საქმეა, არსებული სახელმწიფო წყობილების ძალით დამხობა რომ განგვეზრახა...

– არარსებული სახელმწიფო წყობილების... – გაუსწორე შენ. მან გაგებით დაგიქნია თავი.

– სიტუაცია ჩვენს სახელმწიფო წყობილებასთან დაკავშირებით მართლაც რთულია, ამდენად მე ვიზიარებ თქვენს შეშფოთებას, – სიგარეტი, ეტყობოდა, საკმაოდ ნესტიანი იყო, რადგან წამდაუწუმ ქრებოდა, და მას ისევ და ისევ უწევდა ჯიბიდან ასანთის ამოღება,– თუმცა საქმე არც მთლად უიმედოდ გამოიყურება. მთელ ჩვენს გეგმებს ვუკავშირებთ ჯანსაღ პატრიოტულ ძალებს, რომლებიც დღემდე ეგზომ დაქსაქსულად მოქმედებდნენ. ამის დედაც კი ვატირე, მალე ერთი კვირა შესრულდება, რაც მიწის ქვეშ ვლპები, თვით სიგარეტიც დამიობდა!

– და რას საქმიანობთ აქ? – ჰკითხე უხალისოდ.

– ჩვენ თვითონაც არ ვიცით, – ნდობის კილოთი აგიხსნა „საშკომ“, – რაღაც გლობალური ამბავია, აქ ვიღაცა ვიღაცას ხვდება. ჩვენ კი, როგორც იტყვიან, პოსტზე ვართ. პარალელურად თქვენი დაკავების შესახებაც გვაცნობეს. გადავწყვიტეთ, ცოტა გაგვერთე, როგორც ძველი ნაცნობი. სხვათა შორის, მოგწონთ ჩემი უკრაინული?

– უარესი რომ იყოს, აჯობებდა, – შენიშნე შენ. – მეტისმეტად გამართულია, და მაშინვე მიანიშნებს თქვენს პროფესიაზე...

– ათი წელია, ამ ჩაჯდმულ მოსკოვში ვარ, მშობლიური ენა კი არ დამვიწყებია, – დაიტრაბახა „საშკომ“. – ჩვენს კომიტეტში ვხელმძღვანელობ უკრაინული ენის საზოგადოების პირველად ორგანიზაციას. სხვათა შორის, ამას წინათ ლექსიც კი დავწერე... როგორ დამავიწყდა!

მან ისევ ჩაიყო ხელი იმ ჯიბეში და იქიდან ქაღალდის რაღაც გაცრეცილი ნაგლეჯი ამოიღო.

– მომისმინეთ, ვილჰელმოვიჩ. ეს ისეთი ფილოსოფიური ლექსია. კლასიკური იაპონელების მიხედვით გაკეთებული:

ყვითელ ხაზებში შემოდგომის დამჭკნარი ფოთლის
მე ლექსს ვკითხულობ გაზაფხულის
პირველ კვირტებზე...

– როგორია, ჰა? – გკითხა მღელვარებით და მერამდენედ მოუკიდა ჩამქრალ სიგარეტს.

– მეორადია, – შეუფასე შენ.

– მე კი მინდოდა მეთხოვა თქვენთვის, რომ ხელი შეგეწყოთ მის გამოქვეყნებაში, – გულდაწყვეტით გაგანდო „საშკომ", – ძალიან მინდოდა დაბეჭდვა. ჟურნალ „ვიტჩიზნაში" ან „კიევში".

– იქნებ „ლილეია-ნვ"-ში?[1] – ჰკითხე შენ.

– დამეხმარებით? – თვალი ჩაგიკრა „საშკომ". შენ დაიღრიჯე და ხმა გაკმინდე.

იგი დიდხანს უკიდებდა ახალ სიგარეტს. მერე ფიქრიანად წარმოთქვა ვილაცის სტრიქონი:

– ენავ მშობელო, მე უშენოდ, აბა, ვინა ვარ?

– მძღნერია, – უპასუხე შენ.

– უკაცრავად, ვერ გავიგე,– თქვა საშკომ.

– მინდოდა მეთქვა, რომ მშობლიური ენის გარეშე კაპიკია ჩეკისტის ფასი.

– აგერ ახლა თქვენ მე ჩეკისტი მიწოდეთ, რითაც, ცხადია, გსურდათ მწარედ გეკბინათ, ღრმა შეურაცხყოფა მოგეყენებინათ, მიგეჩინათ ჩემთვის შესაფერისი ადგილი თუ რაღაც ამის მაგვარი, – მოულოდნელად გამკაცრდა „საშკო", – მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, გევედრებით, რომ თქვენ დაკავებული ხართ სამთავრობო კავშირგაბმულობის ზონაში, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც ტერორიზმი და ძალადობრივი დამხობის მცდელობა. თანაც სულ რაღაც წუთის წინ მოსკოვს „ჩაჯმუ-

[1] „ლილეია-ნვ" – ივანო-ფრანკოვსკის გამომცემლობა, სადაც მეტწილად იბეჭდება იური ანდრუხოვიჩის ნიგნები.

ლი“ უწოდეთ, ეს კი სავსებით ესადაგება ეროვნული შუღლის გაღვივების მუხლს...

– ერიჰაა! – ოდნავ შეშფოთდი შენ,– რამდენადაც მახსოვს, მოსკოვს „ჩაჯმული“ სწორედ თქვენ უწოდეთ, და თუმცა გარკვეულწილად ვიზიარებ ამ განსაზღვრებას, თქვენს ნათქვამზე პასუხს ვერ ვაგებ... მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ ყოველი ჩვენგანი მხოლოდ ექოა დიადი მსოფლიო ზარის ხმისა, და არც ერთი ჩვენი სიტყვა თავისით არ იბადება. სხვათა შორის, ვინაა, რომ სულ ცელქობს კედელს მიღმა?

– მოხარული ვარ, ვილჰელმოვიჩ, რომ ბოლოს და ბოლოს დასვით ეს კითხვა. დიდი სიამოვნებით გაცნობებთ: კედელს მიღმა იმყოფება ჩვენ მიერ შეპყრობილი ორი საცდელი ვირთაგვა. ესენი ელიტური წარმომადგენლები არიან იმ მიწისქვეშა საშინელებებისა, რომლებზეც ამ ბოლო დროს ამდენი მითქმა-მოთქმაა. ვირთაგვები ერთი კვირაა მშივრები არიან და ყველაფერი დამთავრდება იმით, რომ ისინი ერთმანეთს შეჭამენ. ასე რომ, იფიქრეთ...

– რადგან თქვენს შეტყობინებაში გარკვეულ მუქარას ვგრძნობ, – დაიწყე შენ, – გავბედავ ვივარაუდო, რომ ცდა დამშეულ ვირთაგვებზე შეიძლება გაფართოვდეს და მასში მონაწილეთა რიცხვი ერთი პოეტით გაიზარდოს. და თუმცა ჩემში ბობოქრობს ავადსახსენებელი „ყურძნის მაგარი სასმელი“, მაინც მინდა გკითხოთ: ამჯერად რას მოითხოვთ ჩემგან?

– არც არაფერს, – თვალისმომჭრელად გაიღიმა „საშკომ“ და, როგორც იქნა, ბოლომდე მოწეული სიგარეტი იატაკზე გასრისა, – არაფერი თქვენგან ჩვენ არ გვსურს, ვილჰელმოვიჩ. უკვე არაფერი. თქვენ ალბათ იმედოვნებთ, რომ დაგაყენებთ არჩევანის, ზნეობრივი გადაწყვეტილების წინაშე, თქვენც გააკეთებთ საკუთარ არჩევანს და გმირული სიკვდილით დაიღუპებით. არა, საყვარელო! არავითარი არჩევანი! არავითარი

მარადისობა თქვენთვის! აბა, რაში უნდა უნდა გამოგვადგეთ? თქვენზე ცდასლა თუ ჩავატარებთ, უცნობო ჩონჩხო...

– მაგას გირჩევნიათ, ჩემს ფლეიტაზე დაუკრათ! – განაცხადე შენ და ერთდროულად იგრძენი, როგორ გადაგიქროლა ზურგზე ქიანქველების დრაგუნთა პოლკმა.

– მესმის, რასაც გულისხმობთ ფლეიტაში, მაგრამ არ გიბრაზდებით, – „საშკომ" ახალ სიგარეტს მოუკიდა, რომელიც მაშინვე ჩაუქრა,– და მაინც დამეთანხმებით, რომ ამრიგად ჩვენ თქვენთან ერთად ვასრულებთ მსოფლიოსთვის აუცილებელ სანიტარულ ფუნქციას. რადგან არავითარი აზრი არა აქვს ამქვეყნად თქვენისთანა ნაგვის არსებობას.

– ასე მხოლოდ თქვენ გეჩვენებათ, რომ არა აქვს! – ჩაიბურდღუნე ნაწყენმა.

– არა აქვს, ვილჰელმოვიჩ, გარწმუნებთ, არა აქვს! თქვენი არსებობა გაუმართლებელია ნებისმიერი თვალსაზრისით: გნებავთ თეოლოგიური, ეკოლოგიური თუ საზოგადოებრივ-პატრიოტულით. ავიღოთ მაგალითისთვის თქვენი დღევანდელი დღე, შაბათის დღე, რომელიც იმით დაიწყო, რომ საერთო საცხოვრებლის საშხაპეში ჩაატარეთ უკანონო სქესობრივი აქტი მალაგასიის მოქალაქე ტატნაკეტეასთან. საბრალო გოგონას აქამდე ჰგონია, რომ მასთან გარდამოვიდა ანანმაალხოა – ნაყოფიერების, მებოსტნეობისა და შვილოსნობის სული. მერე თქვენ ცინიკურად ლოთობდით ფონვიზინის ქუჩაზე, სადაც წარმოთქვით ნაციონალისტურ-რასისტული სადღეგრძელო, რომლითაც მკრეხელურად მოუწოდეთ ლუდის გულისთვის სისხლისღვრისაკენ. მერე მოაწყვეთ ყაჩაღური თავდასხმა ჩვენდამი დაქვემდებარებული საწამლავებისა და მოკვდინების არატრადიციულ საშუალებათა ინსტიტუტის თანამშრომლის გალინა კ.-ს საცხოვრებელზე.

– გალია, – ძლივსგასაგონად წამოიჩურჩულე უკიდურესად განცვიფრებულმა.

– დიახ, გალია, – დაგიდასტურა „საშკომ", – ქალი, რომელიც თქვენ გამო ყველაფრისთვის მზად იყო. თქვენ კი, როგორც ყოველთვის, მოღალატურად მოქმედებდით. ეს თქვენი სტილია ფონ ფ., ერთ ქალს ღალატობდით მეორესთან, მას კიდევ სხვასთან და ასე შემდეგ. ასე იყო დღესაც. გალინა კ.-ს შემთხვევაში თქვენ უფრო გიზიდავდათ ცხელი აბაზანა. თქვენ სასტიკად გაუსწორდით საცოდავ ქალს, სხვათა შორის, ეროვნებით რუსს, და ამას მე განვიხილავ, როგორც უკრაინული ნაციონალიზმის გამოვლინებას, ისევე როგორც რასიზმის გამოვლინებად მიმაჩნია თქვენ მიერ მალაგასიელი პოეტი ქალის ტანტაკეტეას ამდილინდელი გაუპატიურება...

– მას ესიამოვნა, – სცადე შენ ამ ნაკადის შეჩერება.

– ესიამოვნაო? – „საშკომ" კვლავ უგულწრფელესად გადაიხარხარა, – თქვენი იუმორის სიშავეს საზღვარი არა აქვს, ვილჰელმოვიჩ. არა უშავს. მალე თქვენც ისიამოვნებთ. გესმით, როგორ ხურდებიან თქვენი მეზობელი ვირთაგვები შაბათის ვახშმის მოლოდინში? თუმცა გავაგრძელოთ თქვენი უახლესი გმირობების ჩამოთვლა. ეს შავი ჩამონათვალი თანდათან იქცევა ნამდვილ მარტიროლოგად. მოწოდებებიდან და მოხსენებებიდან მოქმედებაზე გადახვედით, რადგან ყველაფრის გარდა თქვენ ასევე ხართ ძველი და ახალი არბატის კუთხესთან მდებარე „სასაუზმეში" მომხდარი ტერორისტული აქტის პირდაპირი თანამონაწილე. თქვენი ბოროტმოქმედების შედეგად, რომელმაც გამოიწვია ჩვენთვის აქამდე უცნობი ასაფეთქებელი მოწყობილობის...

– ხელყუმბარა Ф-1-ი...

– გმადლობთ, მაშასადამე, თქვენი მოქმედებების შედეგად დაიღუპნენ საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

– მერე, – ამოიკვნესე შენ.

– გთხოვთ, ინებოთ! დღის განმავლობაში თქვენ რამდენჯერმე დაურეკეთ ჩვენთვის პრობანდერელ მოღვაწედ ცნობილ ვინმე კირილ სტ.-ს, რომელიც დაახლოებულია რუხელების, გეტმანელებისა და მელნიკელების[1] წრეებთან და ამჟამად მოსკოვში ძირგამომთხრელი გაზეთის დაარსებას ცდილობს. მაგრამ თქვენ აქაც უსინდისოდ მოქმედებდით, რადგან ხსენებულ კირილთან მისვლა მაინც ვერ მოახერხეთ. სამაგიეროდ, კირილის საყვარლის ფეხების გახსენებისას პირზე ნერწყვი მოგადგათ და სცადეთ მისი შეცდენა. ამ მიზნით მას პაემანს უნიშნავდით მაღაზია „ბავშვთა სამყაროსთან“.

– მე არ დამინიშნავს მისთვის პაემანი, – მწარედ დაიღრიჯე შენ, – თქვენს მისაყურადებელ სისტემებს დამახინჯებისა და სიცრუით გაზავების საეჭვო თვისება აქვს.

– ეს ცოტა რამეს თუ ცვლის თქვენი უკიდურესად ბითური, მომიტევეთ გულახდილობისთვის, უზნეო სიფათის გადმოცემისას. ინფორმაციისთვის კი მადლობა – მოსმენის ქვეგანყოფილებაში აუცილებლად გამოვუწერ აბებს, ვისაც ჯერ არს. – მიაქციეთ ყურადღება, მოსმენის და არა მიყურადების, როგორც თქვენ წელან შენიშნეთ. ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ისინი საკუთარი სახელით ამატებენ ყოველგვარ რომანტიკულ სირობას. ეტყობა, ვიღაც თქვენნაირი ბელეტრისტი გაიჩითა მანდ, ვილჰელმოვიჩ!

– გააგრძელეთ და ნუ გადაუხვევთ სიუჟეტიდან, – სთხოვე შენ.

– სიუჟეტი თქვენთვის ჩემზე უკეთაა ცნობილი, – ჩაიბუზღუნა „საშკომ“, რომელიც აუტანლად დიდხანს ექაჩებოდა ახალ სიგარეტს, – უკვე ახალი ტერორისტული აქტის ჩატარების

---

[1] რუხელები, გეტმანელები და მელნიკელები – უკრაინის ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში ისტორიულად და პოლიტიკურად შეუთავსებელი მიმდინარეობები, რომელთა გაერთიანება „საშკოს“ ბრალდების აბსურდულობაზე მიუთითებს.

მიზნით, ამჯერად სამთავრობო კავშირგაბმულობის ზონაში, თქვენ მიაშურეთ ,,ბავშვთა სამყაროს" დამხმარე შენობებს. აქ თქვენი დანაშაულებრივი უმოქმედობის მსხვერპლი გახდა კიდევ ერთი შესანიშნავი ადამიანი, – „საშკოს" ხმა ოდნავ აუთრთოლდა, – ოცდაორი შვილის მამა, ჩვენი მრავალწლიანი თანაშემწე, განსაკუთრებით დელიკატურ დავალებათა აგენტი „ბოშათა ბარონი".

– ის ხომ არა, მძღნერში რომ ჩაიხრჩო?

– სწორედ ის. პრეზიდენტმა უკვე მოაწერა ხელი ბრძანებულებას მისთვის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, – ერთგვარი საზეიმო ტონით გამოაცხადა „საშკომ".

– თუ ასეა, მაშინ თქვენმა პრეზიდენტმა ჩემთვის ავიაბილეთის დაბრუნებაზეც იზრუნოს, – ბოროტად იხუმრე შენ.

– პატარებს მამას ვინ დაუბრუნებს? – მკაცრად გკითხა „საშკომ", – არა, ფონ ფ., არ დაგჭირდება შენ აწი ავიაბილეთი! იმედი ნუ გექნება!.. ჩვენ შეგვიძლია დასჯა!.. შენ თუნდაც მეხიკოში მოგაგნებდით...

– მექსიკოში, – გაუსწორე შენ.

– რაო?

– ახალი მართლწერით იქნება „მექსიკო".

– ერთი ნაგავია ორივე – გინდ მეხიკოში, გინდ მექსიკოში, მაინც დაიბრიდები! ამ დღეებში ხელი მოეწერა განსაკუთრებით საიდუმლო ინსტრუქციას და ამას გიყვები კიდეც, რადგან ჩემს მონაყოლს უკვე ველარავის ჩაუკაკლავ, – ჰო, საიდუმლო ინსტრუქციას ახალი გენერაციის ვირთაგვების გამოყენებაზე უსანქციო შეკრებათა გარეკვის თუ საგანგებო და სამხედრო მდგომარეობის დროს. დღეს, როგორც იქნა, საკონსტიტუციო მეთვალყურეობის კომიტეტიდან მივიღეთ საკვლევ-ექსპერიმენტული სამუშაოების ნებართვა. აგენტებს „კაენს", „ბელზე-

ბელსა“ და „ჟირინოვსკის“ მადლობას გამოუცხადებენ. აგენტი „ბოშათა ბარონი“, როგორც უკვე ვთქვი, ცალკე დაჯილდოვდა. ახლავე, ჩემო კარგებო, ახლავე, მიმართა მან რაღაც დიდსა და ბანჯგვლიანს, რომელიც სულ უფრო მოუთმენლად წკმუტუნებდა კედელს მიღმა.

– ერთადერთი, რაშიც შევცდი, – დაღლილი ხმით დაიწყე შენ, – ისაა, რომ თავისუფლების შესაძლებლობა ვირწმუნე. თავისუფლება კი გამოიყურება ილუზორულად, როგორც მოხდენილად შენიშნა ერთ-ერთ თავის ლექსში ანდრუხოვიჩმა... არადა, დასანანია...

საიდანღაც ეული ვიოლინოს ჰანგები მოისმა. ისინი თანდათან მატულობდნენ და ქმნიდნენ რაღაცნაირ ულოგიკო და გულგანმგმირავ ფონს, რომელიც მერე იშლებოდა ნაირ-ნაირ ბგერებად, საკრავებად... სულ მალე ეს უკვე იყო ორკესტრი, რომელიც ჭერს ზემოთ ქუხდა, შესაძლოა, იქ, მაღლა თეატრი იყო, რაღაც განსაკუთრებული მიწისქვეშა თეატრი ან სულაც ჩვეულებრივი „ბოლშოი“, სადაც ეს-ესაა წარმოდგენა დაიწყო. მუსიკა ყველაფერს წონასა და სიღრმეს მატებდა. შენ იგრძენი, რომ რაღაც მარადიულის თქმაა საჭირო.

– დამიწყევლია იმპერია! – წარმოთქვი შენ აღმოსავლელი წინასწარმეტყველის ინტონაციით.

– შენ? ვინც მას ერთგულად ემსახურებოდი? – და „საშკომ“ სარდონიკულად გადაიხარხარა, ან იქნებ სულაც ჩაახველა ზედმეტად დამბალი სიგარეტის გამო.

ტრომბონებისა და ვალტორნების დიადმა და მძვინვარე მონაცვლეობამ გაიძულეს, გეპასუხა მხურვალედ და გაგულისებით:

– მე არ მიმსახურია მისთვის ერთგულად! და მე იოტისხელა ბრალიც არა მაქვს! რადგან არც ერთი იმპერიული ცოდვა ჩემს სულსა და სხეულს არ გაჰკარებია.

„საშკომ“, რომელიც ამ წამს სკამიდან წამოხტა და გალიაში დაჭრილი ლომივით აიფოფრა, არანაკლებ ვნებიანი რეჩიტატივით შემოგიტია:

– ბრალი არა მაქვსო? ბებია გიჭყავის, ადვილად ცდილობ თავის დაძვრენას! მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე ხარ დამნაშავე? აქაოდა, ჩემი ცოდვები ჩემი საზრუნავიაო!.. ეს შენ არა ხარ, ვინც სხეულს ღალატობდა? ეს შენ არა ხარ, ვინც ღალატის ქაღალდს ხელი მოაწერა?! – აგერ, თავს ზემოთ შუქი აგიკიაფდა. ეს იქნებ სულაც შარავანდედია, – კი მაგრამ რას იტყვი იმ აჩეხილ, ნაცემ, მარადიულ გამყინვარებაში დარჩენილ ათობით, ასობით და მილიონობით ათასებზე?! შენ იმ ხელმოწერით სული წაიწყმიდე!..

მისი სიტყვები ხან ჩაიძირებოდა მუსიკის ზღვაში, ხანაც ამოტივტივდებოდა. სიმებიან საკრავთა პარტია სულ უფრო ნერვიული და მომთხოვნი ხდებოდა. საბედნიეროდ, კომპოზიტორის ჩანაფიქრთა წიაღიდან ყოვლისმიმტევებელი მარტოსული ჰობოი გამოიჭრა, რამაც სიმხნევე შეგინარჩუნა:

– მე სიცოცხლის გადარჩენას ვემსახურებოდი – უცხო, ერთადერთი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, იმ აბსტრაქტულ მილიონებზე, ასი ათასებზე ძვირფასი სიცოცხლის გადარჩენას...

– შენ? ემსახურებოდი? გადარჩენას? უცხო სიცოცხლის? – და მან ისევ დემონურად, მძვინვარედ გადაიხარხარა, ორკესტრმა კვლავ ულმობლად დასცხო, ჰობოი მიყუჩდა, მაგრამ სამაგიეროდ, ლიტავრებისა და დოლების გუგუნმა ყველაფერი გადაფარა, – შენ შეგიძლია მხოლოდ საკუთარი თავი გადაირჩინო! შენ ყველგან და ყოველთვის საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობდი! მაგრამ ამჯერად თავსაც ველარ გადაირჩენ! – უკანასკნელი ფრაზა საკმაოდ მარჯვედ იქნა მუსიკალურ ფონთან შერწყმული და ჩამღერებული საოცრად ძარღვიანი ტენორით.

– რა გაეწყობა, – ამოიოხრე შენ, – მოხდეს, რაც მოსახდე-

ნია. მე მიყვარდა ეს ცხოვრება მთელი თავისი სისაძაგლეებით, თუმცა ეს სისაძაგლეები მტანჯავდნენ კიდეც. მაგრამ სულ მთლად ჩემს მოკვლას მაინც ვერ შეძლებთ, – მე დავტოვე სიტყვები, სიტყვები, სიტყვები... სიტყვები, სიტყვები, სიტყვები...

ვეღარ გამოხრან ვირთაგვებმა ჩემი სიტყვები, – ისინი ქარში მიფრინავენ ფოთლების დარად, – დაე, იფრინონ, – მათ ყურს მოჰკრავს ოდესლაც ვინმე. თქვენ ვეღარ შეძლებთ ჩემს მთლიანად მოსპობას, ვერა, – სამარადისოდ ჩემს გულშია ის, რაც არ კვდება![1]

ორკესტრის ტემპი ძლიერდებოდა. ეს რაღაც ერთიანი „ალეგრო ნონ მოლტო", „პრესტო ფურიოზო" თუ რაღაც ამის მსგავსი. „საშკო" ვეღარ ასწრებდა მოჭრილი და მტკიცე მუსიკალური ფრაზების კვალდაკვალ. ამიტომ მხოლოდ კითხვების დასმასღა ახერხებდა:

– შენ დატოვე სიტყვები, სიტყვები, სიტყვები?
– მე დავტოვე სიტყვები, სიტყვები, სიტყვები!
– ჩვენ ვეღარ შევძლებთ შენს მთლიანად მოსპობას, ვერა?
– თქვენ ვეღარ შეძლებთ ჩემს მთლიანად მოსპობას, ვერა!
– სამარადისოდ შენს გულშია ის, რაც არ კვდება?
– სამარადისოდ ჩემს გულშია ის, რაც არ კვდება!

კაცმა რომ თქვას, ეს დასკვნითი აკორდი საკმაოდ შეხმატკბილებული და მელოდიური გამოვიდა. შენი ჩახლეჩილი და ხრინწიანი ფალცეტი კარგად ჩაეწვნებოდა „საშკოს" იადონისებურ ტენორს. ორკესტრი ერთხანს კიდევ უკრავდა, და მთელ ამ სცენას აგვირგვინებდა მძლავრი, ტრაგიკული და მაინც

[1] სამარადისოდ ჩემს გულშია ის, რაც არ კვდება! – სტრიქონი ლესია უკრაინკას პოემა-ფეერიდან „ტყის სიმღერა".

უმთავრესად ოპტიმისტური ნოტით. შენ მაყურებელთა მქუხარე ტაშის ნაცვლად ზურგს უკან სულ უფრო აგრესიული ღრენა და წკმუტუნი მოგესმა. თითქოს დამწყვდეული საშინელებანი უკვე კარს კი არა, უშუალოდ შენს სვიტერს ფხოჭნიდნენ.

– აბა, რა გეგონა, – განიშნა ოდნავ ძილმორეულმა „საშკომ" და ხელსახოცით შუბლიდან ოფლის წვრილი წვეთები მოიწმინდა, – საკუთარი თავი მთლიანად მუსიკას უძღვენით, – ახლა კი მოემზადეთ, ფონ ფ., – თითი დაგიქნია მან, – თუმცა სანამ მოუნელებელი ნაშთის მდგომარეობაში გადახვიდოდეთ, საშუალება გეძლევათ შეავსოთ თქვენი ცოდვების ბალანსი. თქვენ გელოდებათ, როგორც გერმანელები იტყვიან, აინე იუბერრაშუნგ![1]

– „უ" უმლაუტით, – გაუსწორე შენ.

– ერთი სირია, – გითხრა „საშკომ", ფეხზე საინვენტარონომრიანი სკამით ხელში გალიიდან გავიდა და კარი გასაღებით დაკეტა.

მთელი ეს სტიქიური გართობა ვირთაგვებით, გალიით, გასივებული მუხლითა და საოპერო ჩეკისტით ერთობ ბრიყვულად და დაუჯერებლად გეჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ კედელი მათ მიღმა ჩაკეტილ საშინელებათა გიჟური მოუთმენლობისგან ზანზარებდა, ჯერჯერობით არ გინდოდა საზარელი აღსასრული გერწმუნა. მთელი დღის განმავლობაში დალეული სითხე კვლავაც თავისას შვრებოდა. ამიტომ გადაწყვიტე, ცოტა წაგეძინა და ზეციურ კანცელარიას შეუკვეთე კიდეც სიზმარი ვენეციაზე. მაგრამ სამდინარო ტრამვაით ტრონკეტოდან წმ. მარკოზის მოედნამდე მიცურვაც ვერ მოასწარი, რომ გალიაში ვიღაც ახლის გამოჩენამ გამოგაღვიძა.

ეს იყო გალინა. მან ბაგეებზე თითი მოგადო და შენც ძველი

---

[1] აინე იუბერრაშუნგ (გერმ.) – ერთი სიურპრიზი.

სატრფიალო ჩვეულებისამებრ ალერსი დაუწყე, მაგრამ უცებ განზე გაუხტი, როგორც გველს, რადგან გაგახსენდა, რომ იგი „საშკოს“ მოკავშირეა. გალიამ დაასწრო შენს სავარაუდო საყვედურებს.

– მე სამსახურებრივი მოვალეობის გამო გამომიძახეს,– აგიხსნა მან,– დავალებული მაქვს, რამდენიმე ნემსი გაგიკეთო...

– რისთვის, გალია?

– ექსპერიმენტის სიწმინდისთვის.

– ზნეობრივი სიწმინდისთვის?

– მორჩი ახლა მაინც, – წყნარად წარმოთქვა მან, თუმცა ხმაში სიბრაზის ნატამალიც არ ეტყობოდა, – ჩაიხადე შარვალი.

– მე ღირსეულად სიკვდილს ვისურვებდი, გალინა.

– არავისა აქვს პრეტენზია შენს ღირსებაზე, მაგრამ შარვალი უნდა ჩაიხადო.

მას ეცვა რაღაც ფრიად ოფიციალური კოსტიუმი, ქალური უნიფორმის მსგავსი, თუმცა საკმაოდ შემოჭერილი, მოკლე ქვედატანით. ოდნავ არყის სუნი ასდიოდა, თუმცა ზოგადად თავი არცთუ ცუდად ეჭირა. თვით შესივებული ყვრიმალის მიუხედავადაც.

– გესმის, გალია, უხმაუროდ სიკვდილი მსურს, სახის დაუმახინჯებლად, გარდა ამისა, არ მინდა სიკვდილისწინა აგონიისას შარვალში ჩავისვარო...

– ჰოდა, ამიტომაც ჩაიხადე, – დაჟინებით გაგიმეორა მან.

– შეგიძლია ისე გააკეთო, რომ ბაგეებზე გმირული დუჟით, ე-ე, სიმღერით მოვკვდე? – ჰკითხე შენ და ხვანჯრის პირველი ღილი შეიხსენი, – და საერთოდაც, ამიხსენი ექსპერიმენტის არსი. მაქვს თუ არა თუნდაც ამის უფლება? რა სასწაულები ხდება ემაგ თქვენს მიწისქვეშეთებში! ჯერ მაცნობებენ, რომ ჩემს თავს საჯიჯგნად მიუგდებენ მშიერ ვირთხებს, მერე ვიგებ, რომ ექსპერიმენტის სიწმინდისთვის უკანალში ნემსს გამიკე-

თებენ. და ეს მეტი არაფერია, თუ არა სამხედრო მდგომარეობისთვის მომზადება!..

გალინამ შპრიცებიანი ჩანთა განზე გადადო. და მისი თითი ისევ შეეხო შენს ბაგეებს.

– გაჩუმდი, – გითხრა ძლივსგასაგონად.

– არ შემიძლია გაჩუმება! – შეკრთი შენ, მაგრამ იგრძენი, რომ მისი მეორე ხელი უკვე მომდევნო ღილებს გიხსნიდა. იგი სასნაულმოქმედი იყო, ის, მისი ხელი. გაოგნებისგან კინაღამ გახევდი, ის კი მოვიდა შენთან, როგორც ძველი ნაცნობი, და საკმაოდ იოლად მოხვდა იქ, სადაც ეწადა. ეს იყო მუსიკალური, ვირტუოზული ხელი. იგი შენ გაძლიერებდა. იგი შენ იმედს გმატებდა. უფრო იგრძენი, ვიდრე დაინახე, როგორ გაიძრო გალინამ ჟაკეტი და პერანგი. იგი გველების დედოფალივით მოცოცავდა შენზე. მისი სხეული ერთთავად შემოგეჭდო და შენ ჩაიძირე მასში, როგორც ტალღაში, გაინაბე მის თავბრუდამხვევ და აღმგზნებ სისინში, მისი ბაგეები მოგზაურობდნენ შენში, როგორც ტყეში. მათ ყველგან მოასწრეს ყოფნა. მაგრამ ხელი! იგი აგრძელებდა საკუთარ საქმეს, შენ თვალები დახუჭე, და მძიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქვა დაიწყე.

– გაჩუმდი, – სისინებდა გველების დედოფალი.

იგი სულ უფრო ღრმად და ღრმად იძირებოდა შენში. ასდიოდა არყის სუნი, წვიმისა და მდელოს სურნელი. შენ უძრავად რჩებოდი და თანაც სადღაც მიცურავდი. დიახ, ეს იყო ტალღები. ბოლოს მისმა ხელმა, მისმა იმ ხელმა სიღრმიდან ამოყვინთა, თვალისმომჭრელი ფრინველივით გადაუფრინა შენს მკერდს და თმაში ჩაივანა. და მხოლოდ მაშინ გაგახსენდა, რომ თვითონაც გაქვს ხელები. და ისინი შეუდგნენ საკუთარ მოგზაურობას. ეს იყო ხელთა შეჯიბრი – შენი, უმწეო, ურჩი და მისი სასნაულმოქმედი, თბილი და უხვი ხელებისა. იგი გეხმარებოდა ყოველი მოძრაობით, მოედინებოდა შენ შესახვედრად,

ვიდრე ორივე არ გათავისუფლდით ზედმეტი სამოსისგან.

– შენ მე გამაგიუებ, – ჩაიჩურჩულე.

– გაჩუმდი, – გაგიმეორა მან.

საუბარი იმდენად უადგილო იყო, რომ შეეძლო შენთვის ზიანი მოეტანა. სიტყვები სრულიად უსარგებლონი აღმოჩნდნენ და არაფერს ნიშნავდნენ. სიტყვები კი რაღაცას უნდა ნიშნავდნენ.

ბოლოს მან ჩუმად შეჰკივლა. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო, მაგრამ უკვე ხედავდი ელვით დასერილ წყვდიადს. ამიტომ იგი ყველაფერს აკეთებდა, რათა გაგეძლო. მას უყვარდა შენი ყოველი ნაწილაკი და თითქმის მღეროდა ამაზე: „გაჩუმდი, გაჩუმდი", – დაულალავად იმეორებდა გალია. უკვე ძნელი მისახვედრი იყო, ვინ ვის ეწირებოდა, ისეთი ერთგულებით გიძღვნიდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა. და შენ დაინახე უცნობი მხურვალე დღე და ნათელი გზა, იგრძენი ხვატი, იგრძენი, რომ დნები, იმოსები რაღაც ნაზითა და თეთრით, რომ უკანასკნელ ძალთა მოკრებით ემსგავსები ქათქათა სამოთხის ბუჩქს, დაბოლოს, ჩაიძირე სინაზის ისეთ ენით გამოუთქმელ ზღვაში, რომელზე ღრმაც არაფერია, არაფერია, არაფერია...

– ლაბადა მოგიტანე, – მითხრა ერთ წუთში, როცა უკვე თითქმის ჩაცმული იყო, – გავრეცხე და გავაშრე კიდეც.

ამის თქმა და, სადღაც სიბნელიდან ამოღებული მონაცრისფრო შეკვრა გამოგიწოდა.

– გმადლობ, ოღონდ რაში მჭირდება? – მწარე ღიმილით მიუგე. გინდა, რომ იმ არამზადებმა ესეც თავიანთი საშინლად ბასრი კბილებით დაფხრიწონ?

გვერდით მოგიჯდა და გააბოლა.

– მომიყევი მაინც, რა ხდება? რა ექსპერიმენტს ატარებთ აქ? რატომ შენ? რატომ ხარ მათთან?

– ჩემი ბრალი არაა. მინდოდა ჩემს მეცნიერებას გავყოლოდი. გველებს. შხამებს. მათ კი ამის საშუალება არ მომცეს.

– მაქვს თუ არა მცირეოდენი შანსი? შევძლებ თუ არა გავუწიო ვირთაგვებს საკადრისი წინააღმდეგობა?

– ექსპერიმენტის სიწმინდისთვის გარკვეული ნივთიერებები უნდა შეგიყვანო. ისინი დამბლას იწვევენ. დაახლოებით ოც წუთში ჩვარი გახდები. საუბარია უკვე, კაცმა რომ თქვას, არა შენზე, არამედ იმაზე, იმოქმედებენ თუ არა შემდგომში ეს ნივთიერებები ვირთაგვებზე. ისინიც ხომ ცოცხალი არსებანი არიან, რომლებიც ასევე ემორჩილებიან ბიოლოგიურ კანონებს. გესმის, რეჟიმი სულ უფრო ნაკლებად ენდობა ჯარს. მილიციასაც, ბოლოს და ბოლოს. გამწვავებისა და ძალისმიერი შეტაკებების დროს რეჟიმი შესაძლოა სასტიკად შეცდეს. დემონსტრანტებისთვის მისეული უზარმაზარი ვირთაგვები უფრო სანდოდ გამოიყურება, არა?..

– და შენც მონაწილეობ ამ ბოროტმოქმედებაში?

– ჩვენ ყოველდღე ვმონაწილეობთ რომელიმე ბოროტმოქმედებაში, საყვარელო. თანაც ისე, რომ ეს არ გვესმის. მაგრამ იმაში, რასაც გულისხმობ, ჯერ ჩართული არა ვარ.

– ნემსს გამიკეთებ, ძვირფასო? მომეცი საშუალება, რომ ჩვრად არ ვიქცე. მე მათ ფეხებით მოვიგერიებ, სანამ შევძლებ. მართალია, მუხლი დაზიანებული მაქვს, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებ... სხვათა შორის, ძალიან მტკივნეულად ხომ არ გაგარტყი დღეს?

– არა უშავს. ყველაფერში თვითონ ვიყავი დამნაშავე. პირველად მე დავიწყე. შენ მხოლოდ თავს იცავდი.

– მაპატიე, თუ ტანჯვა მოგაყენე.

– ძალიან არ მინდოდა, მიგეტოვებინე. მაგრამ ახლა ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს. თუნდაც ზოგჯერ, თუნდაც ოდნავ მაინც თუ გრძნობდი თავს კარგად ჩემთან?

– ფანტასტიკურად კარგად.

– მეც.

– გმადლობ, საყვარელო. შენ ჩემი ბოლო დიდი სიყვარული ხარ.

– ასე მხოლოდ გეჩვენება. რამდენიმე წუთში სულ დაგავიწყდები.

– რამდენიმე წუთში არა მარტო შენ დამავიწყდები. თუმცა, ამას რას ვამბობ! განა ეს სხეული, რომელსაც ახლა დაგლეჯენ, ნამდვილი მე ვარ? არა, ნამდვილი „მე" შენ არ დაგივიწყებს. მქონდა შესაძლებლობა დავრწმუნებულიყავი,რომ მკვდრები ცოცხლებს არ ივიწყებენ.

– რა ცრუმორწმუნე ხარ! უკრაინელები სულ ასეთი ცრუმორწმუნენი არიან? იცი, როცა პატარა ვიყავი, მეც მჯეროდა ასეთი რამეების. ის, რომ მიცვალებულთა სულები ჩვენთან რჩებიან, ღამღამობით ჩვენს საწოლებთან ტრიალებენ და სამზარეულოში რძეს სვამენ... მაგრამ ჩემი მეუღლე მოკვდა და მერე არასოდეს მოსულა ჩემთან...

– ქმარი გყავდა? მასზე რომ არასოდეს მოგიყოლია? რამ მოკლა?

– ეჰ, გველებთან სულელურად მოპყრობამ!.. ნასვამზე უყვარდა ხოლმე სერპენტარიუმში შევლა...

– ბევრს სვამდა?

– ხარივით. პირდაპირ ქრონიკული ლოთი იყო. თუმცა მე ძალიან ვუყვარდი. მაგრამ ნუნუა ჩემზე უფრო უყვარდა. რამდენჯერმე დანით მოკვლაც დამიპირა. ამას მისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია.

– უკვალოდ არაფერი ჩაივლის. მინდა ზოგი რამ შევაჯამო, გალია. ჩემი სიცოცხლე არცთუ ხანგრძლივი აღმოჩნდა, როგორც მოხეტიალე ბოშები და ასტროლოგები მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ კიდევ უფრო დასანანია, რომ იგი არც ბრწყინვალებით გამოირჩევა. ვცდილობდი, მტრები არ მყოლოდა და უკლებლივ ყველას მოვწონებოდი, თანაც მახსოვდა, რომ

საკუთარი თავის უმძვინვარესი მტერი თვითონა ვარ. თურმე უკლებლივ ყველასთვის თავის მოწონება შეუძლებელი ყოფილა. არავინ დაიჯერა ჩემი კეთილი ზრახვები, იმდენად გადაკიდებული იყო ყველა ერთმანეთთან. ამიტომაც ჰარმონიის პოვნის ყველა მცდელობა ჩემი დევნით მთავრდებოდა. უფრო მეტიც, დავინახე, რომ ეს სიზმრები სიძულვილს ეფუძნება და მისი ერთადერთი მამოძრავებელი ძალაა. მე კი მეწადა, მას გავქცეოდი. მინდოდა მსოფლიოს გარშემო მემოგზაურა, მაგრამ ვენეციამდე გემით ჩასასვლელადაც კი არ მეყო. ამიტომაც დავკმაყოფილდი სიზმრებით, სიყვარულითა და მაგარი სასმელებით. რადგან ლოთობაც მოგზაურობის სახესხვაობაა. ესაა ცნობიერების, ესე იგი ყოფის გამოთავისუფლებულ ნახევარსფეროებში მოგზაურობა. მაისის ერთ მშვენიერ წვიმიან დღეს ანუ ამჟამად, საკმაო ტვინდაბინდულ მდგომარეობაში რომელიღაც ეშმაკმა ამ მინისქვეშეთში მომახვედრა. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს იყო მხოლოდ ილუზია, თავის მოტყუება, როცა მეგონა, თითქოს სრულიად დამოუკიდებლად ვმოქმედებდი, საკუთარი თავისთავადი გეგმის შესაბამისად, სინამდვილეში აქ სხვებს მოვუყვანივარ. როგორც იმპერიის ქვეშევრდომი, მისი პასპორტის მქონე და ბევრი რეფერენდუმის მონაწილე, მე აღმოვჩნდი საინტერესო ბილიარდის ბურთულა. ახლა ისღა დარჩენილა, იგი უკანასკნელად ჩააგდონ.

– ძალიან გულნატკენი ხარ, – გაგიღიმა მან და მხარზე ხელი დაგადო.

– მაქვს საამისოდ გარკვეული საბაბი. დამეთანხმე, საყვარელო, გასაკვირი იქნებოდა, რომ სწორედ ახლა წარმომეთქვა რამე სალაღობო და სახალისო. გესმის, რა აღგზნებულად ქლოშინებენ კედელს მიღმა ის ცხოველები? იცი, აქამდე ვერ დამიჯერებია, რომ მათთან ორთაბრძოლა მელოდება. ხომ არა გაქვს ჩემთვის ხმალი ან უკიდურეს შემთხვევაში კონსერვის გასახსნელი დანა?

– ნებისმიერ ფასად მსურდა შენი შენარჩუნება. მაგრამ საკმაოდ მალე მივხვდი, რომ ეს ამაო მცდელობა იყო. შენ მე არ წამიყვანდი მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ. ნამეტანი მრავალფეროვნება გიყვარს ქალებში. არა მაქვს შენთვის ხმალი. ყველაფერი, რაც შევძელი, ისაა, რომ გაგირეცხე ძველი მაწანწალის უკვე საკმაოდ გაქონილი ლაბადა და დამშვიდობების წინ სინაზის რამდენიმე წუთი გაჩუქე.

– გმადლობ, საყვარელო! რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგხვდება სამსახურში, ის ჩაჯმული ნემსები რომ არ გამიკეთე?

– ძალიან გაუტიე! რატომ მეკითხები ამას? რომელ სამსახურებრივ უსიამოვნებაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა ერთმანეთს ვემშვიდობებით?

– მართალს ამბობ. ყოველთვის მართალს ამბობ. მაპატიე. უბრალოდ, ძალიან მინდა, რომ შენთან ყველაფერი ჩიკი-პიკი იყოს. რომ შენი შემდგომი ქმარი გამოდგეს არა მერყევი და მოსაწყენი ლოთი, არამედ მადლიერი და თავშეკავებული მაზოხისტი მაინც. შენი ქმარი მე დაახლოებით შენსავით მეყვარებოდა. გარდა ამისა, ვისურვებდი დაგეჭირა ყველაზე შხამიანი, დაუდეგარი და სრულყოფილი გველები. არ გეცხოვრა იმ უკაცრიელ სახლში, რომელიც თვალსა და ხელს შუა ინგრევა. მე შენ სამხრეთ ტიროლში მომცრო სასახლეს გიყიდდი, სიზმარში საამისოდ ფული რომ მყოფნოდა... რანაირად მოხდება ეს ყველაფერი?

– რა, სახელდობრ?

– აი, ჩემი სიკვდილი. იქ ძალით შემაგდებენ?

– ნუ მეკითხები ასეთ რამეებს.

– ეს სამსახურებრივი საიდუმლოა?

– ეს მსოფლიო საიდუმლოა. თუ როგორ გამოიყურება სიკვდილი, შეიძლება იცოდნენ მხოლოდ მათ, ვინც იგი გამოსცადა.

– ტექნოლოგია მაინტერესებს.

– რა სასტიკი ხარ! ხომ ხედავ, რომ ამაზე საუბარი კი არა, ფიქრიც მიმძიმს.

– ბოდიში. უბრალო ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინე. მეგონა, მქონდა ამის უფლება...

– იქ, შენი ლაბადის ჯიბეში მაიკლ ოლდფილდის კასეტაა.

– გერჩივნა, შენთვის დაგეტოვებინა. ეს ჩვენი მუსიკაა.

გალინა შენკენ დაიხარა და კვლავ კოცნა დაიწყეთ. „აი, ასეთია დამშვიდობება", – გაგიელვა თავში. შენს განკარგულებაში მყოფი ცისქვეშეთის მილიარდი ქალიდან ფინალური სცენისთვის სწორედ ეს ამოარჩიე. შენ რაღაცას გართმევენ, ფონ ფ., არა მარტო სიცოცხლეს. სხვა დანარჩენსაც. გაცილებით მეტს, ვიდრე სიცოცხლეა.

– როდის დაცხრებიან ისინი ბოლოს და ბოლოს? – შეკრთი შენ და მოსწყდი გალიას ოდნავ მარილიან ბაგეებს,– როდის შემსანსლავენ?

– ეს მაგნიტოფონია, – თქვა გალიამ, – ისინი იქ არ არიან.

– როგორ თუ არ არიან? რას ამბობ?

– ნუთუ მართლა დაიჯერე ასეთი სისულელე? სასაცილო ხარ, სასაცილო! – ბინდბუნდში თვალებზე ცრემლები უბრწყინავდა.

– მაშ, რისთვის იყო ეს ყველაფერი? – ხელის მოსმით შეიზილე ცხელი შუბლი.

– ექსპერიმენტის სიწმინდისთვის. სულერთია, ვერ გაიგებ – იგი მეტისმეტად რთულია, მრავალსაფეხურიანია. ჯერ გაშინებენ გარდაუვალი საშინელი სიკვდილის პერსპექტივით. იშვიათი სიკვდილის პერსპექტივით. შემდეგ ერთ-ორ შესაბამის ნემსს გიკეთებენ. და ძალიან ითენთები. დამბლა გეცემა. და ყველაფერზე ყაბულსა ხარ. თან ეს შიში არასოდეს გშორდება.

მან იატაკზე დაახეთქა ორი უფერული ამპულა და დაამსხვრია. მერე შპრიცი ფეხით გასრისა. იგრძენი, რა უმოწყალოდ, აუტანლად და ელვისებურად ოფლიანდები.

– აგერ, შენ გასაღები, – გითხრა მან, – ჩამკეტე გარედან. საამისოდ შვიდი წუთი გაქვს. შვიდ წუთში გამოიღვიძებს ჯგუფის უფროსი...

– „საშკო?"

– იქნებ „საშკოც". მან ნახევარი საათით წაძინება გადაწყვიტა, სანამ მე ჩემსას ვიზამდი და ნემსები მოქმედებას დაიწყებდნენ. მე აქ ვიწვები თითქმის უგონოდ. თავის მოკატუნებაც კი არ დამჭირდება. მე შევძლებ, მათ თვით შენი მუჯლუგუნების კვალიც ვაჩვენო. შენ მე ჩამკეტავ. გაუყვები დერეფანს მარცხნივ. დაიმახსოვრე: რამდენი მოსახვევიც და განშტოებაც უნდა შეგხვდეს, მუდამ მარცხნივ მოუხვიე. შესძლებ დამახსოვრებას?

– მაშინ რა იქნება, საყვარელო?

– მაშინ იქნება ლიფტი. ლიფტთან გუშაგი დადის, მაგრამ რამე გამოიგონე, რადგან ეს შენი ერთადერთი შანსია.

– აბა, რა უნდა გამოვიგონო, საყვარელო?

– რამე. ამ ლიფტით შეძლებ მაღლა ასვლას.

– სად, მაღლა, სატრფოვ?

– მე რა ვიცი! იქ ნახავ!

– მე ჩქარა სირბილი არ შემიძლია, – თქვი შენ და ლაბადის ჩაცმა დაიწყე, – არ მინდა დაგტოვო. მაგრამ იძულებული ვარ. როდის ვნახავთ ისევ ერთმანეთს?

– ლიფტის გუშაგი შეიარაღებულია. ჩვენ ერთმანეთი იქნებ ვერასოდეს ვნახოთ.

– შენ მეტისმეტად კეთილი იყავი ჩემ მიმართ,– თქვი და ხელისგული მოუსვი შესივებულ ყვრიმალზე, – ჭეშმარიტი რუსი ქალი ხარ. შენნაირები დეკაბრისტების გამო ციმბირში მიდიოდნენ. მე შენ უკრაინიდან წერილებს მოგწერ. ან საიქიოდან – ყველაფერი ლიფტის გუშაგზეა დამოკიდებული. მაგრამ ნახავ, რომ უფრო გულისხმიერი ვიქნები, ვიდრე ის გულმავიწყი ლოთი.

– წასვლის დროა... აქ თუ გნახეს...

მაგრამ სიტყვას აწყვეტინებ და მაგრად იხუტებ. მერე ხელს სტაცებ იატაკზე დაგდებულ უზარმაზარ ჩანთას და კედლის მიღმიდან განუწყვეტელი ხარბი წკმუტუნის თანხლებით კეტავ გალიას...

თუკი შენ, ფონ ფ., ყველაფერი ზუსტად გაიგე და დაიმახსოვრე, თუკი საკუთარი ტვინის ნარჩენები არაყში არ ჩაახრჩვე და ციებისგან ბოლომდე არ გამოშტერდი, მაშინ სულ მარცხნივ უნდა იარო. ეს არ ნიშნავს, რომ რომელიღაც ლაბირინთის დერეფნებით მის იდუმალ ცენტრამდე გადაადგილდები. ეს ანტიკურ მეანდრსა ჰგავს. მაგრამ მსგავსი ინფორმაცია, ფონ ფ., არად გარგია: მაინც არ იცი, რა არის ეს.

ჩემო მეგობრებო, განა თავაზიანი, კეთილშობილი და ადამიანური საქციელია, როცა ამ მწველ მომენტში, დაღუპვას ძლივს გადარჩენილმა, დავკარგე საყვარელი ქალი, და ახლა სადღაც შეუცნობელში მივექანები, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, ტყვიის შესახვედრად მივქრი, თუა ჰუმანური საქციელი, მეგობარნო ჩემნო, ლოთობის დაყვედრება, ანტიკური რეალიების არცოდნაში ბრალის დადება? ჯერ როგორმე გამაღწევინეთ აქედან და მერე მკითხეთ ყველაფერი ამქვეყნად, ვთქვათ, როგორ გამოიყურებოდა აქილევსის ფარი ან რამდენი და რა სახელწოდების გემები გაგზავნეს ბერძნებმა ტროაში. ოღონდ ახლა მომაცილეთ ეს ბერძნები, რადგან აგერ, დერეფნის სულ ბოლოს მოჩანს სამოქალაქოდ ჩაცმული გუშაგი, რომელიც ლიფტის კარებთან ბოლთასა სცემს. მე აქ ისეთი რამე უნდა შევთხზა, რომ მან უზენაესი წესრიგის გულისთვის არათუ მთელი სავაზნე არ დამახალოს, არამედ ამ ლიფტითაც გამიშვას. რაოდენ დასანანია, რომ ახლა გვერდით არა მყავს ასტრიდი – მას ისე დამაჯერებლად შეეძლო დაეკერა ამქვეყნად ყველა გუშაგი, შვეიცარი, ოფიცერი, მორიგე, მებილეთე თუ სხვა მსგა-

ვსი უწმინდურები, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანს თავისუ-ფალ სუნთქვაში! მასთან მე მხოლოდ ამპარტავანი უცხოელი ლენჩის თამაში მიწევდა, რომელსაც გარემომცველ სოვდეპიაში მიმდინარე ამბების ინჩიბინჩი არ გაეგებოდა. ახლა ცხადია, ასე არ გამომივა, რადგან გუშაგებთან ბედი არ მწყალობს. თვით საკუთარ საერთო საცხოვრებელშიც კი ველარ შევსულვარ, თუ საშვი ოთახში დამრჩა.

მაგრამ გუშაგი იარაღზე ხელის გაკვრას არც აპირებდა. იგი მეგობრულად მოგესალმა, რასაც სრულიად მოულოდნელი რამ მოაყოლა:

– გესმის, ვლადიკ, რა კარგია, რომ მოხვედი! დადექი აქ ჩემს ნაცვლად ორი წუთი, მე კი წავალ და მივაფსამ... ოთხი ლუდი ჩავხეთქე, წარმოგიდგენია? კინაღამ ბუშტი გამისკდა..

თავდაპირველად გინდოდა გეთქვა, რომელი ვლადიკი მე მნახე, ბითურო ყ..ვ, უკრაინელი პოეტი ვარო, მაგრამ დროზე მიხვდი, რომ შენი ხსნა თამაშში იყო და შეაგულიანე:

– მიდი, გაქანდი.

თვითონ კი გაიფიქრე: ცუდადაა ჩემი საქმე, თუკი კაგებისტს ვემსგავსებიო.

როგორც კი იგი საპირფარეშოსკენ წასასვლელად შებრუნდა, გამოძახების ღილაკს დააჭირე. ლიფტი ყრუ ხმაურით დაიძრა და ეს შეცდომა იყო. მან მკვეთრად მოიხედა და, როცა გაჩო-ჩებულ კარებში შეხტი, ეტყობა, იყნოსა, რომ ვლადიკი კი არა, სულაც უკრაინელი პოეტი ხარ.

– Стоять! – გიყვირა მან და იძულებული გახდი, მოგექაჩა პირველივე ბერკეტი, რაც ლიფტში დაინახე.

კარები ულმობელი ზოზინით ისევ გაჩოჩდნენ ერთმანეთის-კენ, და სწორედ მაშინ, როცა ისინი შეერთდნენ, რამდენიმე გასროლა გაისმა. მაგრამ კარები, საბედნიეროდ, ტყვიაგაუმტა-რი აღმოჩნდა. კარგი სატანკო ჯავშანი, ჩანს, დამზადებული იყო

იმ დროს, როცა ეს ლოზუნგი მოქმედებდა: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“. და, საბედნიეროდ, ლიფტი დაიძრა. ერთხანს შენამდე აღწევდა რომელიღაც სირენის ღმუილი, მერე იყო შეძახილები, სირბილი დერეფნებში. ეს ბგერები ზემოდან მოდიოდნენ, ვიდრე სრულიად არ მიწყდნენ. ამრიგად, შენ გაემართე იქით, საითაც არ შეიძლებოდა. წახვედი ქვევით, ჩაეშვი კიდევ უფრო დაბლა, თვით ჯოჯოხეთში, ფონ ფ. და თუ ამოაღწევ იქიდან ოდესმე?

ლიფტი უსასრულოდ დიდხანს მიდიოდა, და მოასწარი მის იატაკზე სისხლის გუბე დაგენახა (აქაც ვიღაცა დაუჩეჩქვავთ!) და ასევე მოასწარი წაგეკითხა ზოგიერთი ამონაკაწრი, რომელთაგან გონებამახვილობით გამოირჩეოდა ეს: „ყველაფერი ამ ჩემს ყ..ს. ბატკო მახნო".

როგორც იქნა, ლიფტი გაჩერდა. უეჭველია, გუშაგი იმ მხარესაც უნდა ყოფილიყო. და თუ ისინი მთლად კრეტინები არ არიან, თავისთავად ცხადია, უკვე ზემოდან შეატყობინეს შენი მოსალოდნელი ჩამოსვლა. ასე რომ, ფრთხილად, კარები იღება!

კარები მართლაც გაიღო და შენს დანახვაზე კიდევ ერთი სამოქალაქო ღიმილად იქცა:

– რაო, ვლადიკ, – ალაპარაკდა იგი, – გაკოჭეს ის სირი?

– სულ ბდღვირი ადინეს, – დაუდასტურე შენ და ფეხებქეშ სისხლის გუბეზე მიუთითე.

გუშაგმა ბედნიერად გადაიხარხარა და კაბინიდან გამოგიშვა.

– შენ რომელზე იცვლები? – ჰკითხე წესის გულისთვის.

მაგრამ ჯობდა, არაფერი გეკითხა, რადგან მანაც შენიშნა, რომ არანაირი ვლადიკი შენ არა ხარ. იქნებ ეს კითხვა აბსურდული იყო ან სხვა რამემ იმოქმედა, სახის დამახსოვრების პროფესიულმა ჩვევამ, მაგალითად. ამიტომ მას ჩემი მოკვლაღა დარჩენოდა. პისტოლეტი მსგავსი ოპერაციისთვის ისედაც კარგა ხნის მომზადებული ჰქონდა. ამიტომ წინასწარი გაფრ-

თხილების გარეშე, ძალიან ახლოდან დაგინყო სროლა. და შენ დაინახე, რა ულმობლად იფარება დიდი წითელი ლაქებით შენი რუხი-ყავისფერი, ამას წინათ გარეცხილი (მშვიდობით, გალია) ლაბადა. იატაკზე დაეცი და უკანასკნელ ძალთა მოკრებით სცადე სადმე გაბობღება, თან მუცლიდან გადმოცვენილ შიგნეულს წითელ ხალიჩას აფენდი, ის კი ისევ და ისევ გესროდა, ისევ და ისევ, და წარმოუდგენელი ტკივილი იგრძენი სადღაც იქ, ჭიპს ქვემოთ, და მაშინ გაიფიქრე, რომ ეს ეპიზოდი სულ არ გამოგივიდა, ამიტომ საჭიროა მისი თავიდან დაწყება.

ჰოდა, კვლავ მიდიოდი ლიფტით, სუფთალაბადიანი, და გუშაგთან შესახვედრად ემზადებოდი. როგორც იქნა, კარები გაიღო და ნაცნობი სამოქალაქო ტიპი კაბინაში შენს დანახვაზე ღიმილად იქცა.

– რაო, ვლადიკ, – ალაპარაკდა იგი, – აიყვანეს ის სირი?

– აჰა, – ბუნდოვნად ჩაილუღლუღე და გვერდის ავლით დერეფანში ისე გახვედი, რომ არ გიკითხავს, ცვლა როდის უთავდებოდა.

– უკვე ათზე ცვლა მითავდება, – მოგახარა ზურგს უკან ბედნიერმა გუშაგმა. შენ კი უკან მოუხედავად, კოჭლობა-კოჭლობით მიდიოდი, წინ გედო მხოლოდ დერეფანი, რომლის სარკეებით მოფენილი კედლები თითქოს თან მოგყვებოდნენ. ყოველ სარკეში მიკოჭლაობდი. სულ ფინალში, დერეფნის ბოლოში რაღაც საგანგებო კარები იყო – ასეთი გრანდიოზული, მძიმე, მასიური კარები არასოდეს გენახა. კარები არამიწიერად გამოიყურებოდა. ასეთი კარების წინ გასაღებების ჟღარუნით ბოლთის ცემა თვით წმინდა პეტრეს შეეძლო. მის ნაცვლად აქ ბოლთას სცემდა კიდევ ერთი სამოქალაქო, რომელიც ასაკისა და შესახედაობის მიხედვით პოლკოვნიკზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

– ზდაროვა, დრუგ! – მიესალმე სულ ახლოდან, – უზნაიოშ მენია, ვლადიკა?

– კაკოი ტი ვ პიზ(...) ვლადიკ! – აღშფოთდა პოლკოვნიკი,– ვლადიკ უჟე ვტარუიუ ნედელიუ ვ კარაბახე მინი სტავიტ. ვსიო რავნო – პრახადი, მნე ადინ ხრენ – ს პანედელნიკა ნა პენსიუ, ი ვ გრობუ ია ვსიო ვიდალ!..[1] – შენ მადლობის თქმაც ვერ მოასწარი, მიანექი მხრებით იმ წარმოუდგენელ კარებს, მათ გაიწიეს და შენ...

აღმოჩნდი უზარმაზარ, წითელი მოედნისოდენა უთვალავი ზემძლავრი ჭაღით გაჩახჩახებულ დარბაზში. საკუთარი სივრცითა და შიგ მყოფი ადამიანების რაოდენობით იგი ფონვიზინზე მდებარე ლუდხანას თუ შეედრებოდა, რომელმაც ამ დილით ცოტათი როდი გაგაკვირვა. მკვეთრი შუქი გირტყამდა სინათლეს გადაჩვეულ და ამასთანავე მტკივნეულ თვალებში. მაგრამ შეძელი გაგერჩია, რომ მთელი დარბაზი თითქოს პროსპექტებად დაეხაზათ უშველებელ მაგიდებს; თითოეულის სიგრძე ორას მეტრზე ნაკლები არ იქნებოდა, თან ყველას გადაფარებული ჰქონდა ჩინური აბრეშუმის სუფრა, რომელსაც არ აკლდა უთვალავი სამუზეუმო ვერცხლი, ბროლი და პორცელანი, ისევე როგორც არ ჰკლებია ფაიფურიც, და ამ ვერცხლსა და ბროლზე, ამ პორცელანსა და ფაიფურზე იმდენი საჭმელ-სასმელი დაეყარათ, იფიქრებდი, იმ სიცოცხლისმოყვარე გულმავიწყი მარშლის წინაისტორიული დრო ხომ არ დაბრუნდაო. და მთელი იქ დამსწრე მრავალათასიანი საზოგადოება სვამდა, ერთობოდა, გიჟდებოდა, იღეჭებოდა, თქვლეფდა, ძმობილდებოდა, რაღაცას წარმოთქვამდა, ზოგი უკვე მღეროდა, ზოგიც არწყევდა – ასე რომ, შენი გამოჩენა, მგონი, არავის შეუნიშნავს, ან კი შეიძლება

---

[1] – სალამი, მეგობარო!.. მიცანი მე, ვლადიკი?
– რომელი პრო (...)ის ვლადიკი შენა ხარ!... ვლადიკი უკვე მეორე კვირაა ყარაბაღში ნაღმებს ალაგებს. სულ ერთია, გაიარე, ჩემთვის ერთი ყ(..)ა – ორშაბათიდან პენსიაზე გავდივარ და კუბოში ვნახე ეს ყველაფერი!..

შენიშნო დაუცველი და უსარგებლო ერთი ეული ადამიანის გამოჩენა, ვთქვათ, წითელ მოედანზე? დას ისტ უნმიოგლიხ,[2] როგორც ჩვენი მეზობელი გერმანელები იტყოდნენ.

აქა-იქ მიმოდიოდნენ რუსულ სარაფნებსა და „კოკოშნიკებში" გამოწყობილი ფერხორციანი, მკერდსავსე ქალები, რომლებიც ალბათ ოფიციანტები იყვნენ, რადგან თითოეულ მათგანს თეთრ ხელებში ათასგვარი სანოვაგით სავსე ლანგარი ეჭირა. დარბაზის შუაგულში პრიმიტიულ პოდიუმზე ჩამწკრივებულიყო ას ორმოცდაათამდე მცონარე მებალალაიკე, ხოლო უკანალამდე დაშვებულნაწნავებიანი მონღოლური შესახედაობის ჩასუქებული დიაცი მეტისმეტად გამყივანი ხმით გაიძახოდა:

Вышла, вишла девчоночка
В сад вишневай воду брать,
А за нею козаченька
Ведет лошадь напавать![3]

დარბაზის კედლები, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ამ მიწისქვეშა ფართობის ინფერნალური საზღვრები, მორთული იყო მხოლოდ და მხოლოდ ორი სახეობის – წითელი და შავ-ყვითელ-თეთრი დროშებით. თანაც ეს დროშები კეთილშობილური პედანტურობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. დროშების გარდა შენიშნე უზარმაზარი ყუმაშისფერი ქსოვილი, რომელზეც შავად, ყვითლად და თეთრად მოციმციმე ნათურებით ჟამითი ჟამად ჩნდებოდა: „КОГДА ОТЕЧЕСТВО В БЕДЕ – НЕ МОЖЕМ

---

[2] დას ისტ უნმიოგლიხ (გერმ.) – ეს შეუძლებელია.

[3] გავიდა, გავიდა ციცქნა გოგო
ალუბლის ბაღში წყლის მოსატანად,
კვალდაკვალ კი კაზაკ ბიჭს
მიპყავს ცხენი დასარნყულებლად.

МЫ СИДЕТЬ В УЗДЕ!",[1] თუმცა ტექსტი სულ სხვა სარითმო დაბოლოებას ითხოვდა.

ერთხნობას შენ იხეტიალე ამ სივრცეში, თანაც მაგიდებსა და საზოგადოებას აკვირდებოდი.

უნდა მოგახსენოთ, მეგობრებო, რომ ვეკუთვნი იმ ინტროვერტულ ტიპებს, რომლებსაც ხალხმრავალ ადგილებში ცოტა ვინმე თუ ამჩნევს. ბევრჯერ მიგრძნია ამის გამო თავი უხერხულად – განსაკუთრებით სხვადასხვა დახვეწილ თავყრილობებსა თუ ქეიფებში, დიდ და ნაკლებად ნაცნობ საზოგადოებაში. ზოგჯერ იძულებული ვყოფილვარ, სამ-ოთხჯერ მეთქვა „გამარჯობა" თუ ამის მსგავსი, რომ ბოლოს და ბოლოს, პირდაპირ ყვირილზე გადასულისთვის ვინმეს გაოცებითა და თანაგრძნობით აღსავსე მზერა მოეპყრო. მერე ვცილობდი, სადმე კუთხეში მეპოვა ადგილი და საკუთარი თავი თვითონვე გამერთო ანუ ბევრი მესვა და მომეწია. მოგვიანებით ამ უბედურებიდან თავდასაღწევად არც თუ ურიგო ხერხს მივაგენი – თან მიმყავდა ხოლმე მოხდენილი, ეშხით სავსე ქალბატონი ანუ როგორც ნებორაკი[2] იტყვის ხოლმე, „ირმისფეხება ფურია". ეს ჩინებულ შედეგს იძლეოდა: უკვე ზღურბლიდან ყველა გაიძახოდა: „ო, ნახეთ, ვინ მოვიდა! თვით ფონ ფ., გამოჩენილი ნიჭიერი პოეტი!" ყველა ჩვენ შესახვედრად გამორბოდა. მეკითხებოდნენ შემოქმედებით სიახლეებსა და სამომავლო გეგმებზე და უზენაესი ყურადღებით გარემოსილი საზოგადოების სული და გული ვხდებოდი.

მაგრამ ამჯერად მე იოტისხელა ყურადღებასაც ვერ მივიქცევდი, თუნდაც ალვისტანა და სრულიად შიშველ ლამაზმანთა მთელი გუნდი მომეყვანა. იმდენად იყო თითოეული აქ დამსწრე დაბრმავებული სასმელ-საჭმელში გაზავებული საკუთა-

---

[1] როცა მამული განსაცდელშია, არ შეგვიძლია ალვირამოდებულნი ვისხდეთ.

[2] ნებორაკი – ვიქტორ ნებორაკი, ცნობილი უკრაინელი პოეტი, „ბუბაბისტი".

რი ეიფორიით. იმდენად მნიშვნელოვანი, ცხოვრებისეულად აუცილებელი და სასიკვდილო იყო საქმე, რის გამოც აქ ყველა ლოთობდა.

ჰოდა, შენ ტრიალებდი მაგიდებს შორის, სადაც აქა-იქ ცნობდი ზოგიერთი დეპუტატის, მწერლისა და სხვა იდეოლოგიური ვიგინდარის პრესასა და ტელევიზიაში ნანახ და ამიტომ განსაკუთრებით ანტიპათიურ სიფათებს. ზოგი მათგანი კონიაკს წრუპავდა, ზოგიც კოვზით იტენიდა ხიზილალას, მაგრამ ეს ყველაფერი არ იწვევდა შენში სამართლიან აღშფოთებას და თუნდაც შურს. ყველაზე უფრო გაინტერესებდა, თუ როგორ გაგექუსლა აქედან და აგელწია ზევით, სადაც შესაძლოა ჯერ კიდევ არსებობდა ქალაქი მოსკოვი. ხომ უნდა დამთავრებულიყო როგორმე ეს შეშლილი დღე!

და როცა მოულოდნელად ერთ-ერთი მაგიდიდან, როგორც ასაფრენი ზოლიდან, შენ შესახვედრად მკვეთრად წამოიმართა შენი თანაკურსელის, რუსი პოეტის ეჟევიკინის დიდი და წითელი სიფათი, როცა ამ სიფათმა ძველი და შენგან არცთუ მოწონებული ჩვევისამებრ ლოყები ძმური ლოშნით დაგინერწყვა, უფრო გაგიხარდა, ვიდრე შეგეზიზღა. ეჟევიკინმა, რომელსაც არყისა და ღორის სუკის სუნი ასდიოდა, შემომბღავლა:

– შენც აქა ხარ, ძმობილო! მოხარული ვარ, რომ ჩვენებს შორის გხედავ! მე ვიცოდი, რომ უკრაინა ჩვენთან იქნებოდა! რაც უნდა იყოს, ჩვენ ხომ სლავები ვართ, ამის დედაც (.....)!

უცერემონიო და მხარბეჭიანმა ეჟევიკინმა იქვე მაგიდის ქვეშ მოისროლა მის გვერდით კარტოფილის პიურეში მთვლემარე ვიღაც მართლმადიდებელი ჯუჯა და ამგვარად განთავისუფლებულ ადგილზე დაჯდომა შემოგთავაზა.

– ოტო ფონ ფ., ჩემი მეგობარი, დასავლეთუკრაინელი პოეტი და კარგი ბიჭი! – წარუდგინა ჩემი თავი გარსშემოკრებილ ოტროველებს, რომელთაგან ერთ-ერთი, მგონი, მეფის არმიის

შტაბსკაპიტნის ფორმაში იყო, მეორეს თავზე ყუბანური ქუდი ეხურა, კიდევ რამდენიმე კი არაფრით გამოირჩეოდა, გარდა იმისა, რომ შავი პერანგები ეცვათ და გალეწილი მთვრალები იყვნენ. ჩემ თვალწინ აელვარდა ლიმონის არყით პირთამდე სავსე დიდი ვენური ბროლის თასი.

– კიევის რუსეთს გაუმარჯოს! – შესძახა ეჟევიკინმა და ზოგმა ტაშიც შემოკრა ისტორიულად გამართლებული ასეთი სადღეგრძელოს გაგონებაზე. შენ ფიქრში გადათვალე შენი სიგრძივი განკვეთის ყველა წინა დონე. თუ არ ცდები, ლომონის არაყი მისი მეექვსე დონე უნდა იყოს. შენ რომ საკუთარი თავის ამბავი იცოდი, გახსოვდა: თუ დონე შვიდი გახდება, უსათუოდ არწყევ და, შესაძლოა, განიწმინდო კიდეც.

– როგორ მოგწონს დღევანდელი ბრძოლა რუსეთისათვის? – გკითხა ეჟევიკინმა, თან წყალი მოსვა და ქვემოდან ოდნავ მიმწვარ ლორის უკანალს ჩანგლით სწვდა.

– სიმართლე გითხრა, დასაწყისს ვერ მოვუსწარი, – გაურკვევლად უპასუხე შენ და მაისენის პორცელანიდან პატარა, მაგრამ მკვრივი კიტრი დაითრიე, – რა ხდება აქ, საერთოდ?

– აზრზე ხარ, დღეს იყო პატრიოტული ძალების დიდი ყრილობა, – დაიწყო ეჟევიკინმა, – ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება, მე ამის დედაც ვატირე, ჩვენ კი დავიქსაქსეთ პატარ-პატარა პარტიებად, ჯგუფებად, მიმდინარეობებად.

– აი, ამას გუშინ ვუიმავდი, – გაცნობა მან და თბილი მზერა გააყოლა ერთ-ერთ მოგოგმანე სარაფნიან გოგოს, რომელიც ყველა მხარეს აშხეფებდა ნახევრად ტკბილ შამპანურს.

– და სადამდე მიხვედით? – დაინტერესდი შენ და ახალი კიტრის არჩევას შეუდექი.

– კონსოლიდაციამდე! – ძლევამოსილად ამბობდა ეჟევიკინი. – ახლა ყველას გავუიმავთ. ყველგან!

– გესმის, მანდ იმხელა ძუძუებია, რომ ორივე ხელით ვერ

შემოსწვდები! – და მან თავისი დათვის თათები მიჩვენა დასტურად იმისა, რომ მართლა ვერ შემოსწვდები.

– Нет-с, господа-с![1] – დაარტყა თეფშზე მუშტი შტაბსკაპიტანმა, – არავითარი კონსოლიდაცია! ვისთან? ამათ ჯილაგთან? არასოდეს! სულიერება, სულიერება, მართლმადიდებლობა, მონარქია, სულიერება, მონარქია, მართლმადიდებლობა, ჩინმოყვარეობა, სულიერება, თაყვანისცემა, მართლმადიდებლობა, ავხორცობა, ხელცქვიტობა... – იგი ცოტა დაიბნა. ამიტომ წამით გაჩუმდა.

– ნიკოლაი პალკინი, – ხმამაღლა წარმოთქვა საკუთარი სახელი და გვარი და მაგიდის ქვეშიდან დააძრო თავისივე ლექსთა კრებული „Расплела косу береза".

– გმადლობთ, ეს მაქვს, – დაარწმუნე შენ.

– გაქვთ? – თეთრგვარდიელის გამჭოლი მზერა გესროლა მან.

– სულიერება! – მიუგე შენ, – მართლმადიდებლობა, მონარქია, სულიერება, ხალხურობა, პარტიულობა, თვითმპყრობელობა, ძმათა მოყვარეობა, ჩაის სმა...

– ქედდარეკილობა! – იყვირა ყუბანურმა ქუდმა.

– ტაძართმშენებლობა, – დაამატა შტაბსკაპიტანმა პალკინმა. იგი ურჩი ჩანგლით ანგრევდა მრავალსართულიან სალათას, რომელიც თავისი კონტურებით მართლაც რომ მოგვაგონებდა ფსევდობიზანტიურ საკულტო ნაგებობას.

– ცხადზე ცხადია, ტაძარი უნდა აღვადგინოთ, – ღრმააზროვნად დათანხმდა ეუევიკინი, – როგორ მომრავლდნენ ყველგან ეს ურიები, ექსტრასენსები, აქეთ კიდევ ნარკომანები, ჰომიკები, ლესბიანკები, ნეკროფილები, ზოოფილები...

– გრაფომანები... – დაამატე შენ.

– როკერები, ბროკერები, დილერები, – ჩაიბუზღუნა ყუბანურმა ქუდმა.

---

[1] არრა, ბატტონებო!

– პორნოგრაფიას ყოველ ნაბიჯზე ყიდიან, – თავი ვერ შეიკავა პალკინმა.

– თქვენ რას იტყვით, მამაო? – მიმართა ეუევიკინმა ჩაფსკვნილ ხუცესს, რომელიც ცოტა მოშორებით ილეშებოდა.

– ბოზობაა ეს ყველაფერი, – უპასუხა ხუცესმა, სწორედ იმან, დღეს რომ ფონვიზინზე მდებარე ლუდხანაში ნახე.

ეუევიკინი შენკენ დაიხარა და ნერწყვის გამალებული ყლაპვით მოგიყვა ამბავს, რომელმაც შენი სმენა ვეღარ აღაგზნო:

– წარმოგიდგენია, ვწევარ მესამე თალიის მერე სრულ ტრანსში, ის კი მეუბნება: კიდევო! მეც ვიფიქრე, ვიფიქრე და შევუდე ისევ...

– მთელი ჩვენი უბედურება იმაშია, რომ დავკარგეთ სლავური ერთიანობა, დი-ი-ახ! – დაასკვნა ამასობაში ნიკოლაი პალკინმა.

– ...და როცა ვათავებდი, – მოიწევდა შენი ყურისკენ ეუევიკინი, – მეუბნება: იცი, ანი მე მხოლოდ ჩვენებს მივცემო! ის ხომ სავალუტო არამზადაა, დოლარებზე იძლეოდა, ძუკნა!

– განა იგი ოფიციანტი არაა? – ოდნავ გაიკვირვე შენ.

– რას ამბობ! დაიხსომე: ყველა ეს სარაფანიანი ქალი სავალუტო მეძავია, მაგრამ დღეს ცეკას სპეციალური დირექტივით ბანკეტისთვის არიან დაქირავებული. იძულებულები გახდნენ, „მწვანეთი“ გადაეხადათ, როგორც ნორმალური სამუშაოსთვის იხდიან ხოლმე. სამაგიეროდ, შეგვიძლია გემოზე მოვილხინოთ!

– ეს როგორ, განა ცეკა განაგებს სავალუტო მეძავებს?

– ცეკა განაგებს ყველაფერს, – დამაჯერებლად განაცხადა ეუევიკინმა, – ამიტომაც არ გამოვდივარ პარტიიდან, ძამია! თუმცა ეს ბოლშევიზმი მე, ისევე როგორც შენ, აგერ, ყელში მაქვს გაჩხერილი ძვალივით! ყელში!

– Всех расстрелять! – ყველანი დახვრიტეთ! – თავხედურად იყვირა შტაბსკაპიტანმა ნიკოლაი პალკინმა და მაგიდის ქვეშ

დაეშვა, დაახლოებით იქვე, სადაც უკვე ხვრინავდა „კოსოვო-როტკიანი“ ჯუჯა.

– ცელქობ? – გამოეხმაურა მას ყუბანელი კაზაკი და ცარიელი თასი იატაკზე ისე დაახეთქა, რომ ხელისგულებიდან სისხლმა იფეთქა.

– დაწყნარდი, შე ტრაკო, – მშვიდად გააფრთხილა იგი ეჟევიკინმა, საზოგადოების უდავო ლიდერმა.

– იცი, როგორაა გორბაჩოვის ნამდვილი გვარი? – გკითხა მან.

შენ კვლავ დაგეუფლა ძილის ან თუნდაც სადმე წამოწოლის დაუოკებელი სურვილი. თვალწინ მიცურავდნენ სიფათები, ღორის ხორცის ნაჭრები, ყუბანელის სისხლი ნელა მიიკლაკნებოდა თეფშებს შორის.

– ეჟევიკინ, ოდნავ ენის ბორძიკით მიმართე თანაკურსელს, – მომანოდე კარტოფილის პიურე!.. ან არა, არ მინდა. უმჯობესია, ყური მიგდეთ, ბიჭებო. მოხდა ისე, რომ ცხოვრებაში ბევრ ვინმეს ვიცნობდი. უთვალავ ვინმეს. ვიცნობდი ფსიქიკურად სნეულებს და ფსიქიკურად ჯანსაღებს. ვიცნობდი მენავთობეებსა და ტყისმჭრელებს, პისანკის[1] მომხატველებს, ღამის ქურდებს, სუტენიორებს, სახელგანთქმულ ქირურგებს, დემიურგებს, ვიცნობდი პირველი თაობის ბიტლომანებს, ფრანკომასონებს ლოჟიდან „უკვდავება-4“, ცალყვერა მასხარებს, როკერებს, პარტიულ მდივნებს, ვიცნობდი ჰაშიშის მომხმარებლებს და სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებს, ვიცნობდი ლინოტიპისტებს, მბეჭდავ-მემანქანეებს და მოდელებს, ყველაზე მეტად ვიცნობდი მხატვარ და შინ მომუშავე ქალებს, ასევე ხარჭებს, უფრო – მათთან დაკავშირებულ ხარჯებს. ასევე ვერ დაგიმალავთ, ვერ გავბედავ დაგიმალოთ, რომ ვიცნობდი

[1] პისანკა (უკრ.) – სააღდგომოდ მოხატული ქათმის ან დეკორატიული ხის კვერცხი.

სუფლიორებს, ფილერებს, სუფიებს. ვიცნობდი უკანასკნელ ჰიპებსა და პირველ პანკებს. ვყოფილვარ პირველ პირთა კაბინეტებში, გამიყვია არყის ერთადერთი ყლუპი ათაშანგიანებთან, ვწოლილვარ ერთ საწოლში შიდსით დაავადებულებთან. ვიცნობდი ერთ შავკანიან უკრაინელს იამაიკიდან, საერთოდ ყველაზე უფრო ვიცნობდი უკრაინელებს, თუმცა ვიცნობდი სხვა ეროვნების ხალხსაც. ბოლოს და ბოლოს ვიცნობდი ფსიქიატრს, რომელიც დისერტაციას წერდა. ბევრს ვიცნობდი. უთვალავს! ჩემი ამხანაგი – ჯაზის პიანისტი – ამჟამად გახდა დემოკრატიული მოწვევის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე. სესიის დროს პრეზიდიუმში იმალება და რთავს პლეერს, უნდა ჰაველს შეედაროს. სრული პინცეტია! მაგრამ მის გარდა სხვა ურიცხვ პიროვნებასაც ვიცნობ. მე ვყოფილვარ მწვერვალებზე და ფსკერზე, ყველაფერი შემიმეცნებია და გამომიცდია... ტოტალიტარული რეჟიმის დროს ვიყავი კორექტორი, პოსტტოტალიტარულში კი ჩემი ერექციები გახშირდა. ვერაფრით გამაკვირვებ, ვერაფრით მომისყიდი... მაგრამ ჯერ კიდევ არ მინახავს თქვენისთანა იშვიათი ჩემანალები, მეგობრებო! თქვენით, უბრალოდ, გაოცებული ვარ! ყელში მყავხართ ამოსულები! პირდაპირ ყელში! ეჟევიკინ, მეყო უკვე შენი საძმაკაცო! როგორ გავიდე აქედან, ჰა?

– სად მიხვალ? – შტერივით გკითხა ეჟევიკინმა.

– შინ. ნუ, ვგულისხმობ საერთო საცხოვრებელს.

– შინ? – ეჟევიკინი ხარხარისგან ლამის აცახცახდა, –აქაა ჩვენი „შინ", აქაა ჩვენი მიწისქვეშა გული. ახლა რუსეთი ერთიანია და განუყოფელი. და აქედან არ გავალთ, სანამ იქ, მაღლა, ჩვენი ტანკები უკანასკნელი მტრისგან უკანასკნელ მძღნერს არ გამოჭყლეტენ. და მაშინ გამოვალთ ახალი რუსეთის, ძველი რუსეთის შუქზე ნათელი ხატებითა და მონარქიული სიწმინდეებით ხელში...

– გადმორჯულებული ძაღლისშვილი! – თქვა მამაომ და გასისხლიანებული ყუბანელის ცოტა არ იყოს სემიტურ ცხვირს მიაპყრო მზერა.

– ასე რომ, აქედან ვერსად გახვალ, ძამიკო, – დაასრულა ეჟევიკინმა და კიდევ ასორმოცდაათ-ასორმოცდაათი დაასხა.

– და ეს დიდხანს გაგრძელდება?

– არც ისე, – დამამშვიდა ეჟევიკინმა, – უკვე გაცემულია შესაბამისი ბრძანებები. მხოლოდ მათი შესრულებაღა დარჩა.

ასორმოცდაათი კიდევ გადაკარი და უცებ მიხვდი, რომ მით უფრო აუცილებელია აქედან გაქცევა. მაგრამ როგორ? საით?

– აქ დამიცადე, კარგი? – შეთქმულივით ჩაგიკრა თვალი ეჟევიკინმა და ამასწინანდელი სარაფნიანი საყვარლის კვალდაკვალ დარბაზის სივრცეს შეერია. ამასობაში პოდიუმზე მდგარი დიაცი რომელიღაც საბედისწერო რომანსს ამთავრებდა. მასთან მეჩხერი ტაშის თანხლებითა და ელვარე ლანგრით ხელში რომელიღაც ოფიციალური პირი ავიდა. ლანგარზე მთელი თავისი მშვენიერებითა და სიდიადით დაედოთ შემწვარი გოჭი, რომელსაც დინგში მადისაღმძვრელი რაღაცა ჰქონდა გარჭობილი. ტიპი წინგანვდილი ლანგრით მიკროფონთან მინარნარდა. მებალალაიკეებმა ხიეს პატრიოტული ინტროდუქცია, ხოლო მონღოლური შესახედაობის მომღერალი დიაცი განზე გაცურდა და დარბაზს მდაბლად დაუკრა თავი.

– ამხანაგებო! – მოხსნა თავი გუდას ლანგრიანმა ტიპმა. მაგრამ დარბაზში აყალმაყალი და განხეთქილება დაიწყო, რადგან დამსწრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვდა, მათთვის „გასპადა"-თი მიემართათ.

– თანამემამულენო! – მაშინვე იპოვა გამოსავალი მომხსენებელმა, რომელიც, ეტყობოდა, გამაერთიანებელი მომენტების დიდოსტატი იყო, – დღეს ჩვენ ჭეშმარიტად შევიკრიბეთ ამ დარბაზში! ჩვენთვის არ ყოფილა ადვილი აქ მოსვლა, მაგრამ

მოვედით! რადგან ბოლოს და ბოლოს შევიგნეთ წმინდა ჭეშ-მარიტება, ჭეშმარიტად შევიგნეთ და შევთანხმდით: ქვეყანა გადასარჩენია! გადასარჩენია ქვეყანა!

– ქვეყანა გადასარჩენია! – მხარი აუბა მას დარბაზიდან ვიღაცამ.

– არც ერთ ბათო-ყაენს, ნაპოლეონს ან მაზეპას არ შეუბღა-ლავს ასე ჩვენი ჭეშმარიტად წმინდა მიწა, ჩვენი მიწა, ჭეშმა-რიტად წმინდა, ასე ჭეშმარიტად არ შეუბღალავს, როგორც ამჟამინდელ... – მომხსენებელმა ოფლიანი შუბლი შეიკრა, თითქოს მტკივნეულად და დაძაბულად ეძებსო შესაბამის მომაკვდინებელ სიტყვას, მაგრამ მას მაინც ვერ მიაგნო და ინტონაციურად დაამრგვალა: – როგორც ამჟამინდელს!

ისტორიული პარალელი მას შთამაგონებლად მოეჩვენა. ლაპარაკობდა სულ უფრო მხურვალედ და ცეცხლოვნად, სვამ-და უცნობ ძახილის ნიშნებს, როგორც ვლადიმირ-ციმბირის მაგისტრალის გაყოლებაზე აღმართულ ბოძებს.

– ვიყოთ ჩვენი ჭეშმარიტად წმინდანი წინაპრების ერთგული შთამომავლები! წმინდა გიორგის შთაგონებით ძგერენ ჩვენი გულები! ჩვენ მზაკვრებს კისერი უნდა მოვუგრიხოთ! დიდება მიწების შემკრებთ! რადგან რუსეთი ყველგანაა, სადაც ჩვენა ვართ! ჩვენ კი ყველგან ვართ! ჩვენ ყველანი – რუსეთი ვართ! რუსეთი – ყველაფერია! ჩვენ მათ არ დავანებებთ! ჩვენ ყველას ვუჩვენებთ ბოლოკს!

ამ სიტყვებზე მან გოჭის დინგიდან გამოიღო ეს-ესაა ხსენე-ბული ბოსტნეული და მრისხანე სიამაყით ასწია მაღლა, თანაც ამ დროს ცალ ხელში ეკვილიბრისტივით ეჭირა, როგორც ეტყო-ბოდა, საკმაოდ მძიმე ლანგარი.

ბოლოკმა მქუხარე ტაში გამოიწვია. იქიდან რაღაცა ანათებ-და – რაღაც საკრალური ძალა, წმინდა რუსეთის მებრძოლი სახელმწიფო სუბსტანცია – ივანე კალიტას, პეტრე პირველის,

ან იქნებ სულაც მარშალ ახრომეევის სული. ტაშისკვრა მხოლოდ მას შემდეგ მიწყდა, რაც მომხსენებელმა წმინდა ბოლქვი კვლავ სატარიგე გოჭის კბილებში ჩააბრუნა.

– მეგობრებო! – გააგრძელა მან ოდნავ შეცვლილი ტონით. – დიდი და დიადია ჩვენი ხელოვნება. ჭეშმარიტად სუფთა, ჭეშმარიტად წმინდა. მთელი მსოფლიო კანკალებს ჩვენი სიმღერის წინაშე. კანკალებს და ტირის, ეშინია და სძულს, იტანჯება და უყვარს. მაგრამ ამაოდ იმედოვნებს. ჭეშმარიტად, რუსეთი არ დაივიწყებს თავის სიმღერას! თავის წმიდათაწმინდა სიმღერას. ვერ ელირსებით!

მომხსენებელი ლანგრიდან გამოთავისუფლებული მუშტით დაემუქრა ვიღაც ოკეანისგალმელ ოპონენტებს, რომლებსაც რუსული სიმღერა არ უყვართ. და მაშინ მოხდენილად დაამთავრა:

– ამიტომაც ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით მივესალმო ამ ჩვენს ჭეშმარიტად საერთო შეკრებაზე დიდ მომღერალს რუსეთისას, დედას და დას ჩვენსას, ჩვენს შეუბღალავ და შეუდარებელ მართა სუკინას, სახალხო არტისტს, და ძველი კეთილი ჩვეულების მიხედვით ვაჩუქო ეს შემწვარი გედი!..

„რატომ გედი? რომელი გედი?“ – გინდოდა გეყვირა შენ, ფონ ფ., მაგრამ მაინც ვერავის გააგონებდი, ისეთი ერთსულოვანი ტაში მიაწყდა მიწისქვეშა გუმბათებს. მონღოლურ ღიმილად ქცეულმა მართა სუკინამ მას მოოქრული ლანგარი გამოართვა და მადლობა გადაუხადა. მებალალაიკეებმა ფიცხლად დასცხეს რაღაცა.

– Всех расстрелять! – დაიყეფა მაგიდის ქვემოდან შტაბსკაპიტანმა. გადმორჯულებული ყუბანელი მწარედ ქვითინებდა და ყველა სასალათეზე სისხლიან კვალს ტოვებდა. ამ დროს აღგზნებული ეჟევიკინი დაბრუნდა და მოგახარა:

– მორჩა! დავიყოლიე! ახლავე გავჟიმავ. იქ, შემოსასვლელ-

თან, მავზოლეუმქვეშ ერთი-ორი ცალკე ნიშია... ძალიან ვიწრო, მაგრამ შევეცდები ფეხები მხრებზე შემოვიწყო. შენთვისაც მოველაპარაკე, ძამიკო. დაქალს მოიყვანს, სვეტკას. ძუძუები არანაკლები აქვს, ვიდრე ჩემსას, შესაძლოა, უფრო დიდებიც ჰქონდეს... მე ძმებს არასოდეს ვივიწყებ!

მან ხელები ენერგიულად მოისრისა.

– ვსვამთ ას-ას გრამს და, ჰაიდა!

ლანგრის აეროდრომიდან აფრენილი შემწვარი გოჭი დარბაზის თავზე, ზემძლავრ ჭაღებს შორის ტრიალებდა და შლეგურ ენთუზიაზმს იწვევდა. ზოგიერთი ცდილობდა, მისთვის ბოთლი მოეხვედრებინა. ბალალაიკებით გარშემორტყმული მართა სუკინა „ვალენკებზე" კნაოდა. მფრინავი გოჭი რაღაცით მართლაც ჰგავდა გედს, თუმცა ზოგჯერ იფიქრებდი, რომ ეს ორთავიანი არწივიაო, – იმდენ ნათელს აფრქვევდა გარშემო ეს ნაღვლიანი შემწვარი არსება.

ამჯერად ეუევიკინმა რომელიღაც მუქი ნაყენი დაასხა. შენ შეძელი მისი გადახუხვა, ჩაცეცხვლა, ჩახეთქვა. სულმოუთქმელად. მაგრამ მერე გაგახსენდა, რომ ეს უკვე მეშვიდე დონე იყო.

– მთავარია, გახსოვდეს, – გაძლევდა უკანასკნელ დარიგებას ეუევიკინი, თან ლაბადის საყელოზე გექაჩებოდა და ხელებში შენივე ჩანთის სახელურებს გჩრიდა, – მთავარია, გახსოვდეს: სარაფანქვეშ მათ არაფერი აცვიათ!.. გეყურება? ასე რომ, ეგრეევე – იქით!

და მან ულმობლად მოგქაჩა, როგორც კი წარმოთქვა – იქითო!

შენს წინაშეა ქალის წყვილი ძუძუ – სრულყოფილი ფორმითა და სოციალისტური შინაარსით, საზამთროებივით ვეებერთელა. ცხოვრებაში მსგავსი რამ ზოგიერთი ჟურნალის ყდაზე თუ გინახავს. ან კინოში, რომელიც შენ არ გადაგიღია და, სამწუხაროდ,

არც სცენარი დაგიწერია მისთვის. უზარმაზარი თეთრი მთები ცხვირწინ აგიდის და ჩამოგიდის, მათი პატრონი კი თამბაქოს პირდაპირ თვალებში გაბოლებს. გესმის, ამასობაში უნდა გეღონა რამე ამ სიმდიდრის მოსავლელად, მით უფრო, რომ მეზობელ ნიშში მოიერიშე ეჟევიკინმა თავის სანუკვარს უკვე საკმაოდ არაორაზროვანი ოხვრა-კვნესა დააწყებინა. შენ კი რატომღაც გული არ მიგიდის. სინდისმა ხომ არ გამოიღვიძა? თუ ალკოჰოლმა და ციებამ თავისი გაიტანეს და ყველაფერი, რაც ძალგიძს, ისაა, რომ გახევებული მკვდარი ენით ლოშნო მკვრივი ძუძუების მომწარო ზედაპირი? ან იქნებ შენი მოქალაქეობრივი მოვალეობა არ გაძლევს გარყვნილების აქტში თავდავიწყების ნებას, და დაჟინებით მოითხოვს, დატოვო ეს დალოცვილი სხეული და გაიქცე სადღაც, გააღვიძო ვიღაც და გიჟური ფალცეტით იყვირო ნახევარი სამყაროს გასაგონად: „დემოკრატია საფრთხეშია?"

მაგრამ ყველაფერი თურმე გაცილებით საზიზღრადაა. შენ, უბრალოდ, გული გერევა, ფონ ფ., და ნებისმიერ წამს შეგიძლია სასტუმროს ამ კურტიზანს ფარშავანგის ხატულა კუდით დამშვენებული მოთახთახე ფასადი ჭრელი ჭავლებით მიმოუქარგო. მართალია, ფერთა გამები საკმაოდ ადვილად მისახვედრია, რადგან შენ საამისო ყველა წინაპირობა გაგაჩნია.

– გადახურებული ხომ არა ხარ? – თანაგრძნობით გეჩურჩულება სვეტკა.

– მე თქვენ ყველანი ძალიან მიყვარხართ, – პასუხობ შენ.

– გინდა სხეული დაგიზილო?

– არა, საყვარელო. ახლა ყველაფერი იქნება... – ძლივს აკავებ მძლავრ შინაგან სპაზმს.

– მე შემიძლია წაგეკუზო, – გთავაზობს იგი.

– ოლონ ეგ არა, – ევედრები, რადგან მართლა მიჩვეული ხარ ძუძუებს.

– თუ არ შეგიძლია, ასეც თქვი! – ნერვიულობას იწყებს იგი.

– ბუა, – ეუბნები შენ.

– რაო? – ვერ გებულობს იგი.

– ვვე, – ამთავრებ საკუთარ აზრს.

– მე ახლა შეგიყვან, – გპირდება იგი, აგდებს ბოლომდე მოწეულ სიგარეტს და შენკენ ბაგეებით იხრება.

– უე, – ცდილობ, გააფრთხილო. მაგრამ იგი უკვე ჩაფრენია შენს ტუჩებს და ენით უთქმელ რაღაცას გიშვრება, თითქოს უნდა სული ამოგაცალოს, და მასთან ერთად სხვა ყველაფერიც, და შენ ბოლოს და ბოლოს ძალით იშორებ მის თავს, იტაცებ იატაკიდან უცებ დამძიმებულ ჩანთას და გარბიხარ ელდანაკრავივით, ისე რომ მუხლის ტკივილი აღარც გახსოვს.

და ისევ გაჩახჩახებული დარბაზი, სახეებისა და სხეულების, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა – ღრანჭებისა და ღიპების კალეიდოსკოპი, ვიღაცას ეჯახები, იგი ეცემა, მაგრამ შენ ვერაფერი შეგაჩერებს, მიიწევ რომელიღაც კარისკენ – გასცდი ერთს, მეორეს, მესამეს და როგორც იქნა, ხედავ მხსნელ სიტყვას „УБОРНАЯ" და ვარდები შიგნით, როგორც მთვრალი ანარქისტი, რომელიც იერიშით იღებს ზამთრის სასახლეს.

ეს საპირფარეშო კი არა, თურმე არტისტული საგრიმიოროს მსგავსი რაღაცაა, სავსე ათასგვარი ხარახურითა და რეკვიზიტით. მაგრამ თვალუწვდენელი, მთელი კედლისხელა სარკის წინ მაინც მოჩანს თეთრი ნიჟარა და შენ ბოლოს და ბოლოს ანთხევ მთელ ამ დღეს, მის ყველა ქიმიურ ელემენტს ორგანულ ნივთიერებებთან ერთად, მთელ ამ მოსკოვს. აფრქვევ შადრევანს თავდავიწყებით, დაუოკებლად, სიხარულით და მთელი შენი კრუნჩხვიან-ექსტატიკური მოძრაობებით გამაოგნებელი იმპროვიზაციის მწვერვალზე მყოფ თვალისმომჭრელ ჯაზის მესაქსაფონეს ჰგავხარ...

მერე ორივე ონკანს უშვებ და დიდხანს იბან პირს. ისეთი

სიმსუბუქე და სიმშვიდე გეუფლება, როგორიც დიდი ხანია არ გიგრძნია. ხანდახან სარკეში იყურები და ამჩნევ, რომ მოღრეცილი სახე გისწორდება, ოფლის წვეთები მასზე ძლევამოსილად ყვავიან, კანი კი ჩვეულ ფერს იბრუნებს. და მაინც არასასიამოვნო ღრანჭია. მთელი ეროვნული თვითშეგნება ულვაშებში წასულა. ან ეს ჩაწითლებული თვალები! ან ცხვირი, რომელიც შენ ჩვეულებისამებრ არა გაქვს, ასევე აცხადებს პრეტენზიას რაღაცაზე, წამობზეკილა და ერთთავად თავმოწონებას ასხივებს. წაჰკრავ მას წკიპურტს, რათა არ გაყოყოჩდეს და ამ დროს ზურგს უკან მოხუცის ხმა გესმის:

– რაო, ჩემო გვრიტო, აღარ ჩაგეტია?

პატარა წყნარი მოხუცი კუთხეში მიმჯდარა და კეთილმოსურნედ გაკვირდება. თითქოს ნაცარა მტრედია. ეტყობა, სულ აქ იყო, სანამ არწყევდი.

– მინერალური წყალი დალიე, ჯიგარო, ძალიან შველის, – ამბობს იგი.

– მგონი, ისეც გამიარა, – ოხრავ ღრმად.

– ან ერთი კოვზი თაფლი მიირთვი, – მალამოდ მოგეცხება...

– არა უშავს, ძიაკაცო, მე გამძლე ვარ, – ცდილობ, ოდნავ დაეჯღანო კიდეც.

– ალბათ არაყი და წითელი ღვინო აურიე, ხომ, საყვარელო?

– და არა მარტო ისინი, მამილო! ცისარტყელას ყველა ფერი ჩავცეცხლე! – უხსნი.

– არ ვარგა ასე, თავს უნდა გაუფრთხილდე.

– რა თავს უნდა გავუფრთხილდე! ერთხელ ვცხოვრობთ, ერთხელ ვწვალობთ...

– წვალობ, საბრალოვ?

– როგორც ყველა, მოხუცო.

– ილოცე და უკეთ გახდები.

– ვისზე ვილოცო? რომელ ღმერთს შევთხოვო შველა, მამი-

ლო? რამდენი მათგანი გადმოგვყურებს ზემოდან და ყველა ამტკიცებს, რომ იგი ერთადერთია, ყველას უნდა, მასზე ლოცულობდე. რაღაც ნამეტანი მრავალხელისუფლებიანობაა ზეცაში. ვერ გაუყვიათ სფეროები. ბოლოს ყველაფერი ჩვენ გვემხობა თავზე. ბატონები ჩხუბობენ, კოპები კი ყმებს აზით შუბლზე. ასეთ მოხუცებს ანდაზებით უნდა ელაპარაკო. ისინი მათთვის დამაჯერებლად ჟღერენ.

– ბევრი ბოლმა დაგგროვებია, საყვარელო!

– მსურდა, ყველასთან შეხმატკბილებით მეცხოვრა. აღმოჩნდა რომ, დიდი ხანია, ყველა ერთმანეთსაა გადაკიდებული. ჯერ კიდევ ჩემს გაჩენამდე გადაუწყვეტიათ მსოფლიოს ბედი: ჩხუბი და ომები! აქ რას საქმიანობთ?

– მე პატარა კაცი ვარ, – ამომწურავად გიხსნის მოხუცი.

– ო-ო, ეს თქვენზეა დაწერილი მსოფლიო კლასიკის საუკეთესო ნაწარმოებები?

– ჩემზეა, გეთაყვა, ჩემზე.

– და არ გიმძიმთ ასე უსახელო ცხოვრება? თქვენზე ყველამ ყველაფერი იცის...

– ღმერთზე ვლოცულობ და ის მეხმარება.

– რომელ მათგანზე ლოცულობთ – რუსულზე, წვერებიანზე ან იქნებ ინდურზე, ექვსხელებიანზე?

– იმაზე, ვის მხარეზეც სიმართლეა. სიმართლეს ყველა შინაგანად გრძნობს.

– სამწუხაროდ, ძია, სიმართლე – ეს მეტად სპეკულაციური რამაა. ყველას თავისი აქვს. სიმართლე ხელნასავითაა. საითაც გინდა, იქით შეაბრუნებ. გაზეთიც კია ასეთი, „პრავდა“ ჰქვია, იქნებ წაგიკითხავთ!

– ბევრი, ბევრი ბოლმაა შენში, საყვარელო.

– ეს იმიტომ, ძიაკაცო, რომ ჩემს ხანმოკლე სიცოცხლეში ვილაცისთვის ზურგიც შემიქცევია, მიღალატია, გადამიყვარე-

ბია, მილოთია, მიცრუია, მიგინებია, ვცდუნებულვარ, მიკოპნიავია... ესაა, არავინ მომიკლავს მხოლოდ.

– ტაძარში უნდა იარო და უფალს ევედრო! ის ყველაფერს პატიობს.

– ეს რა ღმერთია ისეთი, მოხუცო, რომ პატიებისთვის ტაძარში სიარულს გაიძულებს? ეს ჟანდარმია, ღმერთი კი არა! არ შემიძლია ჟანდარმი ვირწმუნო.

– ყველაფერს თქვენ, ნასწავლი ხალხი, იგონებთ, – მწარედ გააქნია თავი მოხუცმა, – ოღონდ როგორმე დაიძვრინოთ თავი! სინამდვილეში კი ეს სულიერი სიზარმაცე და კვდომაა. არ უნდა სულს ხსნა! დამძიმებულია თქვენი სულები ღორმუცელობით, ლოთობითა და ამქვეყნიური საზრუნავებით...

– იქნებ მართალს ამბობ, მოხუცო, – თქვი ხანმოკლე ნაღვლიანი დუმილის შემდეგ, – შესაძლოა, ხვალიდან ლოცვა და ეკლესიაში სიარული დავიწყო. ოღონდ აქედან გავაღწევდე როგორმე. მაღლა. რადგან აქ ჯოჯოხეთია, მამილო! განა არ გრძნობ ამას? და შენ რას აკეთებ ამ ჯოჯოხეთში, ასეთი კეთილი და ბრძენი?

– ვახტიორები ვართ, ჩვენ, – გაცნობა მოხუცმა.

– მაშინ გეცოდინება, როგორ გაძვრეს აქედან კაცი. მითხარი, რა!

– მე, საბრალომ, აბა, რა ვიცი? – მე პატარა კაცი ვარ. ვიცი მხოლო ის, რომ, – მან ხელი დარბაზისკენ გაიშვირა, – იქ ლოთობა და ღორმუცლობაა, იქ კი, – ახლა უკვე სარკის ხელმარცხნივ, სხვა კარზე მიმითითა, – მიცვალებულები თათბირობენ...

– მიცვალებულების თათბირი რა ოხრობაა?

– მიცვალებულების – მეთქი. მეტად მნიშვნელოვანი მიცვალებულებისა. სინპოზიუმი აქვთ, მგონი.

– მიცვალებულების სიმპოზიუმი? კარგი რამეა!

– შესვლა მხოლოდ და მხოლოდ საშვებითაა. გინდა, შეხვიდე და მოუსმინო?

– უკვე არსადაც არ მინდა, მოხუცო! თვით მიცვალებულებთანაც არ მინდა! მეყოფა, რაც დღეს გადამხდა. როგორმე სამშვიდობოს უნდა გავაღწიო. იქ წვიმაა, მანქანებია, გოგონებია. ფარნები და ქოლგები. გესმის, მოხუცო, პოეტები ზოგჯერ მართლა უნდა ჩავიდნენ მიწისქვეშ – შემოქმედებითი მიზნით, ვთქვათ. ზოგი თავის სატრფოს ეძებს. ორფეოსი, მაგალითად. ან დანტე. მაგრამ მხოლოდ დროებით. რათა მერე მაღლა აიჭრას და დახვეწილი ტერცინებით ჩაახუჭუჭოს რაღაც ფანტასტიკურად გულგანმგმირავი. მეყო აქ ყოფნა. დროა საკუთარ ტერცინებს ჩავუჯდე.

– შენი საქმისა შენ იცი, – მხრები აიჩეჩა მოხუცმა.

ცოტა ხანს დუმდით.

და აქ კვლავ შემოვბრუნდი სარკისკენ, მეგობრებო, და დავინახე, სარკეში არეკლილი ჩემი ორეული როგორ იკრიჭება და თვალს მიპაჭუნებს. მოვისვი სახეზე ხელი, მაგრამ არავითარი ამის მსგავსი, არც დაკრეჭა, არც თვალის ჩაპაჭუნება. ის კი სარკეში განაგრძობს ლაზღანდარობას, აქაოდა, ვერსად გაიქცევი, დღის სცენარი ჯერ არ დამთავრებულაო. ფინალური გასროლა ჯერ არ მომხდარაო. ვერ დავუძვრები მე მას ვერაფრით. ასე რომ, ეს დღე ბოლომდე უნდა გავლიო. ამოვწურო იგი. პატიოსნად და მტკიცედ.

სიჩუმეში ისმოდა, როგორ მოწვეთავდა წყალი ონკანიდან, რომლისთვისაც, ჩანს, ბოლომდე არ მომიჭერია.

– ეშმაკსაც წაულია ყველა! მოვუსმენ მკვდრებს! როგორ გამოიყურება ნეტავ ეს ყველაფერი, მამილო?

– ყველაზე უმთავრესები ბჭობენ სამერმისო ცხოვრებაზე.

– ვისი, მკვდრების ცხოვრებაზე?

– არა, ჩვენი, ცოცხლების სამერმისო ცხოვრებაზე. ეს ისედაც ნათელია, როგორ ვიცხოვროთ – უფლის და ადამიანისებურად...

– ბევრნი არიან მანდ?

– ვინ?

– აი, ისინი, უმთავრესები, რომლებიც ყველაფერს წყვეტენ?

– შვიდიოდე იქნებიან. სულ-სულ უმთავრესებზე გეუბნები! ისე ბლომად არიან... წვრილფეხობას ვგულისხმობ.

– როგორ შევიდე იქ?

– საშვია საჭირო!

– ვისგან, მოხუცო? ალბათ სატანისგან, არა?

– შენც იტყვი რაღაცას! გენერლისგანაა საჭირო საშვი. და ნიღაბი. იმიტომ რომ ყველაფერი საიდუმლოა და მკაცრად დაცული. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ერთმანეთი იცნონ! მე ასე ვფიქრობ.

– შენ არა გაქვს საშვი? არ გაქვს და არცაა საჭირო! ნიღაბი კი აუცილებლად გაიკეთე.

– საიდან მოვიტანო იგი, მოხუცო?

მან თავისი კუთხიდან გამოიწია და ნელა გაემართა რეკვიზიტებიანი კარადისკენ. ერთ-ერთი მათგანი გამოაღო.

– ვიბირაი, კაკაია ბოლშე ნრავიტსა![1]

უამრავი საკარნავალო, საბავშვო, საპერსონაჟო, სარიტუალო ნიღბის წინაშე, რომლებითაც სავსე იყო კარადა, შენ ჯერ დაიბენი. ეშმაკმა იცის, რომელი გავიკეთო? ეს გრძელცხვირა ვენეციური საშინელება? ან იქნებ საახალწლო ყურცქვიტა კურდღელი? ან ვირთაგვა, რათა უკვე თანმიმდევრული ვიყო და საკუთარი არსი არ ვიუარო? თუ ციმბირელი შამანის ნიღაბი, რათა დროულად გავითქვიფო ექსტაზის ტალღებში? იქნებ სერგეი ესენინის სიკვდილის მერმინდელი ნიღაბი? ან იქნებ ჰიტლერის, ბრეჟნევის, ინგლისის დედოფლის, რომის პაპის, აიათოლა ჰომეინის კარიკატურიდან რომელიმე?

არა, ურიცხვ და უთვალავ ნიღაბს შორის შენ აარჩიე წითური

---

[1] ვიბირაი, კაკაია ბოლშე ნრავიცცა! – აირჩიე, რომელიც უფრო მოგწონს!

კლოუნის ცირკივით ძველი, კოსმოპოლიტური და როგორღაც უსახური ნიღაბი. ტრადიციული მყვირალა ჯამბაზისა, რომელიც დადის მხრებზე დიაგონალურზორტებიანი და მეტისმეტად ფართო ჭრელი შარვლით და ხმამაღლა ტირის, როცა ზურგზე ჯოხს ურტყამენ და თვალებიდან ორ მეტრზე ასხამს საოცრად სასაცილო და მუდამ აქტუალური ცრემლის ნაკადებს.

მომდევნო დერეფანში, საკონფერენციო დარბაზის შესასვლელთან (დიახ, დიახ, საკონფერენციო დარბაზის!) ტელეფონს წაანყდი. ეს იყო შესანიშნავი შესაძლებლობა, დალაპარაკებოდი კირილს და სავარაუდო დაგვიანების შესახებ გეცნობებინა. საერთოდაც გაგეფრთხილებინა ყველა ამ მიწისქვეშა საფრთხის თაობაზე. დაე, იღონონ რამე იქ, მაღლა! სხვა თუ არაფერი, გაერთიანდნენ მაინც და გამოვიდნენ მოედანზე დროშებით!.. მაგრამ როგორც კი ყურმილი აიღე, მიხვდი, რომ ტელეფონი მხოლოდ შინაგანი მომსახურებისაა. ამასობაში ყურმილიდან ვილაცის მეტად დისციპლინებული ხმა მოგესმა:

– მორიგე!

– როგორაა საქმე, მორიგევ? – რაც ძალი და ღონე გქონდა თავდაჯერებით შეუტიე მის ყურთასმენას.

– ყველაფერი წესრიგშია, ამხანაგო?.. ვის ველაპარაკები?..

– ყველაფერი წესრიგშიაო, ამბობ? – შენ პაუზა გაწელე, თანაც სწორედ იმდენი ხნით, რომ მორიგეს თავი პაწაწკინტელად ეგრძნო. და მაშინ უნებურად გაგახსენდა შორეულ ბავშვობაში ტელეფონობანას თამაში და მძვინვარედ დაიღრიალე:

– რაო, გააჯვა დაკავებულმა, მახინჯებო?! გგონიათ, მე არაფერი ვიცი? რატომ არ მიპატაკებთ გაქცევის შესახებ? და, საერთოდ, ვინ მიგიღოთ სამსახურში ასეთი ქლიავები! წარმოგიდგენიათ, ერთმა ქეციანმა მჯღაბნელმა როგორ დაგიბრიყვათ ყველანი!.. თქვე დანძრეულო პროფესიონალებო!

– ჩვენ ვეძებთ, ამხანაგო... – სიტუაციის ხსნას ლამობდა საბრალო მორიგე.

– ეძებეთ საკუთარი თავები, უნიჭო ჩმორებო! ის კი უკვე სადმე მოსკოვში დასეირნობს. დაუყოვნებლივ მოძებნეთ და მომგვარეთ! მე პირადად! თუ გესმით მაინც, რამხელა ფსონია დადებული? ეს მაინც თუ გესმით, ბრიყვებო?!

– მესმის, ამხანაგო...

– არაფერი თქვენ არ გესმით, რაკი იგი აქამდე დაკავებული არაა! გაითვალისწინეთ: თუ მას არ მომგვრით ან ცოცხალს ან მკვდარს, ან მკვდარს, ცოცხალს და ჯერარშობილს,[1] ორშაბათიდან მთელი ჯგუფი – ნახ კარაბახ! კლდეებს მუცლებით გახეხავთ! და იქნებ ტყვიებისა და ჭურვების ზუზუნში ცოტა ჭკუაზე მოხვიდეთ! გასაგებია?

– გასაგებია, ამხანაგო... ვის ველაპარაკები?..

– უფალ ღმერთს, სირო! უნდა მცნობდე, გასაგებია? რა შეკითხვა გაქვს კიდევ?

– ვირთაგვები.

– რა სჭირთ იმ ვირთაგვებს?

– ჭამენ ერთმანეთს. სპობენ სამთავრობო კავშირის კაბელებს. ყოველ წუთს უფრო და უფრო მძვინვარდებიან. გვეშინია, არ გადავამლაშოთ. რას გვიბრძანებთ?

– გიბრძანებთ, გამოუშვათ!

– ყველა ნაკვეთურიდან?

– უკლებლივ ყველადან! გაივარჯიშონ ცოტა, გაირბინ-გამოირბინონ...

– ჰი-ჰი-ჰი, – მოისმა მორიგის მხრიდან.

– მორჩით ქირქილს! ჯგუფის უფროსს გადაეცით, რომ სა-

---

[1] ცოცხალს ან მკვდარს, ან მკვდარს, ცოცხალს და ჯერარშობილს – ალუზია ტარას შევჩენკოს ცნობილი პოემის სათაურისა: „მკვდარ, ცოცხალ და ჯერარშობილ თანამემამულეებს ჩემსას უკრაინასა და უკრაინს ბილმა ჩემი მეგობრული უსტარი“.

კუთარი ხელით შევაგდებ გალიაში ვირთაგვებთან, თუ იმ მოშაირეს ერთ საათში არ მომგვრით! გასაგებია?

– აუცილებლად გადავცემ! – სიხარულით დაგიდასტურათ მზადყოფნა მორიგემ.

– ყოველ ნახევარ საათში მომაწოდეთ ინფორმაცია ოპერაციის მსვლელობაზე! გასაგებია?

– გასაგებია, ამხანაგო... რომელი ოპერაციის?

– მითითებულის! დაკავების ოპერაციისა, ბოთევ!

შენ მრისხანედ დააგდე ყურმილი. თვითონაც გაგიკვირდა: საიდან ამდენი თავხედობა? დახედე საკუთარ გამოსახულებას, დახედე სატელეფონო აპარატის გლუვ, შავ ზედაპირზე. პირწავარდნილი მასხარა ხარ – მელიის კუდივით წითური, უსწორმასწოროდ შემელოტებული თმა, წითელი, კარტოფილის მსგავსი ცხვირი, – ასეთი გარეგნობა სავსებით საკმარისია, რომ წახვიდე ჩვენი მომავლისადმი მიძღვნილ მიცვალებულთა სიმპოზიუმზე, რომელიც, სხვათა შორის, აგერ, იმ კარებს მიღმა მიმდინარეობს.

გადაწყვიტე, კარი ფეხით შეგეღო – ასე, რა თქმა უნდა, უფრო შთამბეჭდავია. ოღონდ საკონფერენციო დარბაზში ამ გამოხდომისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. შეხვედი მასხარასავით, რომელიც თავისი გრძელი ლაბადიანად არავის სჭირდებოდა. მიღმეთის მთელი ნიღბიანი საზოგადოება გასუსული უგდებდა ყურს მოხსენებას სისხლითა და ფეკალიებით მოსვრილი ტრიბუნიდან, რომელსაც ქვემოდან სანთლებით ანათებდნენ. მოხსენებას წარმოთქვამდა მეტად მოქნილი ინკოგნიტო, ძველი კრიმინალური ჩვევის თანახმად, თავზე მხოლოდ პირთან გაჭრილი შავი კაპრონის წინდა რომ ჩამოეცვა.

საერთოდაც დარბაზი ნახევრად ჩაბნელებული იყო. სკამები ამფითეატრად განელაგებინათ და გეგონებოდა, ისინი განათებული ტრიბუნისა და პრეზიდიუმის გარშემო ტრიალებენო.

დარბაზის კედლებიც ტრიალებდნენ, ოლონდ საპირისპირო მხარეს, რათა დამსწრეებს თავბრუ არ დასხმოდათ. და იმ მოძრავ კედლებზე ჟამითი ჟამად ჩნდებოდნენ მრავალგვარი იშვიათი ობიექტების გამოსახულებები, ჩინურ თეატრში რომ იციან ხოლმე. თვალწინ კრთებოდნენ დანგრეული შენობები, სახრჩობელები, ტანკები, მიწას სწყდებოდნენ ხელოვნური თანამგზავრები; კომბაინთა ურდოები პრეისტორიულ გიგანტთა ჯოგებს მოგვაგონებდა. იდგა რაღაც ნახევრად გახრწნილის სუნი, მაგრამ კონიაკის სუნიც იდგა.

ამასობაში მომხსენებლის პირი, რომელიც ოდენ ღრმული იყო შავ წინდაში, დარბაზის მოძრავ სივრცეს მწვავე, ფხიანი ფრაზების ლურსმანს აჭედებდა. და ეს პირი დაახლოებით ასეთ რამეს ამბობდა:

– უნდა ვაღიაროთ, რომ კატასტროფის ზღურბლზე ვდგავართ. ვიმეორებ: ზღურბლზე. გვაქვს თუ არა მისი თავიდან აცილების შანსი? რამდენი ძალისხმევა, ცეცხლი, სისხლი და ლითონია საამისოდ საჭირო? აი, იმ კითხვების ჩამონათვალი, რომლებიც ჩვენ გვმდუღრავს. წავიდა ის ჩამყაყებული დრო, როცა შეგვეძლო საკუთარი თავისთვის უკანდახევის, დათმობის, ამნისტიის ნება მიგვეცა. ამჟამად ალტერნატივა არა გვაქვს. უფრო სწორად, ჯერ კიდევ გვაქვს, მაგრამ ეს უკვე უკანასკნელია შესაძლო ალტერნატივათაგან და იგი ასე ულერს: ყოფნა-არყოფნა! გვექნება თუ არა დიდი სახელმწიფო. გვექნება დიდი სახელმწიფო თუ დიდი ქაოსი. იერარქია თუ ანარქია. ჩვენს მწყობრ იდეებს მტრებმა სტვენა და ხორხოცი დაუპირისპირეს. ფაქტობრივად ყველაფერი ინგრევა. ნაკერებზე ირღვევა სიწმინდეები და ტანკები. არმიას უკვე არ ძალუძს წინაპართა ანდერძის შესრულება: იგი სიმულანტობს. მას უკვე მოკვლა ეზიზღება. ეს უკვე არმია კი არა, პედარასტებისა და პაციფისტების ხროვაა, რაც ერთი და იგივეა. უნდა ვაღიაროთ: დღეს ჩვენ

არმია არა გვყავს. არა გვყავს! ოლონდ, თუ გამომდინარეობს აქედან უდიდესი კატასტროფის გარდუვალობა? არა!

შენ გასასვლელთან ერთ-ერთ თავისუფალ სავარძელზე ჩამოჯექი და მთელ ამფითეატრთან ერთად ტრიალი დაიწყე. რა კარგია, რომ უკვე მოასწარი ყველაფრის ამორწყევა! ახლა შეგეძლო გულისყური ყოველივე დანარჩენისთვის მიგეპყრო. დარბაზის გარშემო ავბედითი ლანდები დაბობღავდნენ. ეს იყო მოჭრილი თავები, ენები, პომპეზურ ნაგებობათა ქიმები, დამიზნებული რაკეტები. უფრო კი ჭარბობდნენ სხვადასხვა სახის ხორთუმებიანი, დრუნჩებიანი, ხახებიანი, კუდებიანი და ჩლიქებიანი მხეცები. ზოგჯერ ეს მოგვაგონებდა საბავშვო ბაღში ან გონებრივად ჩამორჩენილთა სკოლაში საზეიმო დილას, სადაც სამოსს იცვლიან ხოლმე.

თავყრილობის პრეზიდიუმი ტრიბუნის მარჯვნივ იჯდა. ისინი შვიდნი იყვნენ. და ყველა მათგანი იცანი.

პირველად თვალში მოგხვდა ივანე მრისხანის ნიღბიანი მაღალი და გამხდარი ნაძირალა. იგი წამდაუწუმ აცანცარებდა თავის თათრულ წვერს, ჭუჭყიან ბუწუწებს და შავი წინდის მორიგ ლურსმანს აყურადებდა. იგი ზოგადად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ თითქოს ეს-ესაა მოკლა საკუთარი შვილი.

შემდგომი იყო ის, ვინც საკუთარ ცხოვრებას ამხანაგ ძერჟინსკის ყაიდაზე ქმნიდა. მისი წვერი „ივანე მრისხანის" წვერზე არანაკლებ მიაგავდა ვაცის წვერს. პარადოქსულია, მაგრამ ძეგლისეული ფელიქს-დონ-კიხოტისგან ეს პრეზიდიუმში მჯდომი განსხვავდებოდა იმით, რომ იყო უხეში და ტანდაბალი – ერთგვარი კაბარეს სოლისტი, ცხოვრებისგან საკმაოდ ნათრევი.

„ძერჟინსკის" გვერდით მხოლოდ ლენინი შეიძლებოდა მჯდარიყო. ასეც გახლდათ. მაგრამ გარკვეული სასაცილო სიტუაცია აქაც შეინიშნებოდა. საქმე ისაა, რომ „ილიჩს" ეხურა არა ჩვეული ქრესტომათიული კარტუზი, რომელიც ასე აახლოებდა

მას მუშათა და გლეხთა მასებთან, არამედ რუსეთის იმპერიის გვირგვინი მთელი თავისი ბიზანტიური გაბღენძილობით, რაც მართალია, პაპიე-მაშესაგან იყო დამზადებული, მაგრამ სხვა მხრივ არაფრით ჩამოუვარდებოდა ნამდვილს.

შემდეგი იყო „მინინი და პოჟარსკი“. XVII საუკუნის სტილიზებულ სამოსში გამოწყობილი ორთავიანი ტიპი, რომელიც ნაწილობრივ სავარძელში იჯდა, ნაწილობრივ კი განზე იდგა და გვერდით მჯდომისთვის მხარზე ხელი მოეხვია. ვერ გაიგებდი, რა უფრო მეტი იყო ამ ადამიანში – ვოევოდა თუ ვაჭარი, კეთილშობილური თუ მეშჩანური.

გენერალისიმუსი სუვოროვი ანუ სუვოროვად შენილბული ტიპი, სამაგიეროდ, ისევე, როგორც ცხოვრებაში, დაუდეგარი და მოუთმენელი იყო. გეგონებოდა, იგი ნაპერწკლებამდე გავარვარებულ ქურაზე ან შავწინდიანი ორატორის მიერ ჩასობილ ლურსმნებზე ზისო. წამდაუწუმ ისრესდა ხელებს, რომლებიც აშკარად ხისა იყო, თანაც დაუდევრად გაჩორკნილი, და მომხსენებელს გამოსვლას უადგილო კითხვებით აწყვეტინებდა. მთელი პრეზიდიუმის უდავო მარგალიტი გახლდათ იმპერატრიცა ეკატერინე მეორის სახით მოვლენილი ჩასუქებული ქალბატონი. სამოსი, რომელშიც გამოკვართული იყო მისი სისხლხორცით სავსე სხეული, წარმოადგენდა როკოკოს დროინდელი სამეჯლისო კაბისა და მოდერნის დროინდელი ღამის პერანგის ბანალურ ჰიბრიდს. ეს იმპროვიზებული „ეკატერინე მეორე“ ყველაფრით კარგი იქნებოდა, ერთი ზადი რომ არა: მას წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი, განსაკუთრებით ფეხებზე, ეტყობა, გასივებისკენ ჰქონდათ მიდრეკილება, რაც ალბათ სასახლეში მგზნებარედ გატარებული ახალგაზრდობის შედეგი იყო.

ამ დიად პიროვნებათა ჯაჭვში უკანასკნელი გახლდათ ერთი შუშისთვალიანი ვინმე. ბოლოს და ბოლოს ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი ანატოლი ივანოვიჩი, რომელსაც თავისი-

ვე ნიღაბი აეფარებინა, რათა არავის ეფიქრა, მართლაც ისააო. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნებოდა, რომ აქ ყველაფერს ის ხელმძღვანელობდა. ალბათ ის იყო ჩრდილოვანი თავმჯდომარე ამ აჩრდილების სამეფოში.

ქვემოდან განათებული პრეზიდიუმის წევრები რომელიღაც გაიძვერას მაგიური დასტიდან გამოძრობილ უზარმაზარ ბანქოს ქაღალდებს მოგაგონებდათ. ოღონდ აქ თამაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ მიდიოდა. ყოველ შემთხვევაში, შენ ასე გეჩვენებოდა.

ამასობაში შავწინდიანი თავისას აკეთებდა. უფრო სწორად, აკეთებდა მისი პირი.

– უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტიკულ წუთებში ჩვენ ყოველთვის გვშველოდა ქირურგია. სახელმწიფო საქმის დიდოსტატები უკან არ იხევდნენ ყველაზე დასისხლიანებულ ხორცმეტთა ამოჭრის წინაშე. როცა საქმე მომავალს ეხებოდა, განკვეთა აუცილებელი იყო ნებისმიერ ფასად. ჩვენი ისტორია ულმობელი ქირურგიის ისტორიაა. ხომ გინახავთ, როგორ იკლაკნებოდნენ შემსრულებელთა ხიშტებქვეშ იპატიევის სახლის სარდაფში ჩაგდებული ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახი? ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ნუშისებრი ჯირკვლის ამოჭრა. სახელმწიფოს სიცოცხლე უნდა გაგრძელებულიყო. ჰემოფილიით სნეული მეფე მას უკვე ნაბიჯებს ვერ უწყობდა. ახლაც მსგავსი რაღაცა გვჭირს. შიგნიდან უნდა განვკვეთოთ ეს ავადმყოფი სხეული! ყველანი თავ-თავიანთ სახლებში დავითხოვოთ, ჩამოვუშვათ ფარდა. ჩვენ მათ ვაჩუქებთ, უკაცრავად პასუხია და, ნაოცნებარ დამოუკიდებლობას. ჩვენ ვასწავლით რეფერენდუმებზე გამარჯვებას. რეფერენდუმი ხომ იდეალური ხერხია ადამიანების მანიპულირებისთვის, როცა ჰგონიათ, რომ თავად წყვეტენ საკუთარ ბედს. ჩვენ მათ ვასწავლით სახელმწიფოს სიყვარულს. ეს კი ძალადობის, მოტყუებისა და ქრთამის სიყვარულსაც ნიშნავს. მივცემთ მათ უფსკრულში ჩაცვენის სრულ შესაძ-

ლებლობას. მაშ, ასე, მომიტევეთ და, ვჩუქნით რესპუბლიკებს დამოუკიდებლობას. თუმცა, ამავდროულად ცოტა რაღაცებს ჩვენთვისაც ვინახავთ...

– როგორ იქნება ალასკის საქმე? – აცქმუტდა გამხდარ უკანალზე გენერალისიმუსი სუვოროვი.

– ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ, იქაური რუსულენოვანი მოსახლეობის დასაცავად, – თვალის დაუხამხამებლად (ან იქნებ დახამხამებითაც), მკაფიოდ და ამომწურავად თქვა შავმა წინდამ.

– ალასკა არ უნდა დაგვავიწყდეს! – აქოთქოთდა სუვოროვი.

– ზამალჩი! დუ, შაისერენ მუდაკ![1] – დაუცაცხანა „გენერალისიმუსს" გერმანულენოვანმა „ეკატერინე მეორემ".

აქ „ლენინმა" საკმაოდ ნიშნისმოგებით ჩაიხითხითა, მაშინ როდესაც ანატოლი ივანოვიჩმა პრეზიდიუმს მოსმენისკენ მოუწოდა.

– ალასკა ალასკად, – ჩაერია საუბარში ყოვლისმჭვრეტი ძერჟინსკი, – მაგრამ ამას წინათ თქვენ წარმოთქვით მეტად საინტერესო ფრაზა: ცოტა რაღაცებს ჩვენთვისაც ვინახავთო. რას გულისხმობდით?

– მომავალს, – მიუგო შავმა წინდამ, – ვინახავთ ჩვენთვის არა იმდენად დაფლეთილ სხეულს, რამდენადაც სიცოცხლისუნარიან ცალკეულ ორგანოებს. ვინახავთ გარკვეულ კაბინეტებს, კომიტეტებს, წარმონაქმნებს. ვინახავთ გარკვეულ ვერტიკალს მათ ურთიერთობებში. და დიდ ბუნებრივ ლტოლვას ზრდისკენ, გამრავლებისკენ, კვლავწარმოებისკენ. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ეს ორგანოები (თავები, ხელ-ფეხი, კერცხები) მოულოდნელად დაიწყებენ მოქმედებას დამოუკიდებელი რესპუბლიკების სასარგებლოდ.

---

[1] ზამალჩი! დუ, შაისერენ მუდაკ! – რუსულ-გერმანული გინებაა. შეიძლება გადმოიცეს ასე: „გაჩუმდი! შე ბითურო ჩმორო!"

– მაღთლა? – დაინტერესდა „ლენინი“.

– მთელი მარილიც იმაშია, რომ არა, – გააქარწყლა მისი ეჭვები მომხსენებლის პირმა, – სინამდვილეში ისინი მოამზადებენ ჩვენს მომავალს. ახლად გამომცხვარი, პარდონ, დამოუკიდებელი მთავრობების სათავეში აღმოცენდებიან ჩვენ მიერვე გამოცდილი და დანიშნული შემსრულებლები. ქაოსი შობს ქაოსს. სადაც ეს შეუძლებელია, ხელისუფლებაში მოვლენ უბრალოდ ნაბოზვრები ან პოლიტიკური მეძავები, ვლადიმირ ილიჩ! ან ბოლოს და ბოლოს – არარაობები. ყველაფერი ჩაიძირება რუხ ფერებსა და მოწყენილობაში, სითახსირეში. დიდი ენთროპიული ძალა, რომელმაც გაგლიჯა დიადი იმპერია, ნაცარტუტად აქცევს, ბოდიში მომითხოვია და, სახელმწიფუკებს. საკმაოდ კარიკატურული იქნება ყოველივე ეს – ჩვენ მიერ დანიშნული პრეზიდენტები, ჩვენ მიერ მოსყიდულ პარლამენტები. ასევე სასაზღვრო კონფლიქტები შიიტებსა და სუნიტებს შორის, კათოლიკეებსა და კრიშნაისტებს შორის, მართლმადიდებლებსა და ძენ-ბუდისტებს შორის. დასავლეთელი ბანკირების მიერ გიჟებისთვის თავისუფლების სწავლების ეს გმირული მცდელობა. ეს მშიერთა შუღლი, ამბოხებები და გაფიცვები. ეს ეკლესიებისა და სამეძავოების ინდუსტრია. უამრავი ფუჭი ბრძანებულება, კონსტიტუცია და დეკლარაცია. და გაუთავებელი სანაგვე, არა, ბევრი დამოუკიდებელი სანაგვე, რომელთა სათავეშიც უსუსური მარიონეტები იდგებიან. აი, ჩვენი სამოქმედო პროგრამა. რაც დრო გავა, ერები სულ უფრო და უფრო მოიხედავენ უკან. და თავიანთ მოტყუებულ ხილვებში დაინახავენ დიად სახელმწიფოს – კოსმიურს, ცეცხლოვანს, განიერს, ათასწლოვანს. სულ უფრო უარესად და უარესად გამოჩნდება მასთან შედარებით ის, ნება მიბოძეთ, დამოუკიდებლობა. თვით იდეაც კი რაიმე მსგავსისა აღმოჩნდება სამუდამოდ...

– ჩაჯმული, – მიეშველა „ივანე მრისხანე“.

– გმადლობთ, მეც სწორედ მსგავს რამის თქმას ვაპირებდი, – ზრდილობიანად დაეთანხმა მომხსენებელი.

– და მაშინ ყველა ისინი – მხედველობაში მყავს ერები – კვლავ მოისურვებენ მას, სახელმწიფოს. აკი ყველაფერი ზღვის ქვიშასავით განიბნევა. ყველაფერი ჩამოიშლება. ირგვლივ დიდი სამხეცე გაბატონდება! და არანაირი სხვა არჩევანი არ იქნება! ამავე დროს მე მხედველობაში მაქვს არა იმდენად პოლიტიკური, რამდენადაც ეკონომიკური თუ ზნეობრივი არჩევანი.

დარბაზი ტაშის ნიაღვარმა წალეკა.

– პოლონეთსა და ფინეთს რას ვუზამთ? – ტაშის დაცხრომისთანავე გამოხტა „სუვოროვი“.

– გაჩუმდი, ბებერო ბრიყვო! – გაწიწმატდა „ეკატერინე მეორე“.

„სუვოროვმა“ ბრწყინვალე იმპერატრიცას ხელზე აკოცა, რადგან გვერდით ეჯდა. გაოფლილ, ჭორფლითა და პუდრით დაფარულ ხელზე.

– ყველაფერი კარგად იქნება! – ირწმუნებოდა მომხსენებელი, – პოლონეთს ზღვიდან ზღვამდე პოლიგონად ვაქცევთ, ფინეთს კი არყით ავავსებთ. ჩვენ გავაუქმებთ მათ მშრალ კანონს, როგორც ისეთს, რომელიც ადამიანის უფლებებს ეწინააღმდეგება.

ყველამ ისევ ტაში დაუკრა. ჩუმად მოხითხითე „ლენინმა“ ჟილეტის ჯიბიდან მექანიკური თაგვი ამოაძვრინა და პრეზიდიუმის მაგიდაზე გაუშვა. ხელისგულების ხმამაღლა ტყაპუნით იგი თვითონვე დაიჭირა და სათამაშო თაგვი მოუგრიხა. თუმცა თაგვი, შესაძლოა, ცოცხალიც ყოფილიყო.

– ეს იქნება ჩვენი უკანასკნელი და საბოლოო მკვდრეთით აღდგომა, – კვლავ ამეტყველდა შავი წინდა და ტაში და ენთუზიაზმი გადაფარა, – მოკვეთილი ხელ-ფეხი ისევ გამთლიანდება.

დამოუკიდებლობის, ფუი, იდეა განიცდის გლობალურ მარცხს და ადამიანთა ცნობიერებაში გაუტოლდება ფაშიზმს და თვით სექსუალურ გადახრებსაც. იმპერიის აკრძალული ხილი ყველას მოეწონება. მილიონობით ადამიანი ელოდება, თუ როდის გამოაცხადებენ მათ მონებად. როდის წაიყვანენ პირამიდების, არხების, გოდოლ-ბურჯებისა და დიდი ხიდების ასაშენებლად. მხოლოდ იმპერიაში პოვებს ცალკეული პირი საკუთარი არსებობის გამართლებას. ნებისმიერი იმპერია ხომ დიადი მიზანია. ათასწლოვანი მიზანი. ესაა სამყაროს დამორჩილება, ესაა კომუნიზმი, ესაა მავზოლეუმებში მუმიების უკვდავება. ესაა მზისა და მბრძანებელთა ელვარება. ესაა კოშკი, რომელსაც ათი ათასი წელიწადი აშენებენ. ესაა არმიების ძალა, კუდიანების დაწვა, ესაა ერთა მოძრაობა, მუდმივი და გამაერთიანებელი. ესაა ერების დიდი შერწყმა, დიდების მიერ მცირეთა, ძლიერების მიერ სუსტთა დანთქმა. ესაა ძეგლები და მითები, ესაა აღმა შებრუნებული მდინარეები, ესაა ფსიქიატრების, პათოლოგოანატომების, ბაზიერების ზეიმი...

– საფრანგეთის საქმე როგორ იქნება? – ისევ გამოხტა „სუვოროვი“.

– კაზიოლ![1] – ჩაისისინა „ეკატერინე მეორემ“.

„სუვოროვმა" ინტიმურად მოხვია მას ხელი წელზე, რაც თვით ბოლო რიგიდანაც კარგად ჩანდა.

– საფრანგეთში ჩვენ საცხოვრებლად გადავალთ, – დაარწმუნა იგი მომხსენებელმა. ხუთ-ექვს ოთახიან ბინებს ლოჯიებით პარიზში, მარსელსა და ნიცაში მიიღებენ უმაღლესი ხარისხის წარმომადგენლები, კერძოდ, დღევანდელი სიმპოზიუმის მონაწილენი.

– ფრანგებს რას ვუპირებთ? – მოისმა ტაშის ხმაში ამფითეატრიდან.

---

[1] კაზიოლ! – რუსული გინება, სალანძღავი სიტყვა

– გადავასახლებთ გობის უდაბნოში, – არ დააყოვნა პასუხი შავმა წინდამ.

– სხვათა შორის, შემიძლია შევჩერდე დეპორტაციის საკითხებზე, რადგანაც ეს იქნება ჩვენი საშინაო, ე-ე, საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

– ჯანსაღი აზღია! – ხელები მოისრისა „ლენინმა", ჟილეტის ჯიბიდან მოზრდილი თეთრი თალგამი ამოიღო და ხმამაღლა ხრამუნს შეუდგა.

– ჰოდა, დეპორტაცია, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია ჩვენი დიდი და, სამწუხაროდ, ჩაფურთხებული...

– ჩაჯმული... – გაუსწორა „ივანე მრისხანემ".

– გმადლობთ, მაგრამ ეს ასე არაა, – არ დაეთანხმა მომხსენებელი, – ჩვენი გმირული ისტორიიდან, დეპორტაცია ნებისმიერი ეროვნული პრობლემის გადასაჭრელად უებარი საშუალებაა. მთავარია, ჩუქჩები გადავასახლოთ არარატის დაბლობზე, მოლდაველები კი ფრანც-იოსების მინაზე, თუმცა იქ თავს უფრო ბუნებრივად ავსტრიელები იგრძნობდნენ. გარდა ამისა, გთავაზობთ კომპაქტური ცხოვრების ადგილთა უშუალო გაცვლას: ლიტველებისა ვიეტნამელებთან, შვეიცარიელებისა ჩინელებთან, უნგრელებისა კი უიგურებთან. დიდი გადასახლების ყოველმხრივი მხარდაჭერით ჩვენ მივაღწევთ სრულიად ახალი და ქიმერული ერებისა თუ ეროვნებების შექმნას იმდენად გაუკულმართებული სახელწოდებებით, რომ თვითონაც შერცხვებათ: რუსიაკები, უკრალიელები, კარელო-მეგრელები, ჩერბოსლოვატები, რუმინგოლები, ნიდერბაიჯანელები, შვეკები, ფრანგობეკები, ელოშვაბები, ქურთიფრანკები, ჟიზდობოლები და კარპატელი რუსინები.

– ისრაელის საქმე როგორ იქნება? – მხედარივით წამოიჭრა „სუვოროვი" და თან „ეკატერინე მეორეს" წინდახედულად ძუძუში ჩააფრინდა. შებერებული მხედარმთავრის ამ შლეგური

სიცელქით გაოცებულ დედა-იმპერატრიცას ამჯერად არაფერი უთქვამს, შავი წინდა კი კვლავ არ დაიბნა:

– ისრაელისა? მის მთელ ტერიტორიაზე საზამთროს დავთესავთ!

– და თალღამსაც, თალღამსაც, უსათუოდ თალღამსაც, – დაბეჯითებით მოითხოვა „ლენინმა".

„ანატოლი ივანოვიჩმა" ისეთი კმაყოფილებით დაახამხამა თავისი ხელოვნური თვალი, იფიქრებდით, ნამდვილიაო. მას გულს უხარებდა, რომ ამდენი სახელოვანი ხალხისთვის ტყუილად არ მოუყრია თავი.

ლოჟებსა და აივნებს ენთუზიაზმი მოსდებოდა. ამფითეატრშიც აღფრთოვანება სუფევდა. მომხსენებელი ბოლო გრიგალისებურ აკორდზე გადიოდა:

– ჩვენ შევაჩერებთ უზარმაზარ ნგრევას! ჩვენ დავამარცხებთ უზარმაზარ ქაოსს! დიადი სიმფონია დარაზმავს ადამიანებს ათასწლეულებში სალაშქროდ. ჩვენ დავიცავთ საკუთარ სიწმინდეებს გაუვალი ხვიარა მცენარეებითა და საომარი ტექნიკით. ეს იქნება ერთიანი ორკესტრი სრული მორჩილებისა და... – მომხსენებელი წუთით შეყოვნდა.

და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ „მინინსა და პოჟარსკის", რომელიც აქამდე მიცვალებულს ჰგავდა, წყვილი ხმით კითხვა დაესვა:

– კი, მაგრამ, ვინ, ვინ იქნება უმთავრესი?

– ხალხი! – მტკიცედ მოუჭრა შავმა წინდამ და ყველამ გადაიხარხარა.

სულ უფრო ცუდად ხდებოდი, ფონ ფ. ეს გაუთავებელი ტრიალი ლოჟებთან და ბალკონებთან ერთად, კედლებთან ერთად, ეს მამონტების პროცესიები, კომეტების კუდები, შენს თავზე ლანდებად პროეცირებული უზარმაზარი მოჭრილი გენიტალიები, ამ ნადირთა მსგავსი ნიღბების ღრიანცელი – ეს ყველაფერი

თითქოს სკამზე გაჭედებდა, გართმევდა ნებისყოფასა და გონიერებას. გეჩვენებოდა, რომ მხრებზე თითქოს ძალით მიხრახნილი თავი ეს-ესაა მოგძვრება და პრეზიდიუმის ფეხებქვეშ გაგორებული უკანასკნელად გადაფარავს ყველაფერს წყევლა-კრულვის უმწეო დორბლით. და როცა ვიღაცა გვერდით მოგიჯდა და მუხლზე ხელი ძმაკაცურად დაგკრა, იფიქრე, რომ ესეც, როგორც სხვა ყველაფერი, მხოლოდ ჰალუცინაცია იყო. მაგრამ შენს სმენას უკვე საკმაოდ ნაცნობი ულიმლამო ხმა მოსწვდა:

– თქვი, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა, ვილჰელმოვიჩ? მამაძალი, როგორ მოგწონს ეს ყველაფერი?

ეს იყო საშკო. აქაური საზოგადოებისგან განსხვავებით, მას ნიღაბი არ ეკეთა. ჩანდა, კონსპირაციის აუცილებლობა არ ჰქონდა. მხოლოდ ისღა შეეცვალა, რომ წვრილი არგენტინული ულვაშები მიეწებებინა, რომლებიც წარამარა სძვრებოდა და მაკარონივით დაბლა ეშვებოდა. „საშკო“ ოდნავ ბანცალებდა და საერთოდაც თვალები სამხედრო პირისთვის უჩვეულოდ უელავდა.

– შენი სატელეფონო ხუმრობა საშინლად მომეწონა, – წარმოთქვა „საშკომ“ და ცერა თითი ასწია... მას მერე ჩამომაქვეითეს. ასე კი ნუ მომჩერებიხარ, მე, ბოიშვილი ვიყო, თვითონაც უკრაინელი ვარ! ახლა ცოტა დავლიე, მწუხარებისგან თუ სიხარულისგან, – ვისი რა საქმეა! ზურგს კი ნუ მიჩვენებ და ისე ნუ იქცევი, თითქოს სხვა ვინმე ხარ. მე შენ ეგრევე გიცანი, ვილჰელმოვიჩ. რადგან მხოლოდ შენ შეგეძლო კლოუნის სამოსი ჩაგეცვა! როგორ გგონია, ტყუილად ვსწავლობდი შენს სტილისტიკას? რომ იცოდე, შენზე დაწერილი ყველა რეცენზია ზეპირად ვიცი!.. ბოიშვილი ვიყო!

და „საშკომ“ გულნატკენად ჩაისლოკინა, როგორც ამას მთვრალები შვრებიან ხოლმე.

– არა, მართლა, ტელეფონზე ხუმრობა მაგრად გამოგივი-

და, – ისევ აქაქანდა ერთ წუთში, – ვირთაგვებზეც! სასწაული, ბოიშვილი ვიყო!

– ახლა რა იქნება? – ჰკითხე შენ.

– ცხოვრება გრძელდება, ძმობილო, – თქვა „საშკომ“, – თუმცა იქ ჩამომაქვეითეს. იცი, ბებერო, მე ახლა კაპიტანი ვარ, ცხოვრება კი გრძელდება, მაგის რჯულიც არ იყოს, და აქ ვერავინ ვერაფერს გააწყობს, თვით ის მუდოებიც, რომლებსაც აქ ვითომ ვიცავთ. მაპატიე, დღეს ცოტა შევუბერე.

– დღეს! – ეხმიანებოდა მას მომხსენებელი, რომელსაც ვერაფრით დაემთავრებინა გამოსვლა, – დღეს! ჩვენი მომავალი დღეიდანვე იწყება. თუ ჩვენ საკუთარ თავზე ვიღებთ პასუხისმგებლობას, თუ ჩვენ გვსურს იდეის, სახელმწიფოს, ვერტიკალის გადარჩენა, თუ ეს ასეა, მაშინ აქედანვე, დღეიდანვე, წუთის დაუკარგავად უნდა...

მისი ყველა სიტყვა არ ისმოდა გარკვევით – დარბაზი სულ უფრო ხმამაღლა რეაგირებდა. თან „საშკოს“ ქშენაც უშლიდა ხელს.

– ჩემ დასაპატიმრებლად მოხვედი? – ჰკითხე შენ.

– ცხოვრება გრძელდება, – გიპასუხა „საშკომ“. – ხეები ყვავიან, ბიჭები გოგონებს დასდევენ... მომისმინე, იმ ტელეფონზე მაინც როგორ გამაცუცურაკე! ვაჰ, ჩემი!

– მოხარული ვარ, რომ მოგეწონა, – მხრები აიჩეჩე შენ, – ღმერთო, როგორ მტკივა თავი! როგორ მტკივა ყველაფერი ამქვეყნად! არსებობს თუ არა რაიმე გამოსავალი?

– არ არსებობს უჭიშკრო ქალაქი, – წარმოსთქვა „საშკომ“. – მე დავალებული მაქვს შენი მოკვლა.

– და მაშინ წოდებას მოგიმატებენ?

– შესაძლოა. მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარია შენი მოკვლა.

– და ეს ჩემთვის ერთადერი გზაა აქედან გამოსასვლელად?

– არსებობს კიდევ ერთი გზა, – „საშკომ“ ეშმაკურად და მრავალმნიშვნელოვნად აიპრიხა ჩამოშვებული ულვაშები, – ჩემზე ცუდს ნუ იფიქრებ, ძმობილო!.. მე ამ კაცაპებს იქნებ შენზე ნაკლებად როდი... ვცემ პატივს!

ამასობაში პრეზიდიუმსა და დარბაზში აღფრთოვანებამ რაღაცნაირად არნახულ აპოგეას მიაღწია. შავი წინდა პირდაპირ დასკვნით, ვირტუოზულად წინასწარმეტყველურ ფრაზებს წარმოთქვამდა.

– ყველა მიწისა და ხალხის შეკრებით, მათი ერთად თავმოყრით ჩვენ ვასრულებთ ნებას მამათა ჩვენთა! საკუთარ მავზოლეუმებში მარტო დარჩენილთ ძილი უტყდებათ იმის გამო, რასაც მათ მემკვიდრეობას ამჟამად უშვრებიან. ათასწლეულთა თვალებით შემოგვცქერის ჩვენ სახელმწიფოს კოსმოსური მისია. ჩვენ ხელთ გვიპყრია თულფის ბანქოს ქაღალდები დიდი თამაშისთვის: ტელეფონები, თანამდებობები, აგენტები, ადეპტები, ოქრო, ვერცხლისწყალი, ანტენები, შიფროგრამები, ტანკები, კომპიუტერები, მაგრამ რაც მთავარია – მილიონობით, მილიარდობით ადამიანი, რომლებსაც სურთ და ოცნებადა აქვთ ქცეული მონობაში ყოფნა, რომლებიც თავიანთი ნეტარი მონობის გულისთვის მოეფინებიან ქუჩებსა და მოედნებს, რადგან უბრალო და პატარა ადამიანისთვის არ არსებობს უფრო დიდი სახელ-ღირსება და ოცნება, ვიდრე, დამჯერე, ერთგული, ამაყი და დამამცირებელი მონობა დიადი, მძლავრი, პირამიდული, ვარსკვლავქვეშეთური იმპერიისა, რომელიც შეუჩერებლად მიიწევს სულ უფრო დასავლეთით და ანადგურებს მათ მიწის ნაკვეთებსა და კოტეჯებს, ავტობუსებსა და სატელეფონო ჯიხურებს, ამ მთელი ანარქიული ადამიანური ერთეულის ცოდვილ და გარყვნილ კეთილდღეობას – ჩვენი ვარსკვლავციმციმა მუმიების გულისთვის!..

– როგორ მტკივა თავი, – ამბობდი შენ, ოვაციებისგან შუბ-

ლშეჭმუხნილი, – რა საშინელი მაღალფარდოვნებაა! რამდენი ფუყე სიტყვაა. რაღაცა მოვიფიქროთ. რამენაირად უნდა გავაფრთხილოთ ბიჭები.

– გასაფრთხილებელია ბიჭებიო? – არყის სუნი შემოგაფრქვია „საშკომ",– მეტის უნარი არ შეგწევს?

– გესმის, მე დიდი ხანია, რაც ლექსი არ დამიწერია. ერთი სტრიქონიც. თუმცა შენ ეს იცი... რას გულისხმობ, როცა ჩემგან გაცილებით მეტს ითხოვ?

– არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი. ოღონდ საამისოდ სიმამაცეა საჭირო. საშინელი, სისხლიანი ქმედება. სისხლის მორევი, გასაგებია? ტერორისტული აქტი, შენი დედაც! აი, რას ვგულისხმობ...

– მე ტერორისტი არა ვარ.

– ჰა! – იფეთქა „საშკომ", – სხვა პასუხს არც მოველოდი! ტერორისტი არაა! შენ საერთოდ არარაობა ხარ!

– მე არ შემიძლია კაცის მოკვლა, – დამნაშავესავით აუხსენი შენ, – სიამოვნებით მოვკლავდი, მაგრამ არ შემიძლია...

– მაშინ ყველაფერი ისე დარჩება, როგორც შავწინდიანმა დახატა, – გულგატეხილად ამოიოხრა „საშკომ", – შენი უბედურება ისაა, არტურჩიკ, – ნება მიბოძე, ზოგჯერ ასე მოგმართო, – რომ ყოველთვის თავის დაძვრენას ცდილობდი. მომიჯნავე სიტუაციებიდან ოპერეტას დგამდი. და ყოველთვის საღ-სალამათი რჩებოდი, საღ-სალამათი. მაგრამ ამჯერად თავს ვერ დაიძვრენ. რადგან მოგვბეზრდა შენი თვალთვალი. გარკვეული თვალსაზრისით, საკმაოდ შორს შეტოპე. და იქიდან მხოლოდ გადარჩენის ფასად გამოაღწევ.

– შენ ვინა ხარ?

– არავინ იცის, ვინაა იგი. მაგრამ ის ხუმრობა ტელეფონზე...

– მორჩი, რა, იმ შენს ტელეფონს! და ნუ გამიბედავ იმ საძაგელი სახელის დაძახებას!

– ერთი ამას დამიხედეთ! თქვი, რას მიზამ? გეძახოდი და კვლავაც დაგიძახებ! და ფეხებსაც ვერ მომჭამ, რადგან არაფრის მაქნისი ხარ! ისე გეშინია ცოდვის ჩადენის, რომ ყოველ ნაბიჯზე სცოდავ! ვიგინდარავ!..

რამე უნდა ვიღონოო, გაიფიქრე შენ.

და მე მართლაც ასე გავიფიქრე, რადგან თავი გიჟურად მისკდებოდა, და მთელი პრეზიდიუმი მქუხარედ ზეიმობდა სიტყვის დასრულებას, შავწინდიანი ტიპი კი წითელარმიელის ნიღბიან ვიღაც ბულებს ტრიბუნიდან ხელით გამოჰყავდათ. მძღნერისა და სისხლის ნაკადები მოედინებოდა ტრიბუნის ძირიდან. და ყველა ეს ტახი, თოვლის პაპა, მეკობრე, ნიანგი, კენტავრი და კომისარი თვალებს მიჭრელებდა, „ლენინი" პაპიემაშესგან დამზადებულ რუსეთის იმპერიის გვირგვინს მაღლა ისროდა, ხოლო „ივანე მრისხანე" რომელიღაც გარყვნილ ფოქსტროტს ეცეკვებოდა პატარა ჩაფსკვნილ „ძერჟინსკის". „ანატოლი ივანოვიჩის" მინის თვალი საზეიმოდ ბრწყინავდა და გულის ამაჩუყებლად ტიროდა. „სუვოროვი" „ეკატერინე მეორეს" უკანალს უკოცნიდა. მხოლოდ „მინინი და პოჟარსკი" რჩებოდნენ გაუნძრევლად, რადგან ეს იყო ოდენ წითელ მოედანზე მდგარი ძეგლის ასლი ან იქნებ სულაც ძეგლი, რომელიც აქ გაურკვეველი მიზნით მოეთრიათ.

და მაშინ გაიფიქრე, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული. რომ შენ ხარ ერთადერთი, ვისაც ასეთი საშუალება მოგეცა. რომ სხვა გამოსავალი მაღლა მაინც არ არსებობს. და თანაც განა აუცილებელია, რომ მაღლა გამოსავალი იყოს? ჯანდაბამდეც წავალ, ოღონდ აქედან გავაღწიო! ისე საშინლად მტკივა თავი.

– სიმამაცე, არტურჩიკ, სიმამაცე! – ჩაიშრიალა გვერდით „საშკომ" და ულვაშებიდან გადმოაფურთხა.

– ილოცებ ჩემზე?

პასუხად მან მხოლოდ გადაიხარხარა. თავი უკან გადაეწია და

მთელი სხეულით ხარხარებდა. შეხსნილ პიჯაკზე ხელი მოუსვი. გაოფლილი პერანგი, ქონიანი ნაოჭები წელზე. პისტოლეტი თავის ადგილზე იყო, – სწორედ იქ, როგორც ფილმებში უჩვენებენ.

– ნუთუ? – „საშკომ" ხარხარი მოულოდნელად შეწყვიტა და უნდობლად მომაჩერდა.

– ახლავე ვნახავ შენს სიმამაცეს, – თქვი შენ და პისტოლეტი ლაბადის ჯიბეში გადამალე.

– იცი მისი ხმარება?

– მისვრია ოდესღაც. სამიზნისთვის. თადარიგის ოფიცერთა კურსებზე, – უპასუხე და სკამებს შორის გასასვლელით დაბლა, პრეზიდიუმისკენ გაემართე. მაგრამ ჩანთის გახსენებაზე უკან დაბრუნდი, აიღე და კვლავ კოჭლობით წახვედი.

მინდა, რომ ასეთ წამს ჩემი ჩანთა ჩემთან იყოს. მინდა, რომ ჩემი სული ჩემთან იყოს.

რომ ჩემი სიცარიელე ჩემთან იყოს.

საფეხურები ფეხებქვეშ გეცლებოდა. დარბაზი ტრიალებდა, ამფითეატრი მიდიოდა, ზოგჯერ თავისუფალი ხელით ებღაუჭებოდი სკამის საზურგეს, მორიგი ნიღბის დინგს ან მამლის ბიბილოს. აივნიდან ბგერები მოისმოდა, მაგრამ ისინი სხვა იყო, უწინდელებს არ ჰგავდა. იქ რაღაც ახალი ხდებოდა – ფორიაქი, პანიკა, ჯახანი, თუმცა ქვემოთ ამას ჯერ კიდევ არავინ აქცევდა ყურადღებას. გაჩერდი. ხელი მაღლა ასწიე.

– ყურადღება! – წარმოთქვი რაც შეგეძლო ხმამაღლა, მაგრამ მოგეჩვენა, რომ ძალიან ჩუმად.

უჩინარი მექანიზმები გაშეშდნენ. იდუმალმა ღერძებმა ტრიალი შეწყვიტეს. სკამებმა და აივნებმა დამუხრუჭებისას ჟანგიანად გაიღრჭიალეს და შედგნენ. დარბაზში სიჩუმე გამეფდა.

მხოლოდ ზემოდან, აივნებიდან მოისმოდა სულ უფრო გულისგამგმირავი ხმები. მაგრამ ნახევრად ჩაბნელებულ სივრცეში ვერ გაარჩევდით, რა ხდებოდა. იქნებ პროვოკატორი

ამხილეს და ახლა ნეკნებში სცემდნენ. ამანაც ვერ შეგაჩერა.

– ყურადღება! – კიდევ ერთხელ დაიწყე შენ, თან ერთდროულად გიკვირდა, რომ ადამიანის ხმა შეიძლება ასე თრთოდეს. – მინდა ვთქვა, რომ ძალიან მტკივა თავი. უბრალოდ, იდიოტური დღე მქონდა... არა, ამის თქმა კი არ მინდოდა...

პრეზიდიუმი ყურს გიგდებდა. ახლოდან ისინი არცთუ ისე ჰგავდნენ იმ პერსონაჟებს, რომლებსაც ასახიერებდნენ. იკვეთებოდა რაღაც სხვა, უფრო მნიშვნელოვანი და არამც და არამც კარიკატურული. თვალები, შესაძლოა. ან იქნებ ეს ყველაფერი მოგეჩვენა წითელი კარტოფილის ცხვირიან მასხარას.

– მინდა ვთქვა, – ერთხელ კიდევ დაიწყე, – რომ დღემდე არავინ მომიკლავს. შინაური ცხოველიც კი. ასე მოხდა. ამიტომაც გთხოვთ, მაპატიოთ, თუ რამეს ისე არ გავაკეთებ. მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს. ამასაც ვაკეთებ ჩვენი ხალხის გულისთვის, რომელსაც მხოლოდ სიკეთეს ვუსურვებ...

უკან ვიღაცამ მკვეთრად ჩაახველა, მგონი, „საშკომ".

– პატივს ვცემ დიად რუსულ ლიტერატურას. მის ჰუმანისტურ ტრადიციებს. ღვთის საკუთარ თავში ტარებას, ღვთისქმნადობას, ღვთისმაძიებლობას, ღვთისმომტყუებლობას. და, მიუხედავად ამისა, გავაკეთებ იმას, რასაც გავაკეთებ. ანუ არ გავაკეთებ. არა რომელიმე ერთი ერის სახელით. თუმცა რომელიმე ერთი ერისთვის. ჩემი საკუთარი სახელით. ისე მტკივა თავი, რომ დროა, ამ ყველაფერს მოვრჩე. ერთხელ კიდევ – ყურადღება! შევეცდები სწრაფად მოვათავო...

გამოსვლა, რა თქმა უნდა, არ გამოგივიდა. მაგრამ შენი პისტოლეტის ხმა გაისმა მტკიცედ და დამაჯერებლად. შენ გადაწყვიტე ყველა მათგანის მოსპობა – მეთოდურად და თანმიმდევრულად, ტყვიაზე ტყვიის, გასროლაზე გასროლის, სხეულზე სხეულის მიყოლებით, თანაც გახსოვდა, რომ არც დრო გქონდა და არც აცილების უფლება. ისროდი იშვიათი

სიზუსტით, აივნებიდან კი სულ საშინელი წყევლა და ყვირილი მოისმოდა. ისროდი, როგორც სამხედრო მომზადების ფრიადოსანი, რომელსაც ულმობლობა შვენოდა კიდეც, ისროდი აივნებიდან და ლოჯიებიდან, თვით უბრალოდ კედლებიდან, სადაც ლანდების დიადი იმპერიული ლაშქრობა გაქვავებულიყო, პარტერის შეშინებულ თავებსა და კისრებზე ხტოდნენ შენი ბრძანებითვე გამოშვებული ვეება ვირთაგვები, საზიზღრები და ხარბები. შენ მოცელე მთელი პრეზიდიუმი, თუმცა წვეთი სისხლიც არ ჩანდა – მხოლოდ შმორიანი ნახერხი ცვიოდა ამ გახვრეტილი მკერდებიდან და თავის ქალებიდან და უხმოდ ხამხამებდნენ მექანიკური თვალები. და ისინი ერთმანეთზე ეცემოდნენ შენი სროლის შესაბამისი თანმიმდევრობით – მანეკენები, როგორც აღმოჩნდა. და მხოლოდ მაშინ მიხვდი, რამ შეგაძრწუნა მათში ასე, როცა მიუახლოვდი.

მე კი იმან შემაშინა, რომ ისინი სიმბოლოები იყვნენ.

ისინი ელაგნენ პრეზიდიუმის მაგიდის გარშემო – უკლებლივ, თვით გარღვეული ეკატერინეს ჩათვლით, და მხოლოდ მინინისა და პოჟარსკის ძეგლი რჩებოდა ადგილზე. ზოგ მათგანს ჯერ კიდევ სცვიოდა იატაკზე ნახერხი, ზოგსაც ზამბარა და ათასგვარი ხელოვნური შიგნეული გამოსჩროდა. ეს ყველაფერი საკმაოდ საძაგლად გამოიყურებოდა.

მიმოიხედე. საკონფერენციო დარბაზში ვირთაგვები მბრძანებლობდნენ და ვისაც მიეწეოდნენ, უმალვე ფლეთდნენ. კარებთან ათამდე ნიღაბი მოგროვებულიყო, ისინი ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, ძიძგილაობდნენ იდაყვებითა და ფალოსებით, გზას მიიკვლევდნენ კლანჭებით, მითქარუნობდნენ ფლოქვებით, მიიწევდნენ გასასვლელისკენ, თუმცა არანაირი გასასვლელი არ არსებობდა და კარები, უბრალოდ, დახატული აღმოჩნდა. ყურადღება მიაქციე, რომ ერთი ყველაზე დიდი ვირთაგვა, ვირთაგვების მეფე, იერარქი, კაი მოზრდილი ძაღლისხელა,

ვილაც შავწინდიან უილბლოს გლეჯდა. იყო თუ არა იგი წელანდელი მომხსენებელი, ვერ გაარჩიე, რადგან პირის ნაცვლად შავი ორმოღა შერჩენოდა, საიდანაც საფეხურებზე შადრევანივით მოჩქეფდა მძიმე და სქელი სითხე.

„საშკო" აღუშფოთებლად იჯდა შუაგულ დარბაზში. მის თავზე რაღაც კიაფობდა – მსუბუქი შარავანდედი თუ, ეშმაკმა უნყის, რა. ყურადღებით მოეპყრო შენთვის კაპიტნობამდე ჩამოქვეითებული მაიორის ან იქნებ არამიწიერი სიყვარულის მზერა. ვინაა იგი, მფარველი ანგელოსი, მკაცრი და მომთხოვნი, ოდნავ შემთვრალი? ოფლით დასველებულ, სასტიკ და მტკივნეულ ფრთებს ხომ არ მალავს სამოქალაქო სამოსქვეშ? ღვთის მოციქული ხომ არაა – სწორედ მისი, ვისზეც შენ ზოგჯერ ცუდს ფიქრობდი, მაგრამ ვისადმი რწმენაც არასოდეს შეგირყევია? სწორედ მისი გახსენების დროა, მისი გახსენების დრო.

ისღა დაგრჩენოდა, რომ კლოუნის ნიღაბი მოგეძრო. და მარჯვენა საფეთქელში ტყვია გეკრა. ღმერთმა ქნას, რომ შენც ნახერხი არ დაგცვივდეს. შენ ხომ ნამდვილი ხარ. შენ ხომ მანეკენი არა ხარ, ოტო. აქედან ხომ სხვა გამოსავალი არ არსებობს.

შენს თავზე უკვე დაფრინავდა განიარაღებული ანგელოსი, რომელსაც გვერდზე პისტოლეტის ცარიელი ბუდე ეკეთა. გემშვიდობებით ყველას, ვინც მელოდით! არსებითად მე დავწერე რამდენიმე გვარიანი {საუკეთესო} ლექსი. და საერთოდაც არცთუ ცუდი ბიჭი ვყოფილვარ.

ტყვია საფეთქელს მიეჭედა. და მხოლოდ შემდეგ გაიგონე გასროლის ხმა.

***

კიევის ვაგზლის მოედანი, მოწყალეო ხელმწიფევ, დატბორილი იყო. მთელი დღის მანძილზე განუწყვეტელმა თავსხმამ წყლების დიდი ამონთხევა გამოიწვია. ქვიშით, ფერფლით,

ვარდებით, ქაღალდებით, მტრედების ღინღლით, ნიღბებით, მკვდარი ვირთაგვებითა და სხვა ათასი ნაგვით გადაჭედილ სანიაღვრე მილებში უკვე არაფერი ეტეოდა. მსოფლიო წარღვნა სულ უფრო საჩინო ხდებოდა. მოსკოვი სულს ღაფავდა.

მეტროდან რომ ამოვძვერი, თითქმის წელამდე წვიმის შავ წყალში ამოვყავი თავი. მხოლოდ ნებისყოფისა და ჩემი ჩანთის წყალობით ვიდექი ფეხზე და ასე ძლივს მივაღწიე ბაქნამდე. მახსოვდა ორმოცდამეერთე მატარებლის არსებობა. იგი მოსკოვიდან დაახლოებით ღამის თორმეტ საათზე გადიოდა.

თორმეტს რამდენიმე წუთიღა უკლია. იგი მოსკოვიდან გადის, რათა კიევში ჩავიდეს. ერთადერთი, გამცილებლისთვის რისი შეთავაზებაც შევძელი, იყო მოზრდილი ცოცხალ-მკვდარი ლოქო, რომელიც არც კი ვიცი, როგორ აღმოჩნდა ჩემს ჩანთაში ან იქ რას აკეთებდა. მგონი, რომელიღაც წარმომადგენლობით შეკრებაზე მაჩუქეს. ამრიგად, მე მივიღე ჩემი კანონიერი მესამე თარო (სულერთია, თქვენ მაინც არ იცით, რას ნიშნავს ეს, თქვენო უმაღლესობავ!) საერთო ვაგონში, გავფინე ლაბადა ნახსენებ მესამე თაროზე და უკანასკნელი ძალისხმევით ძლივს შევტენე ჩემი დაუძლურებული სხეული მასა და ვაგონის ჭერს შორის არსებულ ღრიჭოში. აქ ვიწვები ალბათ კიევამდე და ასე დავე-მალები რევიზორებს, კონტრაბანდისტებსა და მესაზღვრეებს.

მატარებლის გასვლისთანავე ჩამეძინა და აქამდე მძინავს.

რადგან ძალიან ავადა ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ. საშინე-ელი ციება მჭირს, რის გამოც ბაგეები დილისთვის სირსველით მეფარება. მუხლიც გასივებული მაქვს, ალბათ, სადღაც ვცეკ-ვავდი და ფეხი დამისხლტა. სისხლშიც უამრავი ალკოჰოლი მაქვს. თვით სისხლზე მეტი. თანაც თავის ქალაში ტყვია მაქვს გარჩენილი. მგონი, ერთი საათის წინ თავი მოვიკალი: საბჭო-თა სისტემის რომელიღაც პისტოლეტით, ალბათ მაკაროვით, შუბლში ტყვია მივიჭედე. და ახლა ეს შესანიშნავი, აშმორებუ-

ლი, ადამიანთა მოთენთილი სხეულებით სავსე მატარებელი მოსკოვიდან მიმაქროლებს. არ შეიძლება დიდხანს დარჩენა იმ ქალაქში, სადაც სიცოცხლე მოისწრაფე. სადმე უნდა გასწიო.

მე შინისკენ გავწიე, თქვენო ღირსებავ. არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც თქვენი ქვეშევრდომები ცხოვრობენ. მესმის, რომ თქვენთვის, სადღაც ტროპიკულ აფრიკაში, ვილა „უკრაინას" ჭერქვეშ დაბადებული და ესპანეთსა თუ შვეიცარიას მიჩვეული კაცისთვის ძნელია ამის წარმოდგენა. მაგრამ ეს ასეა, თქვენო მოწყალებავ, – არსებობს ასეთი ქვეყანა. იგი თქვენთვის არ გამოუგონიათ თქვენს მრჩევლებს, ასტროლოგებსა და კაპელანებს. თვით ყველაზე ჭირვეულმა, ყველაზე გიჟურმა (ადამიანურმა!) წარმოსახვამ უკან უნდა დაიხიოს ამ ქვეყნის არსებობის წინაშე. იგი ტკივილამდე ნამდვილია. და აღმოსავლეთიდან არაფრითაა დაცული, თვით მთებითაც კი.

თავის დროზე ის, ვინც გეოგრაფიას ანაწილებდა, ჩემთვის რომ ეკითხა, ახლა ყველაფერი სულ სხვაგვარად იქნებოდა. მაგრამ მან ჩვენი ქვეყანა იქ განათავსა, სადაც მოისურვა. ამისთვისაც მადლობა!

და რომ ჩვენ გაგვაჩინა უნდილებად და ჩანჩურებად, მომთმენებად, ზარმაცებად, კეთილებად, და რომ გაგვაჩინა გულგრილებად, შურიანებად, მიმნდობებად, გვაქცია ეშმაკებად, მშიშრებად, შარიანებად, გვაქცია დაუდევრებად, მორჩილებად, მომღერლებად – მადლობა მას, რადგან შეეძლო უარესებადაც გავეჩინეთ. მან მოგვცა კარგი გოგონები. მოგვცა ცუდებიც. მოგვცა გაუგებარი პოეტები და ენაჩლუნგი მღვდლები. მეფე კი მოგვცა შორეული.

ზოგჯერ ევროპა გვესიზმრება. გავდივართ ღამით დუნაის ნაპირზე. გვახსენდება რაღაც ამის მსგავსი: თბილი ზღვები, მარმარილოს ბჭეები, ცხელი ქვები, სამხრეთის ხვიარა მცენარეები, მარტოსული კოშკები. მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება.

ასეთია მეტწილად ჩვენი ხალხი. სხვა, თქვენო მოწყალებავ, არ გვყავს არც თქვენ და არც მე. ოდესმე იგი შეგვიყვარებს თქვენც და მეც. ჯერჯერობით კი მგზავრობს მოსკოვის მაგარი ვაგონებით. ან ვაგზლებზე სძინავს – ბნელს, ნაცრისფერს, დუნეს. და რა დაემართება მას სამომავლოდ, არ ვიცი. ისე კი ძალიან მინდა ვიცოდე.

რადგან მე დღეს კი არ გავრბივარ, არამედ ვბრუნდები. ავი, ცარიელი, თანაც თავის ქალაში ტყვიაჩარჩენილი. ვის რა ჭირად ვჭირდები? ესეც არ ვიცი. მხოლოდ ისლა ვიცი, რომ დღეს ჩვენ თითქმის ყველანი ასეთები ვართ. და გვრჩება წინაპართაგან ნაანდერძევი ყველაზე სარწმუნო იმედი: როგორღაც თავს გავიტანთ. მთავარია – ხვალამდე გავძლოთ. მივაღწიოთ კიევის სადგურამდე. და არ ჩამოვვარდე ამ საჯანდაბო თაროდან, რომელზეც ვამთავრებ ჩემს უიღბლო მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო.

1992 წლის თებერვალი-აპრილი, ფელდაფინგი

სერია „ლიტერატურული ოდისეა“

უკვე გამოიცა:

არტურო პერეს-რევერტე – დიუმას კლუბი

ჩაკ პალანიკი – ძილისპირული

ეთგარ კერეთი – უეცრად კარზე აკაკუნებენ

ჰერმან ჰესე – ტრამალის მგელი

მიშელ უელბეკი – პლატფორმა

იოჰან ბორგენი – ნოველები სიყვარულზე

ჟოზეფ კესელი – დღის ლამაზმანი

ვლადიმირ ნაბოკოვი – ლოლიტა

ერლენდ ლუ – დოპლერი / ნაივური. სუპერი.

კნუტ ჰამსუნი – მისტერიები

არუნდატი როი – წვრილმანების ღმერთი

ნიკ ქეივი – ბანი მანროს აღსასრული

ჯონ მაქსველ კუტზეე – მაიკლ კეის ცხოვრება და დროება

უილიამ გოლდინგი – ბუზთა ბატონი

პოლ ოსტერი – ნიუიორკული ტრილოგია

ჟოზე ლუიშ პეიშოტუ – გალვეიაში

რომენ გარი – ევროპული აღზრდა

ამოს ოზი – ჩემო მიხაელ

სალმან რუშდი – ორი წელი, რვა თვე და ოცდარვა ღამე

ლაიონელ შრაივერი – კევინზე უნდა დაგელაპარაკო...

ირვინ უელში – ჩხერკეთელაობა

ვიქტორ პელევინი – ჩაპაევი და სიცარიელე

იური ანდრუხოვიჩი – მოსკოვიადა

ისმაილ კადარე – გახლეჩილი აპრილი

მალე გამოვა:

უილიამ ბეროუზი – შიშველი საუზმე

ლიტერატურული
ოდისეა

იმოგზაურე მსოფლიო ლიტერატურის სამყაროში

სერიაში „ლიტერატურული ოდისეა“ თავმოყრილია მრავალი ქვეყნის თანამედროვე და კლასიკური მხატვრული ნაწარმოებები, რომლებსაც მსოფლიოში უკვე კარგად იცნობენ და რომელთა უმეტესობაც ქართულ ენაზე პირველად ითარგმნება.

„მოსკოვიადა“ ცნობილი უკრაინელი პოეტისა და პროზაიკოსის, იური ანდრუხოვიჩის მეორე რომანია. მასში მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტის სტუდენტი ოტო ვილჰელმოვიჩ ფონ ფ. გვიყვება ერთი დღის საკუთარ თავგადასავალს საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში, რომელიც არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. რომანის პოსტმოდერნული და მნიშვნელოვანნილად ავტობიოგრაფიული ტექსტი, რომელშიც საკმაოდაა ჟარგონი და უცენზურო ლექსიკა, წარმოადგენს სატირის, იუმორის, სარკაზმის, ირონიის, თვითირონიის თავისებურ ნაზავს. მასში ოსტატურადაა აღწერილი კომუნისტური საზოგადოების გახრწნა, დეგრადაცია, კრახი და დიდმპყრობელური ილუზიების ნანგრევებზე ახალი, შოვინისტური, პროფაშისტური რუსეთის აღმოცენება. რომანის დაწერიდან თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ კრემლის მიერ გაჩაღებული რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, მწერლის მრავალი აზრი თუ გამონათქვამი სრულიად ახალ, რეალისტურ შეფერილობას იძენს და ნაწარმოების ჟანრის ავტორისეული განსაზღვრება – „საშინელებათა რომანი“ – არცთუ გაზვიადებულად გვეჩვენება.

www.sulakauri.ge
ISBN 978-9941-23-834-5
9 789941 238345

14 90

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა